ალექსანდრე
ჯალიანდაძე

სარწმუნო

რომანი

ჟურნალისეული რაკურსით

თბილისი „მერანი“
1991

84бр7
ბ 183

ღმერთმა ინება, სიცოცხლის დიდი ნაწილი რჩეულ ისტორიულ გმირთა ცხოვრების აღწერისთვის მიმეძღვნა. ანტონ კათალიკოსი, სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ჩემი რწმენით, მკაფიოდ გამოხატავენ საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე. ამ დიდებულ ქართველთა ცხოვრებასა და ღვაწლზე დაწერილ რომანებში არ დამიზოგავს შრომა და გამოცდილება, რათა გამომეხატა მათი საოცარი ცხოვრების აზრი, ჩემი სიყვარული და თაყვანისცემა. ამის შემდეგ, სანუკვარ ოცნებად მრჩებოდა მეჩვენებინა ხანი ილიას მკვლელობიდან კაენის სულის აღზევებამდე.

ამასობაში ისე შემიპყრო ჩვენი დროის ყოველდღიურმა მოვლენებმა, რომ საწერ მაგიდასთან მყუდრო მუშაობა გამიჭირდა. ორი წელია, იდუმალი მოლოდინით დავეხეტებოდი მიტინგებზე და დემონსტრაციებზე, როგორც ცნობისმოყვარე მოწმე, მეთვალყურე, მონაწილე. ვცდილობდი არაფერი გამომრჩენოდა. არსად დამგვიანებოდა. ვაგროვებდი ყველაფერს, რაც მიმდინარე ამბებთან არის დაკავშირებული. ვიწერდი შთაბეჭდილებებს.

ასე დაიწყო, და 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნებით დასრულდა ეს წიგნი. ასევე უცვლელად, შეულამაზებლად და უპრეტენზიოდ მიმაქვს მკითხველთან.

ავტორი

რედაქტორი გურამ გვერდწითელი

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

4702017200—45
ბ———————ბრძ.—91
მ 604 (08) — 91

© გამომცემლობა „მერანი"

ნაწილი პირველი

1.

შეკივლება...

ზებედე ქარცივაძემ, რომელსაც უნივერსიტეტის გამომცემლობის წინ, რაფიელ ერისთავის ქუჩაზე უნდა აეხვია, რამდენიმე ნაბიჯი აზრმიუცემლად გაირბინა და მუხლმოწყვეტით გახევდა.

დანარცხება იქვე, სულ ახლოს.

— უშველეთ!

— დარეკეთ!

— მილიცია!

გამვლელ-გამომვლელნი შეჩერდნენ. გამოცვივდნენ მოზინადრენი.

— გოგო გადმოვარდა მერვე სართულიდან!

— სხვენიდანაა გადმოგდებული!

— არ ვიცნობთ. ჩვენი სახლიდან არ არის!

დეკემბრის საძაგელი დღეა. ქარბუქი ბობოქრობს. ჭუჭყიან ქაღალდებს ჰაერში ატრიალებს. სუსხიან ზამთარს უმოწყალოდ გაუშიშვლებია სიღატაკე.

როცა ზებედე გონს მოეგო, ქუჩა დაცარიელებულიყო. არც გაუგია, რა მოხდა. დამორცხვებული ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა სახლს, სადაც უბედურება დატრიალდა. შთაბეჭდილებებს თავს ვერ აღწევდა.

„გადმოვარდა? გადმოადგეს? თავი მოიკლა?“

ვერასოდეს გაიგებდა ამას. ასეთი შემთხვევები ხდებოდა. ერთი-ორი წლის წინათაც გადმოეგდოთ მსახიობი ქალი ჩვენებური ცათამბჯენიდან. დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა. რას აღარ ამბობდნენ. ვის არ აბრალებდნენ. იმ დღეებში დაბრუნებულიყო უცხოეთიდან და ეს ათასგვარ ეჭვს ბადებდა. გავიდა დრო. მის უბედურებაზე თავი არავის შეუწუხე-

ბია. მოკლეს, დაფლეს და ამბის მომკითხველიც გაქრა. აუტ-კივარ თავს ვინ აიტკივებდა! ვინ გაბედავდა?!

გაახსენდა, შარშან წერეთლის გამზირის კედლებზე ცარცით დაწერილი სასოწარკვეთილი აღსარება: „მე გაფუ-ჭებული გოგო ვარ!“

ადამიანი თანაგრძნობას ითხოვდა. ნუგეშს. ლმობიერე-ბას და დარიგებას. იპოვა: ჰკითხა ვინმემ?! თითოეული პი-როვნება ხომ მთელი სამყაროა?! პიროვნების ბედი ხომ სამ-ყაროს ბედია?!

ზებედე სენტიმენტალად იყო მონათლული. ამ სიტყვაში „პათოლოგიურ გულმოწყალებას“ გულისხმობდნენ. უპირ-ველეს ღირსებად აღიარებული სათნოება აქ დასაცინ თვი-სებად ქცეულიყო. მგრძნობიარე ადამიანებს ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში გზავნიდნენ. ყოველ ავადმყოფს ინდივი-დუალური ვამოვლინება აქვს.

* * *

უნახავი, გადედლებული, აზიზი არ გეგონოთ. ხუთი წე-ლი ფრონტის წინა ხაზზე გაატარა. ცხოვრებაში არცერთი უზრუნველი, დალხინებული დღე არ ჰქონია. არც შინ, არც გარეთ.

დღესაც გადაკეტილი აქვს ყველა გზა. მომავალს სასიკე-თო პირი არ უჩანს. დღე არ გავა, არ დაიბარონ, არ დაჰკი-თხონ. ღმერთო, რას არ ეკითხებიან! რა შარებს არ სდებენ!

„რას მოდიოდი, ვერ დარჩი?!“

ერთმა თანამდებობის პირმა მის წინააღმდეგ შესული და-ბეზღება არც მეტი, არც ნაკლები, შემდეგი განაჩენით დაამშ-ვენა: „ზებედე ქარცივაძე ყველა ვარიანტში დამნაშავეა და ყო-ველგვარ სასჯელს იმსახურებს!“

რას არ უგონებდნენ! რა ცილს არ სწამებდნენ! „აბნე-ლებს, უხილავსა ხდის ქვეყანას ხილულიანსა!“ — უთქვამს ვაჟა-ფშაველას ამისთანა წყალის ამმღვრევებზე.

ზებედე წელში მოხრილი ითმენდა უსამართლო ბრალდე-ბებს.

გულის გადასაყოლებლად სიმამრის საკარმიდამო ნაკვეთს

უვლიდა. ადრე გაზაფხულზე სხლავდა, ხეებს კირს ასხურებ-და, გარშემო მიწას უბარავდა.

დევნას არ იმჩნევდა. მტერს ბედნიერი ეგონებოდა. თვალებში ნაღველი ჩადგომოდა.

* * *

ის წელიწადი, საიდანაც ჩვენს ამბავს ვიწყებთ, ჯვარზე გაკრული ერის ისტორიაში იმით დარჩება ღირსშესანიშნავი, რომ ხანმოკლე, მაგრამ მოწამებრივი პატიმრობიდან შინ გამოეშვეს სიკვდილის პირზე მიყვანილი ფანატიკოსი ბადრი უჯარმელი.

თუ არა ფანატიკოსი, სხვა ვინ ანაცვალებდა მთელ თავის ოჯახურ ბედნიერებას, ნიშსა და მომავალს იმისთანა აბსტრაქტულ მიზანს, როგორიც მაშინ საქართველოს თავისუფლება იყო. დღეს, როცა თითოეულ წუთს ახალი ცვლილება მოაქვს, წარმოდგენაც აღარ შეიძლება, რა სიყვარული, ერთიანობა და რწმენა უნდა ჰქონოდა ფუფუნებაში გაზრდილ ჭაბუკს. რომ ამ ოცი-ორმოცი წლის წინ მამულისთვის თავი გაეწირა, გავიხსენოთ, რომ იმ დროს სამშობლოს ცნებაც წერყვინილი და დამახინჯებული გვქონდა. რა არ კეთდებოდა, რას არ კადრულობდნენ, რომ ადამიანი აზრზე ვერ მოსულიყო, შავი თეთრისგან ვერ გაერჩია, ბრიყვად შებერებოდა ამ წუთისოფელს.

არ ვიცი, პატივცემულო მკითხველო, მოესწარით და დაესწარით თუ არა ბადრი უჯარმელის საჯარო გასამართლებაა, რომელიც იმდროინდელი ტელეხედვით გადაიცა. პირადად მე ეკრანს არ მოვცილებივარ, სიტყვა არ გამომრჩენია და ცრემლი არ შემშრობია.

ნაგვემ-ნაჯიჯგნი გამოიყურებოდა ბადრი უჯარმელი. მისიკვდილებული. ავტორს თვითონაც გამოუცდია და იცის, რას ნიშნავს ჯოჯოხეთის ჯურღმულებიდან ბადრაგის მიერ ვამპირთა სამსჯავროზე მიყვანილი ტუსაღის სატანჯველი. ისიც იცის, რა ფასი აქვს ამ მიზანსცენებს და ამ გზით მიღებულ „აღიარებებს“.

ეს ბრძოლის ახალი ეპიზოდი იყო. ორივე მხარეს შეგნებული ჰქონდა, რომ ჭიდილი გაგრძელდებოდა.

მემატიანეთა ცნობით, სპექტაკლს ინტერესი გამოუწვევია. გაკვირვებიათ, რომ ბადრი უჯარმელი თავის ძმადნაფიცს, ამირან ლაშქარავას ჩამოაშორეს და ცალკე გაასამართლეს. ასეთ ილეთებში დიდი ვერაგობაა ჩაქსოვილი. მაშინ რომ ამის თაობაზე მითქმა-მოთქმა ატყდა, ჯერაც არაა დამთავრებული, და არავინ იცის, როდის დასრულდება.

მაგრამ მთავარი საქმეა და არა ქაქანი. საქმეში ბადრი უჯარმელს უკანდახევა არ სჩვევია. შეუპოვრად განაგრძობს სიყმაწვილეში არჩეულ გზას.

სანამ პალატში შევიდოდა, საგვარეულო ნეკროპოლს ეწვია. დედ-მამის საფლავებთან დაჩოქილმა ილოცა, პირნათელმა თავისი გაიმეორა და მაცხოვრის ჯვარს ემთხვია.

თავისთავი არასდროს ასე მიზანსწრაფული და შემართებული არ ახსოვდა.

ცოლშვილთან შეხვედრით გახარებულმა იმავე დღეს ძმადნაფიცის ჯანგატეხილი დედა და ოჯახი მოინახულა, ანუგეშა და ხელი გაუმართა.

ორი დღე არავის მოუკითხავს.

მოგეხსენებათ, ამ ცოტა ხნის წინ, ასეთი კონტაქტები საფრთხესთან იყო დაკავშირებული. დაბრუნებისთანავე ცნობილი გახდა, რომ „ობიექტი“ „სიფრთხილის საგუშაგოებს“ დაეკავებინათ, რომლებიც საიდუმლოდ თვალს ადევნებდნენ „განსაზღვრულ კვადრატში“ ყოველგვარ გადაადგილებას.

მესამე დღეს ენძელა ძიძიშვილი და თენგიზ რევია ესტუმრნენ. თქვენ, შესაძლოა, პირველად გესმოდეთ ეს სახელები, ან სხვა სახელით იცნობდეთ მათ, მაგრამ მცირე გაუგებრობა ნუ შეგაშინებთ. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი გაირკვევა.

ენძელა და თენგიზი თვალებში შესციცინებდნენ თავიანთ კერპს. გაეგებოდათ, ვინ იყო და რა გადაეტანა. მზად იყვნენ, მის მცირე მინიშნებაზე მკერდი მიეშვირათ ტყვიისთვის. მათთვის ეს პირმშვენიერი, ჯანღონით აღსავსე ვაჟკაცი მამულისათვის თავდადებას განასახიერებდა.

ამ შვიდი-რვა წლის წინათ, როცა ბადრი უჯარმელმა და

ამირან ლაშქარავამ ქართული ენის უფლებებისთვის, ეროვნული ღირსებისათვის დროშა ააფრიალეს, ისინი გულაძგერებული გაჰყვნენ მათ და წუთით აღარ მოშორებიან. ზურგი აქციეს კარიერიზმით სნეულ კოლეგებს, რომელთაც სკოლის მერხიდან მიეღოთ ცხოვრებაში გზის გაიოლების რეცეპტი. კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორობისთვის, მამიკოსა და დედიკოს ლოცვა-კურთხევითა და ხელშეწყობით, „ბამზე" ქულების ასაღებად გარბოდნენ, გარშემო ყველაფერი ვარდისფრად ესახებოდათ. ბადრი უჯარმელს აყოლილი ახალგაზრდებისკენ გახედვაც არ სურდათ, ხოლო მამულიშვილობის მაგალითად „ქაღალდის ვეფხვებს" აცხადებდნენ.

არსებობდა გაფუფუნებულ ადამიანთა ისეთი კასტაც, რომლებიც არაფერს იკლებდნენ, არაფრის წინაშე უკან არ იხევდნენ, უცხოეთიც ფეხქვეშ ჰქონდათ გაგებული. როცა დასჭირდებოდათ, პატრიოტულადაც ყღურტულებდნენ, მკითხველსა და მაყურებელს გულისამაჩუყებელ, მოშაქრულ პატრიოტულ საზრდოსაც აწვდიდნენ დაწესებული დოზით, რისთვისაც სასჯელს კი არა, უმაღლეს ჯილდოებსაც იღებდნენ.

ახალგაზრდებს სრულებით არ აფიქრებდათ, რომ საქვეყნოდ ცნობილ დისიდენტთან სტუმრობით ხიფათში იგდებდნენ თავს. შეიძლებოდა, ყოველ წუთს ჩაეღლოთ ხელი. პასუხისგებაში მიეცათ და მთელი ცხოვრება გაემრუდებინათ.

ბადრი უჯარმელს სიამოვნებდა ახალგაზრდა პატრიოტებთან ყოფნა. ძალასა და რწმენას ჰმატებდა მათი თავდადება, თავისი მოღვწეობის სამართლიანობას და პერსპექტიულობას უდასტურებდა.

ისინი პოლიტიკაზე არ მსჯელობდნენ. ეს ცოტა არ იყოს, უხერხულადაც ითვლებოდა. ყოველდღიურ ამბებს ჰყვებოდნენ. ბოლო დროის საყურადღებო შემთხვევებს. შესაძლოა, ანგარიშსაც არ უწევდნენ, რომ ეს ვიზიტი და მონაყოლი ამბები მათ ბედიღბალთან საბედისწეროდ კავაშირებული აღმოჩნდებოდა.

რამდენიმე დღის წინ ვერის ბაღში დამხრჩვალი კაცი უპოვნიათ. თანამესუფრესთან ერთად ყოფილა და ვერ გაუგიათ, რა მოხდა, რა მოუვიდა? ცნობილი პიროვნება გამოდგა. წესიერ კაცად ცნობილი. ერთმა გადაქუხებამ როგორ

დაახრჩო!? დიდი გამოძიებაა საჭირო. გამოუჩნდება ვინმე? თავს გამოიდებს?!

ქალაქგარეთ ჭაბუკი მოუკლავთ სულელური მიზეზით. სადისტურად. ხალხის თვალწინ. ბოთლის გადანამტვრევით.

ეტყობა, ახალგაზრდები მწარედ განიცდიან ამ შემთხვევას. განწირულება ისადგურებს. დაუცველობის შეგრძნება. „სრული წესრიგის მისაღწევად“ ბევრი რამ კეთდება. შერჩეულია „ოქროს კადრები“, რომელთაც შეთვისებული აქვთ მოწინავე გამოთქმები: „რეგიონი“, „რამეთუ“, „ვითარცა“. ასეთ განათლებულ ხელმძღვანელს, რა საქმეც გინდა, ჩააბარე.

ყველა ლაპარაკობს და წერს მხოლოდ იმას, რაც „პირველს“ ესიამოვნება.

ეს უნდა გახსოვდეს. სხვა არაფერი გჭირდება. უკეთესი ერთსულოვნება რაღა იქნება!

რამდენჯერმე გავიდა ცოლ-შვილის დასახედავად. ტულჩვილობა არ სჩვეოდა, მაგრამ პატიმრობამ, აბუჩად აგდებამ და შეურაცხყოფამ მძიმე დაღი დააჩნია. შვილები ენატრებოდა და მათ ბედიღბალზე შიში არ შორდებოდა. ოჯახურ ცხოვრებაშიც მწარე ხვედრი ერგო. მტერთათვის ხელმისაწვდომი გახდა. ამასაც ქრისტიანული მოთმინებით იტანდა. მერმე ისმინა უფალმა, მოიღო წყალობა და მოჰფინა ღვთაებრივი მადლი. არასოდეს ასე ძლიერად არ უგრძვნია თავისთავი. სჯერა, ის შუადამ მის გვერდით იქნება და მშვენიერ მართვეებს საფრთხე აღარ ელით.

* * *

ქართველი ერისადმი ავისმოსურნეთა დამოკიდებულების ახალი ხანა იწყებოდა. კიდევ უფრო გაუგებარი, უმიზეზო და სადისტური, ვიდრე ოდესმე. სტალინი და ბერია დიდი ხანია აღარ არსებობდნენ. მტრებმა წინანდელზე მეტი ნიშნისმოგებით დაგვიწყეს შეხსენება და ხელის ტარტარი. ვერ გაიგებდი, ჩვენ რა შუაში ვიყავით, რას გვთხოვდნენ, რას გვაბრალებდნენ. ჟურნალსა და გაზეთს ვერ გაშლიდით, რომ ჩვენი აღვირახსნილი ლანძღვა-გინება არ ყოფილიყო შიგ. ტე-

ლევიზორსა და რადიოს ვერ ჩართავდი, რომ ათასი ჭორი და ცილისწამება არ შემოეფრქვიათ ქართველებისთვის. ასეთი ბინძური, გაუთავებელი ლაშქრობა მხოლოდ დიდი შეთქმულების ნაყოფი შეიძლება იყოს.

რისთვის? რატომ? ვისთვის რა დაგვიშავებია?! გაბოროტებულ, გონებადაბნელებულ მოძულეს რასმე გააგებინებ და შეასმენ? წარმოუდგენელია ამაზე ცოფიანი ბრბო. სისხლმოწყურებული ბრბო. ვის გავახსენდით ასე უდროოდ? რა მოსაგებელს ელოდნენ, ასე უღმრთოდ რომ გაგვწირეს?

უნდა გამოგიტყდეთ, ამის ანალოგს მე ვერ ვპოულობ.

რით უნდა დახვდეს ასეთ შემოტევას პატარა, სახელმწიფოებრიობას მოკლებული, საუკუნეთა ქარცეცხლებში მოუძლურებული პატარა ერი?! რა ნერვები, რა ფსიქიკა უნდა შერჩეს მის შვილებს?! დღესდღეობით ამ შეთქმულების ისტორია ბინდითაა მოცული. უცნობია შთამაგონებელიცა და მონაწილეც, მათი მიზნებიც და გეგმებიც.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენ მოუმზადებელი შევხვდით განსაცდელს. მიზეზები არ გვიძებნია. თავდაცვის საშუალებები არ ავვიწონ-დაგვიწონია. დაბნეული, შეურაცხყოფილი, გრძნობებს აყოლილი გადავეშვით ხელჩართულში. ვისაც რა შეეძლო, ვისაც როგორ ესმოდა. წავაგეთ თუ მოვიგეთ ამ წინდაუხედაობით? ჯერჯერობით, დასკვნის გამოტანა ძნელია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზოგან ვიჩქარეთ, ზოგან გადავამეტეთ. ავისმოსურნეს იერიშის საბაბს ვაძლევდით. ავყევით. უფრო გავაბოროტეთ.

სტალინს გადავეფარეთ, თითქოს, ჩვენიანი ყოფილიყოს. თითქოს, მისთვის გული შეგვტკიოდა, თითქოს, კარგი რამ გვასოვდა მისგან.

მაგრამ, რაკი ჩვენ ეს ძალათ თავსმოხვეული პოლემიკა არ წაგვიგია და მტრების კოალიციამ დასახულ მიზნებს ვერ მიაღწია, ღირსეული მივაგოთ ჩვენიანებს და თავი შევიკავოთ მათი კრიტიკისგან.

გაუთავებელმა დევნამ და გაღიზიანებამ მძაფრი რეაქცია გამოიწვია მწერალთა მერვე საკავშირო ყრილობაზე. ქართულმა პრესამ მკაცრად დაგმო ასტაფიევის მოთხრობა „ცი-
. მორების ჭერა საქართველოში“. მხატვრული ნაწარმოების მი-

მართ ასეთი დამოკიდებულება მე უხერხულად მიმაჩნია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რა ვითარებაში, ანტიქართული აციოტაჟის რა კრიზისულ მომენტში ხდებოდა ეს და მაშინ გამამართლებელ მიზეზებსაც ივპოვით. საქმე იქამდეც მივიდა, რომ საქართველოს დელეგაციამ, პროტესტის ნიშნად, ყრილობის დარბაზი მიატოვა. კონფლიქტმა მწვავე ხასიათი მიიღო, საერთაშორისო რეზონანსი მოიპოვა. ზოგიერთს საბოდიშოდაც გაუხდა საქმე და კინალამ ფართო განხეთქილება ჩამოვარდა. როგორც ამ ინციდენტმა ცხადყო, ქართველთა წინააღმდეგ შეთქმულება გულმოდგინედ იყო ორგანიზებული და მისი სულისჩამდგმელები იოლად არ აპირებდნენ ბოროტ ზრახვებზე ხელის აღებას.

ავი ადამიანები ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ. რაღაც ჩემთვის გაუგებარი მიზეზით, განსაკუთრებით აქტიურობდა „ოგონიოკის“ რედაქტორი ვიქტორ კოროტიჩი, რაც შესაძლებლობას იძლევა შეთქმულების ეროვნული წყაროები ნაწილობრივ მაინც განვსაზღვროთ.

* * *

ამ დღეებში ხალხის ყურადღება უჯარმელისკენაა მიპყრობილი. იქიდან მოელიან ახალ ამბებს. ურჩხულიც მას მისჩერებია ყვითელი თვალებით.

დილით ჩარიტა და თორნიკე ესტუმრნენ. ისინიც სასჯელმოხდილნი არიან. დიდი ტანჯვა გამოიარეს ბადრი უჯარმელის ერთგულებისთვის.

ჩარიტა ხმელ-ხმელი, თვალებბრიალა გოგოა. თითქმის შავტუხა. მკრთალი სილურჯითა და სიმპათიური ღიმილით. ძლიერ მგზნებარე და გაბედული. გადამდები ცეცხლით. შვიდი-რვა წლის წინ საქართველო გიზგიზებდა მისი მოწოდებებით.

თორნიკეც სტუდენტი იყო. ჯიუტი, ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე. უდრტვინველად გაეძლო წამებისთვის. კისერი გაშეშებოდა. გამომეტყველება ჯერ არ დახვეწოდა, თითქოს მორცხვი გამომეტყველება ჰქონდა.

თვითონაც იცოდნენ და ყველა მიხვდებოდა, რომ მათი თავშეყრა კავშირის აღდგენას ნიშნავდა.

ასეთ გაუტეხელ პირთა საქმიანობაზე იმ დროს ბევრი არამზადა ცდილობდა ხელის მოთბობას. არაფერს ერიდებოდნენ; ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ყველაფერი უცვლელად დარჩებოდა და ყველა სისაძაგლე შერჩებოდათ. ბადრი უჯარმელისა და მისი ორიოდე თანამოაზრის მსგავსებს მილიონში ერთი თუ ჩათვლიდა ნორმალურ ადამიანად. თვით მათ ეჭვი არ ეპარებოდათ თავიანთ სიმართლესა და საბოლოო გამარჯვებაში.

ხელისუფლება მათ ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. საკნიდან გამოსვლა ვერ მოასწრეს, რომ ათასგვარი ცოდვა და სიბინძურე დასწამეს. დაუზოგავად თათბავდნენ, განგლავდნენ და ემუქრებოდნენ. ახლო მეგობართა, თანამოსაქმეთა, ნათესავთა და თვით ოჯახშიც კი, დაუჯერებელ სკანდალებსა და პროვოკაციებს უწყობდნენ. ყოველივე ეს იმ დონეზე და ისეთი ინტელექტის სუბიექტთა მიერ იყო ჩაფიქრებული და განხორციელებული, რომ არცერთი ჭკუათმყოფელი არ დაიჯერებდა, ცილდაწამებულთ კი მოწამის შარავანდედით მოსავდა. სიმართლე მოგახსენოთ, უმალ ხელისუფლებას აყენებდნენ ზიანს ამ სულელური პროპაგანდის ავტორ-ორგანიზატორები. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ უბადრუკ და უხამს პროვოკაციებს ყოვლად უნიჭო და უზნეო კარიერისტები თხზავდნენ. მათ თავი მოჭრეს თავიანთ პატრონებს, გაუტეხეს სახელი პრესას, ტელეხედვას, ლექციებს და მოხსენებებს. ვინ დაიჯერებდა, რომ სამშობლოს ზვარაკად შეწირული პატიოსანი ოჯახიშვილი, სამაგალითო მეუღლე და მამა, კურკურს დაუწყებდა საეჭვო ყოფაქცევის აშაღლარებს, ხოლო ისინი ურცხვად გაამჟღავნებდნენ თავიანთ ვინაობას. რა დასკვნა უნდა გამოიტანოს ხალხმა, როცა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს „ხულიგნად“, „სამშობლოს მოღალატედ“, „გამხრწნელად“, „მაცთუნებლად“ ან ექსტრემისტად ნათლავენ და ლაფში სვრიან.

ჩვენ ვცხოვრობთ ეკონომიკურად, პოლიტიკურ-ზნეობრივად, ეროვნულად მოშლილ, დეფორმირებულ საზოგადოებაში. ვინაა ხალხის მეგობარი, ვინც ტარდასაქმნელად, გასაჯან-

საღებლად, ასაღორძინებლად იბრძვის და იღწვის, თუ ის, ვინც კბილებით იცავს დასანგრევად განწირულს?!

— ტყუილა — უბრალო პოლემიკაში. კარგავს ზოგი ჩვენიანი დროს! — თქვა თორნიკემ. — ერთ პატარა წერილზე ას პასუხს გვიწერენ. ჩვენი ტირაჟი და მაგათი ერთია?? მილიონობით ჟურნალ-გაზეთი ეფინება პლანეტას. ესაა ადამიანობა? პასუხს უარს გვეუბნებიან. გუშინ „ვზგლიადი“ ნახეთ? რა უნამუსოდ გაგვლანძღეს! ვიღაც ბათუმელ ლევანას მოსკოველი ლენა „გაუბედნიერებია“, მოგვდგნენ და, რა დღე გვაყარეს, მთელი ქართველობა ამოგვავლეს სიბინძურეში. ვერ მიხვდები რა დავაშავეთ და რას მოითხოვენ. გაიჭრელა ენა ჩვენმა მეგობარმა ცვეტოვმა და მკვდარი და ცოცხალი აღარ დაგვიტოვა გაულანძღავი.

— გიკვირს!?

— ეს იმას გააკვირვებს, ვინც ფუფუნებასაა შეჩვეული, ჩვენი ხალხის ძველი და ახალი უბედურება არ იცის.

— მაინც საჭიროა თავის დაცვა! — გააწყვეტინა ჩარიტამ. — ვინ იცის, რას გვიპირებენ!?

— ნაძირალებს ამით ვერ მოიშორებ. სხვანაირი პასუხია საჭირო. მთელი დელეგაცია რომ მიუვლინებიათ ცვეტოვთან საომრად, ეს ჭკვიანური საქციელია!?

— ქართველი ერის შეურაცხყოფა არავის არ უნდა შერჩეს!... — გაცხარდა ჩარიტა.

— მტრისგან არც თავზე ხელის გადასმა გვარგებს.

— მტრისა და მოყვრის გარჩევა იოლი არაა. რაც შეეხება „ჩვენი ერის შეურაცხყოფას“, ასეთი მანჭვა-გრეხით ვერაფერს უშველი. მწერალთა ყრილობაზე ასტაფიევის გამო ბოდიშის მოხდაც ვირეშმაკობაა. ნაყალბევი ბოდიში მოტეხილ კისერს ვერ გაამთელებს. ჯერჯერობით მოთაფლულ პატრიოტიზმს ჩვენთვის ხეირი არ დაუყრია. გადედლებას კი ნუღარ იკითხავ! აბა ერთი, ამ ფოტოსურათებს დახედე, რა გალაღებული გამოიყურებიან ჩვენი „თანამედროვე კლასიკოსები“! ვის დაარწმუნებ, რომ ესენი ტანჯული ერის შვილები არიან?! როგორ შესციცინებენ ხალხთა შორის მეგობრობის განსამტკიცებლად. რა ფუყე, თვითკმაყოფილი სიფათებია. არ მჯერა იმ ადამიანთა პატრიოტიზმი, რომელთა საქ-

ციელსა და ცხოვრებაში მთლიანად გამორიცხულია რისკი და მსხვერპლი, რომელთა კეთილდღეობას არავითარი საშიშროება არ ემუქრება. მთავრობის მფარველობა არასოდეს მოჰკლებიათ და ვერ გრძნობენ, რომ ეს „დაფასება" უზნეობაა.

— დამცირებულ ხალხს გამოსარჩლებაც უნდა! — ენერგიულად წარმოთქვა ჩარიტამ. — ერმა თავისთავის რწმენა არ უნდა დაკარგოს. არც საკუთარ, არც სხვათა თვალში.

— გეთანხმები, — მშვიდად მიუგო ბადრიმ, — მაგრამ ერს ათასი სატკივარი აქვს. მეთაურებმა უნდა იცოდნენ, როდის რომელ პრობლემას მიაპყრონ ყურადღება. ძალები არ უნდა დაიქსაქსოს. არგუმენტები და მოტივები უტყუარი, ყველასთვის აშკარა უნდა იყოს. ხელისუფლება გამოუვალ მდგომარეობაში უნდა ჩააგდოს. საერთაშორისო რეზონანსი უნდა მოიპოვოს.

— განა ეროვნული ღირსებისათვის თავგამოდებას ასეთი მნიშვნელობა არა აქვს?! — ჩაერია თორნიკე.

— ამ ნიადაგზე შეიძლება ბევრი ჩვენი მოწინააღმდეგე გაერთიანდეს. ამჟამად კონკრეტული პრობლემა აჯობებს ხალხის დასარაზმავად. ვთქვათ, სამხედრო უწყების მიერ დავით გარეჯის ძეგლთა შებღალვა. კულტურულ-ისტორიული სიწმინდეების შეგინებას ჩვენი ერი მტკივნეულად განიცდის. დავით გარეჯაში სალდაფონებს არტილერიის პოლიგონი აქვთ მოწყობილი და უმოწყალოდ ანგრევენ. ამის გაგებაზე მთელი საქართველო აღდგება. სამართლიანი, ცივილიზებული სამყაროსთვის გასაგები მოთხოვნაა. „დავით გარეჯის" ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სასწრაფო ღონისძიებები უნდა მოვითხოვოთ. სპეციალიზებული საერესტავრაციო კომპლექსის შექმნა. საზოგადოებრივი კონტროლის დაწესება. წავაყენოთ მოთხოვნები! ვბეჭდოთ! ვამხილოთ შტაბი! შევქმნათ იურიდიული დოკუმენტი. ნუ მოვეშვებით. მასობრივი მანიფესტაციები საშუალებას მოგვცემს სხვა მოთხოვნებიც წამოვაყენოთ. ხალხს საღათას ძილიდან გამოვიყვანთ. ჩვენმა დაპატიმრებამ ხალხი დააფრთხო. ფუნქციონერებმა ყველაფერი იღონეს მის დასაფრთხობად.

— ესეც რეფლექსი იქნება და არა გამიზნული აქცია. — შეედავა თორნიკე.

— რატომ?! მოძრაობას ჩვენი შეხედულებით წარვმართავთ და შიგადაშიგ მიმდინარე მოვლენებსაც ჩავრთავთ. ჩვენ ტრავმირებული ხალხი ვართ. ეს ჯერ კიდევ ანდრე ჟიდმა შეამჩნია. თითოეულმა საკუთარი ადგილი უნდა იპოვოს. დაშინებული მასა ჯერ კიდევ დუმს, მაგრამ თუ ერთი ავმოძრავდით, ისე აღარ იქნება, რაც ათასცხრაას ორმოცდა თექვსმეტში მოხდა.

„არა, ბატონებო! მე არ დავღლილვარ. ჩემი კომპრომისი სულმოკლეობა არ ყოფილა!“ გაიფიქრა თავისთვის. „მალე დარწმუნდებით, რომ მართალი ვიყავი!“

— მხოლოდ საფოსტო ყუთს შეუძლია უქმად იყოს და საქმე აკეთოს, — წარმოთქვა საყვარელი ანდაზა. — უნდა ვიმოქმედოთ! მეთოდურად და უშიშრად!

— ჰმ! — ჩაეცინა თორნიკეს. — ნახეთ, რას გვასწავლის ერთი „ბრძენკაცი“. „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ჩვენი მთავრობა ყოველგვარ პირობას უქმნის ქართული კულტურის აყვავებას!“

— სამშობლოს სიყვარულზე არ ღრიალებენ. როცა პატრიოტიზმი წყნარი და საქმიანია, მაშინ ყველა სიძნელეს გადალახავს.

„მაშინაც ასე მყუდრო საღამო იყო! — აგონდებოდა ჩარიტას. — ახლა აღარ გიყვარვარ. სულ აღარ გეცოდები. თორემ, მაპატიებდი!“

* * *

პირველი კურსის სტუდენტი იყო. სწავლას მოწყურებული. მეოცნებე. ცოტა სკეპტიკოსი. უიმედოდ შეყვარებული. მდიდარი მამის ასული.

ერუანტელი უვლის. აგონდება საშიშარი, ტკბილ-მწარე დღეები.

უნივერსიტეტს ცეცხლი უკიდია. გიზგიზებს. ისმის წკრიალა ხმები. ათრთოლებული, შემკრთალი და იმედიანი. ყველას აინტერესებს: „რა თქვა ბადრიმ?“ „როდის გადიან მანიფესტაციაზე?“

ჩარიტა, ენძელა, თორნიკე, ამირან ლაშქარავა, კაკი, სხვა

აქტივისტები, შუალამემდე თათბირობდნენ ბადრი უჯარმელთან. „უნდა გამოვიდეთ! ერს გავაგონოთ ჩვენი სიტყვა! გამოვაფხიზლოთ!“

თოთხმეტი აპრილი თენდებოდა. გამთენიიდან ფარფარებდნენ საიდუმლო მანქანები. ტყავგადაკრულ კარებში უჩინრად დაძვრებოდნენ ავსულები.

იმ ღამით ჩარიტა შინ არ მისულა. არც უძებნიათ. იცოდნენ, გაწყრებოდა. უბნიდან უბანში დარბოდა ისეთი განკარგულებების გადასაცემად, რომელსაც ტელეფონით ვერ ეტყვი.

ქვეყანაში ერთი ამბავი ჰქონდათ. ახალი კონსტიტუციის პროექტს იხილავდნენ. ბადრიმ ერთბაშად ალღო აუღო ოინბაზობას. ვითომ, საქმეს აკეთებდნენ, სინამდვილეში, ფორმალურ უფლებებსაც კვეცავდნენ! სახელმწიფო ენის სტატუსს ართმევდნენ!

საოცარი ალღო ჰქონდა მომადლებული. უმალ იგრძნო, როგორ აღიქვამდა ხალხი ამ შეურაცხყოფას. აღარაფერი შეარჩინეს. დღეს ნარჩენებსაც გვართმევენ. ამოგვხოცონ, ბარემ, და ის იქნება. თავის მოსატყუებელსაც ართმევენ!“.

რამდენიმე მოწოდება: გონივრული, დროული. აღდგა საქართველო, აბორგდა. გამოცოცხლდა ახალგაზრდობა. პროსპექტებს ელვამ გადაურბინა. მოიტანა მშვენიერი აზარტი. ძალა და თავდაჯერება.

დაიბნა. პანიკამ მოიცვა მთავარმართებელი. შეტორტმანდა ტახტი. აცახცახებულმა უხმო კმაყოფაზე მყოფ ნებიერებს. „ვიღუპები! მიშველეთ! ჭერი გვენგრევა!“

მოცვივდნენ მუცელს გადაყოლილი ყმები. დაუჩოქეს. რა არ იკადრეს. მიწაში ჩადეს უჯარმელი და მისი თანამებრძოლნი, ათრიეს და ლაფში ამოგანგლეს. რას არ იტყვის კაცის ენა!

„ილია ჭავჭავაძე სწორედ ამისთანა კონსტიტუციაზე ოცნებობდაო!“ — ბრძანებდა ცრუმეცნიერი და ცრუ პატრიოტი. — „აიღეთ მაგალითი ჩრდილოეთ კავკასიისა და შუაზიის ხალხებიდან. ნახეთ, როგორ აყვავდა მათი კულტურა, რაც დედა-ენას ზურგი აქციეს!“

ჩინოსნებს ეშვიც არ ეპარებოდათ გამარჯვებაში. „უჯარ-

მელი უსაქმურია! ოიღალატე! სულით ავადმყოფი! უნიჭო! ამბიციური! მოკვდეს! გაცამტვერდეს! ოღონდ ჩვენს სტომაქს არა დააკლდეს! რა საქართველო! რის საქართველი!"

სიკვდილი გამოიარეს მამულიშვილებმა. გულები ამოიგდეს. ქართულს სტატუსი შეუნარჩუნეს. სხვამ არავინ იცოდა, რის ფასად. ოცი წლის წინანდელი ცხრა მარტით იმუქრებოდნენ. ბადრის ა.ა გაკვირვებია ეს მუქარა. ახსოვდა. გამოცდილი ჰქონდა და მოელოდა. არც ჩინოსნების დაპირისპირებას გაუოცებია. მათგან ყველაფერი მოსალოდნელია.

იმ წელს ბევრი რამ გაიგეს და იგრძნეს ბადრის ჭაბუკმა მეგობრებმა. პატრიოტობა დიდ ალღოს, ცოდნას და თავდადებას მოითხოვს.

ჩადგა ქარიშხალი. ჩამოარიგეს ჩინ-მედლები. დაუფასდათ მოყვრის ლანძღვა და მტრის ერთგულება. მოღალატეები პატრიოტებად გამოცხადდნენ, პატრიოტები — მოღალატეებად.

„ჩვენ არ ვუმღეროდით ჩვენს საქართველოს!?"

კი, ბატონებო უმღეროდით. თქვენ დიქტატორებსაც უმღეროდით. ხუთ ოქროს ვარსკვლავიან მჯღაბნელსაც შექსპირზე მაღლა აყენებდით. როცა თქვენ ჯილდოს ინაწილებდით, ჭეშმარიტ მამულიშვილებს დილეგებში ხდიდნენ სულს. ისიც, თქვენი ნებართვით და ლოცვა-კურთხევით ჯალათებს გადაეცით კოლეგები, წააქეზეთ კიდეც. გარიყეთ, მოიკვეთეთ, გაწირეთ, მოიშორეთ და არხეინად განაგრძეთ ღრეობა. ტრიბუნალზე ცრუმოწმეობასაც არ თაკილობდით. სამშობლოსთვის, დედაენისთვის თავგანწირვა ამბიციურობად გაგამოაცხადეთ. საფსიქიატროდ გაუხადეთ საქმე.

„არ გინდათ! ნუ დავუწყებთ ერთმანეთს ყვედრებას! უარესი იქნება".

„კეთილი, მაგრამ, თქვენ გგონიათ, ხალხი ვერაფერს ხე დავს?! ავსა და კარგს სიმართლის სასწორზე არ სწონის?! აბა, მოიკითხეთ იმდროინდელი პაროდიები, გაშაირებანი და ლექსები, რომლებიც ჯერჯერობით ფოლიანტებად ინახება კერძო არქივებში, და დარწმუნდებით ხალხის პატიოსნებაში".

„მერმე, გვიშველა ამ სინდის-ნამუსმა რამე?"

როგორ არ გვიშველა!? გაგვაძლებინა. გვიშველის!"

„აყვავებულ ატმის სუნთქვით გერწეოდა აკვანი, მამაშენის საღეგრძელოს ვსვამდით სულის კანკალით, საქართველოს ყელზე უჭერს, ბიჭო, შენი საკანი" — ლულში ელანდებოდა ქალიშვილს მშვენიერი სტრიქონები, რომელიც ციხეში შეუგზავნა. რამდენიმე წელი ელოდნენ.

— აწი მეტი თავშეკავება გვმართებს! უბრალოზე ნუ დავიხარჯებით. — კაცრად წარმოთქვა ბადრიმ.

დაუსრულებლად ჩურჩულებდნენ ფიცად ქცეულ სიტყვებს:

> გაცოცხლდა მიწა ქართული,
> თქვენგნით ფეხდანაბიჯები.
> სიკვდილს შეპირდნენ და მაინც,
> მაინც მოვიდნენ ბიჭები.

აუწერელ სიხარულს გრძნობდნენ თითოეულ სიტყვაზე.

თოთხმეტი აპრილი ის დღე იყო, როცა ოცნება აისრულეს და სასწაულით გადარჩნენ.

* * *

დღე არ გავიდოდა, რომ საოცარი და საგანგაშო არა მომხდარიყო. ადამიანის სიცოცხლეს კაპიკის ფასი დაედო. ქუჩაში სრულიად უმიზეზოდ კლავდნენ შემთხვევით შემხვედრს. შემზარავი ამბები მეორე დღეს აღარ ახსოვდათ. დევნილნი ხმის ამოღებას ვეღარ ბედავდნენ. ავაზაკებმა თავი აიშვეს. დამნაშავე უდანაშაულოს კლავდა. აქლემის ქურდი ნემსის ქურდს ასამართლებდა. დაძაბულობა წუთით არ ნელდებოდა. გულაზიზი ფარისევლები დამამშვიდებელ ტაბლეტებს ყლაპავდნენ. მექრთამეობის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის ნიშნად, რამდენიმე პროფესორი დააპატიმრეს. შემუშავდა მისაღები გამოცდების „მეცნიერული საფუძვლები". ამ ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ყოველგვარი უკანონობის დახვეწას და აყვავებას. ნეგატიური მოვლენები გაიფურჩქნა. ნარკომანია ეროვნულ უბედურებად იქცა. კეთილშობილება დაითრგუნა. პატიოსნება დეპრესიაში ჩავარდა. სიტყვასა და საქმეს შორის უფსკრული გაითხარა.

ერი საშიშროების წინაშე დადგა, სასოწარკვეთამ შეიპყრო. გაჩნდნენ ფუყე გენიოსები. ყველაფრის მკადრებელი პატრიოტები.

მოკლე ხნის მანძილზე რამდენიმე გულისშემძვრელი შემთხვევა მოხდა, რამაც შეარყია ქართველი ადამიანის სულიერი წონასწორობა. გააღიზიანა ხალხი. ტერორის სუსხით შეაძრწუნა. სიცოცხლის ხელყოფის გაადვილების, ხელისუფლების ძალადობის, პიროვნების აბუჩად აგდების, განწირულების განცდამ დააბეჩავა. ადამიანი თავის არარაობაში, დაუცველობაში, უპატრონობაში დაარწმუნა. ინდივიდის თანაგრძნობა მსხვერპლის მხრეზეა.

რომანტიკული, წმინდა სულის პატრონი, სიმართლის მაძიებელი ყმაწვილი ქალი, ვისაც ადამიანთა სიკეთე სჯეროდა, ბოროტი ძალის ქვებუდანობამ შეიწირა. ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით საგიჟეში ამოხადეს სული. ხალხმა უმალ იგრძნო, საით იყო სიმართლე. დასწყევლა, შეაჩვენა სატანა და საუკუნო ნათელი მოჰფინა მსხვერპლს. ღვთაებრივ განაჩენს ვეღარაფერი შეცვლის.

ოცი წლის მშვენიერი ქალაშვილი ადამიანის ტყავში გახვეულმა მხეცებმა სადისტურად დაგლიჯეს. მოაშთეს უმანკო სიცოცხლე და მიიმალნენ. ეჭვი არ ეპარებათ, რომ შერჩათ. საყვარელო, ხალხო, შენს სპეტაკ გულში სამარადისო ძეგლი აღუმართე უცოდველ სულს. შენ, რაღას ელი, ურჩხულო, ავაზაკებისთვის რომ კალთა გადაგიფარებია!?

მოგეკითხება. გარდაუვალია უფლის განაჩენი.

წითელ ხიდზე იმ დილით მშვენიერი მანდილოსანი დააკავეს. ძუძუმწოვარა ბალღისთვის ტიტველ ტანზე ჰაშიში შემოეხვია.

ვინ ან რამ მიიყვანა აქამდე? ვინ გაუხადა საქმე საცოხოდ! რას ანაცვალა შვილი და ყმაწვილქალობა!

* * *

— დახვრეტა მიუსაჯეს! — შემოვარდა ბადრი უჯარმელთან ჩარიტა.

— შეუძლებელია! ვინ თქვა?

— მამაჩემმა. ესაა დაბრუნდა დახურული პროცესიდან.

— ამას მეც კი ვერ დავიჯერებ! რა მოხდა, ვითომ! ქვეყანა დააქციეს?!

— აბა ერთი მათ ჰკითხე! საუკუნის დანაშაულადაა გამოცხადებული.

— ძნელად ასახსნელი სისასტიკეა!

საქმე ეხებოდა სამგზავრო თვითმფრინავის გატაცებას, რომელიც ახალგაზრდების ჯგუფმა მოახდინა. დიდი ალიაქოთი გამოიწვია ამ ინციდენტმა. ვერ ამიხსნია, რამ გააშმაგა ხელმძღვანელობა. რამე პირადულიც ერია თუ „ახალგაზრდობაში აღმზრდელობით-პოლიტიკური მუშაობის ჩაშლის“ ბრალდებამ დააფრთხო. თავისთავად, არც ეს იყო პატარა ბრალდება. მაგრამ დროსა და გარემოებაზეც ბევრია დამოკიდებული. რაღაც გადაჯგუფება იგრძნობოდა, ასეთ მომენტში აჩქარება კი მოულოდნელი არაა.

საქმეში საუკეთესო ოჯახის შვილები იყვნენ გარეულნი. განათლებული, მომავლის მქონე ახალგაზრდები. მათი ბედი ყველამ ახლოს მიიტანა გულთან. ამ ტრაგედიამ ბევრი ცრემლი აღვრევინა ხალხს და საუკუნოდ დაამახსოვრა თავი. ჩვენ ასმილიონიანი ერი არ ვართ. არც ათმილიონიანი. თითოეული კაცი ჩვენთვის სალოცავი ხატია. ისიც რანაირი ბიჭები დ გოგო, ნეტავ, ერთხელ მაინც მოგესმინათ და გენახათ! ხალხის თვალში ინციდენტი ძალათ ჩანდა გართულებული და ტრაგედიად ქცეული. შეიძლებოდა ყველაფრის უფრო გონივრულად მართვა და დაგვირგვინება. მაგრამ ასეთ საქმეებში თავშეკავება სჯობია. სხვა სხვის ომში ბრძენიაო. იმასაც ამბობდნენ, პირველი ნაბიჯებიდანვე ყველაფერი იცოდნენ და განზრახ მიუშვეს, შორიდან ადევნებდნენ თვალსო.

მოქმედების პროცესშიც შეიძლებოდა განსხვავებული და სხვა გადაწყვეტილებების მიღება და სისხლის თავიდან აცილება. როცა ყველაფერი გამჟღავნდა, ძნელი დასაჯერებელია, რომ შეთქმულები გამწვავებაზე წასულიყვნენ, უაზროდ თავი გაეწირათ.

ამ ტრაგედიის გარჩევა ჩვენს ამოცანად არ მიგვაჩნია. აქ ფსიქოლოგიური ფონის მოსახაზად დაგვჭირდა ხალხის, ახალგაზრდობის განწყობილებაზე. სისხლის პატიება არ არ-

სებობს. ტრაგიკულად დაღვრილი ვარდისფერი სითხე მუდამ უმანკო და უცოდველია. ცივილიზაცია განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ითხოვს მისთვის. იმ საზარელი დღეებიდან დიდი დრო არაა გასული. ასე მოკლე დროში კარდინალური გადატრიალება მოხდა ადამიანთა აზროვნებასა და ზნეობაში. ღმერთმა ინებოს, რომ ეს თანამედროვე ანალებში უკანასკნელ მსხვერპლად ჩაწერილიყოს.

ყოველგვარ განსჯასა და განაჩენს საფუძვლად ადამიანის კეთილი და შემწყალე გული უნდა დაედოს. წაქეზება აღიკვეთოს და ადამიანებმა მიმტევებლობით იხელმძღვანელონ. ადამიანებმა იქ იცხოვრონ, სადაც ურჩევნიათ და ამ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტებს კაცის სიცოცხლე არ ეწირებოდეს. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ადამიანები უარს იტყვიან თავიანთი უსამართლო ცხოვრების ჩვევებზე.

* * *

შეუძლებელია, ერთხელ მაინც არ მოგსვლოდეთ აზრად, რომ ქვეყანას ბედისწერა მართავს.

უიღბლო გამოდგა საქართველოს ხელისუფლების უკანასკნელი შეცვლა. მეოცნების ადგილი პრაგმატისტმა დაიკავა. ისინი მხოლოდ სისასტიკესა და ძალაუფლების სიყვარულში ჰგავდნენ ერთმანეთს.

ჩვენში ხომ პოლიტიკური ცხოვრება არ არსებობს, ყველაფერი საიდუმლოებითაა მოცული.

შევარდნაძის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნამ ზოგიერთი ხუმრობის გუნებაზე დაყენა. თვითონ, როგორც რამდენიმე ჩვეულებრივი ფაქტიდან გამოჩნდა, საფუძვლიანად ჰქონდა მოფიქრებული თავისი მომავალი და ახალ ასპარეზზე მიეჩქარებოდა.

მოსკოვს გამგზავრების წინადღეს, ქართველი ინტელიგენციის ერთ ჯგუფს შეხვდა გამოსამშვიდობებლად. შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა. ეს იყო ფანატიკოსის გამოსვლა, კეთილშობილური იდეებით აღფრთოვანებული მეოცნების ფანტასტიკა. თუ გნებავთ, ლირიკული ინტერმეცოც. ოპტიმიზ-

მით აღსავსე, გამამხნევებელი და განშორების სევდა-ნაღვლით შეფერილი.

რაღაც შემთხვევის წყალობით, იმ ვამომშვიდობებას ზ-ბედე ქარცივაძეც ესწრებოდა და არასოდეს დაავიწყდება ის შთაბეჭდილება, რომელიც მან დამსწრეებზე მოახდინა. ერთ-მანეთს უზიარებდნენ მოწონებას, იმედებსა და ნატვრას.

მეორე დღეს შუაწყნეთის მოსახვევში შეეჩეხა აეროდ-რომზე მიმავალს. მანქანიდან გადმოსულიყო და თავაზიანად ესაუბრებოდა გამოსამშვიდობებლად გამოსულ აქაურ მე-ზობლებს.

ზებედემ ყური მოჰკრა: დაბეჯითებული ხმით მშვიდობას ჰპირდებოდა მათ. არწმუნებდა, ომს თავიდან ავიცილებთ, ქვეყნიერებაზე ზავი და სიწყნარე დამყარდებაო.

ეს დაპირებები დონკიხოტურად ეღერდა იმ დროს და ზე-ბედემაც ირონიული ქირქილით განაგრძო თავისი გზა. ომის თავიდან აცილება მაშინ ღვთის სასწაულღა თუ შეეძლო. ამასთან, ყოფილი მდივანი ბევრ სატკივარსაც უტოვებდა თა-ვის ქვეყანას. მკაცრი და მიუტევებელი ხასიათი ჰქონდა.

არ გასულა დიდი ხანი, მთავრობის აპარტამენტები ახა-ლი. ღიპგასიებული ფილისტრებით გაივსო. ვინ იფიქრებდა, რომ ეხლა ესენი მოექცეოდნენ სათავეში. ამისთანა ქვეყა-ნაში ბატონობას დიდი ხელოვნება არ უნდა. ტექნიკა დახ-ვეწილი და საიდუმლოა. თანამებრძოლებს ბიუროზე წამოკ-ნაელების უფლებაღა აქვთ დატოვებული. დატრიალდნენ. გა-დაჯგუფდნენ, გადმოჯგუფდნენ. ცქვიტად დაიკავეს სარგო ად-გილები. მთავარ ვეზირად გაქნილი მეხოტბე მიიწვიეს. „სა-ხელოვანი მამულიშვილი“ კარგი მსმელი და მჭამელი. ჯილ-დოს მიღებაში დახელოვნებული, ჩამწყობი და მოხიმანკლე. გაჩაღდა იაფფასიანი, პარტიულ-კომკავშირული „მოღვაწე-ობის“ ახალი და, ღმერთმა ქნას, უკანასკნელი პერიოდი.

საგანგებო დრო გამოეყო მთავარკონსულტანტის საღამოს მაცივნებს, სადაც მბრძანებელი „ბრძენკაცის“ რჩევა-დარიგე-ბებს იღებდა. იფურჩქნებოდა ლენინური სტილი. სქელდებო-და ამომავალი კლასის ჯიბეები და სულ უფრო ეცემოდა „ძვე-ლი მთავრობის“ გავლენა.

ძველი და ახალი არაფერს უთმობდა ერთმანეთს. წყალ-

ქვეშა ბრძოლა გაეჩაღებინათ. ვინ იცის?! მემკვიდრეობად მიღებულ ხერხებით და საშუალებებით. ღრმა ზურგის გასამაგრებლად აიკრძალა „ანონიმური წერილები“, ფასი დაედო „რაციონალურ წინადადებებსა“ და ექსპერიმენტებს. უცნაურ ინიციატივებს. ერთმა მაძიებელმა რომის პაპამდეც მიაღწია. ხელზეც ემთხვია. ვერც კი დაიჯერებთ.

მიდით! იხეტიალეთ! მოხერხეთ თავი საქართველოს. ყველაფერი ნებადართულია, ოღონდ თქვენ იყავით გალაღებული, პასუხს არავინ მოგთხოვთ! შენ ოღონდ მოახერხე, კოჭობს თავი მოხადე. აივსო საქართველო აღმოჩენებით. უნიკუმებით და სასწაულებით. გაჩაღდა რეკორდების დამყარება. შეცოცდი ვატიკანის ბიბლიოთეკაში.

ახალი ხელმძღვანელობის წყალობით, ცხოვრებამ ერთბაშად იცვალა ნირი. ჩაუყენა სათავეში მძახლები. ფულის გიჟები. საქართველოს დათრგუნვას რა დიდი ამბავი უნდა. ბორკილები მომზადებულად გაქვს გადმოცემული. ხერხემალი გადატეხილი აქვს. გეგმებს უწინდელზე უფრო ასრულებს. მექანიზმი ათვისებულია. შესატანი დროზე შეაქვს. არბატზე ეგორ ილიჩს ხვდება. „ჩაის სახლში“ მითითებებს იღებს. ფესვი მოიმაგრა. ახლა თამამად შეუძლია, კადრები გადაახალისოს. ზოგი „მარილზე გაისტუმროს“. უფლება აქვს, ყველაფერი ფეხზე დაიკიდოს. ზემოდან ხმის გამცემი არავინაა. აქ კი, თავი უმტვრევიათ!

ახალი მინისტრი სხვა კაცია. მაძიებელი, შემოქმედი. უნარი შესწევს, ყველაფერი თავიდან დაიწყოს, წაგებული გამოაბრუნოს! კონცეფციას ეძებს. იკვლევს. სწონის. თავის ახალ საქმეს ქმნის. არენაზე გამოსვლისთანავე აგრძნობინებს მსოფლიოს, რომ მასთან დიალოგი შეიძლება, სასარგებლო იქნება, ახალი ერა იწყება. თავაზიანი, და ელეგანტურია. არ ყოფილა აუცილებელი კოლეჯები და ლიცეუმები, მცირე ოდაშიც შეიძლება უმაღლესი ღირსებების შეძენა. არისტოკრატიული მიხვრა-მოხვრა. ბუნებრივი მანერები. მოღიმარი და მხიარული. მტკიცედ, მეთოდურად, გულდინჯად მიჰყვა და შემოაბრუნა ცვალებადი ბედი. ხელმეორედ იშვა ახალი საქმეებისათვის. ეძიებდა და ჰპოვებდა. ძნელი და სახიფათო ბილიკებით სიკვდილს ეთამაშებოდა. გაუბედავს ბედავდა.

• • •

ბადრი თვითონ ქმნიდა თავის ცხოვრებას. ათასგვარი გატაცება ჰქონდა. იკვლევდა, თხზავდა, თარგმნიდა. რამდენიმე ენას ფლობდა. ყველგან და ყველაფერში შეეძლო წარმატების მიღწევა. წინ ფართო, ნათელი ასპარეზი გადაშლოდა, მაგრამ ყმაწვილობიდან მამულზე მტანჯველ ფიქრს შეეპყრო. სხვა სიცოცხლე არ იცოდა. სნეულად ჩაითვლებოდა, სამშობლოზე ზრუნვით სნეულად. რაზედაც სხვას ფიქრიც არ შეეძლო, ის ცხადად ჰხედავდა. განთავისუფლებულ, აყვავებულ, ბედნიერ საქართველოს. ჰარმონიულად ვაერთებულიყო მასში მეოცნებე, მებრძოლი და ორგანიზატორი. უსწრაფესად შეეძლო გამოეფხიზლებინა, დაერაზმა ძილბურანში მყოფი საზოგადოება. იყვნენ აქა-იქ სხვა გულმხურვალე ქართველებიც. სამშობლოს უბედობით დამწვარნი, თავისუფლებაზე მეოცნებენი. მაგრამ მათ შეეძლოთ მშვიდად ეკეთებინათ ყოველდღიური საქმე, ენაწყლიანი ლექციათ-მოხსენებები წაეკითხათ, ოჯახური ბედნიერებით დამტკბარიყვნენ. საჭირო არიან ასეთი პატრიოტები. ღმერთმა გზა დაულოცოთ! მაგრამ ღვთისგან მოვლინებულთა არსებობაც მჯერა. ისინიც ჩვენს შორის ცხოვრობენ, ჩვეულებრივი ცხოვრებით, მაგრამ მათი გამოცნობა შესაძლებელია და ადამიანები სცნობენ მათ. სცნობენ, ენდობიან და უკიდურეს საფრთხეშიც აგზგზებით მიჰყვებიან მათ. მტრებიც ჰყავთ, მოშურნე-მოზიზღარებიც, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში მუდამ თავს ახვევიათ საჭირო ადამიანთა გუნდი, რომელიც აუცილებელია საღვთო საქმეების აღსასრულებლად.

ასეთ ადამიანებს განგება გზავნის და განსაკუთრებული ცხოვრება აწრთობს. ბადრი უჯარმელის ალღო და შეგრძნებები დიდი გამოცდილებით იხვეწება. მრავალფეროვანი ცოდნა, ნიჭი და რწმენა სჭირდება. იმ დროს არავის ასე ზუსტად არ შეეძლო ვითარების შეგრძნობა, მომენტის შეფასება და შესაფერი ღონისძიების განსაზღვრა. დიდი სიფრთხილით და ოსტატობით შეეძლო ერთმანეთთან შეერწყო წინააღმდეგობის სხვადასხვა ხერხი და შესაფერის მომენტს ხელიდან არ გაუშვებდა, მაქსიმალურად გამოიყენებდა.

პოლიტიკური პოლიცია თვალს ვერ აშორებდა ბადრი უჯარმელს. ვითარების შესაბამისად, ზედამხედველობის სხვადასხვა ზომებს უნიშნავდა, რითაც არამარტო ნერვიულად ძაბავდა მის პირად ცხოვრებას, არამედ აბრკოლებდა და ხშირად შლიდა გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

1988 წელი დაძაბულად მიმდინარეობდა. მეთვალყურეებს ათასი საბაბი სჭირდებოდათ მოსალოდნელი აქციის აღსაკვეთავად. სახლი ფარულ ალყაში იმყოფებოდა. რამდენჯერმე „შინაური პატიმრობაც“ დაუწესეს. ასეთ გამაფრთხილებელ ღონისძიებებს მთავრობის მხრივ ცოტა ხარჯი და ჯაფა რომ სჭირდება.

ქვეყანა მეცხრამეტე პარტკონფერენციისთვის ემზადებოდა. ქვეყნის ხსნას ელოდნენ. პროგრამის ახალ რედაქციას ამზადებდნენ. კონსიტუციის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით, ისევ მწვავედ დგებოდა დღის წესრიგში დედაენის, ეროვნული სუვერენიტეტისა და დემოგრაფიის პრობლემები.

ასეთ მდგომარეობაში მთავრობამ უჯარმელთან პოლიტიკური დაპირისპირების გზა აირჩია. ოფიციოზში რამდენიმე შეურაცხმყოფელი, ყოვლად უსაფუძვლო მასალა გამოქვეყნდა. ეს პასკვილი გამოირჩეოდა უზნეობით, სიტლანქით და სიყალბით. არავითარ ეჭვს არ იწვევდა, რომ ასეთი პუბლიკაციები უჯარმელს კი არ გაუტეხდა სახელს, არამედ ხელისუფლებისადმი ზიზღს გააძლიერებდა, ბადრის კი ახალგაზრდობის მხარდაჭერას განუმტკიცებდა.

* * *

ათასცხრაას ოთხმოცდარვა წელს გაგრძელდა საქართველოს ცხოვრების დესტაბილიზაცია. ჩვენი სამშობლოსთვის სახელის გატეხა, ქართველების ლანძღვა-გინება, აბუჩად აგდება მოდურ და გასართობ საქმედ იქცა. ამისი აღარც არავის ერიდებოდა, არც რცხვენოდა, არც ეშინოდა. საბედისწერო განაჩენის სისასტიკით სრულდებოდა. დეზინფორმირებული სამყარო ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულიყო. გაქროობით გვემუქრებოდნენ. რა დავაშავეთ? რისთვის გაგვწირეს? რატომ გაგვიმეტეს? განმარტებას საჭიროდ არ თვლიდ-

ნენ. თითქოს, ისედაც ყველაფერი ცხადი და უდავო იყო.

იგრძნობოდა, ისევ სტალინისა და ბერიასთვის გვთხოვდნენ პასუხს. თუმცა ისინი დიდი ხანია აღარ ამძიმებდნენ ამ წუთისოფელს და მათ ანდერძს ახლა მემკვიდრეები ასრულებდნენ. ეკითხათ მაინც! იქნებ, საკმარისი საბუთები წარგვედგინა იმის დასამტკიცებლად, თუ რომელი ერის „ცხოვრების ხე“ უნდა დაემშვენებინათ აღნიშნულ გმირებს. არც თვითონ გვეკითხებოდნენ, არც ჩვენ ვკადრულობდით ძალათ აკიდებული „თანამემამულეების“ მაგივრად პასუხისგებას.

საკავშირო პრესა და ტელევიზია ფსიქოლოგიურ ტერორს აღრმავებდა. კიდევ კარგი, ვერაგული შეთქმულების ამბავი არ ვიცოდით, თორემ შეიძლება, ხალხი პანიკას მოეცვა ახლა კი, ნაწილ-ნაწილ მოგერიებით ვიქარვებდით დარდს. არც ცვეტოვისა და „ეზგლიადის“ ვირეშმაკობა დაგვრჩენია უყურადღებოდ, მოლჩანოვიც გავაჩუმეთ. მხატვრულ ფილმს „წითელ სიცხესაც“ ნიღაბი ავხადეთ, სადაც ბანდიტისთვის „რუსთაველი“ დაურქმევიათ.

თავდაცვის ყველაზე ეფექტური ხერხი კონტრიერიშია და ჩვენც შევახსენეთ ჩვენი სატკივრები.

დავით გარეჯის კომპლექსისთვის ახალგაზრდებმა ცეცხლი დაანთეს. ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობაც დაგმეს. კარიერისტებს ხმა ჩააწყვეტინეს და ცრუ საბუთები სანანებლად გაუხადეს.

ბადრი უჯარმელსა და ამირან ლაშქარავას, რომელიც მეგობრის შეუპოვარი და მოხერხებული მცდელობით, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით ხანგრძლივი, მტანჯველი კატორღიდან სამშობლოში დააბრუნეს, პოლიტიკური მდგომარეობის მძაფრი შეგრძნების უნარი ჰქონდათ, პირველებმა იგრძნეს უჩვეულო ამბების მოახლოება.

მეცხრამეტე პარტიულმა კონფერენციამ, რომელსაც გარკვეული პროგრამა არ აღმოაჩნდა და ვერც ეფექტური გადაწყვეტილებები მიიღო, დააბნია და საგონებელში ჩააგდო ხელისუფლებაც და საზოგადოებაც. გორბაჩოვის შტაბს, ეტყობა, ვერ გადაეწყვიტა, რით დაეწყო, რისთვის მიენიჭებინა პრიორიტეტი, პოლიტიკური თუ ეკონომიური ღონისძიებებისთვის. იგრძნობოდა რეაქციული ოპოზიციის საიდუმლო აფუს-

ფუსება, სერიოზული საფრთხეც. კრიზისულ ვითარებაში მიმდინარეობდა კონსტიტუციის განხილვა. ვისაც „გარდაქმნის“ მომავალი აფიქრებდა და რესტავრაციის საფრთხე წარმოდგენილი ჰქონდა, აუცილებლად თვლიდა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების პარალელურად ჩატარებას, პოლიტიკური ღონისძიებების დაჩქარებით.

საქართველოში — შეურაცხყოფილ, გაღიზიანებულ ქვეყანაში, ყურადღება გადატანილი ჰქონდათ ეროვნულ პრობლემებზე.

შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა ასმერვე და ასმეცხრამეტე მუხლების შესწორებებზე. ამ სახელმწიფოში ყოველგვარი „სახალხო განხილვა“ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და არავინ სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ამჯერადაც „შესწორებებმა“ და „დამატებებმა“ სამასიათასს გადააჭარბა. ასეთი ფოლიანტების რა შესწავლასა და განხილვაზე შეიძლებოდა ლაპარაკი. სიყალბე და თვალისახვევა გამოდიოდა ბადრი უჯარმელი ოსტატურად სარგებლობდა „ცენტრის“ შეცდომებით. ამხელდა კონსტიტუციის მანკსა და ნაკლოვანებებს.

ერთხანს „სათანადო ორგანოებს“ განზრახული ჰქონდათ „პატიმრობაში დაებრუნებინათ“ ბადრი უჯარმელი, ამირან ლაშქარავა, თორნიკე, ენძელა ძიძიშვილი, ჩარიტა და მათი მეგობრები. განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა ცეკას მდივანი ფარსაგიშვილი. გონებაშეზღუდული, ჯიბრიანი ფუნქციონერი.

— ჯერ საგანგაშო არაფერი ჩაგვიდენია, — უთხრა უჯარმელმა მეგობრებს, — ოფიციოზი კი განძრევის საშუალებას არ გვაძლევს. ეს ნიშნავს, ყველაფრისთვის სრულ პასუხისმგებლობას თავისთავზე იღებს. ასეთმა დამოკიდებულებამ, დღეს თუ ხვალ, სარგებლობა ჩვენ უნდა მოგვიტანოს. ნახეთ, რა ორომტრიალი ატეხეს ტრანსკავკასიის რკინიგზის გამო. ვერც გრძნობენ, რომ პარტიული მაქსიმალიზმი ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს.

— ამ მხრივ, შეუდარებელია გილაშვილი. აი, ბელადის ერთგული მოწაფე, რომელსაც ეჭვი არ ეპარება, რომ დღემდე არაფერი შეცვლილა.

— ოო, ეს საინტერესო ფენომენია! ამას წინ მარნეულში ვიღაცას უთქვამს, აქაურებმა ქართული არ იციანო და დაუტატანებია: შენ თუ იცი, ამათი ეწაო!? აი, რა ჭკუით მოუტანებია აქამდე. ყველგან და ყველაფერში ქართველია დამნაშავე! არ დაინდო, არ გაახარო! სხვებს ფეხისგულები ულოკე. ამისთანები სიკეთეს დაგვაყრიან?

ლაშქარავას ფერი ეცვალა. აგიჟებდა ზოგი თანამემამულის გულის სიყრუვე.

— უარესს უნდა ველოდეთ ჩვენი და ჩვენი მამა-პაპების დოყლაპიობისთვის. ოღონდ თავის წუთისოფელი მშვიდად მოეჭამათ და სხვა აღარაფერზე უზრუნიათ. ანტიქართული ინტერნაციონალიზმი იქამდე მიდის, რომ პასპორტის გაუქმებასაც მოითხოვენ. ვითომ, ეს ადამიანის უფლებების ხელყოფაა და ყველას ნება უნდა ჰქონდეს, თავისით აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი. ჩვენი სასარგებლო არაფერი წამოსცდებათ.

თუ ხმა ამოიღე, ნაციონალისტობას დაგწამებენ.

— ავი წინათგრძნობა მაქვს! — თქვა თორნიკემ. — გაზეთებში ხომ ვხედავთ, ცილისწამებებს რომ აღარ ათავებენ, ახლა საქმეებზეც გადადიან.

— ნუ შედრკებით, ბიჭებო! — სახე გაუფოლადდა ბადრის. — სიმართლე ჩვენს მხარეზეა. ხალხთა თანასწორუფლებიანობის და თავიანთი ბედის გამგებლობის უფლებიდან გამომდინარე, ჰელსინკის ხელშეკრულება აღიარებს სრულ სუვერენიტეტს, ყოველმა ერმა უნდა თვითონ განსაზღვროს თავისი საშინაო და საგარეო ბედიღბალი, გარედან ჩაურევლად განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება. სხვისი ინტერესებით ვერ ვიხელმძღვანელებთ. ეს თვითმკვლელობა იქნება. ცვეტოვის, „ოგონიოკის“, საკავშირო პრესისა და ტელევიზიის „თეორიული გამოხდომების“ ფონზე პრაქტიკული საზიშროებაც გამოისახა. რაღაც შეთქმულების მსგავსი. ღმერთმა ქმნას, რომ ვცდებოდე! მაგრამ ეშმაკს არ სძინავს. ყველაფერს, რაც ჩვენს გარშემო ხდება, ქართული სული უნდა შთავბეროთ. სხვა ნურავის იმედი გვექნება. ჩვენი სტალინელები ყველაფერს შეწირავენ „ინტერნაციონალურ ძმობას“.

ვერც კი გააგონებთ, რომ „დიდი ბელადი“ ეროვნებით ქართველი არ ბრძანდებოდა და მაგოდენა უბედურება არც ერთ ადამიანს არცერთი ხალხისთვის არ მიუყენებია. მაგათ ჰგონიათ, დღე-დღეზე დაუბრუხდებათ თავიანთი ფეოდალური პრივილეგიები.

ვითარება მრავალმხრივ იძაბებოდა. ზემოდანაც, ქვემოდანაც. ჩვენი მეზობლები უპატრონოდ ითვისებდნენ ალაზნის ველის მიწებს, მოსაზღვრე ადგილებს, ხოლო შემდეგ შავიზღვისპირეთის კოლონიზაცია გააჩაღეს. ყოველივე ეს ათასცხრაასი ოცდაერთის ოკუპაციის შემდეგ, როცა „ქართველებმა“ — იოსებ სტალინმა და სერგო ორჯონიკიძემ რამდენიმე ათასი კვადრატული კილომეტრი გადასცეს მათ საქართველოს დაპყრობაში დახმარებისათვის ჯილდოდ, მომაკვდინებელი დარტყმა იყო საქართველოსათვის.

— ხალხი ეროვნულ სამართლიანობას ითხოვს, — მშვიდად წარმოთქვა ლაშქარავამ.

— საჭიროდ მიმაჩნია, ყველაფერი დროულად და მჭიდრო ურთიერთ კავშირში განვიხილოთ. — ფიცხლად ჩაერია თენგიზ რევია.

— დროა, მხარი დავუჭიროთ არა კონსტიტუციის პროექტებზე რიტორიკულ პოლემიკას, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობას. მაშინ მთელი საქართველო გამოგვყვება. გაიხსენეთ ათასცხრაასი სამოცდათვრამეტი, ქართული ენის უფლებისათვის ბრძოლა.

— გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს! — წამოიძახა ჩარიტამ, რომლის ხმა ათიოდე წლის წინ ახალგაზრდობას გულში სწვდებოდა. მას შემდეგ ამ ხმას ელერა დაკლებოდა, შესუსტებულიყო, უჰაერო საკნებისა და, ვინ იცის, კიდევ რა მიზეზების გამო, მაგრამ მაინც ამანთებელ გავლენას ახდენდა მსმენელზე.

— დროა ამ მოწოდებით გამოვიდეთ, — დაადასტურა ბადრი უჯარმელმა. — საჯარო გამოსვლები ნებადართულია.

მხედველობაში ჰქონდათ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 28 ივლისის „ბრძანებულება კრებების. მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის, დემონსტრაციების ორგანიზაციისა და გამართვის წესზე“. აგვისტოში ამავე საკითხზე საქართველოს

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმაც გამოიტანა შესაბამისი ბრძანებულება.

ოფიციალური საფუძველი კი არსებობდა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა, რადგან შარის მოდება ყოველთვის შეეძლოთ. საქმითაც ჩანდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მოძრაობის მეთაურებს თავისუფლად ხელის განძრევის საშუალებას არ აძლევდა. შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ თითოეული ნაბიჯი რისკთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით ციხეგამოვლილი „საშიში ელემენტებისათვის“, რომელთაც ერთი წუთით არ აშორებდნენ თვალს. ქართველი „დისიდენტები“ საგანგებო დევნას განიცდიდნენ როგორც ხელისუფლების მხრივ, ისე იმ მოძრაობისგანაც. სტალინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნიადაგზე რომ აღმოცენდა. მასში ქართველების სიძულვილი ერია. მათ ხელს არ აძლევდათ იმის აღიარება, რომ ქართველებმა ყველა სხვა ერზე ათასგზის მეტი ტანჯვა-წამება გამოიარეს სტალინის ხელში. ასე ორ ცეცხლს შუა იყვნენ მომწყვდეულნი ქართველი მამულიშვილები. მათი ბედი საქართველოს მოწამებრივ ბედს განასახიერებდა. შიგნიდან და გარედან ცეცხლშენთებულს. არაადამიანური დევნა და თვალთვალი. საგანგებო რეჟიმის ციხე და სადისტური ძიება. აბუჩად აგდება. ნეიროლეპტიკა და ფარმაკოლოგიური პრესი. უკიდურესი დამცირება. დაწიოკება.

ენა ვერ აღწერს, რაც უჯარმელს, ლაშქარავას და მათ მეგობრებს გადახდათ თავს. მათი ბედი არ ჰგავდა დიდი, ანუ მრავალრიცხოვანი ერის ბედს, რომლებიც ათასგვარ მხარდაჭერას, თანაგრძნობას, დიდებას იხვეჭდნენ ქვეყნის შიგნითა და გარეთ. ესენი ბედით გაუკუღმართებული საქართველოს შვილები იყვნენ. ნუ იქნებით უსამართლონი, მათ უბედურებას ნუ შეადარებთ შორეული წარსულისა თუ თანამედროვეობის რომელიმე სხვა წამებულთ, თვით სტალინური ჯურღმულების მარტვილთაც. შეეძლოთ თავი დაეღწიათ ტანჯვისთვის, ხორცი გაეხარებინათ, თუ იკისრებდნენ იმის ერთ მეასედს, რასაც ყველა რანგისა და პროფესიის გაფუფუნებული ნაძირალა კისრულობდა. მაგრამ არა, მათ ეს ფიქრადაც არ

მოსვლიათ. გადაიტანეს ყველაზე დიდი უბედურებაც, ღალატი და ღალატის დაწამებაl შანტაჟი! მუქარაl ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენს საუკუნეში ტანჯვა-წამების ათასჯერ უფრო საშინელი საშუალებები არსებობს, ვიდრე აბო თბილელის და ქეთევან დედოფლის დროს არსებობდა.

არაფერი დანანებიათ ბადრი უჯარმელისა და ამირან ლაშქარავას სატანჯველად. მათი შვილები, ოჯახიც არ დაზოგეს.

თორმეტ ოქტომბერს, მიუხედავად სასტიკი მუქარისა, ისინი მაინც გაეშურნენ მეწინავე ხაზზე. გამოცხადდნენ ერის სამსჯავროზე. თუ საქართველო ვერ გაუგებდა, თუ თბილისი ჯავშნად არ შემოეკვროდა, განწირულნი იყვნენ.

მოხდა რასაც მტრები არ ელოდნენ. რასაც არავინ ელოდა. დედაქალაქი ხალხით გადაიტვედა. აბობოქრდა ქუჩები. ახმაურდნენ მეგაფონები, ტრიბუნები. „გაუმარჯოს დამოკიდებულ საქართველოს"! — გუგუნებდნენ მწყობრი, ერთსულოვანი კოლონები.

ხელისუფლება გამოჩენას ვერ ბედავდა. დამსჯელ ღა აღმკვეთ ღონისძიებებზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. უკან უნდა დაეხიათ. ძალთა თანაფარდობა აშკარად გამოჩნდა, ხალხმა მოქმედების თავისუფლება მოიპოვა. თაოსნებს გზა გაეხსნათ. დაპატიმრებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ხალხმა იხსნა მისთვის თავდადებულნი. რათა მოძრაობას შინაარსი არ მოკლებოდა, კამათობდნენ კონსტიტუციის შესწორებებზე, ყრილობისათვის წარსადგენი ვარიანტების ავკარგზე. ასმერვე და ასმეცხრამეტე მუხლების მნიშვნელობაზე. ავრცელებდნენ ნაბეჭდ ფურცლებს. მოწოდებებს, დემონსტრანტები მასობრივი შიმშილობებით და გაფიცვებით იმუქრებოდნენ. ბადრი უჯარმელი და ამირან ლაშქარავა მკერდმოღეღილი ტრიალებდნენ ხალხის ტალღებში. ამხნევებდნენ. რჩევას იძლეოდნენ. ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ შეტაკებები და პროვოკაციები, დაეცვათ მიტინგებისა და დემონსტრაციების წესი. სოდომ-გომარში მტერს ათასი გაუგებრობის მოწყობა შეეძლო. ზოგი განაპირებით მიჰყვებოდა მოზღვავებულ პროსპექტს. ვერ გადაეწყვიტა, შეერთებოდა თუ არა. ასეთი არაფერი ენახათ.

ამ დროს და ამის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში მოვლენები ვითარდებოდა ძველსა და ახალ მდივანს შორის ხელისუფლების გაყოფის ნიშნით, ინტერესთა ჭიდილისა და შეუთავსებლობის ვითარებაში, რაც თავის დაღს ასვამდა თითოეულ წვრილმანს. ყოფილი მდივნის გადაყვანიდან დიდი დრო არ გასულა, მაგრამ სადავო და გაუგებარი ძალიან ბევრი დაგროვდა. ფაქტიურად საქმე გვქონდა ორხელისუფლებიანობასთან.

* * *

თბილისის უნივერსიტეტის სამოცდაათი წლის საიუბილეო სხდომიდან, რომელიც სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში ვაიმართა „კულტურის გამოჩენილ მუშაკთა" მცირე ჯგუფმა დიდად დაფასებულ ხუროთმოძღვარს, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატს, ენვერ ჩინაძეს გამოუარა. უნდოდათ მეგობრისთვის ახალი, ძლიერ პრესტიჟული ბინა მიელოცათ „ფიქრის გორაზე" და ამ საბაბით, მასპინძლის ქალიშვილისთვის, განთქმული დისიდენტის ჩარიტასთვის, რომელიც ცოტა ხნის წინ დაბრუნებულიყო პერმის გადასახლებიდან, საჩუქარი მიერთმიათ და ამბავი ეკითხათ.

ასეთ ზღაპრულ ბინებს პირველი მდივანი პირადად აძლევდა მთავრობის ხელმძღვანელებს, აგრეთვე „ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების" კეთილმსახურ მუშაკებს. რანგების ტაბულით ეს ჯილდო სოციალისტური შრომის გმირობას უტოლდებოდა.

სასიქადულო მამულიშვილები ესტუმრნენ, უგამოჩინებულესი ხელოვანნი, მეცნიერნი და პოლიტიკოსნი. ზურაბ ბერძენიშვილი თაობათა მოძღვრად, პირველ ბრძენად და მჭევრმეტყველადაა აღიარებული. მის მიმართ მცირეოდენი შენიშვნა არავისთან დაგცდეთ, თორემ, გაუწეწავი ვერ გადარჩებით. ყველა კითხვაზე, საშინაო იქნება თუ საერთაშორისო, ამომწურავი პასუხი გამზადებული აქვს და შეუძლია რეცეპტის ძალმოსილებით გამოგიწეროს. მის საჯარო ლექციებზე დარბაზებს კარ-ფანჯარა აღარ რჩება. რენე ჭანი-

შვილს გაცნობა არ სჭირდება. ქვეყნიერებაზე კუნქულს ვერ იპოვით, ფეხი არ დაედგას და თავისი ავტორიტეტული ხმა არ მიეწვდინოს. ესენი ძლიერ პირნათლად არიან ხელისუფლებასთან.

ფილოსოფიის დოქტორი ოთარ თუხარელი ჯერ არ შემოსულიყო ამ წრეში. უცხო ენებს ფლობდა. დაფიქრებულ, უანგარო კაცად იცნობდნენ და გაუკვირდათ, როცა ხმა გავრცელდა, „სახალხო ფრონტს“ აარსებსო.

მაჰპინძელი თავს ევლებოდა მეგობრებს, ახალ ბინას სიამაყით ათვალიერებინებდა. ცოტა ხნის შენდეგ, ჩარიტაც შემოვიდა. ბოდიში მოიხადა დაგვიანებისთვის.

— მე ვფიქრობ, ამ ეტაპზე მოძრაობამ უფრო მშვიდი ხასიათი უნდა მიიღოს, — თქვა რენე ჭანიშვილმა.

— არ გეთანხმებით! — გაცხარდა ქალიშვილი. — ტემპის დაგდება დამღუპველი იქნება.

— ხელოვნურად არ უნდა გავამწვავოთ, — უთხრა მამამ. — ცხოვრების რიტმი შევინარჩუნოთ. უნივერსიტეტში გამოსვლისას ამხანაგმა პატიაშვილმა მტკიცე პირობა მისცა ახალგაზრდობას, რომ კონსტიტუციის შესწორებების ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდება.

— საქართველოს ხელისუფლებას არ უნდა დავუპირისპირდეთ. ამით შეიძლება, საფრთხეში ჩავაგდოთ ხალხის უშიშროება, — თქვა რენე ჭანიშვილმა. — საზღვარგარეთ მილიონში ერთს ვერ იპოვით, საქართველოს არსებობა რომ იცოდეს.

— ეს იმის გამოა, რომ დამოუკიდებლობა არ გვაქვს, ლიხტენშტეინი, ანდორა, ალბანეთი გაუგონიათ, საქართველო კი დაავიწყდათ. როცა დამოუკიდებლობა გვქონდა, ევროპაში მთავრობა არ არსებობდა და გაზეთი არ გამოდიოდა, ჩვენთვის რომ ანგარიში არ გაეწია, — წამოწიფინდა ჩარიტა.

სახის ნაკვთები უთრთოდა და თვალები უელავდა. ლამაზი და მომხიბვლელი არ ეთქმოდა, მაგრამ მღელვარებისას ეშხი ემატებოდა. რაღაც ანდამატური მსჭვალავდა მის არსებას. რაღაც მბრძანებლური, ¯იქნებ, დესპოტურიც.

— ძალიან ბევრს ნუ დაუჯერებთ და ენდობით თქვენს დიდგულა ბელადებს! — ნახევრად ხუმრობით უთხრა მამამ.

— ჩვენ არავითარი ბელადები არ გვყავს. — აღშფოთებით წამოიძახა ჩარიტამ. — ჩვენ თანამოაზრენი ვართ და ყოველგვარ მბრძნებლობას უარვყოფთ.

— კარგი, ბატონო! ბოდიშს გიხდით! — დამნაშავესავით გაეღიმა მამას, რომელიც ავადმოსაგონრი პატიმრობის შემდეგ, სათუთად ექცეოდა და დიდ ანგარიშს უწევდა ძალიან სერიოზულ საქმეებში ჩართულ, ბუნებით ნაზ და მოკრძალებულ ასულს.

— კიდევ ბევრ სიურპრიზს გვპირდება ეს იდუმალებით მოცული „გარდაქმნა". ვერავინ იწინასწარმეტყველებს, საით მივდივართ და რა მოგველის! — სევდიანად, მსუბუქი ამოოხვრით თქვა ზურაბ ბერძენიშვილმა. — ჯერჯერობით, ბევრი რამ ისეთივე მისტიკითაა მოცული, როგორც „მფრინავი თეფშები", რომელთაგან მოსვენება აღარ გვაქვს.

— თქვენ კანონზომიერების აღმოჩენას ხომ არ აპირებთ?! ამაო დაშვრომა გამოგვივა. იცის ჩვენმა პლანეტამ ქაოტური პერიოდები, როცა ლოგიკური დასკვნების გამოტანა შეუძლებელი ხდება და სამყაროს აუხსნელი ძალები ეუფლებიან. — ყოველ შემთხვევაში, უკვე კატეგორიულად შეიძლება ვთქვათ, რომ კომუნიზმს არავითარი მომავალი აღარ გააჩნია და ეს ხანს მხოლოდ უკანასკნელ ბრუნვათა დასაბორკავად იქნება შენარჩუნებული. — თქვა ჩარიტამ.

— სულ უფრო ვრწმუნდებით, ჩემო კარგო, რომ ქვეყნიერებას ღმერთები მართავენ.

— „გარდაქმნის" არსი, როგორც ჩანს, დღეისათვის თვით მისი სულისჩამდგმელებისთვისაც გაურკვეველია. ხელიცეცებით, გაჭირვებით მიიკვლევენ გზას.

— წინააღმდეგობა ძლიერდება და არავინ იცის, ვის დარჩება გამარჯვება! — ჩაურთო მამამ.

— რაკი ჩვენს ქვეყანას თავი მოერღვა, „თავისუფალი სამყარო" ამ შემთხვევას ხელიდან აღარ გაუშვებს.

საგონებელში ჩავარდნილიყვნენ მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის დაწყებული კონფლიქტით. კომენდატის საათის შემოღებით.

— ეს ისე ძალათ შეკოწიწებული სახელმწიფოა, რაკი აირია, იოლად დამშვიდების მოლოდინი ნუღარ გექნებათ, —

შეწუხებული ხმით თქვა ოთარ თუხარელმა. — დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა გვმართებს.

— სიფრთხილე ძველი გზით სიარულს არ ნიშნავს! — თქვა ჩარიტამ. — ახალი საშუალებები უნდა დაიძებნოს. საქართველო სულ სხვა რეალობების წინაშე დგას. მტრებმა ამთავითვე შეიგნონ, რომ ჩვენ არ გვძინავს.

მიუხედავად იმისა, რომ შუაღამემ მოატანა, ჩარიტას სასწრაფოდ გამოუძახეს. სტუმრებთან ბოდიში მოიხადა. ახალთახალი ჟიგულის საჭეს მიუჯდა და გააქროლა.

— ჩვენც მივაშუროთ ჩვენს ადგილებს! — წამოდგა ოთარ თუხარელი. — ისეთი დრო დგება, უქმად ყოფნის უფლება აღარ გვაქვს.

* * *

ჯუმბერ პატიაშვილი ცხრა საათზე ბარნოვის ქუჩის ერთ მომყუდროებულ ეზოში შეხვდა მთავარ მესაიდუმლესა და მრჩეველს ზაალ ნადირაძეს. ყველა ტიტულით შემკობილ შემომქმედს, მეცნიერსა და ბრძენ კაცს. ათეული წლების მანძილზე საქართველოს ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრესა და მონაწილეს. ყველა საქმესა და ადამიანზე საკუთარი აზრის მქონეს. იმისი მზა, გარკვეული და უყოყმანო პასუხები უებარ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა ხელმძღვანელს მის ურთულეს და ფეთქებად მოღვაწეობაში. ვის არ მოეხსენება, რომ საქართველოში ორდინარული მეთოდებით ძალაუფლებას დიდხანს ვერ შეინარჩუნებ.

ზაალ ნადირაძის რჩევა-დარიგეგებს პირველი მდივანი არა ერთხელ გაძოუყვანია კრიტიკული მდგომარეობიდან და პირადად მისთვისაც და მისი ახლობლებისთვისაც კაი სარგებლობა მოუტანია.

ისინი მუდამ ღია ცისქვეშ, ადამიანებისგან განკერძოებით ამჯობინებდნენ სასიცოცხლო პრობლემებზე ბაასს, ბოლთის ცემაში გამოჰქონდათ ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

რაც კონსტიტუციის პროექტი გამოიტანეს განსახილველად, „არაფორმალებმა“ მდგომარეობა გაამწვავეს და მთავ-

რობას „წყალი შეუდგა“. პირველი მდივანი ახლა უფრო ხშირად მიმართავდა თავის მრჩეველს მწვავე შეკითხვებით. პასუხის გაცემა თანდათან რთულდებოდა, რადგან წინამორბედებთან ამგვარი არაფერი ხდებოდა, ადრე ცხოვრება გაცილებით იოლი იყო და, მაშასადამე, ზაალ ნადირაძეს არც ამდენი ცოდნა და გამოცდილება სჭირდებოდა.

როცა სიტყვა ჩამოვარდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეზე, რომელსაც მეტისმეტად აუხირდნენ და მოკლე ხანში ოდიოზურ პიროვნებად აქციეს, მრჩეველმა მისთვის ჩვეული ირონიული სიცილით მიუგო:

— გავუშვათ აბა დამსახურებულ დასვენებაზე, დრო არაა?!

ამით რამდენიმე პრობლემა ერთბაშად გადაწყდა. ძალათ გაპოლიტიკოსებულმა კაცმა თვითონაც სული მოითქვა და ხალხმაც იმ დღესვე დაივიწყა.

— დისიდენტებმა თავი აიშვეს...

— დისიდენტებმა!?

— ჰო! უჯარმელმა. ლაშქარავამ. თენგიზ რევიამ...

— გასაგებია. ამისთანა საქმეებს თავისი პატრონი ჰყავს!

— ვიცი, მაგრამ არ იძლევიან ნებას.

— თქვენ ხშირ-ხშირად შეატყობინეთ იქ. რაც უნდათ, ის ქნან!

— მე მინდოდა, მოვლაპარაკებოდი მათ.

პირადად ვიცნობ ყველას.

— გამოდის რამე?

— ჯერჯერობით, არაფერი. ამაყი და შეუსმენელი ხალხია.

— ერთი რომელიმე უნდა დაიახლოვოთ, დააჯილდოვოთ, დააწინაურეთ!

— გაგონება არ სურთ.

— მაშინ დასაჯოთ! შიში შეაქმს სიყვარულსაო! ამით მოვატანეთ აქამდე.

— უხარიათ, თუკი დასჯი, აწამებ და გააციმბირებ!

— მიდგომა სჭირდება ამას. იოლ ცხოვრებას მონატრებულ კაცს რა გამოლევს.

— ფარსაგიშვილისთანა კრეტინებს რომ გამოგზავნიან, რას გააკეთებ?!

— შეცვალე, შენი ნება არაა!?

— არაა ჩემი ნება. „იმის“ გამოგზავნილია.

რამდენიმე წუთს უხმოდ განაგრძობდნენ სეირნობას. მდივანს არ უნდოდა, მტრების სალაპარაკოდ გახდომოდა საქმე, თორემ სახიფათოს ვერაფერს ამჩნევდა. ცენტრში გავლენიანი მფარველები ჰყავდა, „გარდაქმნისადმი“ ირონიულად განწყობილნი, გაბედული მოქმედებისთვის ყოველ წუთს მზად მყოფნი.

— მთავარია, ახალგაზრდობას არ მოვწყდეთ! — თავი ასწია ზაალ ნადირაძემ. — უნივერსიტეტში თქვენმა გამოსვლამ სტუდენტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რაკი ნდობა მოიხვეჭეთ, დარწმუნებული ვარ, უყოყმანოდ გამოგყვებიან. რაც უნდა ვთქვათ, ხალხს სტაბილური მდგომარეობა ურჩევნია.

— ხვალ კომკავშირის აქტივი გვაქვს მოწვეული. მოწინავე ახალგაზრდებს გამოვიყვანთ. ზოგიერთ არაფორმალსაც მივცემ სიტყვას.

* * *

ჩარიტამ მანქანა ცენტრალური ქუჩის შესასვლელში დატოვა, მეგობრის სახლის წინ და ჩქარი ნაბიჯით აუყვა ალმართს ბადრი უჯარმელის კარმიდამოსკენ, რომელიც, კარგა ხანია, საიდუმლო ალყაში იმყოფებოდა. რადგან უცდიდნენ, ჭიშკართან წუთიც არ შეგვიანებია, ისე სწრაფად და თამამად გაუღეს.

მასპინძელთან ერთად, იქ დახვდნენ ამირან ლაშქარავა, თორნიკე ერისთავი, სტეპო სვირანგია და ენძელა.

ასეთ დროს, ამისთანა ვითარებაში ოქმს არ ადგენენ. არც ბევრს ლაპარაკობენ. ჩვენს ეპოქაში დანახვისა და მოსმენის ათასი საშუალება არსებობს.

— ხალხი გვთხოვს, შიმშილობა გამოვაცხადოთ. მოხალისე ბევრი გვყავს. ქალიც, მამაკაციც. ამჯერად შეგვიძლია ორასამდე სული მივიღოთ. მისამართები და მორიგეობა დაწესებულია. წესრიგს ამირანი გაუძღვება.

სათქმელად ეს იოლია. ატანაც შეიძლება. მაგრამ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება, უზრუნველყოფა და წარმართვა საოცარ რისკს და თადარიგს ითხოვს.

იმ დროს პოლიტიკური პროტესტისა და მასობრივი წინააღმდეგობის მეთოდების შერჩევისა და ორგანიზაციის ისეთი გამოცდილება არვის ჰქონდა, როგორც ბადრი უჯარმელსა და ამირან ლაშქარავას. საკვირველი სიდინჯითა და თავდაჯერებით ასრულებდნენ ამ ურთულეს მოვალეობას.

ახლა ბევრს ეადვილება ამაზე ლაპარაკი. მაგრამ არსებობდა „ვოლუნტარიზმისა" და „უძრაობის" პერიოდები, როცა მშვიდი და ტკბილი ცხოვრების მოყვარულ „მამულიშვილებს" ასეთ საშიშარ საქმეზე ახლოს ვერ გაიკარებდი.

პროტესტის გამოხატვა კი აუცილებელი იყო. თუნდაც მტრის დასაფრთხობად. გასაფრთხილებლად. საკუთარი სულის სითბოს შესანარჩუნებლად. წესიერების და ღირსების შესახსენებლად. რამდენჯერ ყოფილა, ბადრისა და ამირანს ერთიოდე თანაკლასელი ან თანაკურსელი გოგო-ბიჭისთვის ძლივს მოუყრიათ თავი, იმათ გადაძახებ-გადმოძახებით რამდენიმე ნათესავ-მეგობარი შემოერთებიათ და ასე შეუშფოთებიათ ჩვენი მშიშარა დედაქალაქის „წესიერ" მოქალაქეთა მყუდროება. ამას ზოგი დარბაისელი თანამემამულე ხულიგნობად აცხადებდა, ზოგი ამბიციად და პოლიტიკანობად.

ბოლოს და ბოლოს, რა ეშველებოდა კაცობრიობას ასეთი გიჟები რომ არ არსებობდნენ და არ აფხიზლებდნენ მთვლემარე ადამიანთა სულს. რა აკლდა, რომ არ ისვენებდა?! რისთვის ლესავდა ციხეების კედლებს!? ნიჭიერ და შრომისმოყვარე ახალგაზრდას ნუთუ სხვა არენაზე არ შეეძლო ამბიციური წყურვილის დაკმაყოფილება!?

— მოთხოვნები? — ჩაიჩურჩულა ჩარიტამ.

— კონსტიტუციის ასმერვე და ასმეცხრამეტე მუხლების დაგმობა.

— მხოლოდ?

— რა თქმა უნდა, უპირველესია მოთხოვნა: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს!"

* * *

დასწრებიხართ ათასცხრაას ოთხმოცდა რვა წლის ნოემბრის დემონსტრაციებს? გინახავთ ასობით მოშიმშილე მთავრობის კიბეებზე? ჩაგიხედავთ მათ მოგიზგიზე თვალებში? გიგრძვნიათ მათი სულის ძახილი?

დღეს ყველას უღიარებია მათი მოთხოვნების სამართლიანობა და, ვითომ, აღარც უკვირთ.

მაგრამ გაიხსენეთ, სად იმალებოდნენ ეს სერიოზული ადამიანები, როგორ თრთოდნენ, გმობდნენ და დასცინოდნენ მოშიმშილეებსა და მათ მეთაურებს!

უმაღლესი საბჭოს ნოემბრის სესის წინ და მისი მიმდინარეობის დროს დაძაბულობამ უკიდურეს წერტილს მიაღწია. მოშიმშილეთა რაოდენობა უზომოდ მატულობდა. აღელვებული გოგო-ბიჭები დაუკითხავად სხდებოდნენ მიმდებარე სასლების კედლებთან. დროდადრო, პროსპექტის დასაწყისში ნიაღვარივით შემოვარდებოდა ალმოდებული ახალგაზრდების ტალღა, ეროვნული დროშების ფრიალით, ენერგიული სამწყობრო ნაბიჯებით და მძაფრი, საიერიშო ყიჟინით, რომლისგანაც ქალაქს ზანზარი გაუდიოდა. მოხუცსა და ახალგაზრდას საბრძოლველად უწევდა გული. გავარვარება მასობრივ ფსიქოზში გადადიოდა.

ჯანმრთელობის სამინისტრო საგანგაშო ბიულეტინებს აქვეყნებდა მოშიმშილეთა მდგომარეობაზე. ირგვლივ სასწრაფო დახმარების ავტომობილები მორიგეობდნენ. ტელევიზიაში შეშფოთებული ახალგაზრდა მინისტრი ხალხს დაბნეული სახით უხსნიდა, რა მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ამას.

ხელისუფლებამ უშუალო საფრთხე იგრძნო. ამბოხებული ხალხის შეკავება მძიმე ამოცანაა. სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელებმა დაიწყეს ერთმანეთისთვის გადაბრალება. ყველაზე მეტი მათრახები გიზო ფარსაგიშვილს ხვდებოდა. რა თქმა უნდა, ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა შესუსტდა, სემინარები არ ტარდება, საჯარო ლექციები ჩაშლილია. პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ თავისი მოვალეობა დაივიწყა. სასწრაფოდ მოაწყვეთ სასიქადულო მამულიშვილების შეხვედრები ხალხთან.

ქვეყნის უფროსებს ასეთი „მამულიშვილების“ საგანგებო სიები აქვთ. პარტია ყველაფერს აკეთებს მათი განდიდებისთვის, ავტორიტეტისა და პოპულარობისთვის. ყველა ჯილდო, ხარისხი და წოდება ამ წრეში ტრიალებს. ყველა პრესტიჟული ბინა, აგარაკი, უცხოეთის მივლინება, დეპუტატობა და დელეგატობა მათია. ნიჭიერნი, ერუდირებულნი, და გენიოსები მხოლოდ ისინი ბრძანდებიან.

რისთვის? რა დამსახურებისთვის?

აი, სწორედ ასეთი საგანგაშო ვითარებებისათვის, როგორც ეს ბობოქარი დღეებია.

რა გზით? რა საშუალებით?

ჭკუის დარიგებით. შუაკაცობით. პატრიოტული შეძახებით. მამაშვილური გულმტკივნეულობით. თანხმობის ქადაგებით. იმ ავტორიტეტის წყალობით, რომელიც ასეთი „შავი დღეებისთვის“ შეუქმნა მთავრობამ.

აივსო გაზეთები ამათი პათეტიკით, სენტენციებით, მოშაქრულ-მოთაფლული მიმართვებით. ჩამწკრივდნენ ტელესალონში უმაღლესი რანგის ლაურეატები, აკადემიკოსები, მეცნიერმეტყველები, ძველი ვუნდერკინდები. შიგა და შიგ ამისთანა საქმეში გაწვრთნილი მუშები და „სოციალისტური შრომის გმირები“.

რამდენიმე დღეს გაგრძელდა ეს მშვიდობიანი მარში, რომელი „სასიქადულო მამულიშვილის“ ხმა არ აყოლია იმ დღეს. ტელევიზორში. რომელმა ლიბერალმა და უკიდურესმა პატრიოტმა მოაზროვნემ არ გადმოალაგა თავისი სიბრძნე. ზოგი, შეიძლება, ექსტრემისტადაც მოჩვენებოდა გამოუცდელ კაცს. როგორ იპრანჭებოდნენ და კეკლუცობდნენ ეს ბანტიანი, სუფთად დავარცხნილი ფინიები, რომელთა საბოლოო ამოცანა იმაში მდგომარეობდა, ჩამოეშორებინათ ხალხი „ექსტრემისტებისგან“, „ამბიციური პირებისგან“, „პოლიტიკოსებისაგან“, დაბრუნებოდნენ ფაბრიკა-ქარხნებს, სკოლებს, უმაღლესი სასწავლებლების იდილიურ ცხოვრებას, ეშრომათ და ეღვაწათ „სოციალისტური სამშობლოს“ წარმატებებისათვის.

ზოგიერთ გულუბრყვილო ადამიანს „სუკი“ სამინისტროს კანცელარია ჰგონია და წარმოდგენა არ გააჩნია, რომ მთავა-

რი ჩინოსნები სწორედ ასეთ კეთილშობილურ საქმეს ეწევიან. ეს ბედნიერი კასტა ჰარმონიულად ათავსებს ერთმანეთთან პირად კეთილდღეობას და აქაური ზნეობის მოთხოვნებს. დიდი ამბით მსჯელობენ „პოლიტიკურ პროფესიონალიზმზე", გონიერებაზე, ერის მომავალზე და ძალიან ამქვეყნიურ მიზნებს ისახავენ.

„მასვი, შეუაშე, მალხინე, მრავალჟამიერ მათქმინე!"

ეს მშვიდობის მტრედები რომ არ არსებობდნენ, საქმე ცოტა უკეთესად იქნებოდა.

დიახ, დიახ, იმ სასიქადულო მამულიშვილებზე მოგახსენებთ, რომლებიც „ზემდგომი ორგანოების" მიერ შემოთავაზებულ ყოველგვარ ჯგუფურ განცხადებაზე კეკლუცად აწერენ ხელს, რათა „ექსტრემისტები" საზოგადოებიდან გარიყონ და გაცოფებულ მთავრობას შეატოვონ ხელში.

ღმერთო, რას არ კადრულობდა იმ დღეებში ის დიდგულოვანი ხალხი. როგორ ცდილობდნენ, საზოგადოებრივ აზრს მთავრობა დაპატრონებოდა. ვინ არ გამოვიდა იმ დღეს. რამდენი სენტიმენტალური გულუბრყვილო არსება ააცრემლა. ხელისუფლებას რა უნდა ჰქონდეს იმის საწინააღმდეგო, ასეთმა სოლიდურმა მამულიშვილებმა რომ ბრბოს ჭკუა ასწავლონ. ჯერ მარტო რენე ჭანიშვილი, ზურაბ ბერძენიშვილი, ვატატი ხრიოკიძე და ბეჟან სურამელი რად ღირს! სამ დღეს არ გათავებულა ბრძნული და კეკლუცი აზრების ფრქვევა.

ქვეყანა აირია! საჭიროა გონიერება და სიმშვიდე! ამას რა ჩიჩინი უნდა. მაგრამ ისიც ხომ ასახსნელია, რამ გადარია ეს ამოდენა ხალხი.

სამწუხაროდ, ამგვარი პრობლემების გადასაწყვეტად ტელევიზიას დიდი ნაკლი დაჰყვა. შემკითხველს ვერ ხედავ და რასაც გინდა გამოტოვებ. ყოველ შემთხვევაში, სახეზე ეტყობოდათ, ჩვენი ორატორები ფრიად კმაყოფილი დარჩნენ დებატებით. მომიტინგეებსა და მოშიმშილეებს ლამაზი სიტყვები ვეღარ დააკმაყოფილებდა. ისინი ეროვნული სუვერენიტეტის კონსტიტუციურ გარანტიებს ითხოვდნენ. საქართველოს დელეგაციას მტკიცე პოზიციის დაცვას ავალებდნენ. აქ მომზადებულ, გამოწრთობილ ოპოზიციასთან გაქვს

საქმე და ცარიელი ლაყბობით ვერ დააღწევ თავს. იურიდიული ხრიკების იმედს ნუ იქონიებ.

ინფორმაცია უსუსური და უსარგებლოა. დამქაშებს ის ხმები მიაქვთ ცეკაში, რომლებიც პირველ მდივანს ესიამოვნება. აქედან რა დასკვნას გააკეთებ. ნორმალურ ადამიანს „ჭკუის მასწავლებლები“ არ უყვარს. შენ სიმართლე უთხარი, დასკვნას თვითონ გამოიტანს. უსუსური გაკვეთილები ხალხს რა ხანია მობეზრდა. გალიზიანების მეტს არაფერს იძლევა. ტელევიზიაში კი „ჭკუის კოლოფთა“ რიგები დგას. თქვენ გაიხარეთ თქვენი ფილოსოფიით და მორალიზმით! ესენი ფარსაგიშვილის დავალებებს ისე ბეჯითად ასრულებენ, თითქოს, საქართველოს საქმეს აკეთებდნენ.

ვინც მთელი ცხოვრება სტალინის „ექვსი მითითებით“ იარა და ბრეჟნევის „მცირე მიწა“ შექსპირზე მაღლა დააყენა, ამბოხებულ ხალხს ჭკუას ასწავლის.

რას მოსთხოვ! ცეკას მდივნის ერთი ღიმილის მოსაპოვებლად ყველაფერს იკადრებს. წერა-კითხვის მცირემცოდნე აკადემიკოსი სხვების ამბიციურობას დასცინის. უსამართლო პრეტენზიებისათვის წანწალით ისე გაცვეთილა და გასვრილა, ხალხში აღარ გამოიჩინება, შენ კი ერის დამრიგებლად გამოგიყვანია. რა ხეირი უნდა დაგაყაროონ ამისთანა მქადაგებლებმა და ცრუ წმინდანებმა!

ეს იყო ბრძოლა ხალხის მასებისთვის. რომელი მხარე შესძლებდა მის მიზიდვას და გაყოლიებას: მთავრობა თუ ოპოზიცია? ხელისუფლება არსებითად სერიოზულ ინტერესს არ იჩენდა მომიტინგეთა მოთხოვნებისადმი. არ შეუსწავლია მოშიმშილეთა პოზიცია. თითქოს ვერ ამჩნევდა ცხვირწინ გაშლილ კარვებს. გადაწყვეტილი ჰქონდა, „საბიქადულო ადამიანების“ მოწოდებით დაეშალა დემონსტრაციები. პროპაგანდისტული საშუალებებით გადაეჭრა ესოდენ რთული პრობლემა. საქმის საფუძვლიან ინფორმირებას და ანალიზს თავს არიდებდა.

პირველ მდივანს თავს ეხვია არასერიოზული, სახელგატეხილი მეთაურები, რომლებიც ფუქსავატურ დამოკიდებულებას იჩენდნენ შექმნილი სიტუაციისადმი, რადგან იოლ ცხოვრებას იყვნენ მიჩვეული. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გა-

ნებივრებულ კალმოსნებს ერთი სიტყვით შეეძლოთ ხალხის დაშოშმიხება.

ერთი ტელერეპეტიტორი, რომელსაც აბიტურიენტთა დედების წყალობით გულუბრყვილო ადამიანთა შორის სახელი მოეხვეჭა, დილიდან საღამომდე რამდენჯერმე გამოჩნდა ეკრანებზე მამაშვილური მოწოდებებით, თუმცა, არც ზნეობრივი უფლება ჰქონდა, არც კომპეტენცია. რთულ პოლიტიკურ მოვლენებში ისე ურევდა ხელს, როგორც ციცხვს ქოთანში. ლაყბობა და პუბლიცისტიკა ჩვენში აქამდე არაა გამიჯნული.

რაკი ხელმძღვანელებს განუზომელი უფლებები ჰქონდათ, თავიანთი თავი ყოვლისმცოდნედ მიაჩნდათ.

ხალხის მოთხოვნებს „მაქსიმალიზმად“ ნათლავდნენ. „ერის ფიზიკურად გადარჩენის მიზნით“, ახალგაზრდობას გადედლებას ურჩევდნენ. „გაფიცვები და შიმშილობა შვილოსნობის უნარის დაკარგვას გამოიწვევს“! შეჩვეული იყვნენ დღევანდელ თანამემამულეთა ხასიათს: იყვირებენ, იყვირებენ და გაჩუმდებიან, გული აუცრუვდებათო.

ფარსაგიშვილს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ამდენი ჭკუის დარიგების შემდეგ, მოშიმშილეები და მათი თანამგრძნობები ფონიერებას მოუხმობდნენ და მთავრობის სახლის წინ მეორე დღეს კაცის ჭაჭანება აღარ იქნებოდა.

მით უფრო, რომ „სახელმწიფო მოღვაწეთა და ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელთა ჯგუფი“ პრესაში გაფიცვებისა და შიმშილობის წინააღმდეგ გამოვიდა. ბარემ, აქვეე ვიტყვი, ჩვენი დროის ქართველები ჯგუფური ხელმოწერის გიჟები ვართ. ჩაქოლვის ეს ხერხი ჩვენში გაზეთმა „კვალმა“ და სოციალ-დემოკრატებმა შემოიტანეს. შეთხზავდა ერთი ვინმე ილია ჭავჭავაძის დახვრეტის მოთხოვნის ტექსტს და ათასობით შემთხვევით პირს აწერინებდნენ ხელს. არავის აინტერესებდა, იცოდა თუ არა „ქვემორე ხელისმომწერმა“ წერა-კითხვა.

ამ ხერხს დიდი წარმატებით იყენებდნენ ათასცხრაას ოცდაჩვიდმეტ წელს და, ეტყობა, ჯოგურად აწერინებდნენ ხელს (ვინ გაბედავდა უარის თქმას!), შეგრცხვებათ, ისეთ გვარებს იპოვნით მაშინდელ ხელმომწერთა შორის.

მოხდა სრულიად საწინააღმდეგო, თითქმის სასწაული. მი-

უხედავად იმისა, რომ მთელი ღამე ცივი ქარი ქროდა და წვიმდა კიდეც, თბილისის ქუჩებს გათენებისთანავე ზვავად ეთაწყდა ხალხი.

„სასიქადულო მამულიშვილთა“ ტელედამობღვრამ ასკეცად გაამწარა ქართველობა.

თბილისს მსგავსი არაფერი უნახავს. ვერც დაიჯერებდით, რომ ამდენი ხალხის ერთად შეკრება შეიძლებოდა. აბორგებული ქუჩები ტაშისცემით მიაცილებდა ბატალიონებად შეკრულ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. ეს სურათები ადამიანთა ხელმეორედ დაბადებას ჰგავდა. არასოდეს იმდენი ბედნიერი სახე არ უნახავთ, იმდენი მტკიცე გამომეტყველება. მათ არ ერიდებოდათ ემოციების გამომჟღავნება. ისინი იღვიძებდნენ დიდი ხნის ძალიდან, რათა გაეგლიჯათ ბორკილები, დაემხოთ ცრუ ავტორიტეტები, მოსყიდული ჭკუის მასწავლებლები. რა არაამქვეყნიურად უბრწყინავდათ სახე, როცა სანუკვარი მოწოდებებით აზანზარებდნენ დედაქალაქს: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ ეს იყო მათი პროგრამა და არსებობის მიზანი.

ხალხს სუნთქვა ეკვრის. დარწმუნებულია, ქვეყანას გაღაბრუნებს. მთავრობის ბრიყვულ, დრომოჭმულ მეთოდებს ერთ მუშტად შეუკრავს.

„გაახილეთ თვალი! ნუ ტყუით! იყავით სამართლიანი! თქვენ ის არ შეგიძლიათ, რაც ბადრი უჯარმელს და ამირან ლაშქარავას შეუძლიათ. თქვენ რამდენიმე ღამე არ დაგეძინებათ, ცეკას თანამშრომელმა რომ საყვედურით შემოგხედოს. გული წაგივათ. ელეთ-მელეთი მოგივათ. სამსახურში რომ დაგაქვეითონ, ჯავრით თან გადაჰყვებით. ყველაფერს იკადრებთ, რათა ძველ ადგილზე აღგადგინონ. დაგიკარგავთ ის, რაც ყოველ ქართველს ამშვენებდა: მამულიშვილობა, ვაჟკაცობა, თავდადება“.

ნოემბრის გამოსვლებმა ხელისუფლება ჩააფიქრა. პირველ მდივანს საშიშროება აგრძნობინა. საჭირო შეიქნა ხალხთან მისვლა. ნდობის მოპოვება. საქართველოს უმაღლესმა საბჭომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ საკავშირო ყრილობაზე მხარს დაუჭერდა მომიტინგეთა, მოშიმშილეთა მოთხოვნებს. ამის დასადასტურებლად რამდენჯერმე პირველი მდი-

ვანიც გამოვიდა ტელევიზიით. უნივერსიტეტში, ინსტიტუტებშიც მოეწყო მასთან შეხვედრები. ნდობა გაიზარდა. მაგრამ შიმშილობა არ შეწყვეტილა. მთავრობის ყოველ ნაბიჯს ფხიზლად ადევნებდნენ თვალს. საეჭვოდ მოეჩვენათ გორბაჩოვისა და გილაშვილის საიდუმლო გასაუბრება კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე.

მიტინგებს, დემონსტრაციებს, პოლიტიკურ თავყრილობებს დასასრული არ უჩანდა. ყალიბდებოდა ახალი პარტიები, ჩნდებოდნენ ახალი მეთაურები, არსდებოდა ახალი გაზეთები, მოძრაობა სულს იდგამდა. ცენტრალურ ადგილებზე პროკლამაციებს აკრავდნენ. ხელისუფლება იძულებული ხდებოდა დათმობებზე წასულიყო. ახალგაზრდობა გრძნობდა საბალხო გამოსვლების ძალას. ოქტომბერ-ნოემბრის დემონსტრაციებმა ხელისუფლება საგონებელში ჩააგდო. სანქციონირებულ მიტინგებზეც დათანხმდა. მაგრამ ეს არაგულწრფელი მანევრი აღმოჩნდა. ფარულად კონფრონტაცია ღრმავდებოდა. „სუკის“ როლი იზრდებოდა. სამას-ოთხასკაციანი შიმშილობის აქცია ადასტურებს, რამდენად ორგანიზებულად და გონივრულად წარიმართებოდა ეროვნული ღონისძიებები. ხალხი აღფრთოვანებით უყურდა მხარს. გულგრილი აღარავინ რჩებოდა. მთავრობის სახლის წინ, გალერეასთან, პროსპექტზე განუწყვეტლად შლიდნენ ზეწრებს სახსრების შესაკრებად და ორიოდე წუთში პირთამდე ივსებოდა. რა ბედნიერი სახით, უყოყმანოდ იღებდნენ შესაწირავს. ესენი სიცოცხლესაც ასევე არ დაინანებდნენ. იგრძნობოდა, ნაცადი მეთაურები ჰყავდათ და მზად იყვნენ უკიდურეს განსაცდელში გაჰყოლოდნენ მათ. ხალხში მათ სახელებსაც გაიგონებდით. ნუგეშით, თაყვანისცემით წარმოთქმულს. რეპრესიებს, უკანასკნელ ლანძღვა-გინებას, რომელსაც ხელისუფლება მიმართავდა. დევნილთადმი სიყვარული, რწმენა და თავდადება გამოეწვია. მთავრობა უწმინდურ ცილისწამებასაც აღარ ერიდებოდა. არაქართველ მოსახლეობაში რომ სიძულვილი გამოეწვიათ, ხმა გაავრცელეს, თითქოს მოშიმშილეები არაქართველების 'გასახლებას მოითხოვდნენ.

მეთაურები დიდი ხელოვნებით იყენებდნენ იმ ერთ-ორ-

წუთიან გამოსვლებს რომლის უფლებასაც ტელევიზია აძლევდა. აქარწყლებდნენ ჭორებს, გზას უჩვენებდნენ ხალხს. ცხადია ასეთ გულმტკივნეულ, თავისუფლების სულით გამსჭვალულ სიტყვებს სულ სხვა გავლენა ჰქონდა საზოგადოებაზე, ვიდრე ჭკუისდამრიგებელთა გაფუყულ, ფარისევლურ ერთსაათიან ტელელექციებს.

ხელისუფლებამ კარგა ხნით ადრე სცადა საპასუხო პოლიტიკური ღონისძიებების მომზადება. ამ მიზნით დააარსეს რუსთაველის საზოგადოება. ყოველი ქართველისთვის სათაყვანო სახელების შებილწვასაც არ მოერიდნენ. მაგრამ საზოგადოება არ წამოეგო სატყუარას. თაოსანთა ვინაობის მიხედვით მალე გაიშიფრა ეს საიდუმლო. ხალხი თვალს ადევნებდა, ვინ სად მიდიოდა ინსტრუქციის მისაღებად.

ხალხის იმ ნაწილს, რომელიც გატაცებით მონაწილეობდა მიმდინარე მოვლენებში და უნარი შესწევდა საღი დასკვნები გამოეტანა, წლის ბოლოს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ სადავეები ეროვნული ძალების ხელში გადადიოდა. ისინი გონივრულად მოქმედებდნენ, რეალობის გათვალისწინებით, შინაური და საერთაშორისო ვითარების ზუსტი გაანგარიშებით. აწონილ-დაწონილი სითამამით და სიდინჯით. ისინი არც კისრისტეხით მოქმედებდნენ, არც ზოზინით. ხალხი გრძნობდა თანაბარზომიერებას და ხალისით, ენერგიით მიჰყვებოდა ტემპს. სჯეროდა. არ ნერვიულობდა. შიში და ეჭვი არ იპყრობდა. ნდობით იმსჭვალებოდა.

გაავლის რამდენიმე თვე, და, სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი იტყვის: „რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საზოგადოებრივ აზრს ოპოზიციის ყველაზე რადიკალური ფრთა დაპატრონებოდა“.

აქ გათვალისწინებული არაა „ისტორიის ჩარხის ტრიალი“, „ყველაზე რადიკალური ფრთის“ სტრატეგიისა და ტაქტიკის ხელოვნება.

კეთილმსახურებას პატიოსნება, უანგარობა და თავდადება ამკობს. ჩვენი ეროვნული მოძრაობა ძირძველ ფესვებზე აღმოცენდა. ახალი დროის მოციქულებად მრავალი ტანჯულნი ნოგვევლინენ.

: თქვენ მოითმენდით?!
თქვენ გაუძლებდით?!
მათ გაუცლეს. გადაიტანეს. დაგვიბრუნდნენ.

2.

ბეჟან სურამელს იმ დროიდან ვიცნობთ, როცა მან კერძო საბინაო მშენებლობა გააჩაღა თბილისში, საქართველოს სხვა ქალაქებშიც ფეხი მოიკიდა და საქმიან წრეებში ადგილი დაიკავა.

მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი მნათობი ჩაესვენა და ბევრი ახალი გამობრწყინდა, რომელთა შორის ბეჟან სურამელი არავისზე ნაკლებ არ კაშკაშებდა. დღეს იგი მხოლოდ უმდიდრესი თბილისელი კი არ ბრძანდებოდა, არამედ „სასიქადულო მამულიშვილიც". ხელისუფლების ბურჯი, მეცნიერებისა და ხელოვნების თავკაცი. ამა ქვეყნის მეუფეთა ნათესავი და პირველი მრჩეველი.

ბინის სპეკულაცია, კერძო მშენებლობა და გაცვლა კი აღარ აკმაყოფილებდა, არამედ ფარული საერთაშორისო გარიგებებით, ქარხნებისა და აქციების შეძენითა და დაბანდებებით იყო გართული, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საბჭოთა კავშირს გარეთ.

დიახ, პატივცემულო მკითხველო! თქვენ წარმოდგენა არ გაქვთ, რა ხდება ამ სფეროში! რა მასშტაბი მიუღია ჩვენში საერთაშორისო აღებმიცემობას, კერძო კაპიტალის დაგროვებას, რა ძალა მოუხვეჭავს დოლარებსა და სტერლინგებს. რას გვიქადის ხვალინდელი დღე.

ბეჟან სურამელმა რამდენიმე გაკოტრებული ქარხანა იგდო ხელთ. ჯერ იმას მიაღწია, არარენტაბელურად გამოეცხადებინათ და მისი ცრუმაგიური კომპანიონებისთვის იჯარით გაეფორმებინათ. მაისში ევროპაში იმოგზაურა. ხმა გავრცელდა, სამკურნალოდ მიდისო. რა თქმა უნდა, გამორიცხული არც ეს არის; ამ ასაკში სამედიცინო დახმარება ვის არ სჭირდება. მაგრამ მოავარი მიზეზი მოგვიანებით გაირკვა. საერთაშორისო გაკითხვ-გამოკითხვის საშუალებით ბეჟანს

დაედგინა, რომ კრიტიკულ ასაკს მიღწეული შორეული ნათესავი, რომელსაც უცხოეთში კარგა მემკვიდრეობა რჩებოდა, მოხუცებულობის წლებს მონპელიეს პანსიონში ატარებდა. საჭირო დოკუმენტებით შეიარაღდა და... უარს ვინ ეტყოდა: მისთვის სასურველ დროს კარს მიადგა.

ნათესავებმა ერთმანეთი მოიკითხეს. წიწაპრები, საგვარეულოს ბურჯები გაიხსენეს და მოკლე ხანში საქმე ისე დაწინაურდა, რომ სანუკვარი მემკვიდრეობის საქმე საცაა პრინციპულად უნდა გადაწყვეტილიყო.

აქ ჩვენს გმირს, ნერვებმა უღალატა, სულმა წასძლია და მოუსვენრობით შეპყრობილმა მოხუცს დაჟინებით დაუწყო თხოვნა, ახლავე ხელი მოეწერა ანდერძზე.

ბეჟან სურამელი ბრიყვი, წინდაუხედავი კაცი არ გახლდათ, მაგრამ სიხარბე რას არ ჩაადენინებს ადამიანს. მოხუცს საეჭვოდ ეჩვენა „მემკვიდრის“ ჩაცივება და თანდათან რწმუნდებოდა, რომ ასეთ ნათესავებთან ურთიერთობაში სიფრთხილე მართებდა.

ბეჟან სურამელი იმედს წუთითაც არ კარგავდა. ეს ამოდენა „ვალუტა“, როგორც დღეს სულისშეგუბვით წარმოვთქვამთ, ხელიდან არ გამოსცლოდა. ყოველი ღონისძიებით ცდილობდა, ნათესავთან კონტაქტი შეენარჩუნებინა და, ისე რომ მას არ შეემჩნია, საქმეში ერთგული შუამავლებიც ჩაერთო.

— ანდერძი განაღდებულია. — კმაყოფილებით თვალი ჩაუკრა ჩვენმა ნაცნობმა რენე ჭანიშვილმა, რომელიც იმ დღეს ჩამოფრინდა პარიზიდან. — ვისაც იქ რამე გავლენა აქვს, „ბიძაშენი“ დაარწმუნეს, რომ იმისი სიმდიდრე საამაყო მემკვიდრეს რჩება. ისიც მოვიძიე, სად შეიძლება მეტი სარგებლობით დავაბანდოთ ეს ქონება.

რენე კულტურის ფრონტზე მოღვაწეობდა, „დამწვარ მამულიშვილად“ ითვლებოდა. დიდი სახელი და ნდობა მოეხვეჭა. დილით რომ რუსთაველზე შეხვდებოდით, საღამოს ვაშინგტონში, ლონდონში ან ტოკიოში მიფრინავდა. იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთათვის არასდროს „რკინის ფარდა“ არ არსებულა და საბჭოთა კავშირი ყველაზე ფავისუფალი, დალხინებული, უზრუნველყოფილი ქვეყანაა პლანეტაზე. მათ არაფერი აკლიათ. ყველა სიმპოზიუმები, კონგრე-

.სები და ფესტივალები ფიანდაზადაა გაფენილი. ისინი არაფრისთვის პასუხს არ აგებენ. არაფრისა ეშინიათ. მათ ყველა აქებს და ადიდებს. ყველაზე ნიჭიერნი არიან. ყველაზე ზრდილობიანი და განათლებულნი. ყველაფრის უფლება აქვთ. რაც მოესურვებათ, იმას იქმენ. მათ მაგივრად სხვებს მოსთხოვენ პასუხს.

— ეჰ უნდათ თავდაყირა დააყენონ ცხოვრება, — შეჩივლებასავით წარმოთქვა ბეჟან სურამელმა. — შიმშილობა და გაფიცვები დაიწყეს. არავინ იცის, როდის ჩადგება კალაპოტში. კაი დროს ჩამოგვისწარი.

— გავიგე ყველაფერი. იქაც ბევრს წერენ ჩვენს დღევანდელობაზე. ამას ხელმოცარულები სჩადიან. მეტი სიმშვიდე და კულტურაა საჭირო.

— შენგან არ მიკვირს!? ერთ დღეში აპირებენ, რასაც დასავლეთმა ათასი წელი მოანდომა.

— დაგვღუპავს ჩვენ აჩქარება.

— „პირველი“ ძალიან შეშფოთებულია. ქვეყნის ბედი აფიქრებს. ასე თუ გაგრძელდა, არ გვაპატიებენ.

— არ ვენდობით ერთმანეთს. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი. გაირყვნა, გაზარმაცდა ხალხი. ახლა ძლივს შეიქმნა საქმიანი ცხოვრების პირობები და თავი წამოჰყვეს უსაქმურებმა. ვერ გააგებინებ, რომ სიწყნარე და გულმოდგინე შრომა გვჭირდება!

— ჩვენში საქვეყნო საქმეებს უხუცესთა საბჭო განაგებდა. დღეს ძუძუმწოვრები თითს გვიქნევენ და ჭკუას გვასწავლიან.

— არა უშავს, მალე მობრუნდება ის დრო, შიშით რომ ხმას ვერ იღებდნენ.

რა ნაკლიც არ უნდა უპოვოთ, ბეჟან სურამელსა და მისებანებს ფატალური შეგრძნების უნარს ვერ წაართმევთ. ალღოთი ატყობენ, ვინ როდის, სად გამოადგებათ.

— შარზე არიან. ხან ტრანსკავკასიის რკინიგზას მივარდებიან, ხან უდაბნოს მონასტრებს, — ზიზღით წარმოთქვა ბეჟან სურამელმა.

— შედეგმაც არ დააყოვნა. თბილისიდან მოსკოვში კაცს

ალარ უშვებენ მივლინების გარეშე. გუშინ სამოცი კაცი გადმოუსხამთ თვითმფრინავიდან.

— დროა, ახალგაზრდობამ გონებას მოუხმოს!

— მინდოდა, თბილისობისთვის ჩამომესწრო, მაგრამ მოულოდნელად ვენეციაში მიმიწვიეს.

— ბევრი არაფერი დაგვიკარგავს. წლევანდელი თბილისობა იმას ალარ ჰგავდა, რაც გინახავს. დაქვეითდა წესრიგი და დისციპლინა.

* * *

დედა-შვილმა მძიმე ღამე გაათენა გაზეთ „კომუნისტის" კომენდატურაში. რამდენჯერმე მოსულიყვნენ რედაქტორის სანახავად და მუდამ უარით ისტუმრებდნენ. ხან — ცეკაში გამომიძახესო, ხან — მოსკოვშიაო. თათბირზეაო ერთი სიტყვით, ისე, როგორც იცოდნენ და იციან. როგორც სისხლსა და ხორცში გასჯდომიათ.

დედას გამკაცრებული, მოქუფრული და ზრუნვით დაქანცული სახე ჰქონდა.

მანერებით, ფიქრიანი გამომეტყველებითა და თავდაჭერით ეს ქალი კარგი ცხოვრებისთვის იყო გაჩენილი. მთელი არსებით გრძნობდა და განიცდიდა, რომ ღირსეული ცხოვრება ეკუთვნოდა, მას კი ერთი დღის მყუდროებაც არ ღირსებია. მშვენიერი ქალიშვილი, სათუთი, მთრთოლვარე ვიოლა, რომელიც ყოველ საქმეში ზხარშ. ედგა დედას, ობლობაში ჰყავდა გაზრდილი. მათი უბედურება ის იყო, რომ სხვის საქმესაც ისე მტანჯველად განიცდიდნენ, როგორც საკუთარს. არ შეეძლოთ, გაჭირვებულისთვის, დაჩაგრულისთვის გულგრილად ჩაევლოთ გვერდზე. დიახ, ასეთი გულმტკივნეულობა და სათნოება უზომო უბედურება გახლავთ იმ ეპოქასა და იმ ქვეყანაში, სადაც მგლის კანონები გამეფებულა. ბუნებით ჩუმ და მოკრძალებულ გოგოს, უსამართლო შემთხვევას რომ შეესწრებოდა ან ამბად გაიგებდა, გაშმაგება იპყრობდა და როცა დახმარებას ვერ ახერხებდა, საშინელ სასოწარკვეთაში ვარდებოდა. უარეს შემთხვევებსა და ამბებს ჩვენს საზოგადოებაში რა გაათავებდა და ვიოლას ტანჯვას

შ მაუბუქება არ ეწერა. ამას, სამწუხაროდ, ისიც დართვოდა, რომ საბრალოს ჟურნალისტური განათლება მიეღო და ერწმუნებინა, რომ კეთილშობილურ პროფესიას ემსახურება და არასოდეს არ უნდა უღალატოს. გამოსაშვებ საღამოზე რამდენიმე იდეალისტს ფიციც დაედო, არასოდეს განსაცდელში არ მიეტოვებინათ დევნილი და დაჩაგრული ადამიანი.

სინამდვილეს გულმართალი ქალიშვილი მალე დაერწმუნებინა, რომ ჩვენი ცხოვრება სიბინძურითაა სავსე და უსამართლობასთან ბრძოლა პირად ბედნიერებაზე ხელის აღებას მოასწავებს.

იმ კუთხეში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ისე, როგორც ყველგან, შემზარავი უსამართლობა მძვინვარებდა: კაცის კვლა, ძარცვა-გლეჯა, ქრთამები, რბევა და ყოველი ღვთისგარეგანი საქმე.

აღსდგა დედა-შვილი. შეერკინენ ბოროტების სამყაროს და დაირაზმა ეს ბოროტი სამყარო თავისი ბნელეთის დასაცავად.

დაკარგა დედა-შვილმა მოსვენება და სიმშვიდე, მაგრამ არ ჰკარგავდნენ გამარჯვების რწმენას. ჯიუტად სჯეროდათ, რომ სიმართლე გაიმარჯვებდა, თუმცა, ცხოვრება ამის არავითარ საფუძველს არ იძლეოდა. განცხრომაში იყვნენ მხოლოდ უგულო, უსინდისო, უპასუხისმგებლო, ადამიანობადაკარგული სულიერები.

ეძიებდე და ჰპოვებდე! შორიდან შესციცინებდნენ თავიანთ ოცნებას და შეჰხაროდნენ იმ სანატრელ დღეს, როცა უსამართლობა და უსამართლოდ დაჩაგრულნი აღარ იქნებოდნენ.

ვიოლა თეთრებში იყო გამოწყობილი. ყელზე დიდედის სახსოვარი მარგალიტის მძივი უელავდა. კბილებიც მარგალიტებს გასჯიბრებოდა. სისპეტაკეს აფრქვევდა მთელი მისი არსება.

დღე-ღამემ უნუგეშოდ ჩაიარა. რედაქტორი არ გამოჩენილა. კომენდატურა საშვის მიცემაზე უარს აცხადებდა, სანამ რედაქტორი არ დარეკავდა.

დედა-შვილს წარმოდგენაც არ შეეძლოთ, რომ რედაქტორს შეეძლო საიდუმლო კიბით შესულიყო თავის კაბინეტ-

ში და მაშინ, როცა ისინი ფეხზე წყდებოდნენ, ღია სარკმლიდან გულგრილად ეცქირა მოედნისთვის.

ყოველ ნახევარ საათში ვიოლა ფეხაკრეფით მიდიოდა მორიგესთან და თხოვნასავით ეკითხებოდა, ხომ არ დაურეკავს რედაქტორს.

მომდევნო დღეებში „პასუხისმგებელმა მუშაკებმა“ რამდენიმე თავდასხმა მოაწყეს „ინტრიგან“ (მომჩივან!) დედა-შვილზე, რომლებიც პროვოკაციულად სახელს უტეხენ „ლენინურ პარტიას“. აიძულებდნენ მათ, უარი ეთქვათ საჩივარზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში გიჟად გამოგაცხადებთო, ემუქრებოდნენ.

ამასობაში ინათა. დედა-შვილმა კიდევ ერთი სიმწრის ღამე გაათია „კომუნისტის“ რედაქციაში. წუთით არ მოუხუჭავთ თვალი. იწვიმა. გადაიქუხა.

ლიფტით რედაქტორის პირადი მდივანი ჩამოდის. ვიოლას თანაკურსელი. ეტყობა, მშვენივრად გრძნობს თავს. კისკისით ჩაუვლის გვერდით, თითქოს, ვერც კი ხედავს.

ვიოლა და დედამისი სხედან და ელიან.

ნეტავ სკეპტიკოსი ყოფილიყო, უფრო იოლად შეურიგდებოდა იმედების გაცრუებას. არ იცოდა, რომ ქვეყანა სავსეა ასეთი უსამართლობით. ბოროტება არხეინად პარპაშებს, დაუსჯელობა არავის უკვირს და ნერვები არ უნდა აიშალო. სულერთია, სხვისთვის მაინც არავინ თავს არ შეიწუხებს.

რაიკომის მდივანი, რომელსაც დედა-შვილი უჩიოდა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ გადაიყვანეს. მაშასადამე, ყველა დანაშაული წყალს გაატანეს.

დამშვიდდი, უმანკო სულო! დარდს ნუ შეეჭმევინები. შენი სუსტი ხელებით პირჯვარი გადაიწერე და განგებას დაელოდე.

საღამოს ყავაზე უმკითხავეს. „ურჩხულს ბევრი კარგი ადამიანი ჩაუყლაპავს. ახლოვდება თავისუფლების ჟამი. მოდის კეთილი სული, რომელიც მას მუცელს გაუფატრავს და გადაარჩენს ქვეყანას!“

* * *

„ჩემთან გადმოდიო“, — ანიშნა მიქელა ბარნაბიძემ ზებედეს.

ისინი ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციას ესწრებოდნენ და, როგორც ყველა, შეშფოთებული იყვნენ საზოგადოებრივი ვითარებით.

ყოველ წუთს შეიძლებოდა, რაღაც გაუთვალისწინებელი და გამოუსწორებელი მომხდარიყო.

— ცუდადაა საქმე. — მოუთმენლად წასჩურჩულა, როგორც კი ზებედე გვერდით დაუჯდა.

— რა მოხდა?

— სახელმწიფო გადატრიალება შემოგვაპარეს „გარდაქმნის“ ნიღბით.

— როგორ გავიგოთ? — მკაცრად შეეკითხა ზებედე.

— არ გესმის, სახელმწიფო გადატრიალება რას ნიშნავს? — გაბრაზდა მიქელ ბარნაბიძე. — კომუნიზმის მოსპობას. საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. ლენინ-სტალინის მონაპოვარის უარყოფას.

— რა მონაპოვრებზე შელაპარაკები?! — გამწარებით მიახალა ზებედემ. — გახრწნა-გადაგვარება, ეკონომიური, პოლიტიკური, ზნეობრივი და სულიერი დაცემა მონაპოვრებია?!

ბარნაბიძე აიმღვრა და გაშავდა. მთელი ცხოვრება პარტიის ერთგულებაში გაეტარებინა და სასინანულოც არაფერი ჰქონდა. კარგი თანამდებობები, მოსამსახურეები, ბინები თუ აგარაკები, ტიტულები, სურვილების ასრულება. ისეთს რას ინატრებდა, არ გაეჩინათ. თვითონ არაფერი მოეთხოვებოდა, გარდა იმისა, რომ „მტკიცედ მდგარიყო“ გენერალურ ხაზზე.

— გადაირიე, კაცო?! — მუქარით მიაჩერდა ზებედეს. „ესეც შემოპარული ყოფილაო“, გაიფიქრა, მაგრამ ისეთი აღშფოთება და გაბოროტება შეატყო. რომ ჩხუბის ხალისი დაკარგა.

— ყაჩაღური ხელისუფლება და პარტიაა. უზნეო, უსამართლო, ანტიადამიანური. — თავს ვეღარ იკავებდა ზებედე. — შემარცხვენელი. აბა, მითხარი, რას ხედავ საქებარს!?

— პირადი უკმაყოფილება დავივიწყოთ! — წაილუღლუღა ბარნაბიძემ.

— მე პირადი უკმაყოფილება მალაპარაკებს?! ჩემს ზურგზე მაქვს გადატანილი მთელი ამათი სიბინძურე. შენ იცი, რა გზით გაიმარჯვა ბეჟან სურამელმა?! რა გზით მიიღო მორიგი პრემია?! ჯაშუშობით. ქრთამებით. ჩაწყობებით. ღალატით. ადამიანი რომ ხარ, შეგრცხვება. ქართველი რომ ხარ, შეგრცხვება. ვინ მიიყვანა ჩვენი ხალხი ამ გახრწნილებამდე!? ეს ტრაგედიაა! დეგენერაცია! ამ ქვეყანაში ვერცერთი ღირსეული ვერ ეღირსება დაფასებას. სიცრუის, სიყალბის. დამბეზღებლების სამყაროა. აბა, სცადეთ, თუ სადმე იპოვოთ სიმართლე! ეს ქვეყანა უნდა დაიქცეს. შური, ღვარძლი, ეგოიზმი ახრჩობს ყველაფერს.

— დაწყნარდი, თუ კაცი ხარ! ახლა პირადი ანგარიშსწორების დრო არაა!

იმ მომენტში, როცა დაჯილდოების საქმე წყდებოდა, ცეკას მდივანმა, ფარსაგიშვილმა, ვერაგულად ჰკითხა:

— გვითხარი, რით შეგვიძლია დაგეხმაროთ?

ზებედე შეკრთა. უყურა, უყურა და თავი ჩაღუნა. მიხვდა, რას ნიშნავდა ეს „თავაზიანი წინადადება“.

— გმადლობთ. თქვენი დახმარება არ მჭირდება.

„დამოუკიდებლობა მოინდომე?! ძალიან კარგი! მაშინ ნულარ წუწუნებ და ბედს ნულარ ყვედრი!“

* * *

შემოდგომაზე თბილისის მასობრივი გაფიცვებისა და შიმშილობის ფორიაქში მთიანი ყარაბაღის საგანგაშო ცნობებიც გაჟრია.

ამან თავზარი დასცა ყველას, ვინც ეროვნებათაშორის სიძულვილისა და მოურიგებლობის საშიშროება იცის. ამას ხომ დასასრული არ ექნება. არცერთი მხარე დამარცხებას არ შეურიგდება, ერთმანეთს ქედს არ მოუხრის. ამაზე უთქვამთ: კარგ ომს ცუდი ზავი სჯობიაო. ნუთუ, სხვა გამოსავალი არ არსებობს?!

მშვიდობით ნორმალურო ცხოვრებავ. ტერიტორიული მო-

..
თხოვნებით გამოწვეულმა სისხლისღვრამ ბოლო არ იცის. ორივე მხარე ერთნაირად მენანება და მებრალება, კიდევ უფრო მეტად, ჩვენი თავი. ყარაბაღი „ყურის ძირშია". ერთ დროს ჩვენი ისტორიის ნაწილად აღიქმებოდა. ერთი გადაძახება მანძილია. ღმერთო, ყველა დაგვიფარე განსაცდელისაგან. ძალიან სახიფათო „გარდაქმნებია!" ვერ გაიგებ, რა რისგან და საიდან მოდის. ვისი ჩაფიქრებული და ამოძრავებულია. ასეთი მოვლენებისგან ხალხები ზარალდებიან. ნუთუ, ეს მსხვერპლი დემოკრატიისთვის გაღებული მსხვერპლი იქნება?! რა გარანტიაა, რომ, რაკი ერთი აიწყვიტა, ჩვენსკენ არ დაგორდება და მორევში არ ჩაგვითრევს?!

ახლავე უნდა ჩაქრეს აბრიალებული ბზე და თივა. მერმე სულ უფრო გაძნელდება. გონივრული მორიგების გარდა, აქ სხვა გზა არ იპოვება. აქ მხოლოდ მოკლე დროით შეიძლება უპირატესობის მოპოვება. ისიც დიდი მსხვერპლით. დამპყრობლები რომ შემოვიდნენ, ჩვენს მეზობლებს უხვი საჩუქრები დაურიგეს საქართველოს ხარჯზე, მაგრამ მაინც თავშეკავების სიბრძნე გვმართებს. შურისძიება ცუდი მრჩეველია.

მეზობლების ჩხუბი უსინდისო, წინდაუხედავ ადამიანებს უხარიათ.

* * *

იმ დღეს მეთერთმეტე კლასის მოსწავლე მარიკა ჩოხელს დააგვინდა სკოლიდან მოსვლა.

ახალგაზრდა დედ-მამა, მაუდის ფაბრიკის თვინიერი მუშები, ერთ ხანს შინ, ნესტიან სარდაფში ელოდნენ შვილს. როცა ჩამობნელდა, მაღლა ამოვიდნენ და დაუფარავი მღელვარებით დაიწყეს აქეთ-იქით სიარული.

მარიკა დედისერთა გახლდათ. ბეჯითი, მშობლების გამგონე და მეტისმეტად მოხათრებული. კარგად სწავლობდა, მაგრამ ფრიადოსნად არ ითვლებოდა. ოჯახს რეპეტიტორის საშუალება არ გააჩნდა, ისე კი, ღარიბი ოჯახის შვილს ფრიადოსნობას ვინ აღირსებს! ეს ბედნიერება პირველი კლასიდანვე დაჯავშნული აქვს რამდენიმე გამორჩეული ოჯახის

შვილს. თავი დააკალი თუ გინდა, მაინც არაფერი გამოვა. ყმაწვილისთვის მძიმე ასატანია დაჩაგრულობის განცდა. გოგონა სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა, მაგრამ იმედი არ ჰქონდა. იმ დროს დაფარული აღარ იყო, რა ილეთებით ხდებოდა ეს. მიუხედავად რექტორების გატყლარჭული სატელეფონიო დაპირებებისა, მდგომარეობა წლითი წლობით უარესდებოდა. ქრთამის აღარავის რცხვენოდა.

„მამულიშვილები" თავზე საყრელად გვყავდნენ, მაგრამ ჩვენს უბედურებებზე ხმის ამომღები არავინ ჩანდა. ვისაც ხმის ამოღების უფლება ჰქონდა, იმას ჩიტის რძე არ აკლდა და სხვისთვის აუტკივარ თავს რატომ აიტკივებდა! თავიანთი შვილები საცა უნდოდათ და როცა უნდოდათ იქ გადაჰყავ-გადმოჰყავდათ. რაც შეეხება ხალხს, უბრალო ადამიანებს, ის „ბრძნული აზრი" იყო ფეხმოკიდებული, სავალდებულო არაა, ყველამ ისწავლოს და ინსტიტუტი დაამთავროსო.

— ხვალ პარტკომში ხარ მისასვლელი, — შეახსენა ცოლმა. — ამ დარიგებაზე მაინც ვეღარ უნდა გვითხრან უარი. დაგვეტანჯა გოგო ნესტსა და სიბნელეში. ნეტავ დამამთავრებელ გამოცდებამდე მოესწრებოდეს. გაიხარებს, ხალისიანად წაემზადება ინსტიტუტისთვის.

ოცდახუთი წელია საბინაო აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ ომის მონაწილისა და რეაბილიტირებულის ოჯახის წევრები. ვიოლას პაპა ათასცხრაას ოცდაჩვიდმეტში დაეპატიმრებინათ. მის ბინაში შინსახკომელი ჩაესახლებინათ. დაწიოკებული ოჯახი ამ ჯურღმულში ჩამოერეკათ.

რიგმა არაერთხელ მოუწია, მაგრამ ორდერის გამოწერისას მუდამ რაღაც მიზეზი გამოჩნდებოდა ხოლმე და მათთვის განკუთვნილ ბინაში სხვას ასახლებდნენ. თვითონ მიხვდებით, რამდენი სიმწარე გამოუცდიათ ამ უსამართლობის გამო. გოგონას ერთხელაც ვერ მოეწვია სკოლის მეგობრები. არც იცოდნენ სად ცხოვრობდა კეთილი, მოსიყვარულე თანაკლასელი. ამხანაგებში არ იმჩნევდა თავის გასაჭირს, მაგრამ მარტო დარჩენილს, ხშირად წასკდომია ცხარე ცრემლი.

თანშეზრდილმა ჭაბუკმა მოაცილა.

— მხატვრულ თვითმოქმედებაზე შეგვაგვიანდა, — ბოდიშივით წარმოთქვა ქალიშვილმა. სწუხდა, რომ მშობლებს აცდევინა...

* * *

იწურებოდა მღვრიე, ავბედითი ათას ცხრაას ოთხმოცდა რვა.

განუწყვეტელი პრობლემებით. აპარპალებული ვნებათა ღელვით. სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ ბანაკებით. გათიშული, დაბნეული, უპატრონო საქართველოთი. ერთმანეთზე მისეული „მამებითა და შვილებით“. იხლართებოდა ერთმანეთზე მზაკვრული ათასგვარი ინტრიგა. წინასწარ პირს იტკბარუნებდნენ ნაწრთობი მტრები, ხილულნი და ოსტატურად შენიღბულნი. გაიძვერული ალიანსებით. ინსპირაციებით. უნიჭო, უთავო, უპასუხისმგებლო „ხელმძღვანელებით“. ფულისმკეთებელი, სიმდიდრეს გადაყოლილი, პრანჭია მამულიშვილებით. მათი მათაყვანებელი „კაროჟნებით“. მტრის ვერ მცნობი, მოყვრისმგმობი პარტიელებითა და კომკავშირლებით. ქართველთა შორის შუღლის ჩამოგდების დიდოსტატებით. შინ და გარეთ მაგინებელი და მაწყევარი საერთაშორისო კლასის ავანტურისტებით.

ჩვენ თავს ვაკლავდით სიცრუეს. მტერი მოყვარედ გვეჩვენებოდა, მოყვარე მტრად. ჯაშუშები სხვებს აბრალებდნენ ჯაშუშობას. მოღალატეები — ღალატს.

სახრჩობელას გვიმზადებდნენ, როგორც „სტალინის ერს“, ჩვენ კი, თავგამოდებით ვმალავდით სიმართლეს, რომ სტალინი ქართველი კი არ იყო, არამედ — საქართველოს ჯალათი.

ხმის ჩახლეჩამდე „ხალხთა მეგობრობაზე“ გაპყვიროდნენ, პირს მიიბრუნებდნენ და ხითხითებდნენ. ასე მივყავდით „ეროვნული კონსოლიდაციისა და ერთიანობისაკენ“, როგორც ფარისეველთა და დაქირავებულთა წესია.

ისინი ენერგიულად იბრძოდნენ საქართველოს დასაქცევად. ქართველთა წასაკიდებლად. ორთოდოქსი კომკავშირლების წასაქეზებლად. სააკაძის მოედანზე ცრუკომკავშირლებმა და ცრუსტუდენტებმა ცხვირპირი ჩაუმტვრიეს კეთილშობილ პატრიოტებს. რჩევა-დარიგებას არბატზე „ჩაის სახლში“ იღებდნენ ლიგაჩოვისა და მისი მოყვრებისგან. ქართველებს არაქართველებთან კონფლიქტს უწყობდნენ. „მუ-

შებს“ მშვიდობიანი ხალხის დასარბევად კეტებს აჩრიდნენ ხელში. გადამთიელები „ხალხთა მეგობრობის“ მზეს ფიცულობდნენ და ამ ქვეყნის შვილებს ჭკუას ასწავლიდნენ.

მწერალთა კავშირში „ხალხთა ძმობისა და მეგობრობის“ საღამოები იმართებოდა. წერა-კითხვის მცირემცოდნეები „მსოფლიოს საზოგადოებრიობის სახელით“ ერებს მშვიდობიანი თანაარსებობისკენ მოუწოდებდნენ. მეზობლები გეგმაზომიერად საზღვარს ცვლიდნენ და შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზს ამზადებდნენ.

ერთი კალმოსანი, რომელიც მიღებაზე გააშავეს, კომისიის თავმჯდომარის მეუღლეს მადლობას აბარებდა ქმართან. რისთვის? გაშავებისთვის?. არა, წინდახედული ყმაწვილი ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა:

წინა წლის ზაფხულს თბილისს ეწვია პოლიტბიუროს წევრი ლიგაჩოვი. ერთი ამბავი დააწია: ცნობილი ანსამბლის ხელმძღვანელი გააგდო. კაფე-ბარები დახურა. ქართველობას ნაციონალისტობა დასწამა. ყაზახეთისა და საქართველოს პარალელით ალმა-ათის ხოცვა-ჟლეტა შეგვახსენა. სხვა ეროვნების „ინტერესთა შელახვისათვის“ თითი დაგვიქნია. უნივერსიტეტის სტუდენტთა პროცენტულმა შემადგენლობამ, ლიგაჩოვის სიტყვით, სერიოზული ზიანი მიაყენა ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ და ზნეობრივ „აღზრდას“. ამის შემდეგ გაჩნდა „ჩაის სახლი“ არბატზე და იქაური ბანკეტები.

„მიუხედავად მძიმე მეტეოროლოგიური და ტექნიკური პირობებისა“, საქართველო ვადაზე და გადაჭარბებით ასრულებდა გეგმებსა და ვალდებულებებს.

ცეკა ენერგიულად იბრძოდა „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად“. აუმჯობესებდა „პოლიტიკურ და აღმზრდელობით მუშაობას“. ადმინისტრაციული განყოფილების მოსაცდელი კი გატენილიყო შვილმოკლული დედებით.

რესპუბლიკა ძლივს ითქვამდა სულს. უსამართლობით ქანცგაცლილი ხალხი გათანგული ელოდა ცვლილებებს, რომლებიც არა და არ ჩანდა. პრობლემებს გვერდს უვლიდნენ. საღ აზრს შეყვირებით ახშობდნენ.

სტალინურ ტრადიციებს კბილებით იცავდნენ. რეაბილი-

ტაციებს აყოვნებდნენ და დაბეჯითებით ავრცელებდნენ ხმებს, გენერალისიმუსი დაგვიბრუნდებაო. „კულტის“ ხსენება პოლიტიკურ დანაშაულად ცხადდებოდა. ძველმა მეხოტბეებმა თავი წამოწიეს. მრჩეველთა და მოძღვართა სავარძლებში მოკალათდნენ. ბელადის ავადმახსენებლებს პენსიაში გასვლას სთავაზობდნენ. „ფორმალურ გაერთიანებებს“ ბნელ კუთხეებში ერეკებოდნენ. ცენტრალურ კომიტეტში „თავისუფალი მიღების“ დღეები გაუქმდა და კარები ყრუდ ჩაკეტეს. ყველგან და ყველაფერში სიფხიზლესა და სიფრთხილეს იჩენდნენ.

ოპოზიციას პირში ბურთს სჩრიდნენ. რუსთაველის საზოგადოება მოთვინიერებული ებათ. ხოლო „სახალხო ფრონტის“ ორგანიზება არასდიდებით არ ხერხდებოდა.

* * *

...დეკემბერს ზებედე ქარცივაძე წინადღის ქრონიკას იწერდა. საოცარი დრო მიედინებოდა. მოულოდნელი ამბებით დახუნძლული. ფხიზლად იყო, არაფერი გამორჩენოდა. საკუთარი თვალით დანახულსა თუ გაგონილს ახლოდან უკვირდებოდა. მძაფრად განიცდიდა.

რაც იმ წუთს მოხდა, დაბეჯითებით აღარ შეუძლია აღადგინოს. თითქოს წინასწარ იგრძნო. რაღაც იდუმალი სიგნალი მიიღო. იქნებ, შემდეგ გაფორმდა შეგრძნება და აზრი...

გაატრეოლა. ერთბაშად ჭერის კუთხემ გაიკრიალა და ოთახი შეტორტმანდა. მაგიდიდან ნაწერი ფურცლები აფრიალდა.

ზაფრა აზრშეუვლებად მოვარდა.

„მიწისძვრა!“

დაფეთებული წამოხტა.

კისრის ტეხით მოაღიადა კარი და კიბეზე დაეშვა.

— დედიკო მიშველე! — გულამომჯდარი ჩამორბოდა ათიოდე წლის გოგონა.

გონს მოეგო. ბავშვს გზა უტია.

— ნუ გეშინია, გენაცვალე! — მზრუნველობით მიაძახა და გულს მოეფონა.

გარბიხარ, თავი დააღწიო ცოცხლად დამარხვას. თუმცა, არავინ იცის, რა სჯობია ამ დროს.

„სადღაც, სულ ახლოს დატრიალდა კატასტროფა! ბეწვზე ვართ გადარჩენილი“.

შთაბეჭდილება ისეთია, ქვა ქვაზე არ დარჩენილა.

დაზაფრული გაჰყურებს შენობებს. „ნუთუ გადავრჩით!? შეგვიეედრა მამაზეციერმა!?“

სომხეთის მიწისძვრამ პლანეტა შეაზანზარა. ამგვარ უბედურებას ნორმალური ადამიანი პირად ტრაგედიად აღიქვამს და მოყვასისადმი ალალი თანაგრძნობით იმსჭვალება. ვისაც ამოუცნობ ძალთა არსებობა სწამს, კატაკლიზმებში ღვთაებრივი ნების განსახიერებას. ფილოსოფიურ, ზნეობრივ აზრს, პლანეტარულ წინასწარმეტყველებას ხედავს.

თუ დავაკვირდებით, საამისო ნიშნები აქედანვე ჩანს და სულ უფრო აშკარა გახდება.

ნება მიბოძეთ, ამ თვალითაც შევხედო ჩემს მიერ ნანახსა და განცდილს.

* * *

ახალი წლის დამდეგს ზებედე უნივერსიტეტში აფხაზი ქალიშვილის დაცვაზე ოპონენტად გამოდიოდა.

დისერტაციამ ურთიერთ პატივისცემის ვითარებაში ჩაიარა. პირველი ან, მეორე შემთხვევა ხომ არ იყო. ყველას სიამოვნებდა ყმაწვილი ქალის დალოცვაში მონაწილეობა. საზეიმო განწყობილება სუფევდა და გადაწყვეტილებაც ერთსულოვანი მიიღეს.

კენჭისყრის დამთავრებისთანავე, სიტყვა ითხოვა მეორე ოპონენტმა, დისერტანტის თანამემამულემ, და რამდენიმე ბუნდოვანი საყვედური წარმოსთქვა რუსულ ენაზე.

დარბაზი ერთბაშად დაიძაბა, წამოენთო და ყველაფერი აირია.

— შენ ხომ ქართველი ხარ და ქართული დედაენასავით იცი! — წამოუვარდა ახალგაზრდა პროფესორი. — რუსულ ენაზე რატომ გვეუბნები საყვედურებს?!

— მე ვარ ქართველი!? — დაიძაგრა მეორე ოპონენტი! ეტყობა, ისირცხვილა ქართველობა.

— როგორ! განა ერთ კურსზე არ ვსწავლობდით ამ უნივერსიტეტში!? — პირზე დაადგა ახალგაზრდა პროფესორი.

— ქართველებმა ენა, ანბანი და სამშობლო წაგვართვით.

— ვინ, რომელმა ქართველმა წაგართვა ენა და ანბანი?

— სტალინმა და ბერიამ. — ზიზღით გამოსცრა აფხაზმა ოპონენტმა.

— სტალინი შენი სახსენებელია?! — შეჰკივლა ახალგაზრდა პროფესორმა. — სტალინმა კი არ წაგართვათ, არამედ ყველაფერი მოგცათ, — ენაც, ძალაუფლებაც და კულტურაც. მის სახელს უნდა ფიცულობდეთ.

ამ სიტყვებზე, მოულოდნელად, ზებედემ იფეთქა, რომელსაც ჭირისდღესავით სძულდა სტალინი. არც ქართველად მიაჩნდა და არც არავითარი სიკეთის მომქმედად.

— სტალინმა აწეწ-დაწეწა აფხაზეთი. მართალს გეუბნება ეს კაცი. ენა, ანბანი წაართვა. თან, ეითომ, თავზე ხელს უსვამდა. საქართველოს მოგლიჯა.

— რას ამბობ, კაცო!? ამათ მხარეზე ხარ?! — ეცნენ თავისიანები ზებედეს.

— სტალინელები და ბერიელები ხართ ყველა! — შესძახა აფხაზმა. — გვჩაგრავთ და გვძარცვავთ.

— მე ვარ სტალინელი და ბერიელი?! — ეცა ზებედე. — მთელი ცხოვრება იმათთან ბრძოლაში გამიტარებია, ციხე არ დამკლებია და კატორღა. სტალინსა და ბერიას თქვენ თვითონ იხუტებდით გულში. სიმღერებსა და ლექსებს უძღვნიდით. ეკურკურებოდით. ჩვენ კი მოგვსპო და ამოგვაგდო.

ძაღლი პატრონს ვეღარ გაარჩევდა, ისე აირია ყველაფერი. ვეღარ გაიგებდი, ვინ რისთვის და რატომ ლანძღავდა.

აშკარა იყო მხოლოდ ზოოლოგიური ზიზღი და სიძულვილი, რომელიც ამ ადამიანებში დალექილიყო და ახლა ერთბაშად ამოხეთქა.

— გაჩუმდით! შეწყვიტეთ! — ისტერიული ხმით გაჰკიოდა ოთხმოცდაათი წლის აკადემიკოსი და ფეხებს აბაკუნებდა.

სხდომა ლანძღვა-გინებით, მუქარითა და გაწევ-გამოწევით დასრულდა.

სხდომათა დარბაზი ხალხით გადაჭედილიყო. დერეფნებ-

შიც მომიტინგეები ყაყანებდნენ. ტრიბუნებთან აღშფოთებული ორატორები ერთმანეთს სცვლიდნენ. ისმოდა ღალატის, ვერაგულად ძირის გამოთხრის გმობა და შეჩვენება. ქართველთა ერთიანობისა და თავდადებისკენ მოწოდება.

ზებედემ აქ პირველად გაიგო ლიხნის ყრილობის ამბავი. იგრძნო, რომ საქართველოს ზეცაზე საავდრო ღრუბლები აშლილიყვნენ და გრიგალი გაავებით შლიდა ფრთებს.

შენობიდან გამოსვლისას ისევ შეეფეთა აფხაზ ოპენენტსა და მის ამხანაგებს.

— გვეყო თქვენი ბატონობა! — დანახვისთანავე შეჰყვირა მან. — გადაგყევით! არაფერი სიკეთე თქვენში არაა! დაგვანებეთ ახლა თავი. წადით და უპატრონეთ თქვენს შესვრილ საქმეებს. შეაწუხეთ მთელი ქვეყანა! თავი შეაზიზღეთ ხალხებს. ჩაიხუტეთ გულში თქვენი სტალინი და მშვიდობით!

ზებედე გაშრა, რა უბედურება, დევნა და დამცირება არ გამოეცადა. მაგრამ ეს რაღაც სხვა ზიზღი, ცოფი და გაშმაგება იყო. ერთმანეთს თვალს ვეღარ უსწორებდნენ და ზებედეს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ახალგაზრდა, საქართველოს უნივერსიტეტდამთავრებული, ქართველად გაზრდილი, ქართული გვარის მატარებელი კაცი, თუკი, დროს დაიხელთებდა, საკუთარი ხელით გამოსჭრიდა ყელს. რამდენჯერმე თვალი შეასწრო მის მტრულ გამოხედვას და ორგანულად იგრძნო, რომ ქვეყანა გადაბრუნდა, ისტორია ამოტრიალდა, ეშმამ განაზრახი აისრულა და ახლა ჩვეულებრივი მოღვაწეობით, ახსნა-განმარტებით, ქადაგებებით, კაცთმოყვარეობით და ფიცით ვეღარას გააწყობდი.

მიდიოდა დათრგუნული, გაწბილებული, უსამართლოდ გამეტებული. ფიზიკურად გრძნობდა, რა ზიზღით და სიძულვილით მიაცილებდა ძმადყოფილის სისხლით დაბერილი თვალები.

„ნეტავ, რა ხდება ჩვენს თავს!? ვინ გადაგვიარა აბ ვერაგულად და სასიკვდილოდ მიგვიმწყვდია ბნელ კუთხეში?!“

• • •

მარტი თბილად და უნალექოდ მიიწურა. მხოლოდ თვის ბოლოს დაეცა ტემპერატურა და ზოგან კიდეც მოთოვა. ოფიციალურ ცხოვრებაში წინა წელიც ისე დამთავრდა და ეს ახალიც ესე დაიწყო, როგორც ყველა წინანდელი სამოცდა რვა.

ძნელია, ათეული წლობით შერისხული არსებობა. გაფუყულ ადამიანთა გვერდით პატიოსნების შენარჩუნება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ცილისწამებებს მოგერიება არ უნდა!? გაყვინიზებულ ქართველებს ერთმანეთის სუნიც ვეღარ აუტანიათ. არ გაპატიებენ პატიოსან ცხოვრებას. ქონებაც მათ უნდათ და პატიოსნებაც. პანთეონის ტიპიც ჩამოყალიბდა; წელგამართული მამულიშვილი, მთავრობაში გასული და ტელედამრიგებელი.

ჩიტი ბდღვნად არ ღირდა, უკან დევნა მეტი იყო, მართალი გახლავთ. მაგრამ ასე სძსაცილოდ აგდება ყველაფრისა, ასეთი შელახვა და შებღალვა ლოგიკისა, ცოდნისა, მეცნიერებისა, ლიტერატურისა, ნამუსისა, აწმყოსი, მერმისისა, რაც გინდათ, სთქვით — ბდღვნადაც ღირს და დევნადაც. ეს სიტყვები ჩემი არ გეგონოთ, მაგრამ დღევანდელი საქართველოსთვის ზედგამოჭრილი კია. ერთი ნახეთ, პრესაში რა ჭკუის დამრიგებლობა გაჩაღებულა. არავინ ფიქრობს თეორიული, მხატვრული პუბლიცისტიკის გამიჯვნას ჩვეულებრივი და საიდუმლო პოლიტიკური სამსახურისგან, რომელიც ყოველდღიურ ინტრიგებს ემსახურება.

ესეც ბრძენკაცი, სერიოზული პოზით რომ უხსნის საზოგადოებას: ქართველი პოლიტიკისადმი არავითარ ინტერესს არ უნდა იჩენდეს და ქვეყნის მომავალზე ფიქრი და ზრუნვა სხვებს უნდა გადააბაროს. მიტინგები და დემონსტრაციები ჩვენი საქმე არაა. ღმერთს ჩვენთვის ამის ნიჭი და მარიფათი არ მოუცია და პირდაღებული სხვებს უნდა შევყურებდეთ თვალებშიო. ამ საქმეს მხოლოდ პოლიტოლოგები უნდა განაგებდნენო. (ვინც ამისთანა სიბრძნეს გვასწავლის, იგულისხმება, რომ თვითონ დიდი პოლიტოლოგი ბრძანდება!).

იმ დროს, როცა გორბაჩოვი უცხოეთში იმყოფებოდა, „პრავდამ“ გამოაქვეყნა დიდი პოლიტოლოგის ნინა ანდრე-

ევას სტატია, რომელშიც ხალხს უკან დახევას ურჩევდა დ. „დიდი მესაჭის“ გამარჯვებებს მოაგონებდა. დროზე რომ არ მიესწროთ, ვინ იცის, რას ჩაიდენდა და საით გაუტევდა.

ლიტერატორები თავგამოდებით ირწმუნებოდნენ, საბჭოთა კრიტიკა არნახულ მწვერვალებს იპყრობსო. რესტორან „არაგვში“ ტრიუმფალურ საიუბილეო ბანკეტებს ბოლო არ უჩანდა. „ახალი რენესანსის“ სადიდებლად ყანწებს სცლიდნენ და დედაქალაქის შემოგარენში ფეშენებლურ აგარაკებს იშენებდნენ.

დაწიხლულთა საქმეებს პირადი დეტექტივები იძიებდნენ. ჰონორარს უცხოეთის საგზურებით უხდიდნენ და სახელდახელო ტრიბუნალზე იხილავდნენ.

კმარა! ბაშხადინიმ! გაგიუდები! ყველაფერი რომ გაიხსენო.

დრო იყო, იხვეწებოდი, სამხრეთ აფრიკის კავშირში ნებგრად გადაესახლებინეთ ან ისრაელში პალესტანელად.

ვისაც არ გამოუცდია, ვერ გააგებინებ, რას ნიშნავს რიგითი საბჭოთა ადამიანად ყოფნა. მისი „ჩვეულებრივი დევნა“ კატორღაზე იოლი სასჯელი არ გეგონოთ! ინსტრუქტორიც უარს გეუბნება მიღებაზე. მზად ხარ, დღეში ასჯერ გადაისხა ბენზინი, ასანთი გაკრა და განთავისუფლდე.

იქ კი, ირწმუნებიან, მავანი და მავანი მსოფლიო სტანდარტების დონეზე იმყოფებაო.

პატიოსანი კაცი სრულიად მარტოა ამქვეყანაში. გზა ვერ უპოვნია, როგორ დააღწიოს თავი უსამართლობას.

* * *

იმედგადაწურულმა საჩივარი უმისამართოდ გაგზავნა.

„არჩევნები ჩატარდა სრული ანტიდემოკრატიის, ანტისაჯაროობის, ინტრიგების, დევნა-შევიწროების, ელემენტარულ საწესდებო მოთხოვნათა დარღვევის ვითარებაში“.— ვკითხულობთ ამ დოკუმენტის დასკვნითს ნაწილში. „ათეული წლებია საზოგადოებას, ჩვენს ახალგაზრდობას რყვნის ეს უნამუსო ბიუროკრატია. ელემენტარულ წესიერებასთან, მეცნიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამას საერთო არაფერი აქვს.

მე ვინ მიმიშვა ახლოს! რომც მივსულიყავი, ყველაფერი მზად იყო შანტაჟის მოსაწყობად.

ესეც თქვენი სიბრძნის ტაძარი!

გაიმარჯვა ტოტალურმა პროტექციონიზმმა, ფალსიფიკაციამ. ესაა სიყალბის, ხელისუფლების უხეში ჩარევის სამარცხვინო მაგალითი. „ცოდნის ტაძარი" ბიუროკრატიის საცოდავი დანამატია. მე არასოდეს შევუერთდები ამ ცინიკურ ფარსს. ეროვნული ტრაგედიაა, პირველი მდივნის გარემოცვას არ სურს პატიოსნად იშრომოს და იმოღვაწოს. გადაუწყვეტია, ყველაფერი უაჩაღურად, ქრთამებით, სინდისის გაყიდვით, მაფიოზური ხერხებით იგდოს ხელთ.

ბოლო არ ეღება წოდებების, თანამდებობების, სიმდიდრეების მიტაცებას. პარაზიტულ არსებობას. იმარჯვებენ აფერისტები, ქურდები, პლაგიატორები.

საით მივდივართ? რა მოგველის? რას უქადის ჩვენს ქვეყანას სულის გაბინძურება?!

რაც დღეს საქართველოში ხდება, მის გამოსწორებას ათეული წლები ვეღარ უშველის. სრული კატასტროფისკენ მივექანებით.

რა გვიშველის?

სიმართლე.

მხოლოდ სიმართლე!

3.

ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან ხვდებოდნენ ერთმანეთს. თითქოს, შემთხვევით. გვირაბის წინ. საკმაოდ შეუმჩნეველ ადგილზე.

პირველნი ბადრი უჯარმელი და ამირან ლაშქარავა შეჩერდნენ დათქმულ ადგილას.

ოქტომბერ-ნოემბრის მღელვარება წუთითაც არ შენელებულა. ხელისუფლება კონცენტრირებულ ღონისძიებებს ატარებდა ერის გასათიშავად. ერთმანეთს უპირისპირებდა საჰთავრობო სისტემას, ათეული წლების ტერორით დაშინებულ ადამიანებსა და „არაფორმალურ გაერთიანებებს", რომლებსაც „ნორმალური ცხოვრების" დამრღვევებად, ექსტრემის-

ტეზად ნათლავდნენ და ცდილობდნენ სიძულვილი დაეთესათ მათ მიმართ. რას არ უგონებდნენ, თითქოს ესენი ქართველები კი არ ყოფილიყვნენ, არამედ ჯოჯოხეთის ნაშიერები, რომლებსაც დემოკრატია თავიანთი ამბიციების მსახურად გაეხადათ. ახალი ყაიდის ცეკას დემოკრატებმა ჟურნალისტის სახლში „მრგვალი მაგიდაც" კი მოიწვიეს ოდიოზური დევიზით: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხები". ორგანიზატორებმა ეს შეხვედრა განზრახ ჩაშალეს, რათა „არაფორმალებისთვის" გადაებრალებინათ. „მაშინ, როდესაც აზრთა გაზიარება მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა, მოქალაქეთა გარკვეულმა ჯგუფმა არევ-დარევა შეიტანა ამ ღონისძიებაში. მოითხოვა ამ თარიღის განცალკევებით აღნიშვნა". ასეთმა დემოგოგიურმა მეთოდებმა, რომელთაც საზოგადოებაში დიდი ხანია თავისი უტიფრობით და პრიმიტიულობით სახელი ჰქონდა გატეხილი, კიდევ უფრო აღაშფოთა ხალხი, წყალი დაასხა „არაფორმალების" წისქვილზე და მოახდინა პარტიისა და ხელისუფლების იზოლირება. მით უფრო, რომ ხელისუფლება ადმინისტრაციული საშუალებებითა და უხეში პროვოკაციებით ხმას აწყვეტინებდა ოპოზიციას, აუდიტორიებიდან გარეთ ერეკებოდა. ზემოაღნიშნულ „მრგვალ მაგიდაზე" სასაცილოდ აიგდეს ახალდაარსებული ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ესეც ამბიციად მონათლეს და მათ კამათში მონაწილეობა აუკრძალეს, ხოლო თავიანთი განკერძოება იმით გააღრმავეს, რომ სხდომა „ახალგაზრდულ ცენტრ" „ბერიკონში" გადაიტანეს.

ყველაზე სამარცხვინო საქციელი აქ ჩაიდინეს და ნიღაბიც აიხადეს. „მოქალაქეთა ჯგუფის სწორედ იმ წევრებმა, რომლებიც ამ ბოლო დროს დასავლეთის რადიოადგურების ენით გვიკარნახებენ თავიანთ რეცეპტებს საქართველოს მომავლის შესახებ, თავშეკავებული გამოსვლებით და არასერიოზული, პროვოკაციული შესახილებით დარღვიეს მეცნიერული პოლემიკისა და ეთიკის ნორმები".

ვინ დაიჯერებს, რომ ეს დაიბეჭდა 1989 და არა 1937 წელს!

იმ დროს, როცა ქართველ პატრიოტებს ასე აბეზღებდნენ,

საქართველოს მტრები მზაკვრული შეთქმულების უკანასკნელ ნაბიჯებს ამთავრებდნენ. მაგრამ ერი არც ბრმაა, არც ყრუ და არც უგრძნობელი.

მიტინგები, დემონსტრაციები, მოწოდებები არ წყდებოდა. მთავრობას მკლავი აღარ ემორჩილებოდა. ხალხი გრძნობდა ხელისუფლების იძულებით დათმობას, ენთუზიაზმი და რწმენა ემატებოდა. პატიაშვილმა ლიბერალიზაციის ილუზიაც შექმნა, მაგრამ მრჩევლები უფრო დაუთმობელნი აღმოჩნდნენ. ვერ გაიგებდი, მართლა ასე შეურიგებელნი იყვნენ, თუ სხვა მიზანი ამოძრავებდათ. ხელისუფლების სხვადასხვა ბანაკშიც ერთსულოვნება არ სუფევდა. იქაც მკაცრად დაპირისპირებული ფრთები გამოიკვეთა. ორხელისუფლებიანობა.

* * *

თებერვალში თბილისი ხელჩართული შეტაკებების ასპარეზად იქცა. გაჩაღდა ოპოზიციის მეთაურთა ქუჩური ლანძღვა-გინება, მათ წინააღმდეგ მიმართული უნიჭო, უბადრუკი ტელეგადაცემები და ფელეტონები, რომლებიც ფაქტიურად, შარავანდით მოსავდნენ დევნილებს და სიძულვილს აღრმავებდნენ მათი მტრების მიმართ. ინსპირირებული შეტაკებები პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან. დარბევა ორჯონიკიძის ძეგლთან. გრძნობების ესკალაცია უნივერსიტეტის ბაღში, სამედიცინო ინსტიტუტში, საავიაციო ქარხანაში ხელკეტების ტრიალი. „კომკავშირულ-მილიციური“ გაავება. კონფრონტაცია. „მერვე პოლკის“ გამოჩენა „სტრატეგიულ პუნქტებზე“. მთავრობის მეთაურთა კილოს შეცვლა. გაბღენძილი, მუქარიანი სახეები. ვითომ მუშების მისისინება ხალხზე. ქართველმა ხალხმა დიდი ხანია იცოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მთელი პოლიტიკა მიზნად ისახავდა ერის გადაგვარებას, გახრწნას, ზნეობრივ დამონებასა და გაუგონარი ტერორით გადედლებას. საკუთარ სამშობლოზე გულის გატეხვას, სასოწარკვეთაში ჩავარდნას და ტრავმირებას.

გაუთავებელი სიღატაკე. სიბნელე. ჩაგვრა. ქონებრივი პოლარიზაცია. „წითელი კულაკების“ აღვირაშვებულება.

მშრომელი, პატიოსანი ხალხის გალატაკება. შიმშილი. ტოტალური უსამართლობა. ბოროტების აღზევება. გამოძალვა.

ასეთ კრიტიკულ მომენტში გამეღვიძა საშინელი საიდუმლო, რომელსაც ადგილობრივი მშიშარა და სულმოკლე კვისლინგები უმალავდნენ დამონებულ ერს. მართალი გამოდიოდნენ მათ მიერ სასიკვდილოდ გამეტებული „არაფორმალები", რომლებმაც დროულად აუწყეს მშობელ ხალხს საქართველოს გაყიდვის ახალი, შემაზრზენი ამბავი.

დადასტურდა ცნობები სოფელ ლიხნში ჩატარებული, მზაკვრულად ინსპირირებული ყრილობის შესახებ, რომელზეც ქართველი ხალხის, აფხაზეთის მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ზურგში სამარცხვინო ფარსი გაითამაშეს. ლაფში ამოავლეს ისტორია და დღევანდელობა. ჩვენს ერს გადააბრალეს მათი „საყვარელი საბჭოთა ხელისუფლების" სიმახინჯეები, მანკიერებანი და დანაშაულობანი. ჩვენს მფარველად გამოაცხადეს ჩვენი ნომერ პირველი მტერი სტალინი. ცრუპარტიზანებმა, რომლებიც რუსეთის საოკუპაციო არმიას მეგზურებად შემოუძღვნენ, თავიანთი თავი აფხაზეთის გამანთავისუფლებლად გამოაცხადეს, ხოლო პატიოსანი აფხაზების ნებით დენიკინის ურდოებისგან საერთო მიწაწყლის დასაცავად გამოსულ ქართველ ლაშქარს ოკუპანტები უწოდეს. ისიც დაივიწყეს, ვინ ბრძანდებოდა „აფხაზი" გამანთავისუფლებლების მეთაური და რა როლს ასრულებდნენ ამ „გამათავისუფლებელ ბრძოლაში" ქართველი ბოლშევიკები. რის ფასად და ვისი ხელისგან მიიღეს „კომუნისტური თავისუფლება", „ავტონომია" და გაუგონარი პრივილეგიები.

აივსო მოთმინების ფიალა. დაიმსხვრა მორჩილების ხელხუნდები და აღსდგა ყველგან და ყველაფერში ფეხდადგმული საქართველო. ეს ხრუშჩოვმაც ვერ გაბედა, თუმცა, ძალიან ვძულდით და ძალიანაც სწყუროდა შურისძიება ცხრა მარტის გამო. ვერ გაბედავდა, რადგან შემზარავ უსამართლობად ეჩვენა. ქართველების გადასახლებაზე ოცნებობდა, მაგრამ პროვოკატორებს იქით შესთავაზა: აირჩიეთ: სადაც გსურთ, იქ გამოგიყოფთ მიწასო.

მაშ, ახლა რაღა მოხდა, რომ უძველეს მკვიდრთ მშობლი-

ური მიწიდან ერეკებიან და ერთმოძალადეს სამ ქართველს უტოვებენ ყმად?!

გაივლის დრო, და ცილისმწამებლები მოიგონებენ, თითქოს, აპრილის ამბები ლიხნის ყრილობამ გამოიწვია, მაგრამ ფაქტებს სად წაუვლენ!? ქართველ ხალხს სამოცდაათი წელი წუთით არ შეუწყვეტია თავისი უფლებებისთვის ბრძოლა, ხოლო „აფხაზური კოზირი“ პირველად ცხრა მარტის სამაგიეროდ გამოიგონეს, „ლიხნის ყრილობა“ კი გასული წლის. ოქტომბერ-ნოემბრის გამოსვლების პასუხად გაითამაშეს. ლიხნის პროვოკაციამ უკანასკნელ ზღვრამდე აავსო მოთმინების ფიალა.

„მაშ, ჩვენ ვყოფილვართ სტალინის წებიერები! ჩვენთვის არ წაურთმევია ძველისძველი მიწაწყალი? ჩვენ კი არ ვუხოცივართ და ვუჯიჯგნივართ? ჩვენთვის კი არ გაუცლია სიქა და სამარის კარამდე მივუყვანივართ?“

25 მარტს ხელისუფლებამ ვერ შეძლო აბობოქრებული ტალღების შეკავება. ვაკის პარკში სანქციონირებული მიტინგების ნება დართეს. იქიდან ტალღებად მოედვნენ რუსთაველის გამზირს. მთავრობის სასახლისკენ აზღვავდნენ. გრანდიოზულ თავყრილობად იქცნენ.

„დე, გავწყდეთ! მზად ვართ სიკვდილისთვის! მოვკვდებით, მაგრამ ჩვენს ღირსებას აღარავის დავუთმობთ! ჩვენ აღარაფერს ვკარგავთ!“

„რა ღვარძლი უტარებიათ! რა სიძულვილი უღვივებიათ! როგორ მოვუტყუებივართ! როგორ აუბიათ თვალი!“

იცოდნენ, საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელი რომ არ იყო! ფეხქვეშ რომ ითელებოდა. მაგრამ ამდენი არ ეგონათ. არ მოელოდნენ თუ ფორმალურადაც არ დაინდობდნენ მის თუნდაც ამ მოჩვენებით ისტორიულ ერთიანობას. თითოეული ქართველის სისხლსა და ხორცში გამჯდარ ეროვნულ გრძნობას.

„რაღა აფხაზეთს ეცნენ! საქართველოს სახელმწიფოებრიობის აკვანს. ჩვენს დედა კუთხეს! ჩვენი სარწმუნოებისა და კულტურის საკურთხეველს. ასეთი და ამაზე ასჯერ დიდი ავტონომიები რუსეთში ცოტაა!? ასეთი მცირე, ისტორიულად შესისხლხორცებული ერები ევროპის, აზიის ქვეყნებ-

ში ვინმეს უკვირს!? ვის ტვინში დაიბადა ეს ბოროტება!?, ვის სურს აფხაზებისთვის ჩვენზე მეტი სიკეთე!?“

წამით თვალები მოეხუჭა, თითქოს ტირილს იკავებსო.

„სხვა სიწმინდე რაღა შეგვრჩენია ჩვენი წინაპრებისგან, თუ ამ უპირველეს ერთიანობას არ შევაკვდებით!?“

რას იზამ, დალხინებული არავინაა. სიმწრისთვის გავჩენილვართ ამ ცოდვილ მიწაზე. მაგრამ, რასაც დღეს საქართველოში სჩადიან სიმართლის სახელით, გაუგონარი მკრეხელობაა.

ამირან ლაშქარავამ მარჯვენა ხელი აღმართა და მეგობრებს სევდიანი ღიმილით მიესალმა. ჭალარა მორეოდა. დაბუჩქულ ულვაშებში ტანჯვა ჩალექვოდა. დიდი ხანი არ იყო, რაც ხანგრძლივი პატიმრობიდან გამოეშვათ. სნეული, მაგრამ გაუტეხელი.

ჩარიტა, ენძელა, თორნიკე ერისთავი და სტეპკო სვირინგია იქ იდგნენ, მიტინგის თავკაცებთან ერთად.

ბოლოს უჯარმელი გამოვიდა:

— კრემლი დუმს. თითქოს ეს მას არ ეხებოდეს. ბოქაულებმა არ იციან, როგორ მოიქცნენ. ჩვენი გადაწყვეტილება სწორია და სამართლიანი. ერს ქომაგი სჭირდება. ნუგეში და წინამძღოლი. გადაწყვეტილება ძალაში რჩება. ვაცხადებთ მასობრივ მჯდომარე შიმშილობას საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის მოთხოვნით, იმ საზღვრებში, რომლებიც წითელი ჯარების შემოსევისას გვეკავა და ერთა ლიგის მიერ დამტკიცებულ რუკაზეა ფიქსირებული.

— ჩვენ ვაიძულებთ კრემლს, ხმა ამოიღოს და აირჩიოს პოზიცია! — კბილებში გამოსცრა თორნიკე ერისთავმა.

— არ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია უკან დაგვახევინოს. — დასტური დაჰკრა სვირინგიამ.

ესენი ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ ციხეგამოვლილნი, უშიშარნი და კლდეკაცნი. ქართველს გულს უხარებს ამისთანების ნახვა, ნაბრძოლთა და დილეგებში გამოტანჯულთა, ერის იმედად მოვლენილთა. ძლიერნი იყვნენ ერთსულოვნებით, ვაჟკაცობით და წინდახედულობით. გონით თავიანთ ასაკზე ბევრად ხნიერნი და ბრძენნი. ქვეყნის ავ-კარგის მცოდნენი და გამჩხრეკელნი.

ასეთი ვაჟკაცებისკენ ერთნაირად უპირავს თვალი მტერსა და მოყვარეს.

გავარვარებული დღეებია. უფრო მძიმე განსაცდელებს მოელიან და მზად არიან რაინდული თავდადებისთვის. შეგიძლიათ ენდოთ და გაჰყვეთ.

დრო იყო, ასეთებს ციხის კარს არ უღებდნენ. საზარელი დრო. ნურც ამას დავივიწყებთ!

რა შავი დღე გამოგივლიათ, ჩემო ძვირფასობო! რა ტანჯვიათვის გამზადებულხართ?!

* * *

ხელისუფლება ათასგვარ საშუალებას იგონებდა ხალხის ღასაშოშმინებლად; მამულიშვილთა შორის შურისა და ინტრიგების ჩამოსაგდებად, შიგნიდან ციხის გასატეხად, მაგრამ აქედან სახეირო არაფერი გამოდიოდა. ჯერ ერთი, ხერხები იყო წითელი ძაფით ნაკერი. გაცვეთილი და უნიჭო. მეორეც: ხალხის მოტყუება სულ უფრო ძნელი ხდებოდა.

პარტიული ბონზები მიტინგებსაც კი ესწრებოდნენ და შემარიგებლური, ვითომ, მეგობრული სიტყვებითაც გამოდიოდნენ. ქართული ენის ქება-დიდება, რისთვისაც ათი-თორმეტი წლის წინ პატრიოტებს ციხეში ყრიდნენ, ახლა მდიდართა სალონების მოდურ თემად ქცეულიყო. გაზეთები წყალ-წყალა სტატიებს აევსო, ტელევიზიის ეკრანზე „მამულიშვილთა“ ტევა აღარ იყო, ყველაფერი ნებადართულია, ინებეთ! ოღონდ, მიტინგებსა და დემონსტრაციებზე ნუ გამობრძანდებით. აი, ბისკვიტი და მათრახი! აირჩიეთ, რომელიც გსურთ!

ლიბერალურ ღონისძიებებს ატარებენ. აქა-იქ, მეტისმეტად იდიოზურ კადრებს კულტურული, ჰუმანური კადრებით ცვლიან. ოციანი წლების კომკავშირელის ტიპს თანამედროვე ინტელიგენტი ცვლის — კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად სიმპათიურ მეცნიერ მუშაკს ირჩევენ რეპრესირებული ოჯახიდან. პარტიული ლიდერები აქტიურად მონაწილეობენ უცხოეთთან საქმიან და კულტურულ კონტაქტებში. ფირმა „აბვ“ რწმუნებულს შეხვდნენ,

რომელმაც გუდაურში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ააგო და ახლა თბილისში უნიკალური სასტუმროს აშენებას აპირებს. ბაკურიანში საზამთრო ოლიმპიადის ღონისძიებებზე მსჯელობენ. აღმშენებლობისა და სოციალური აყვავების გულუხვ დაპირებებს იძლევიან. წელში გატეხილ, დამშეულ და დევნილ მოსახლეობას წესრიგსა და დაცვას ჰპირდებიან.

ეტყობა, ცარიელი დაპირებაა. დაგვიანებული და დაუჯერებელი. ამას გონივრულად იყენებენ ოპოზიციური ძალები, რომელთაც ნდობით მიჰყვება გაყვლეფილი, მრავალგზის მწარედ მოტყუებული ხალხი.

* * *

ოფიციალური წრეები ზარზეიმით შეხვდნენ ახალ წელს. გაგვახარა გასული წლის წარმატებებმა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გავიმარჯვეთო. საქართველოს კომპარტია მთავრობისა და ხალხის თანადგომის, თანამებრძოლობის, თანამოაზრეობის იშვიათ მაგალითად გამოცხადდა. ეს თანადგომა კონსტიტუციის პროექტის განხილვაში გამოვლინებულა. ქართული ენის პროგრამის, არქეოლოგიის, კულტურის, დავით გარეჯის, ტრანსკავკასიის რკინიგზის საკითხები, რის გამოც ლამის ხელში შეიკლეს „არაფორმალები“, ახლა პარტიის და მთავრობის ბრძნული პოლიტიკის მონაპოვრებად გამოაცხადეს. საქართველოს ცხოვრება იდილიურ არკადიას გაუთანაბრეს, სადაც თხა და მგელი ერთად ძოვდა. რას ინატრებ, სულო და გულო, საქართველოს რომ არ მოეპოვებინოს.

„მრავალს დაესწარითო!“ — უსურვებდა თვითკმაყოფილი ოფიციოზი აგონიაში ჩავარდნილ ხალხს.

საქართველოს ხელისუფლებმა გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვთან ერთად მოილხინეს სიღნაღში სარაჯიშვილის სახლ-მუზეუმის გახსნაზე.

გამარჯვებების ნუსხაში არაფერი უთქვამთ იმის თაობაზე, რამდენი უღირსი აღაზევეს და ღირსეული დაასამარეს, რამდენი დასნეულდა, დაიღუპა, დაიწხლა შიმშილის, უპატრონობის, დევნისა და უსამართლობისგან.

ბოლოს, ეს ოპტიმისტური იდილია ისე განვითარდა, რომ იკადრეს კინჩხვასიებულმა ბელადებმა ცხრაკლიტულში მოთავსებული კაბინეტებიდან გამოსვლა და „მასებთან“ შეხვედრა. მაგრამ მიტინგებსა და დემონსტრაციებში ოპონენტებთან პირისპირ დგომა, პოლემიკა და მსჯელობა კი არა (ამის თავი და პირი სად ჰქონდათ!), არამედ „რჩეული საზოგადოების“ წინაშე. დახურულ დარბაზებში ბატონკაცური, საინსტრუქციო ვიზიტები და თითის ქნევა.

ერთ ამგვარ შეხვედრაზე, ინსტიტუტში, სადაც ზებედე ქარცივაძე მსახურობდა, თვით პატიაშვილი მივიდა ჭკუის დასარიგებლად.

ქაოსი მძლავრობდა. უმრავლესობამ არ იცოდა, რა ხდებოდა, როგორ მოქცეულიყო. შიშით და ცნობისმოყვარეობით შეიკრიბნენ. კომუნისტური პარტია, რა ხანია, აღარ არსებობდა. იყვნენ კარიერისტები, უქმი ცხოვრების მოყვარულნი, ფულის გიჟები, მექრთამეები და მაფიოზები, რომელთაც იმედი ჰქონდათ. რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ამ მიზნით პარტიის გამოყენება. ზოგი თვალთმაქცობდა, ვითომ, რაღაც სწამდა, თავისთავსაც იტყუებდა და სხვის მოტყუებასაც ლამობდა. პარტიული ბილეთების ღირებულება კატასტროფულად ეცემოდა. ამ ფონზე ამაზრზენ შთაბეჭდილებას ახდენდა იმ მაღალი ფუნქციონერების სერიოზულობა, რომლებიც დოგმათა ნანგრევებზე კომუნისტობანას თამაშობდნენ. აქა-იქ, საქართველოს სახელსაც გამოურევდნენ იმ კაცის გულმოყირჭებით, რომელსაც „მამულის ჭირისუფლობა პატენტად აუღია“. ამათი დიდი ნაწილი, რაიმე პარტიულობის კი არა, ადამიანის სახელის ღირსნიც აღარ იყვნენ. დღეში ასი დადგენილება გამოდიოდა და მექრთამე, კარიერისტმა კომუნისტებმა მხოლოდ ის იცოდნენ, როგორც გამოეყენებინათ ეს დადგენილებები თავიანთი პირადი სარგებლობისთვის.

უყურებ ამნაირი კომუნისტების მიერ დაბეჩავებულ, ერთმანეთის წამგლეჯ, დამბეზღებელ, საცოდავ ბრბოს და ფიქრობ: ვინ არიან? საიდან მოსულან? რა უფლებით დაგვსხდომიან თავზე? როგორ გახრწნილან და დამყაყებულან? ესენი განა საქართველოსთვის სასარგებლო რამეს იტყვიან და გააკეთებენ?

მაშ, რისთვის მობრძანებულა? რა ხალხში გამოსაჩენი პირი აქვს? რა უნდა გვითხრას? რა ჭკუა უნდა დაგვარიგოს? აქ ხომ პატიოსანი ცხოვრების არავითარი პირობები არ არსებობს.

პატიაშვილი მართლა ქვეყნის პატრონი ხომ არ გგონიათ?! მას თუნდაც საქართველოს საქმეებს ვინ ეკითხება, მოსკოვში თავის კანტურის მეტი არაფერი ევალება.

შეხვედრა ბეჟან სურამელმა გახსნა. პირველ მდივანს მიელაქუცა. სრული თავგამოდება აღუთქვა. ექსტრემიზმი დაგმო და „უპასუხისმგებლო ელემენტები" შეაჩვენა. იმ დღეებში ახალი ჩინ-მუნდირები მიეღო და ხელისუფალთადმი ხმა უფრო დატკბობოდა. მადიანად ჭამდა, მუქთახორებს გაჭირვებული ხალხის ხარჯზე არჩენდა. დაბეზღებებს წერდა. სტალინს ადიდებდა (რა თქმა უნდა, რწმენით არც ის სწამდა) და სკივრებს ავსებდა. უკუღმა მოლაპარაკეთა რიგს ეკუთვნოდა. ფარსაგიშვილთან დღეში რამდენჯერმე ცხადდებოდა საიდუმლო დავალებების მისაღებად. თუ სხვა უფროსი არ ესწრებოდა, ყოველ საკითხზე შემაჯამებელ აზრს გამოთქვამდა. ბოროტება მრავალფეხაა, ადვილად არ გაისრისება. ყოველ ახალ აზრს გააფთრებით ეკვეთებოდა (რა თქმა უნდა, მითითებით). როცა ახალი აზრი გაიმარჯვებდა, მაშინვე აიტაცებდა და სხვა ახალ აზრს დაესხმოდა თავს. ერთი სიტყვით, მარადიული ლიბერალი, შემარიგებელი და კონსოლიდატორი ბრძანდებოდა. იცოდა, რომ ლიბერალიზმი და შემრიგებლობა სიახლეთა, წინსვლის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური და ნაცადი საშუალებაა. ამიტომ გამოდიოდა ყოველგვარი შუამავლობის, ცრუკონსოლიდაციის, „ერთიანობის" თაოსნად. ეს ხომ პროგრესის შეფერხების დიდებული ხერხია. სოლიდურ, წინდახედულ მოღვაწედაც ირიცხება და ჯიბესაც ახალ-ახალ საზრდოს უმზადებს. დარწმუნებულია, ვერავინ გაუგებს და გემრიელად გაატარებს წუთისოფელს.

საქართველო?!

ბეჟან სურამელი მგზნებარედ შეეხმიანა დედა ენის პროგრამას, რომელიც „პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით იქნა მიღებული" (თუმცა, დიდი ხანი არაა, ხმალამოწვდილი

გამოდიოდა ქართული ენის სახელმწიფო ენად აღიარების წინააღმდეგ). მხურვალედ დაუჭირა მხარი „პარტიის პოლიტიკას“ დავით გარეჯის სიძველეთა სამხედრო უწყებისგან დაცლის შესახებ, ტრანსკავკასიის რკინიგზის დაკონსერვებას. მკაცრად გაილაშქრა „ექსტრემისტული მოთხოვნების“ წინააღმდეგ, მრისხანედ დაგმო „საქართველოს დამოუკიდებლობის“ მოთხოვნა: „რუსეთის გარეშე, ერთ დღესაც ვერ ვიცხოვრებთ!“

„განვამტკიცოთ კონსოლიდაცია! შევერთდეთ! დავგმოთ მაქსიმალიზმი! გზა გადავუღობოთ ერის გამთიშველ ამბიციურ ავანტიურისტებს, რომლებსაც დიქტატორობის სურვილი ამოძრავებთ!“

დარბაზი ტაშად დაიღვარა, აზავთდა.

ყველას ხომ არ გაეგება, რომ ლიბერალიზმი, შემრიგებლობა, ვითომ „კონსოლიდაცია“, წინსვლის მთავარი და ყველაზე საშინელი მტერია. რასაც ექსტრემიზმად მონათლული პატრიოტები სიცოცხლის ფასად აღწევენ, ეს მუცელდასქელებული, ოქროსმოყვარე, ცრუპატრიოტები თვალთმაქცობით უთმობენ ბნელ ძალებს.

„ექსტრემისტები“ რომ არ ყოფილიყვნენ, დღეს არ გვექნებოდა არც ერთი მონაპოვარი, რომელსაც ახლა თვით ბეჟან სურამელი და სხვა მისი მსგავსი ლიბერალებიც კი ტაშს უკრავდნენ.

სტაბილიზაცია მაშინაა კარგი, როცა ხალხი კმაყოფილი და მოსვენებულია, თორემ, უსამართლობის, უსინდისობის და სიღატაკის სტაბილირება ღმერთმა ნუ ქნას.

საქმე იქამდე მისულიყო, ხელმძღვანელებს ღირსების მიხედვით კი არ არჩევდნენ, არამედ სიმახინჯის მიხედვით. ნიშნავდნენ მექრთამეებს, მაფიოზებს, სახელგატეხილ, შებილწულ, ბინძურ, უჭკუო სუბიექტებს.

თუ არ დაგეზარებათ, გადაათვალიერეთ იმ დროის ფოტოალბომები! ყურადღება მიაპყარით ჩვენი მაშინდელ თავკაცების, „სასიქადულო შამულიშვილების“ ყეყეჩ, თვითკმაყოფილ, უზნეო სახეებს და იოლად მიხვდებით, რა დღეში ვყოფილვართ! გათიშულობას ჭეშმარიტების ძიება იწვევს,

ბუნებრივი შერჩევის კანონი, რომელიც ჩვენში დიდი ხანია, აღარ მოქმედებს.

ვაი, უბედურ ჩვენს საქართველოს!

პატიაშვილი გაამაყებული ჩანდა. ექსტრემისტებს წესიერებისკენ მოუხმობდა. კონსტიტუციაში შესწორებების შეტანით ბედის სასწორი შემობრუნებულად მიაჩნდა. ეკვი არ ეპარებოდა, ყველაფერი ხელუხლებლად დარჩებოდა.

„დროა ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა გაიგონ, მათ ამბიციებს კეთილი ბოლო არ ექნება, და ხელი აიღონ აკანტიურებზე!“

— თქვენ თვითონ ბრძანდებით ავანტიურისტები! — ისეთი ხმით შესძახა ვიღაცამ უკანა რიგებში, რომ ზებედემ უნებლიეთ მიიბრუნა თავი.

იგი აღმოჩნდა თემურ ქორიძე. ეროვნული მოძრაობის აქტივისტი. ნიჭიერი, საოცრად კეთილი და პრინციპული, შეუპოვარი ქართული ხასიათით დაჯილდოებული ახალგაზრდა. უპეები შეშუპებოდა. თავი დოლბანდით ჰქონდა გადახვეული და ჩვეულებრივზე უფრო გამხდარი ჩანდა. ერთ შეკრებაზე პატიაშვილთან შეკამათების გამო, თავს საოცარი შემთხვევა გადახდენოდა, რომელზედაც მთელი საქართველო ლაპარაკობდა.

„ამერიკის ხმის“ კორესპონდენტი ალინა გინზბურგი პარიზიდან იუწყებოდა, რომ ორმა ქართველმა, ადამიანის უფლებების დამცველმა — ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ მიმართეს საფრანგეთის პრეზიდენტს ფრანსუა მიტერანს თხოვნით, რომ შეწყდეს საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის აქტივისტთა დევნა. კერძოდ, ატყობინებდნენ მრავალი დემონსტაციის მონაწილის თეიმურაზ ქორიძის მძიმე მდგომარეობის შესახებ.

12 ოქტომბერს. საღამოს, ლურჯ მონასტერთან გამართული დემონსტრაციის შემდეგ, კრიტიკოსი თეიმურაზ ქორიძე თავისი სახლის წინ გალახა ოთხმა უცნობმა პირმა. როდესაც მის საშველად გამოჯვივდნენ მეზობლები, თავდამსხმელები გაიქცნენ. თეიმურაზ ქორიძე მიიყვანეს რკინიგზის საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ განყოფილებაში. იმ პალატას, სადაც იწვა თეიმურაზ ქორიძე, დაცვის მიზნით 24 სა-

ათის განმავლობაში ყარაულობდნენ მილიციელები. თავდასხმამდე ცოტა ხნით ადრე, თეიმურაზ ქორიძემ მიიღო რამდენიმე ანონიმური წერილი, რომელშიც ემუქრებოდნენ მას და საქართველოს ეროვნული მოძრაობის სხვა აქტივისტებს. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა მომხდარ ამბავზე პასუხისმგებლად თვლიდნენ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლებს.

როგორც საფრანგეთის სატელეგრაფო სააგენტო იუწყებოდა, საქართველოს ადამიანის უფლების დამცველთა წერილი საფრანგეთის პრეზიდენტს გაუგზავნეს იმასთან დაკავშირებით, რომ ნოემბრის მიწურულს ფრანსუა მიტერანი ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით უნდა სწვეოდა მოსკოვს.

ეს ცნობა ზამთრის დემონსტრაციების დღეებში გამოაქვეყნა გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ", რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

ქორიძემ აქაც აიღო სიტყვა და მკაცრად დაგმო ადმინისტრაციის პროვოკაციები ოპოზიციის წინააღმდეგ.

პატიაშვილი შეეცადა თავი ემართლებინა, რომ ამ საქმეში მას არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა. დაზარალებულმა სუსხიანი ბრალდება წაუყენა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ჩხეიძეს და სხვა თანამდებობის პირებს.

ზებედე ამ შეკრებაზე დიდაქტიკური სიტყვით გამოვიდა, ლანძღვა-გინების ნებას აღარც ასაკი აძლევდა.

— მდგომარეობა საშინლად იძაბება, — ყოველგვარი პეთეტიკის გარეშე თქვა მან. — შინაური არეულობით ბოროტად სარგებლობენ მტრები. ხელისუფლება მოვალეა კონსტრუქციულად ითანამშრომლოს ოპოზიციასთან, ხელი აიღოს კონფრონტაციაზე. შეწყვიტოს პატრიოტთა დევნა. გაიხსენეთ, რა კატასტროფამდე მიიყვანა საქართველო შინაარეულობამ. გაიხსენეთ მარაბდისა და ბაზალეთის ომები, რომლებიც ინტრიგის შედეგად მოგვახვიეს თავს. თქვენი მოვალეობაა, — მიუბრუნდა პატიაშვილს, — ყური უგდოთ ბატონ ბადრი უჯარმელს, გაითვალისწინოთ მისი შენიშვნები. ყველანი მხარში უნდა ამოვუდგეთ მას. არ დაგავიწყდეთ, რომ საქართველო დაქცევის პირასაა მისული.

თავისი ადგილისკენ რომ მიდიოდა, ზებედემ ბადრი უჯარმელს მოჰკრა თვალი. იგი გვერდითი ფთახიდან დარბაზში გამოვიდა და შუა რიგში თავისუფალი სკამი დაიკავა. დაღლილი და განერვიულებული ეჩვენა ზებედეს. ან რა დალხინებული უნდა ყოფილიყო, როცა მთელი ცხოვრება ასეთ ჯაჯგურში გაეტარებინა და არც ახლა აძლევდნენ მოსვენებას. საკვირველია, რამდენი ტანჯვის გადატანა შესძლებია ადამისშვილს. იმ ხანად კიდევ ერთი შიმშილობა გადაეტანა მხეცური ტერორის, დაცინვის, ცოლშვილის დაწიოკებისა და აბუჩად აგდების პირობებში.

ზებედემ მაშინ პირველად ნახა, რა თავგანწირულად ამოუდგა ბადრი უჯარმელს მხარში მეუღლე. სიმპათიური, გმირული სულის ქალი.

ზებედეს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, აიღო პალტო და ქუდი, თვალი შეავლო დარბაზს, ზიზღით გადახედა ბეჟან სურამელს და მზერა პატიაშვილზე შეაჩერა. „დაუჯერეთ ბადრი უჯარმელს! ეს ყველასთვის საყარგებლო იქნება! საქართველო, უწინარეს ყოვლისა!“

პირველმა მდივანმა ირონიულად გააყოლა თვალი. ამ დროს მას უკვე გამოტანილი ჰქონდა გადაწყვეტილება და საბოლოო პასუხს ელოდა მოსკოვიდან.

ადამიანებს ბედისწერა წარმართავს.

ბადრი უჯარმელს თავის მოკატუნება არ შეეძლო, უკანმოუხედავად მიიწევდა ხელჩართულ ბრძოლაში.

• • •

კონსტიტუციურ მოთხოვნებზე ქართველების უკიდურესად მწვავე პოლიტიკური გამოსვლების გამო ცენტრს ისევ აფხაზური კოზირის მოშველიება დასჭირდა. ათასწლოვანი ეროვნული მთლიანობის ხელყოფას კი საქართველო ვერავის აპატიებს. საქართველომ მასობრივი შიმშილობა და მიტინგები გააჩაღა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნით.

წუთითაც აღარ შეწყვეტილა უსანქციო მიტინგები და დემონსტრაციები. უნივერსიტეტში, სამედიცინო ინსტიტუტ-

ში, წარმოება-დაწესებულებებში აღშფოთებული ხალხი გადაჭრით მოითხოვდა ლენინ-სტალინის მიერ იარაღის ძალით, დემაგოგიურად თავსმოხვეული ავტონომიების გაუქმებას.

ექვს აპრილს საგაფიცვო კომიტეტები გამოცხადდა და რეზოლუცია საგანგაშო ტონით იუწყებოდა: ვიწყებთ მშვიდობიან, პოლიტიკურ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, შიმშილობას თოთხმეტ აპრილამდე, ხოლო შემდეგ უფრო მკვეთრ ღონისძიებებს მივმართავთ.

საქართველო დიდი ხანია გულისფანცქალით ელოდა ამ დღეს. თბილისი აბორგდა, ყალყზე შედგა, სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებისთვის წამოიმართა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობას იმის უნარიც არ აღმოაჩნდა, ეს ყოვლად უნიადაგო, აბუჩად ამგდები, აშკარად ინსპირირებული სეპარატიზმი აღეკვეთა. რისი იმედიღა უნდა ჰქონოდა ხალხს ასეთი ფიქტიური „მთავრობისაგან“.

სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში ხალხმრავალ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ბადრი უჯარმელი, რომელსაც ხალხი ნდობას უცხადებდა და მზად იყო, გაჰყოლოდა. უნივერსიტეტში ეროვნული დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს, საქართველოს ეროვნული მთავრობის შექმნის იდეა წამოაყენეს. აქედან თხუთმეტათასიანი, ჩინებულად ორგანიზებული მიტინგი მთავრობის სასახლისკენ დაიძრა საბრძოლო სულისკვეთებით, რომელსაც, ეტყობოდა, მტკიცე ხელი, მხურვალე გული და გამჭრიახი გონება წარმართავდა.

მიტინგი მთელი ღამე გაგრძელდა მთავრობის სახლის მოედანზე. თბილისის მაცოცხლებელ ძალად იქცა, რომლისადმი მოსახლეობის ყველა ფენა ნდობით იმსჭვალებოდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხსნას ელოდა. მზადდებოდა საყოველთაო ეროვნული გაფიცვა. ტელევიზიასთან შეკრებილი ხალხი კატეგორიულად მოითხოვდა, შეეწყვიტათ ანტიეროვნული გადაცემები და მოეწყოთ მთავრობის სახლთან მიმდინარე მიტინგის პირდაპირი ტრანსლიაცია.

ხელისუფლებამ იგრძნო, რომ ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა. ხალხი სრულ უნდობლობას უცხადებდა, აშკარა სიძულვილს გამოხატავდა. ამ ვითომდა მთავრობას მხოლოდ საკუ-

თარი ხალხის დასაღუპავად განწირვის ძალა შესწევდა. მუხლებზე დამხობილი მოსკოვს ეხვეწებოდა შველას.

შვიდში მომიტინგეებმა და დემონსტრანტებმა დახმარება სთხოვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის პრეზიდენტებს. მთავრობის სახლის ფასადზე ინგლისურ ენაზე დაწერილი ეროვნული ლოზუნგები გამოკიდეს.

ათასობით პატრიოტი აცხადებდა შიმშილობაში მონაწილეობის სურვილს.

მიხეილ გორბაჩოვი ხანგრძლივ დიპლომატიურ მოგზაურობაში იმყოფებოდა. იმ დღეებში ფიდელ კასტროსთან მოლაპარაკების შემდეგ, ტეტჩერთან გადავიდა. ცხადია, ქვეყნის საშინაო საქმეების კურსში იქნებოდა.

„არაფორმალები“ საკმაოდ ფრთხილი და წინდახედული აღმოჩნდნენ. ზუსტი ცნობები ჰქონდათ ხელისუფლების სამხედრო ღონისძიებებზე. იცოდნენ, რომ შინაგანი ჯარის ნაწილები ალყაში იმწყვდევდნენ თბილისს. რკინიგზით, თვითმფრინავებით, ავტომობილებით თავს უყრიდნენ მოიერიშე ნაწილებს. პრესამ სასაცილოდ აიგდო მიტინგის ხელმძღვანელთა გაფრთხილება, რომ მთავრობამ დამსჯელი ნაწილები შემოიყვანა ქალაქში და ყოველ წუთს მოსალოდნელია თავდასხმა. დაიწყო მოედნის მიმდებარე ქუჩების ჩახერგვა ავტომანქანებით. ავრცელებდნენ დეზინფორმაციას, მომიტინგეები წინააღმდეგობის გასაწევად ემზადებიანო, მეზობელი რაიონებიდან დამხმარე რაზმები შემოჰყავთ და უცხოეთიდან დახმარებას ელოდებიანო.

პროსპექტზე დემონსტრანტთა ახალ-ახალი კოლონები შემოდიოდა ტაშისცემით, შემაზრიალებელი შეძახილებით: „საქართველო! საქართველო! საქართველო!“

ეს იყო მხნე, ძლიერი, თავისთავში დარწმუნებული ხალხის ვაჟკაცური შეძახილები, შერკინების სიმფონია, რომელიც ზებედე ქარცივაძეს საფრანგეთის პატარა ქალაქების განთავისუფლების ენთუზიაზმს უცოცხლებდა. განუმეორებელი მომხიბვლელობა ჰქონდა ამ სურათებს.

თბილისი ეროვნული დროშებით ჰყიაოდა. ასე იყო განწრახული ათას რვაას ოცდა თორმეტი წლის შემოდგომაზეც,

როცა შეთქმულების მონაწილე კეთილშობილმა მანდილოსნებმა რამდენიმე დღეში დაქსოვეს თეთრ-წითელი დროშები.

განსაცდელის მოლოდინში სულ უფრო მატულობდა რადიკალური ლოზუნგები: „ძირს სოციალიზმი!“ „ძირს რუსეთის ხალხთა საპყრობილე!“

მეთაურები წუთითი არ წყვეტდნენ მომიტინგეებთან კონტაქტს.

შიგადაშიგ მათ შორის გაუგებრობა იჩენდა თავს, მაგრამ იქვე, ხალხის თვალწინ აღწევდნენ შეთანხმებას.

სახელდახელო მომღერალთა გუნდები იმ დღეების ყველაზე პოპულარულ სიმღერას აგუგუნებდნენ: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია“.

საკვირველია, რომ დრო თვითონ ირჩევს თავის ჰიმნს.

ამ მიტინგებზე შეიძლებოდა შეგედგინათ ყველაზე პატიოსანი, მშრომელი, გაუბინძურებული, უანგარო ქართველი პატრიოტების სია. ისინი მიაღწევდნენ ყველაფერს, რასაც ახალი ეპოქა ითხოვდა. თავგანწირვით, პრინციპულობით, ერის მომავლის წინაშე პასუხისმგებლობით. შეგიძლიათ მათი იმედით იყოთ. თავდადებით დაიმსახურეს თქვენი ნდობა და არასოდეს უღალატებენ სიჭაბუკის იდეალებს.

ხალხი დაულეველ ნაკადად მიედინება მთავრობის სახლთან. უნდათ მივიდნენ ყმირ მოშიმშილეებთან, ანუგეშონ, გააამხნევონ, რაღაცით მიეშველონ.

ტრიბუნაზე ორატორი ორატორს ცვლის. მიკროფონი ხელიდან ხელში გადადის. ყველას სურს იგემოს თავისუფალი სიტყვა.

თანამემამულეებს პირნათელი, გამამხნევებელი, საბრძოლველად ხელგაშვერილი მიესალმებიან ბადრი უჯარმელი, ამირან ლაშქარავა, თორნიკე ერისთავი, სტეპკო სვირინგია, ჩარიტა, ენძელა ძიძიშვილი, როსტომ ვეშაპელი, სხვანი და სხვანი. უშიშარნი, გაუტეხელნი, დიდი ხანია საქართველოსთვის თავდადებულნი.

ხალხი იცნობს მათ. ამაყობს. სჯერა მათი. გავარვარებულ საკირეში მოუპოვებიათ ნდობა და სიყვარული. ახლა ისინი პირნათელნი დგანან მთელი საქართველოს წინაშე, ახალი განსაცდელისთვის მზადყოფნი.

თორმეტ საათზე პროსპექტს მუხლუხიანმა მანქანებმა გადაუარეს. ჩარჩოში ჩასმული შინები აზრიალდა. დემონსტრანტებს თითქოს არც შეუმჩნევიათ ეს. რამდენიმე ტანკმა თავისუფლების მოედანზეც შემოჰყო ცხვირი. მტკვარზე ელვისებურმა გლისერებმა ჩაიქროლეს. პროსპექტზე ტანკებმა გაიკვლიეს გზა. მსუბუქი მანქანა დაეჭეყეს.

რა აგზნებული, გამოთიშული უნდა ყოფილიყვნენ დემონსტრანტები, რომ ეს სიმპტომები გამორჩენოდათ. უფრო ზუსტად: ყურადღება არ მიექციათ.

ისიც არ გაკვირვებიათ, როცა გზაჯვარედინები სრულ სამხედრო აღჭურვილობით გამზადებულმა სამხედროებმა დაიკავეს. ავტომატებით, ხმლებით, საველე ნიჩბებით, აირწინაღებით. ეტყობა, მიეჩვივნენ ამ სურათებს. სამხედროებიც შინაურულად იდგნენ ან მიდი-მოდიოდნენ. მტერ-მოყვარეს ერთმანეთისთვის თვალი შეეჩვია. „ჩვენი ჯარია! ჩვენი არმია! იქ ხომ ჩვენი და-ძმები და შვილები მსახურობენ!“ გვერდზე „ვილისები“ მიეყენებინათ. რუსთაველსა და მიმდებარე ადგილებზე მუდამ ნახავდით სამხედროებს და მათი ფუსფუსი, ჩექმების ბრახა-ბრუხი ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდათ.

მიტინგს გონიერი გამწესრიგებლები ჰყავდა. მხედველობიდან არაფერი რჩებოდათ.

არ იცოდნენ მხოლოდ, რა ხდებოდა ცეკაში, სამხედრო ოლქის შტაბში, მოსკოვში.

წარმოდგენა არ ჰქონდათ პოლიტბიუროს გადაწყვეტილებაზე, თბილისიდან მოსკოვში გაგზავნილ საგანგაშო დეპეშებზე, რომლებსაც მეორე მდივანი ბორის ნიკოლსკი ადგენდა და ხელს აწერდა პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი. შედგენილი იყო მიტინგის გარეკვის გეგმა და დანიშნული იყო ოპერაციის სარდალი: ავღანეთში ნაწრთობი გენერალ-პოლკოვნიკი იგორ როდიონოვი. ღონისძიებებს ხელმძღვანელობდა თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი კოჩეტკოვი.

როდიონოვმა ერთი კი ჩაილაპარაკა. ასეთი ოპერაციები არმიის მოვალეობას არ შეადგენსო, მაგრამ უარის თქმა არც უფიქრია. პირველმა მდივანმა მოაწერა ხელი უკანასკნელ

დეპეშას: თბილისში ფეთქებადი ვითარებაა. მდგომარეობა უმართავია.

იერიში: ცხრა აპრილს, დილის ოთხი საათისთვის.

ეს ყველაფერი საიდუმლოდ.

მთავრობის სასახლესთან, პროსპექტზე, ქალაქში, მთელ საქართველოში ვნებები არ ცხრება.

ხელისუფლებასთან კავშირში მყოფი ინტელიგენციის ჯგუფი ცდილობდა, მოწინააღმდეგე ძალები პოლიტიკურ დიალოგზე დაეყოლიებინა. მაგრამ არცერთი მხარე არ თანხმდებოდა.

ხელისუფლება იმიტომ, რომ გამანადგურებელი იერიშისთვის მზად იყო და ეშვი არ ეპარებოდა, სამუდამოდ ჭკუას ასწავლიდა არაფორმალებს. ეროვნულ ძალებსაც არ სურდათ ქედი მოეხარათ. ათეული წლები ელოდნენ ასეთ მომენტს და როცა ხალხის სრულ მხარდაჭერას მიაღწიეს, ასეთ მომენტში უკანდახევა ეროვნული ღალატი იქნებოდა. დიდი ხანია თავი გადადებული ჰქონდათ მამულისათვის შესაწირად, ბრძოლის წინა ხაზზე იდგნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ.

ლიბერალიზმი ლიბერალიზმია. ყველგან და ყოველ დროში. რა სახითაც არ უნდა მოიკაზმოს. მოთაფლული ღალატი. წინსვლის ბორკილი და სულმოკლეობა. რეაქციის უკანასკნელი ნავსაყუდელი.

ლიბერალიზმის სამშვიდობო წინადადებაზე გადაჭრით და საოცარი ფორმით ითქვა უარი: ჩვენ მზად ვართ თავისუფალი საქართველოს სახელით მოლაპარაკება გავმართოთ მხოლოდ კრემლთან!

ეს ისტორიული სიტყვაა. ახალი საქართველოს დასაწყისი. ღმერთი თავის რჩეულთ ალაპარაკებს ამ ენით. ლიბერალებს ეს ბედნიერება არასოდეს რგებიათ. გაორებულ ადამიანთ ასეთი ნაბიჯის გადადგმა არ ძალუძთ.

ლიბერალების ადვოკატს ღამის ორ საათზეც დაურეკეს პარტიის ცეკაში და ხალხის დაშოშმინების პირობა მიუციათ. ზოგს დღემდე ვერ გაურკვევია, რა სჯობდა, მსხვერპლის გაღება თუ მონობის უღელში კიდევ უფრო თვინიერად თავის შეყოფა და სამარცხვინო დათმობები, თითქოს ადამიანებს სიკეთე წინააღმდეგობის გარეშე ეძლეოდეს. ასე რომ

იყოს, სიმართლისათვის დაღვრილი სისხლის წვეთი უზენაესი მადლი არ იქნებოდა ღვთის გაჩენილ ქვეყანაში.

ტანკების ხმაური მოახლოვდა. მოშიმშილეებს მილიციის რაზმები შემოუდგნენ. მათ ავტომატები და ხელკეტები არა ჰქონდათ, განიარაღებული იყვნენ.

შუაღამე გადასულიყო. აქ კი წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომ გენერალ-პოლკოვნიკმა როდიონოვმა პროგრამა „ვრემიას" შემდეგ, ტელევიზიით საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და, როგორც თბილისის კომენდანტად დანიშნულმა, საკომენდანტო საათის წესები წაიკითხა.

გადაწყვეტილების მიღებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ საგანგებო წესების შემოღებაზე ოქტომბერ-ნოემბრის გამოსვლების დროსაც დაიწყო სერიოზული ლაპარაკი. წინა დღით რეაქციული ზედაფენა გაბოროტებას ვეღარ ფარავდა, არაფორმალი ხელმძღვანელების დატუსაღებას ითხოვდა და სამხედრო ნაწილებს დემონსტრანტების დასარბევად მოუხმობდა. ასე პოლარულ პოზიციებზე აღმოჩნდნენ, ერთის მხრივ, დამყაყებული, კორუმპირებული, ეროვნებადაკარგული, პარტიული ჩინოსნები, გახრწნილი ბიუროკრატული აპარატი, ხოლო მეორე მხრივ, პატიოსანი, თავისუფლების დასაბრუნებლად შემართული ქართველობა.

ხელისუფლება იმდენად შოკირებული ბრძანდებოდა, რომ ასეთი უკიდურესი ღონისძიების სამართლებრივ მხარეზე ფიქრის თავი არ ჰქონდა.

ისტორიაში სამარცხვინოდ დარჩება, რომ მთავრობაში ერთი კაციც არ აღმოჩნდა, კომენდანტის საათის წინააღმდეგ ხმა ამოეღო.

იმ მომენტისთვის, როცა როდიონოვი ტელევიზიით განცხადებას აკეთებდა, კომენდანტის საათის დაწყებამდე ორიოდე წუთიღა რჩებოდა და გავარვარებული ხალხის შეკავება აღარ შეიძლებოდა. ეს გაღიზიანებას და ცეცხლზე ნავთის დასხმას უფრო ჰგავდა, ციდრე მშვიდობიან, კეთილგანზრახვით გაფრთხილებას.

ამ გამწარებულ ადამიანებს აღარაფერი სჯეროდათ, აღარაფრისა ეშინოდათ.

სულ ზემოთ, მოშიმშილეთა სათავეში ვიოლა და დედა-

მისი ჩამომსხდარიყვნენ. თუ დაგამახსოვრდათ, გაზეთ „კომუნისტის“ მოსაცდელში რომ დავტოვეთ, მას შემდეგ, უფრო გაეშმაგებინა დედა-შვილი ქვეყნის უსამართლობასა და უსასოობას.

რა სურდათ, რას მოითხოვდნენ? იმის მეათედ სამართალს, რაც ოსმან აღას დედას ან გოგია უიშვილის ცოლ-შვილს ჰქონდათ. ისიც თავიანთთვის კი არა, დევნილ, ფეხქვეშ გათელილ მოყვასთათვის. მათი ჯალათები დათიკო დროიძეები კი არ ყოფილან, არამედ დიპლომიანი რაიკომის მდივნები და „ერთხმად არჩეული დეპუტატები“.

მთავრობის სახლის კიბეებზე ზის... მეათე კლასის მოწ-წავლე ქალიშვილი, რომელსაც დაბადებიდან ნესტიან სარდაფში ხდება სული, მისი მშობლები ოც წელზე მეტია ბინის მიღების აღრიცხვაზე იმყოფებიან.

მოშიმშილენი ინსტიტუტებშიც ჩამომსხდარან. ბევრი სტუდენტიც არაა. არც ეღირსებათ. თუ ფულით გატენილი ტომარა არ გაქვს, ნურც იოცნებებ ამაზე.

ხელისუფლება სიძულვილს აღვივებს. ათას დეზინფორმაციას ავრცელებს.

შვიდ აპრილს გორბაჩოვმა დიდ ბრიტანეთსა და კუბაში დიპლომატიური ვიზიტი დაამთავრა და მოსკოვს დაბრუნდა.

ეჭვი არ არის, დაწვრილებით მოახსენებდნენ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. უთუოდ, იმ სახით, როგორც ადგილობრივ აფასებდნენ მას: არაფორმალები, სხვადასხვა ჯურის დესტრუქციული ელემენტები არღვევენ ცხოვრების ნორმალურ რიტმს, ავრცელებენ ყოველგვარ დეზინფორმაციას, მიტინგის მონაწილეებს მოუწოდებენ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისაკენ, უწესრიგობისკენ. ცდილობენ საბოტაჟი გაუწიონ წარმოება-დაწესებულებებს, სასწავლებლებს.

ხელისუფლება დემონსტრანტებთან და მომიტინგეებთან პირისპირ დგომასა და კამათს ვერ ბედავდა. შორიდან იქნევდნენ ხელებს, გაჰყვიროდნენ რაღაც გამაფრთხილებელ მოწოდებებს, რომლებიც ხალხს არ ესმოდა და არც აინტერესებდა.

ტრიბუნა როგორღაც შეიკვსო, შემჭიდროვდა და შეიმარ-

თა, მეთაურებმა გადამწყვეტი ჟამის მოახლოება შეიგრძნეს. ასეთი წუთის ხელიდან გაშვება შესაძლოა ღალატი აღმოჩნდეს. ბადრი უჯარმელმა და ამირან ლაშქარავამ დამუშტული მარჯვენა მკლავები აღმართეს. მთელი მათი გამომეტყველება საიერიშო მოწოდებას, რწმენას, შინაგან მღელვარებას და მეომრულ სიმშვიდეს გამოხატავდა.

ეს ცეცხლში გამოვლილთა მრისხანე სიმშვიდეა. გამომწვევი, უტყუარი და თავზარდამცემი.

მოახლოებული ტანკების გრუხუნი მოსწავლეთა სასახლესთან წუთით შენელდა.

ორივე მხარეს გადაუწყვეტია სამკვდრო-სასიცოცხლო შეჭიდება. ძალების მოსინჯვა. ხალხისთვის თავის უპირატესობის ჩვენება: ვინ უნდა აიბარგოს, ვინ დარჩეს.

წვიმს. წინა დღეებში ნაშუალამევს მოშიმშილეებთან მხოლოდ მორიგეები რჩებოდნენ. ახლა განთიადი მოახლოვებულია და წასვლას არავინ აპირებს. ემატებიან კიდეც. ოჯახის წევრები აკითხავენ. უჩვეულო ზეიმის განწყობილებაა. თავგადადების. მზადყოფნის.

მოედანზე გაფითრებული შემოდის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე. მავედრებელის მშვიდი, შთამაგონებელი სახე. ერი დიდი ხანია იცნობს და ენდობა მას. ქრისტიანობა დაუბრუნა საქართველოს. სათნოებით. სიწრფელით, მამაცობით.

წვიმა შეწყდა.

ჩვეული სიდინჯით მიმართავს მრევლს.

— გვიახლოვდებიან. ავი რამე არ მოხდეს, ახლავე ეკლესიაში შევიდეთ სალოცავად. ხალხნო! წავიდეთ! წმინდა გიორგის ქაშუეთის ეკლესიაში ვილოცოთ ჩვენთვის და საქართველოსთვის.

ყველა ბადრი უჯარმელს შეჰყურებს.

ის კი მშვიდად გაჰყურებს პროსპექტს.

„არა!“ — უხმოდაა თქმული.

ერთმა ლიდერთაგანმა მიკროფონი თითქმის ხელიდან გამოგლიჯა კათალიკოსს და მბრძანებლურად შესძახა:

— ფეხი არ მოიცვალოთ! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! არაფერიც არ მოხდება! ოცდახუთ მარტსაც

სცადეს თავდასხმა, მაგრამ ვერ გაბედეს! ვერც ახლა გაბედავენ.

— ლოცვით დავხვდეთ! — ერთდროულად მოუწოდეს უჯარმელმა და ლაშქარავამ.

პროსპექტი, მოედანი, მთელი ქალაქი ერთ მოღალადეტაძრად იქცა.

ეს იყო საოცარი სანახაობა. განუმეორებელი ერთსულოვნება ზეცისა და კაცისა. განწმენდა და ამაღლება სულისა.

ლოცულობდნენ ხმამაღლა თუ გულში. ღვთისთვის მინდობილნი. არავითარ შიშს არ გრძნობდნენ.

თავისუფლების მოედანზე სასიგნალო მაშხალა ავარდა. ახმაურდნენ ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, ფარიან-მუზარადიანი ბატალიონები. მოდიოდნენ განაჩენის აღსასრულებლად.

კათალიკოსი გაქვავებულიყო. დავიწყებოდა საკუთარი მოწოდება, რომ ქაშუეთს შეყუდრებოდნენ და ელოცათ.

ჩიტაძის ქუჩაზე მოიერიშეები დაეშვნენ. დაცოფილები. სისხლ-მოწყურებულნი. ორპირნალესი მესანგრის ნიჩბებით და ხელკეტებით.

თითქოს უხილავი გრძნობითო, ხალხი ერთბაშად წამოიშალა მხიარული შეძახილებითა და ცეკვა-სიმღერით. გეგონებოდა, ზეიმით ეგებებიანო.

ტრიბუნა ციხე-სიმაგრედ ისალტებოდა. ერთ მუშტად შეკრული. ბურჯად უჯარმელი და ლაშქარავა აღმართულიყვნენ. გარშემო — თანამებრძოლნი. ნაცადნი და უცადნი. ქალვაჟნი, მშვენიერნი და უშიშარნი.

„დაუკარით!“ — შესძახა ხალხმა უსინათლო მუსიკოსებს. აყღერდა ფანდური, ჩაჰბერეს სალამურს და ვინ იცის მერამდენედ დაიღვარა ლადო ასათიანის ცეცხლოვანი სტრიქონები: „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს“...

ერუანტლად დავლილი სიტყვები, ამ წუთებისთვის შექმნილი ღვთაებრივი სიმღერა. ბრძოლის ნაღარა, რომლის მოსმენაზე სიკვდილი სანატრელად გეჩვენებათ. ღვთის შვილების ჰანგი.

ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, ფარიან-მუზარადიანი

მოიერიშეები შემოადგნენ მოშიმშილეებით მოფენილ კიბეებს.

არ განძრეულან. იქნებ ვერც წარმოიდგინეს, რომ დასუსტებულთ, ღონეგამოცლილთ, ნაშიმშილებთ ხელს ახლებდნენ.

— დასცხეთ უსაქმურებს!

— სიკვდილი როსკიპებს!

— აი, თქვენ, სტალინისთვის!

— აი, თქვენ, ბერიასთვის!

— წურბელებო!

— სისხლისმწოველო პარაზიტებო!

გამეტებით დაუშინეს ხელკეტები, ორლესული ბარები.

„ღმერთო, გამაძლებინე!“ — ღონე მოიკრიბა ვიოლამ და დედას წაეშველა, ამდგარიყო. მაგრამ ნაბიჯის გადადგმა გაუჭირდათ. გადაულახველი ჟინი იგრძნო, რაღაც ეყვირა, ადამიანებისთვის ხმა მიეწვდინა.

— ბარბაროსებო, სისხლისმსმელებო! — არ შეუმჩნევია, გააგონა თუ არა ვინმეს, წარმოთქვამდა თუ გულში გაჰკიოდა. აღარ იცოდა როგორ გამოეხატა აღშფოთება შემაძრწუნებელი უსამართლობის, თვითნებობის, ადამიანთა აბუჩად აგდების წინააღმდეგ.

— საზიზღრებო! არაადამიანებო! — თავის სუსტ ხმას უერთებდა დედა. — ბედნიერი დღე არ გვღირსებია თქვენს ხელში! ჩაქვავდით! მამაზეციერმა სამაგიერო მოგაგოთ ხალხის ძარცვა-გლეჯისა და ტანჯვა-წამებისთვის. ამოწყდით თქვენს მოწყობილ ციხეებსა და ბანაკებში!

— ხმა ჩაიწყვიტე, პარაზიტო! — დაჰკრა ხელკეტი შინსახკომელმა.

— ღორო! — მივარდა ეგზეკუტორს ლეგა, დაკუნთული ჭაბუკი და ერთი დარტყმით დასცა.

— წადით, გაეცალეთ აქაურობას, თქვენო უწმინდესობავ! — გადაცმულმა პოლკოვნიკმა ხელი ჩაავლო კათალიკოსს და ჯაჯგურ-ჯაჯგურით ქაშუეთისკენ გაიყვანა.

— მუსიკოსებს მიხედეთ! — წასჩურჩულა ბადრი უჯარმელმა რჩეულ ვაჟკაცებს. ჯადო სიმღერა არ წყდებოდა!

„დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს...“

„ამოდის, ნათდება!“ — ზმანებასავით იმეორებდა ბრმა მეჩონგურე.

ყველაფერი ერთმანეთში ამღვრეულიყო: სიმღერა, ხარხარი, კვნესა, მუქარა.

„გვიშველეთ! გვიშველეთ!“

„დერეფანი!“

„დაიხიეთ!“

„წრე შეჰკარით!“

გაჰყვირიან ქართველი მილიციელები, სახელდახელოდ შეკრული ვაჟკაცები.

„მოშიმშილეებს გზა!“

„ქალები გალერეასთან!“

მოიერიშეები არავის ინდობენ. არც ქალს, არც ბავშვს, არც ქართველ შინსახკომელებს. მათთვის ყველა უცხო და მიუღებელია. ყველა სტალინელი და ბერიელია. ყველა ნებიერა და პარაზიტია. ყველა ფუფუნებაში ცხოვრობს.

კეტებს ატრიალებენ. ორლესული ბარებით ჩეხავენ. ილანძღებიან.

გასაქცევს ვერ იპოვნი. ქუჩები ჩახერგილია.

აქაურობის ბატონ-პატრონები არხეინად გრძნობენ თავს. საიმედოდ არიან დაცული საკუთარი ხალხისაგან. მთავრობის სასახლის ცხრაკლიტულისთვის შეუფარებიათ თავი. ფრინველი ვერ გადაუფრენს თავზე. შესვლას ნუღა იკითხავთ!

.დღეს მყუდრო დარბაზში იმ მამულიშვილებს მოუყრიათ თავი, ვისი მოთხოვნითაც საპატიო სტუმრები გვესტუმრნენ ტანკებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით. საუკეთესო სათვალთვალო ამოურჩევიათ. ხელისგულზე ჩანს პროსპექტი და სასახლის მოედანი. ნანატრი გასართობია. ყოველ შემთხვევისათვის, ტელევიზორებიც ჩაურთავთ.

— უყურეთ, რა ვაჟკაცურად იცავენ თავს! — აღტაცებულია მდივანი.

— ესენი ჩუმ-ჩუმად მანევრებსაც აწყობენ! — იხუმრა მთავრობის წევრმა.

— გადავაყოლებ, თუ კაცი ვარ.

ცხარე ბატალური სურათები იშლება თვალწინ .ბიუროს წევრები ღელავენ, გლადიატორებმა სირცხვილი არ ჭამონ.

— წვეთი წყალი! — კვნესის მომაკვდავი ქალი. — ჩამაწვეთეთ თუ ღმერთი გწამთ!

მილიციის სერჟანტი ხელს უწვდის დაჭრილ მოშიმშილეს. გაიზუზუნებს რეზინის ხელკეტი და მილიციელი უღონოდ ეცემა.

ცოცხალ-მკვდრებს სასწრაფო დახმარების მანქანებთან მიათრევენ, სადაც დაჭრილ-დახოცილები მიუყრიათ.

ცოდვის კითხვაა. ტირიან. შველას ითხოვენ.

მომიტინგეები გზააბნეული აწყდებიან ერთმანეთს. წინ ტანკები. ზურგში ტანკები. გასასვლელები შეკრული. ბუჩქებში თავგაჩეხილი მანდილოსანი გდია. ზედ გოგონები გადამხობიან. ჯალათებს უნდათ საბოლოო დარტყმა აგემონ მომაკვდავს და ხელკეტები ქალიშვილებს ხვდება. გვერდით ვიღაც სულს ღაფავს. კედელთან ფეხმოტეხილი ბიჭი ფართხალებს.

ნათესავ-მეგობრები ერთმანეთს დაეძებენ. დროდადრო თოფი გრიალებს. განადგურების ვნება დუღს. სისხლის სუნი ტრიალებს. აქა-იქ გაზის ჭურვები ეცემა. ამოვარდნილი ბოლი ჰაერში იწეწება. მსხვერპლს ცნობიერება ეკარგება.

ალექსანდროვის ბაღის სიღრმიდან ლაწა-ლუწი ისმის. ლომგულებს მომხვდურები შეუთრევიათ და ნეკნებს უსწორებენ. კინოსა და თეატრის ვესტიბიულებში ხელჩართული შეტაკებებია.

დადგა მომენტი, როცა ყველა ქართველმა ერთ სხეულად იგრძნო თავი. საფრთხემ და ულმობლობამ გაგვაერთიანა.

გარეუბნებში პატრულები დადიან. სანაპიროები ჩაკეტილია. მელიქიშვილზე ჟიგული მიჰქრის საქართველოს გაშლილი დროშით.

„მრგვალ ბაღთან“ სვირინგია მანქანიდან გადმოხტა, ღია ეზოში შევარდა. სართულებს გაჰხედა. განწირულებით, ზიზღით და გაბოროტებით დაიყვირა:

— ქართველებო, რა მშვიდად გძინავთ! გამოდით, თქვენს შვილებს რუსთაველზე ხოცავენ. — მაშინვე გამობრუნდა. ეზოდან ეზოში შედიოდა, შემზარავი ხმით ერთსა და იგივეს გაჰყვიროდა. თვითონაც არ გაეგებოდა, რატომ და რისთვის?

ქალაქი აოხრებულ სასაფლაოს დამსგავსებოდა.

* * *

მეათე კლასელი მარიკა ჩოხელი ერთი დღეც არ გამოკლებია მთავრობის სახლთან მიტინგს. „მოშიმშილედ" არ ითვლებოდა, მაგრამ განუწყვეტლივ მათთან იყო. წყალს უცვლიდა. ტანსაცმელი, გადასახურავი, წამალი მიჰქონდა. უმისოდ ვეღარ სძლებდნენ. თემოც თავისუფალ წუთს არ გაუშვებდა, მასთან არ მისულიყო. გოგონა შორიდან ლაციცის ნებას რთავდა. საბავშვო ბაღიდან მეგობრობდნენ.

რვა აპრილს სასახლის მოედანს არ მოშორებია. თანაკლასელ თამრიკოსთან წაისაუზმეს და ტრიბუნასთან დაბრუნდნენ.

როცა ტანკები მოახლოვდნენ, მღვდელმთავარმა ლოცვა წარმოთქვა და ხალხი ვედრებით დაემხო, ისინი ჩონგურზე ასათიანის ცეცხლწამკიდ სტრიქონებს ამღერებდნენ.

ნაშუაღამევს თემო ორიოდ საათით შინ წავიდა. მობრუნებულს მოედანი დედაბუდიანად ამოტრიალებული დახვდა. სისხლის გუბეები დაეყენებინათ. გამზირი ნაცარტუტად ექციათ. კვნესა-გოდება. მიტინგი დაეხვრიტათ. მარიკა არსად ჩანდა.

თავზარი დაეცა. სად მოეკითხნა? ვისგან რა გაეგო?

სასწრაფო დახმარების მანქანებს დახოცილები და მძიმედ დაჭრილები გადაჰყავდათ. გიჟივით შევარდა მანქანაში. მოლანდებებით გატანჯული და შერყეული.

თავზარდაცემული ჭირისუფლები საავადმყოფოდან საავადმყოფოში, მორგიდან მორგში გარბი-გამორბოდნენ.

თემომ შემზარავად იბღავლა, როცა პირველი საავადმყოფოს პროზექტურის ქვის იატაკზე მიგდებული ძვირფასი გოგონას დამახინჯებული, ნაწამები სახე იცნო. უმშვენიერესი ხატება...

სასწრაფო სასწრაფოზე მოდიოდა. ჯალამბრებზე აწყობდნენ მოკლულებს, მოგუდულებს, მოწამლულებს თუ დაჭრილებს.

ქუჩებში დევნა, შეტაკებები, სტვენა-ყვირილი არ წყდებოდა. უპატრონოდ დარჩენილნი და უნუგეშონი შველას ითხოვდნენ. ქალაქს რიჟრაჟის მღვრიე შუქზე სული ხდებო-

და. გარეუბნებში ისევ გაისმოდა ავბედითი მოწოდებები: „ქართველებო, რას გძინავთ! გამოდით, შვილები დაგიხოცეს!“

შუა ქუჩაში წვერმოშვებულ ახალგაზრდა მამას ხუთიოდე წლის ნაბდისქუდიანი ბიჭუნა შემოუსვამს კისერზე. გვერდით დაბოღმილი დედა მისდევს. გულისშემძვრელ მწუხარებას ჩაუნთქავთ.

ქვაფენილზე ჯიშიანი გოგო მიაბიჯებს. მარტოდმარტო. შემართული ქართული დროშით. კუშტი, ამაყი და შეუპოვარი. თეთრი ზედატანი აცვია, ქამრით გადაჭერილი. მთელ ქვეყანას იწვევს ორთაბრძოლაში.

შორს სამხედრო მანქანების სილუეტები მოჩანს.

4.

სეხედე ქარცივაძე დილის რვა საათზე გამოჰყვა ტრამვაის და დიდუბიდან ალექსანდროვის ბაღამდე დაუბრკოლებლად იმგზავრა.

ბაღის ქვემო ნაწილიდან რომ ზემოთ ადიოდა, ბუჩქებში, აქა-იქ, შესანიღბავ ფორმის ტანსაცმელში შეიარაღებული სალდათები შეამჩნია, რომლებიც ეჭვით უთვალთვალებდნენ გამვლელ-გამომვლელს.

წინადღით თერთმეტ საათზე წამოსულიყო მიტინგიდან და წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უბედურება დატრიალებულიყო რუსთაველზე. ახლა, ბნელ კუთხეებში მიმალული სამხედროების დანახვაზე მიხვდა, რაც ჩაიდინეს. ქუჩა რომ გადაჭრა და აივაკა, ზებედემ ტანკების და ჯავშანტრანსპორტიორების მწვანედ შეღებილი ცხვირ-შუბლიც დალანდა.

შეკრთომა არ შეიმჩნია. თუმცა, ისედაც გასაგები იყო ყველაფერი და სასტუმრო „თბილისთან“ რუსთაველზე გავიდა.

მშვიდად მიიხედ-მოიხედა. შეიარაღებული პატრულებით გაჭედილ გამზირს თვალი გაადევნა და აღელვებული, სასტუმრო „ივერიის“ მიმართულებით გაჰყვა. ცხელი ნაკვალევი აღარ ჩანდა. სასწრაფოდ მიელაგ-მოელაგებინათ, თუმცა, ყველაფერი იგრძნობოდა. საშინელი პირქუშობით და შე-

მაძრწუნებლობით. უპირველესად, შინსახკომელთა გამომეტყველებით, რომლებსაც გარშემო ყველა კუთხე-კუნჭული დაეკავებინათ.

ზებედეს ომიც გამოეცადა, პარტიზანობაც, ოკუპაციაც, „საგანგებო წესებიც“, „კონცლაგერებიც“, „ჩეკას“ ჯურღმულებიც, „იმპერპოლარეთის“ კატორღაც, მაგრამ ამგვარი შეურაცხყოფა და დამცირება არასოდეს უგრძვნია.

ცხადია, მიხვდა, რომ ქალაქში კომენდანტის საათი გამოეცხადებინათ და თუ ოდნავ ცხვირის აწევას, დაუმორჩილებლობას შეგამჩნევდნენ, იქვე გაგასაღებდნენ.

საქართველოს დედაქალაქი მტრის ბუნაგად გამოეცხადებინათ, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას მოქალაქეობრივი უფლებები ჩამორთმეული ჰქონდა.

ვინ იცის, რამდენი ელოდა გულისფანცქალით დაღამებას, რათა სიბნელეში თავი დაეღწია საშიშროებისგან.

რთული, დაძაბული ვითარება გამეფებულიყო. გამაფრთხილებელი ფურცლები. რადიო და ტელევიზია განუწყვეტლივ იმეორებდა მკაცრი რეჟიმის მოთხოვნებს.

ცენტრალურ კომიტეტში, ტეკაში გამუდმებული სხდომებია. ორმხრივი უნდობლობა გამეფებულა. იმართება ბრიფინგები. შეხვედრები მასობრივი ინფორმაციის წარმომადგენლებთან. მოითხოვენ პრობლემები გადაწყდეს „ხალხთან მოთათბირებით“.

თბილისის ჭადრებს ბრძოლის დაღი დაჭდობიათ. როგორც ორმოცდათექვსმეტის ცხრა მარტს. დღევანდელ დღესავით ახსოვს ზებედეს ტყვიით დაცხრილული ხეები და შენობები.

ფარიან დამსჯელთა გაშეშებული სახეები, წინ გამოწეული ავტომატები.

რუსთაველზე კომენდატურის გააფთრებული ოფიცრები დაჰქრიან. უმოწყალო იერით.

გადასასვლელებზე უნდობელი, უცხო მედესანტის თვალი მიაცილებს თბილისელებს.

რესპუბლიკის მოედნიდან კინოსახლთან გადასვლისას, ზებედეს ფაციანკალი მოესმა. მეცნიერებათა აკადემიის მხრიდან პროსპექტი გადმოკვეთა წინსაფრიანი ქალებისა და კა-

ცების ჯგუფმა, რომელთაც მხარზე კიბეები გაედოთ. ქართველი არ ერიათ.

შენობები შორიდანვე გაენაწილებინათ. გადმოსვლისთანავე, გააფთრებულებმა კიბეები მიიდგეს და ზიზღით დაიწყეს ქართული დროშების, წარწერების გლეჯა-ხევა. საოცარი სიძულვილი იგრძნობოდა. შურისძიება და ნიშნისმოგება.

ტროლეიბუსის გაჩერებაზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. „არაფორმალებს" ლანძღავდნენ გაფიცვების, მიტინგებისა და დემონსტრაციებისთვის. შავ დღეს უწინასწარმეტყველებდნენ ქართველებს. არ მოეწონა ზებედეს ის ჭრელი დუნდგრო. წაქეზებული არაქართველები ჩანდნენ. თბილისში რაღაც საეჭვო მიზნით შეკრებილნი.

— ლიდერები „აუყვანიათ!" — იდუმალებით წაიჩურჩულა უცნობმა.

— ვინ ლიდერები? — მიაჩერდა ზებედე.

— ვინ ლიდერები? — გამოაჯავრა უცნობმა. — გამსახურდია, კოსტავა, ჭანტურია, სარიშვილი. წერეთელს მოუსწრია მიმალვა.

ზებედე რუსთაველის პროსპექტის ერთი მხრიდან მეორეზე გადადიოდ-გადმოდიოდა. აკვირდებოდა, უსმენდა, მაგრამ ვერაფერი გაეგო. დაზაფრული ადამიანები ახლობლებს დაეძებდნენ. პროსპექტის ჭადრებზე დაღუპულთა და დაჭრილთა სახელდახელოდ შედგენილ სიებს აკრავდნენ. მიუთითებდნენ, სად შეიძლებოდა მათი ნახვა. სიებს ბუჩქებში მუქარით ქვემეხგამოშვერილი ტანკების ცხვირწინ ჰკიდებდნენ. ყველაზე მეტი ჩოჩქოლი და ფუსფუსი მთავრობის სახლის წინ ისმოდა, სადაც ორიოდე საათის წინ სისხლისღვრა დატრიალებულიყო. შეშფოთებული მეეზოვეები მერამდენედ ჰგვიდნენ ერთსა და იგივე ადგილს. მანქანებთან აგროვებდნენ ეზოებს შიგნით, კუთხე-კუნჭულებში შემორჩენილ საგნებს: გაჭეჭყილ ქალებსა და ბავშვის ფეხსაცმელებს, დაფლეთილ, გაჭუჭყიანებულ წიგნებს, რვეულებს, ბლოკნოტებს, თავსაფრის ნაფლეთებს, ჭურჭლის ნამტვრევებს. ყველაფერს საზარელი ბრძოლის იერი დასდებოდა.

დაღუპულთა და დაკარგულთა სიების გვერდით, თბილისის სამხედრო კომენდანტის გამაფრთხილებელი განცხადება

გაეკრათ. მკაცრი რეჟიმისკენ მოუწოდებდნენ მოსახლეობას. აკრძალულია სამხედრო წესების ტერიტორიაზე შესვლა და ტერიტორიიდან გასვლა. ნება ეძლევათ მხოლოდ ქალაქში ჩაწერილთ და სპეციალურად მოვლინებულთ. შინაგან საქმეთა კომისარიატი ქმნის საკონტროლო გამშვებ პუნქტებს. ოცდასამი საათიდან ექვს საათამდე წყდება თავისუფალი სიარული. ვაჭრობას აწესრიგებენ სამხედრო ხელისუფლები. ზღუდავენ ქუჩაში მოძრაობას. აკრძალულია კრებები, დემონსტრაციები, მიტინგები. ჯგუფებად დგომა. სამხედრო პატრულებს უფლება ენიჭებათ დააკავონ, გაჩხრიკონ ყველა, ვისზედაც ეეჭვს მიიტანენ. გაუფრთხილებლად ესროლონ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში.

წესებს ხელს აწერდა გენერალ-პოლკოვნიკი იგორ როდიონოვი. ყოველ ნაბიჯზე მოჩანს ფორმიანი და გადაცმული სამხედროების კუშტი, ულმობელი სახეები. ყველა ქართველი პატიმრადაა მიჩნეული. მთავრობის დაწესებულებები ჩახერგილია.

ოფიციალური ცნობა:

„სიტუაცია ცალკეულ რაიონებში, კერძოდ, გლდანისა და საქარხნო რაიონებში კვლავ დაძაბულია. აქ ყველაზე მეტად იგრძნობა ახალგაზრდობის აგრესიულად განწყობილი ჯგუფების გავლენა. ქალაქში ჩნდება ფურცლები პროვოკაციული მოწოდებებით. სამხედრო პატრულმა დააკავა მოქალაქე ლიპარტელიანი, როცა ის აკრავდა, ნაციონალისტური ყაიდის ფურცლებს. კომენდანტის საათის დადგომის შემდეგ გასული დღე-ღამის განმავლობაში დაკავებულია და შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის გადაცემულია ორასოცდარვა კაცი, სამოცდაექვსი მანქანა, ჩამორთმეულია ასჩვიდმეტი ცივი იარაღი, სამი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი. სასამართლოებმა ადმინისტრაციული წესით დასაჯეს ოთხმოცი კაცი“.

მომდევნო კომუნიკეებში კომენდანტი იუწყება, რომ გლდანის რაიონში, ვაზისუბანსა და ვარკეთილში „მოხულიგნო ელემენტები ღამით ემუქრებოდნენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს. საბურთალოს რაიონში უცნობი პირები ზიმავალ სამხედრო მანქანებს ესროდნენ ბოთლებს, ქვებს. ლენინის რაიონში ჩამოგლიჯეს სამხედრო კომენდანტის გან-

კარგულებები, რომელთა ნაცვლად გააკრეს ანტისაბჭოური ხასიათის ფურცლები. დაწვეს ხარაჩოები გეორგიევსკის ტრაქტატის ორმაგი წლისთავის ძეგლის გარშემო. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლთა მისამართით გაისმოდა მუქარა და მოთხოვნები შეეწყვიტათ მუშაობა. ასეთივე სურათი იყო მოსკოვის პროსპექტზე, მეტროს სადგურ „წერეთელზე", ქარხანა „მიიონის" რაიონში.

ვრცელდება პანიკური ხმები. არის ორმხრივი მიზეზით გამოწვეული კონფლიქტები. თბილისი არ ნებდება. აივანზე მოჩანს წლინახევრის ბიჭუნა, გაშლილი ქართული დროშით და წარწერით: „მე პატარა ქართველი ვარ!" გაგაოცებთ ცეროდენას მტკიცე გამოხედვა და შიში გიპყრობთ, ტყვია არ დაახალონ!

ქალაქს ათასგვარი ჭორი, პანიკური ვარაუდი მოეფინა. თქვენ წარმოიდგინეთ. ყველაფერში უკან მოჩანჩალე ხელისუფლება ამ საქმისთვის კარგად მომზადებული აღმოჩნდა. იმ დღესვე კოსმოსური სისწრაფით მომზადდა სათანადო ინფორმაცია და გამოხმაურებანი, როგორც აქაური, ისე ცენტრალური პრესისა და რადიო-ტელევიზიისთვის. ეს მასალა, „სათანადო ორგანოს" მითითებისამებრ, ერთ ჰანგზეა შედგენილი და მიზნად ისახავს მთელი ტრაგედია გადააბრალოს „არაფორმალ ექსტრემისტებს" და მათ ნაციონალისტურ ლოზუნგებს. იმ დროისათვის განსაკუთრებით კრიმინალურ მოწოდებად ჟღერდა პატრიოტული ლოზუნგი: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!"

ხელისუფლება ახალგაზრდობაზე ზრუნავს, კაცთმოყვარეობას ამოეფარა: „ბავშვები გაწირეს". „სწავლა-განათლებას მოაცდინეს". „რა უნდათ ბავშვებს ქუჩაში?" „ახალგაზრდების მონაწილეობა მიტინგებს არაფერს მატებს!" „ყველა საკითხის გადაწყვეტაში ახალგაზრდობას კომუნისტური პარტია დაეხმარება!"

საკმაოდ ეშმაკური ფანდია! არსებული სიმახინჯეებისთვის, რომლის გამოც სახალხო გამოსვლები გაჩაღდა და სისხლი დაიღვარა, ხელისუფლებას, დამრბევებსა და დამხვრეტებს თავიდან უნდა აეცდინათ პასუხისმგებლობა და იმათთ-

ვის გადაებრალებინათ, ვისაც ახალგაზრდობა გაჰყვა მაღალი იდეალებისთვის ბრძოლაში.

დაგეგმილი პროპაგანდისთვის ხელისუფლებას თავისი კადრები ჰყავს გამზადებული — ვითომ მუშები, ვითომ კოლმეურნეები, ვითომ მეცნიერები, ვითომ მწერლები და ვითომ დიასახლისებიც კი. ეს სამსახური აუნაზღაურებელი არ რჩება. ამ გაცვეთილმა მეთოდმა ბევრჯერ მოხერხა თავი ჩვენი ცრუ პროპაგანდის ოსტატებს და ვერც ახლა მოიტანა სასურველი ნაყოფი. თხუთმეტი წლის მოსწავლე გოგონა, რომელიც „ექსტრემისტულ ლოზუნგებს" შეეწირა, სამარადისო ხსოვნას და დაფასებას იმსახურებს და არა ცინიკურ სიბრალულს.

ცხრა აპრილის მახინჯად, ანტიქართულად შეფასება, რომელიც შემდეგ ცენტრალურ პრესას დაბრალდა, აქ, ჩვენში, პირველსავე დღეს იშვა და დაფრთიანდა, აქედან მიეცა სტარტი, რასაც ხელი ჩასჭიდეს და აიტაცეს ქართველთა მტრებმა და მოძულეებმა.

გაოცდებით, რა პრიმიტიული საშუალებები იქნა გამოყენებული იმისათვის, რომ დანაშაული „ექსტრემისტებისთვის" მიეწერათ.

ზოგმა სცადა, ცხრა აპრილის ტრაგედიის მიზეზად აფხაზეთის ლიხნის წერილი გამოეცხადებინა, მაგრამ დაავიწყდათ, რომ ეს მოძრაობა ბევრად უფრო ადრე დაიწყო. სამოციან-სამოცდაათიანი წლების რეპრესიებზე რომ არაფერი ვთქვათ, წინა წლის ოქტომბერ-ნოემბრის მძაფრი დემონსტრაციებისა, შიმშილობისა და გაფიცვების გახსენებაც კმარა, რომელიც კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის მოთხოვნებმა გამოიწვია..

საჯაროობის პრინციპი თითქოს მოქმედებდა, მაგრამ ცხრა აპრილის მოვლენებმა ცხადჰყო, რომ ჩვენი მმართველი წრეები არა თუ არ სცნობდნენ მას, ზოოლოგიური ზიზღით იყვნენ მის მიმართ გამსჭვალული და დიქტატურის უზნეო ჩვევებით მოქმედებდნენ.

ამის მაგალითი იყო ცეკას მდივნის, გიზო ფარსაგიშვილის მიერ ჟურნალისტთა სახლში ჩატარებული პრესკონფერენცია. აქაც მკაცრად დაუპირისპირეს ერთმანეთს მუშათა

კლასი და „უსაქმური ინტელიგენცია“, „ფორმალები და არა-ფორმალები“, „მოაზროვნე ინტელიგენცია“ და „ექსტრემისტები“. ფეხქვეშ გათელეს ეროვნული მოძრაობა და მასალა ჭისცეს ჩვენს ავის მოსურნეებს.

ორიოდე დღის შემდეგ „პრავდამ“ და „საკდესმა“ ცხრა აპრილი ქართული ექსტრემიზმის გამოვლინებად გამოაცხადეს და უცხოური პრესის შეფასებებიც დაიმოწმეს. დაასკვნიდნენ. რომ ცხრა აპრილი „გარდაქმნის“ პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაშასადამე, ხელს აძლევდა მემარჯვენე ძალებს.

ქართველობა მტკივნეულად განიცდიდა ყოველ უარყოფით გამოხმაურებას რუსეთსა და უცხოეთში და აღარც აგონდებოდა, რომ ასეთ შეფასებას თვით ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაუდო სათავე.

ცოდვის კითხვა ტრიალებდა იმ დღეებში. ყველა სისხლიან ჭრილობას რა გაიხსენებს და ჩამოთვლის. გინდოდა თუ არა, უნდა გეფიქრა, რომ კარგად ორგანიზებულ დათრგუნვის ოპერაციასთან გვქონდა საქმე. იბეჭდებოდა ყველაფერი, ტყუილი და მართალი, რაც ამ განწყობილების გაღვივებას შეუწყობდა ხელს. ცილისწამებებით და ბოღმის ნთხევით თავი ისახელა თბილისის სამხედრო გაზეთმა „ლენინსკოე ზნამიამ“.

პრესის მასალებით ქართველს მთელი მსოფლიოსგან მოკვეთილი და შეჩვენებული ეგონებოდა თავისთავი. ბნელი ძალების შეთქმულებას ჰგავდა, რომელმაც მომდევნო თვეებში თანდათან იჩინა თავი.

ქართველობას ვერ გამოეცნო, რას უპირებდნენ, რა მოელოდა.

ამ ვითარებაში ხალხს სასოება მოჰგვარა იმის გაგებამ, რომ თბილისში იმყოფებოდა ედუარდ შევარდნაძე. ზოგს უყვარდა, ზოგს სძულდა, ბევრი ენდობოდა, ბევრი ეჭვით უყურებდა, მაგრამ მძიმე განსაცდელში ჩავარდნილთ, უპატრონოდ დარჩენილთ, ყველას რწმენა უღვივოდა, რომ თავისიანი საბოლოოდ მაინც არ გაწირავდა.

თერთმეტ აპრილს გორბაჩოვის მიმართვაც გამოქვეყნდა: „საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელსს“, რომელ-

შიც ნათქვამი იყო გულის მოსაშუშებელი სიტყვები: „მოგმართავთ, როგორც ადამიანი, რომელიც იცნობს და დიდ პატივს სცემს ქართველი ხალხის ისტორიას და ტრადიციებს, მის მაღალ და კეთილშობილურ თვისებებს“.

ისტორიის გამოცდილებით ვიცით, რომ ერი არაერთხელ ჩავარდნილა გალახული ბავშვის მდგომარეობაში, თვალეშიც ჩაუხედავს მოსპობის საშიშროებისთვის და გულიც აჩუყებია მისი ბედიღბლის განმგებელი პატრონის ოინოდ ეთბილ, თუნდაც, დიპლომატიური მიზნით ნათქვამ სიტყვაზე. ისეთი ვითარება იყო, რომ ეს სიტყვები რაღაც ნუგეშს იძლეოდა.

თერთმეტ აპრილს შევარდნაძემ და რაზუმოვსკიმ ცეკაში რესპუბლიკური აქტივის კრება ჩაატარეს და სტაბილიზაციის ღონისძიებები შეიმუშავეს. შევარდნაძე რომ რისკიანი და გაბედული მოღვაწეა, უშრეტი ენერგიით და ფანტაზიით დაჯილდოებული, ამას მისი მტრებიც ვერ უარყოფენ. ყურადღება აქაც „ექსტრემისტული ელემენტების“ წინააღმდეგ გაამახვილეს.

თბილისში გლოვის ზარი ჩამომდგარიყო. რაც უფრო მეტი იმედი ჩნდებოდა, მით უფრო საგრძნობი ხდებოდა ტკივილი და მწუხარება. გამოცხადდა მამულისათვის შეწირულთა სახალხო გლოვა. დაიწყეს სამგლოვიარო განცხადებებისა და ნეკროლოგების ბეჭდვა. ასეთ მომენტებში ხელისუფლებას პოზიციის შეცვლის საოცარი მოქნილობა ახასიათებს. ვითომ, მთელ ხალხთან ერთად ვგლოვობთ, ვიტანჯებით, მაგრამ ჩვენი ბრალი არაა, ყველაფერი „ექსტრემისტებმა“ გამოიწვიეს.

* * *

დაკარგულების ძებნა მთელი ზაფხული გრძელდებოდა. ცნობები პრესაშიც ქვეყნდებოდა და ტელეხედვითაც გადასცემდნენ ხოლმე, მაგრამ ხალხს ხეებზე გაკრული სიებისა უფრო სჯეროდა, რომლებშიც დაინტერესებულ პირებს სახელდახელო შესწორებები შეჰქონდათ. ახალ სახელებს უმატებდნენ ან ცნობებს იძლეოდნენ: „დაჭრილი იმყოფება პირველ საა-

ვადმყოფოში“, „მოწამლულია გაზით“, „ცხელარი ნაპოვნია სასწრაფო დახმარების მორგში“, „აღმოჩნდა წყნეთში, მეგობართან“. ბოლოს და ბოლოს, ეს სიები ისე გაქრა გაზეთებიდანაც, ტელეხედვიდანაც და რუსთაველის პროსპექტის ხეებიდანაც, რომ გაურკვეველი დარჩა, რა ბედი ეწია სიებში მოხსენიებულ ზოგიერთ პირს.

ძებნაში მონაწილეობდნენ იმ დროს პირველად გამოჩენილი „სახალხო ფრონტის“ რაზმები, „ავღანელი ვეტერანები“. ახლად შექმნილი პარტიების მოხალისენი.

ზოგი მოხერხებულად ემსახურებოდა ხელისუფლების კურსს: ლანძღავდა „ემოციურობას“, „აჩქარებას“, „სიდინჯისა და გონიერებისაკენ“ მოუწოდებდა ქართველობას. „წინაპრებისგან ვისწავლოთ ჭირთა თმენა“, „ვიმოქმედოთ ხელისუფლების ორგანოებთან ერთად!“

ზებედე დღეს არ გაუშვებდა, რუსთაველის გამზირით მთავრობის სასახლესთან არ გასულიყო. იქ იგრძნობოდა საქართველოს მაშინდელი გულისძგერა, ტანჯვა, იმედი და მოწოდება. გვირგვინები ეწყო. ნიავი ანთებულ სანთლებს ანანავებდა. სახეკუშტი ბიჭები მორიგეობდნენ დიდი ომების ვეტერანთა სიამაყით.

უცებ ვიღაც ჭარმაგმა, დაბოლმილმა კაცმა მხრებში ხელი ჩაავლო. ზებედე გაოგნებული, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილი შეჰყურებდა უცნობს. ცდილობდა თავი დაეღწია მისი რკინის მარწუხებისგან. აქ მაშინ გრძნობდა სულიერ მყუდროებას, როცა მარტოდმარტო დაეხეტებოდა, განმარტოებით კითხულობდა ხეებზე გამოკრულ სიებსა და ხელნაწერ ლექსებს.

— ვეღარ მიცანი? — მკვახედ, ნიშნისმიგებით მიაჩერდა უცნობი.

— ვერა! — გულგრილად გაიქნია თავი ზებედემ. თან სცადა ჯზა განეგრძო.

— დამაკვირდი! — მუქარით შეავლო თვალი და საყელოში მოქაჩა.

კიდევ ერთხელ შეათვალიერა და განრისხებულმა მოკლედ მოუჭრა:

— გეშლება!

— მე მეშლება!? ათას წელს არ დამავიწყდები. — ირონიულად ჩაეცინა. — საფრანგეთი გაიხსენე! კასტრი, კარმოტულუზა!

ზებედეს სახე მოულბა. უხერხულობაში ჩავარდნილმა მობოდიშებასავით აჰხედა, დააკვირდი, მაგრამ მაინც ვერ გაიხსენა.

— ჩვენს რაზმში იყავი?

— რაზმში არა, ის არ გინდა! „ბერგმანში“ გახლდი ვაჟკაცებთან. — სიამაყითა და დამცინავად წარმოსთქვა.

— ჰოო! მე იქ არ ვყოფილვარ. მაკიზარებთან ვიბრძოდი.

— კომუნისტებს ემსახურებოდი!

— რატომ! საფრანგეთის თავისუფლებისთვის ვიომე.

— არ ხარ კაი კაცი! გერმანელებთან უნდა ყოფილიყავი. ხომ ხედავ, რა სინდის-ნამუსის პატრონი ყოფილან ესენი! ბავშვები და ქალებიც არ დაინდეს.

ზებედეს ბუნდოვნად აგონდებოდა, რომ ამ კაცთან რაღაც უსიამოვნება ჰქონდა. რაღაც არ აპატია. დასაჯა და ამიტომ იყო ასე დიდ გულზე.

— მართლა არ გახსოვარ? — ცოტა მეტი დათმობით ჰკითხა ბერგმანელმა.

— ბუნდოვნად მაგონდები. ან რა გასაკვირია, რაც მე მას შემდეგ გამოვიარე!“

— რა მოგვიდა!? — გაიოცა ბერგმანელმა.

— დამაპატიმრეს. ცხვირიდან ძმარი მადინეს. მერე დახვრეტა არქტიკის კატორღით შემიცვალეს და ძლივს ჩამოვიტანე სული.

— მაგათი მამა ვაცხონე, შენისთანა მეტიჩრებს რომ არაფერს შეარჩენენ! რა გეპარტიზანებოდა, ვერ დაეტიე შენთვის?!

— შენ რაღას მერჩი, თუ კაცი ხარ?

— მართლა აღარ გახსოვარ? მე მარტოლეკი ვარ, ალბში რომ ერთი ჯაბახანა ავტომობილისთვის გაუპტვახტაში ჩამაგდე.

— შენ ხარ, ბიჭო? მიხაკა!

— კარგა გხსომებივარ!

— რამ მოგაპარვინა, შე ღმერთძაღლო, ის ჯაბახანა მანქანა?

— ვითომ საბჭოთა არმიის ღირსებისთვის დამატუსაღე, ხომ? აბა, ნახე ახლა, როგორ უფრთხილდებიან თავიანთი არმიის ღირსებას! მოწაფე გოგონებს გალესილი საველე ბარებით უჩეჩქავდნენ თავს. დიდი ამბავი, თუ სანაგვეზე გადაგდებული „პეჟო“ ჩემი ხელით შევაკეთე და ქალაქში გავისეირნე.

— შტერი ვიყავი, თავგახურებული... — ჩაიბუზღუნა ზეზედემ. — ყველაფრის ღირსი ვარ.

— დაფიცებული მქონდა სამაგიერო გადამეხადა შენთვის, მაგრამ ღმერთს ისე დაუსჯიხარ, მე რაღა დაგიმატო!

მიხაკა მარტოლეკი მწარედ განიცდიდა ცხრა აპრილის ამბებს და იმ დღიდან ზეზედეს გვერდიდან აღარ შორდებოდა.

ზეზედეს ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ მიხაკა საგანგებოდ დაახვედრეს ქუჩაში. „მაშ, ნახევარი საუკუნის შემდეგ, ასე ერთი დანახვით როგორ მიცნო?“

„აღელვებული, გაღიზიანებული კაცის დაბნევა და გამოჭერა იოლია. ეს კარგად მოეხსენებათ იქ!“

„მე რომ მაშინ არ დამესაჯა, ამხანაგები უფრო სასტიკად გაუსწორდებოდნენ!“

ვინ გაიხსენებს, რამდენი გადაურჩენია იმ არეულ წლებში. ქაოსი ბობოქრობდა. ერთი მიდის, მეორე მოდის. ასეთ მომენტებში სიცოცხლეს ჩალის ფასი ადევს.

— ის ღამე აქ ვტრიალებდი. ვერ ვშორდებოდი ახალგაზრდებს. ასეთ ზეიმს ძე ხორციელი ვერ გამოიგონებს. ტანკები რომ შემოგვესია, მერე რაღა მოგვასვენებდა! თავი არ დამიზოგავს, მაგრამ რას უშველი. ბევრი რამ მინახავს და შემხვედრია იმ დიდ ომში, მაგრამ ასეთს არაფერს შევსწრებივარ! მოგრუხუნებენ ტანკები, გირტყამენ ორლესულ მახვილებს, შენ კი ჩილიკა ჯოხიც არ მოგეპოვება, მაგრამ ადგილიდან ფეხს არ იცვლი. ასეთი დახვედრაა ვაჟკაცობა, თორემ თანასწორი იარაღით ყველა კაი ვაჟკაცია. მერე, ვინ იყვნენ ეს ვაჟკაცები! ქალები და ბავშვები!

— ნაცადი მეომრისგან გამიგონია: მამულისთვის ბაწა შესახელება უნდა ქართველს და წინ ვეღარაფერი დაუდგებაო!

— ეს ამბავი ვარშავის გეტოს ათასცხრაას ორმოცდასამი წლის აჯანყებას მაგონებს. მშიერმა, უიარაღო ქალებმა და მოხუცებმა რომ „ესესის“ რჩეული პოლკები შეაცბუნეს.

— რა დააშავეს ჩვენმა ქალებმა ასეთი? ნუთუ მეოცე საუკუნის ბოლოს ადამიანმა თავისი აზრი ვერ უნდა გამოთქვას!? მოშიმშილეებს ტანკები უნდა მიუსიო!? მშვიდობიანი მიტინგი იყო, მეტი ხომ არაფერი!

— გული არ მისვენებს, რომ ამით არ დამთავრდება. დიდი ბოღმა უდევს ამ ბარბაროსულ ელეტას მიზეზად.

— ხელკეტით თავგაპობილი ბავშვები მელანდება.

— რომ დაფიქრდე, აქაური ხელისუფლების ბრალი გამოდის.

— პირადი ინტერესიც ურევია. — გადაკრულივით თქვა მარტოლეკმა.

— დიდი დრო გავა, სანამ სიმართლეს გავიგებდეთ.

შეიძლება გაგიკვირდეთ, რომ არაფერს ისეთი შემზარავი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ამ დღეებში, როგორც ჩვენი „სასიქადულო მამულიშვილების“ პირველმა გამოხმაურებებმა. მათი „ვირეშმაკური“ წერილები, ბრძნული დაკვირვებები, ანალიზები და პროგნოზები აღსავსეა ხალხისადმი სიძულვილით, ცინიზმით და ნიშნის მოგებით. ნუთუ ესენიც მამულიშვილები არიან?! მათაც მეცნიერები, პატიოსანი ადამიანები და საზოგადოების წევრები უნდა ეწოდოთ?

ერთი მათგანი თავისთავს „ღრმად მოაზროვნე ინტელიგენტს“ უწოდებს, მომიტინგეებსა და მოშიმშილეებს „ექსტრემისტებად“ აცხადებს და დაპატიმრებულ მეთაურებთან სასტიკ ანგარიშსწორებას ითხოვს?

აბუჩად იგდებენ „დემოკრატიზაციას“, „საჯაროობას“, „გარდაქმნას“ და ავიწყდებათ, რომ მათმა „კულტებმა“, კერპებმა და „ბელადებმა“ მთელი საუკუნის მანძილზე ისე ღრმად დამარხეს ყოველივე ეს, რომ ამ სიწმინდეების გაცოცხლებას ხუთი და ათი წელი აღარ ეყოფა. იციან, როგორ არ იციან ეს! მაგრამ ძალა არ შესწევთ შეიკავონ თავიანთი ცოფი და მძვინვარება. დიდსიტყვაობენ ჯალათები „სულიერ მონაპოვრებზე“, „გონიერებაზე“, „სიდინჯეზე“. აღარ აგონდებათ თავიანთი სულმოკლეობა, ანგარება, სიყალბე,

რამაც აქამდე მიგვიყვანა. რა იქნება, ერთი წუთით მაინც ჩაიხედონ თავიანთ ხარბ და ჭუჭყიან გულში. გაიხსენონ, რა საშუალებებით აცოცებულან იმ „სიმაღლეებამდე“, საიდანაც პატიოსან ხალხს ემეტყველებიან: „დაშლილიყვნენ და სისხლისღვრა არ მოხდებოდაო!“

— როგორ გგონია, გატეხა ჩვენი ხალხი ამ საშინელმა უბედურებამ? — ჰკითხა ზებედემ.

— რას მეუბნები! ჩვენი ხალხის გატეხვა არაფრით არ შეიძლება. აბა, ამ ხეებზე გამოკრულ ლექსებს ჩახედე! აჩეხილი, დარბეული ხალხი და იქვე ლექსი და სიმღერა. ჩვენი ჯიში არასოდეს მტანჯველი სასოწარკვეთით არ განიცდის სიკვდილს. ასე იყო, ასე არის. დააკვირდი: ლექსი და იქვე მოხალისე დონორის განცხადება. ფულადი შეწირულებანი. ყვავილები. ანთებული სანთლები. ლოცვა. აი, წლევანდელი აპრილის თბილისის პეიზაჟები. განა ამის დავიწყება წარმოსადგენია? ვიქნებით, სანამ პირში სული გვიდგას.

— ათასი წელი რომ ვიცხოვრო, არ დამავიწყდება ასათიანის „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს“ — იმ დროს, როცა მუხლებზე დაჩოქილი ხალხი სასოებით ლოცულობს, ტანკების გრუხუნი ახლოვდება და მკვლელთა ჩექმებს ბრაგაბრუგი გაუდის.

— წარმოუდგენელია მეტი თავდადება! იმ მომენტში თავს სწირავდა ყველა. ჩვენ გვწამს და ვიცით, რას გვავალებს იმის რწმენა, რომ საქართველო განუწყვეტელი გმირობის ქვეყანაა. ამიერიდან ეს ათასცხრაასა ოთხმოცდა ცხრა წელი იქნება მისი გმირობის წელი, თუმცა, არც ხმალი მოგვიქნევია, არც თოფი დაგვიქუხებია. წარმოდგენა არ მქონდა, თუ ის მომღერალი გოგოები უსინათლონი იქნებოდნენ. არც მათი სიმღერა ჰგავდა ამქვეყნიურს. იმ დღეს ახალი საქართველო დაიბადა, ახალი სულით, ახალი ვალდებულებებით.

* * *

არავის სურდა დაეჯერებინა, რომ შუა თბილისში, უსაყვარლეს ქუჩაზე, სახალხო ზეიმის დროს, მშვიდობიანი ადამიანები დაიხოცნენ. ქალები, ბავშვები, მოხუცები, დაჩოქი-

ლი მლოცველნი, ღვთის მავედრებელნი, ცეკვა-სიმღერისას. კაცობრიობამ უამრავი მსხვერპლი იცის. საქართველოს ცხოვრება სისხლითაა მორწყული. მაგრამ ეს განუმეორებელია. არ არსებობდა მიზეზი. აფრთხილებდნენ, ემუქრებოდნენ, მაგრამ არავის სჯეროდა, რომ ამას ჩაიდენდნენ. რამდენ უსამართლობას და ხოცვა-ჟლეტას მოსწრებია ჩვენი ხალხი. ცხრა აპრილი მაინც უმაგალითოდ დარჩება. მხეცობით, ულმობლობით, ვერაგობით, შხამიანი სიძულვილით. თორემ, ქართველს სიკვდილით რას გააკვირვებ! სულ თავს არ გვესხმოდნენ!?

თბილისი ძაძებში ჩაიძირა. ქვითინებდა ყველა, განურჩევლად იმისა, დაკარგა თუ არა ახლობელი. ძალმომრეობა ზეიმს იხდიდა; კომენდანტი აცხადებდა: „განვლილი დღეღამის განმავლობაში ქალაქ თბილისში ვითარებას აკონტროლებდნენ საბჭოთა ადმინისტრაციული ორგანოები და ჯარები“. დიახ, ისე, როგორც ფრონტის სამხედრო კომუნიკებში. თითქოს მომხდური არმიებისგან გადაერჩინოთ ალყაშემორტყმული ქალაქი. თბილისის პროკურატურა იუწყებოდა: „აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამო დაპატიმრებული არიან: ხუხუნაშვილი, კოსტავა, ჭანტურია, სარიშვილი და გამსახურდია. ტელევიზიით და რადიოთი, აგრეთვე რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებულ ცნობაში დაპატიმრებულთა შორის შეცდომით აღნიშნულია წერეთლის გვარი. ამჟამად მას დაეძებენ“.

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მენაღარიშვილის ინტერვიუში ითქვა: „ცხრა და ათ აპრილს სამკურნალო დაწესებულებებს დახმარებისთვის მიმართა ორასორმოცდაათმა მოქალაქემ. მათგან ზოგი მძიმე მდგომარეობაშია. ჰოსპიტალიზირებული არიან ქალაქის პირველ, მეშვიდე, მერვე საავადმყოფოებში, ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში, ტრავმატოლოგიის, ქირურგიის, ნევროლოგიისა და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების კლინიკებში. მიტინგის დაშლის დროს დაღუპულთაგან თოთხმეტი ქალია, ორი — მამაკაცი. სამწუხაროდ, მსხვერპლთა რიცხვი, ალბათ, გაიზრდება. ათ აპრილს ღამით ქალაქის პირველ საავადმყოფოში და ქირურგიის ინსტიტუტში მოათავსეს სამი დაჭრილი, რო-

ზელთაგან ერთის გადარჩენა ეჭვს იწვევს. მათ ჭრილობები მიიღეს კომენდანტის საათის დროს სამხედრო პატრულებთან მომხდარი კონფლიქტის შედეგად".

თორმეტ აპრილს საგანგებოდ გამოაცხადეს: „შინაგან საქმეთა ორგანოებმა დააკავეს უწესრიგობათა ერთ-ერთი ორგანიზატორი ირაკლი წერეთელი".

ძრწოლასა და გოდებას იწვევდა ყოველი მსხვერპლი. რისხვას მოეცვა საქართველო. რა ორფეხმა აღმართა ალესილი საველე ნიჩაბი და ხელკეტი თხუთმეტი-თექვსმეტი წლის გოგონების თავის გასაჩეჩქვად! ყოველი მეორე ადამიანი ნეტარებით შეეწირებოდა შურისძიებას.

ეტირებოდა ყველას, ვისთვისაც ძვირფასია თავდადებული კაცი, მამულისთვის ზვარაკად შეწირული სიცოცხლე.

ნურც გულღვარძლიანებს გამოვტოვებთ! ბოროტად ნიშნის მომგებთ! ისინიც ყოფილან და იქნებიან. ისინიც წერდნენ ტრაგედიაზე, მაგრამ არ განიცდიდნენ მას. ცივად ანგარიშობდნენ, ვისთვის რა დაებრალებინათ. ყური დაუგდეთ! „ცხრა აპრილს თავი იჩინა ქართველების ეროვნული ხასიათის ნიშან-თვისებებმა. ამბიციურობამ. ანარქიულობა-უდისციპლინობამ, ილუზიორობამ".

ხოცვა-ჟლეტას შეიძლება გამართლება ჰქონდეს ნორმალური ადამიანის წარმოდგენაში?!

მთელმა საქართველომ იგლოვა წამებული შვილები, როგორც არასოდეს არავინ უგლოვია.

ცაში დამუქრებული ვერტმფრენები, ქუჩებში მოგრუხუნე, ლულებაშვერილი ტანკები. თავდახრილი, ცრემლიანი პროცესიები. წინ — მშვენიერი გოგონების პორტრეტები. გვირგვინების, თაიგულების, ყვავილების ოკეანე. შეძრწუნებული სახეები. ეკა ბეჟანიშვილის, თამრიკო ჭოველიძის, ნათია ბაშალეიშვილის გაოცებული თვალები.

გულმოკლულმა თბილისმა სასახლის მოედნიდან ნიონში გადაინაცვლა.

* * *

მგლოვიარე დროშების სუსხი და სითბო...

ხელისუფლება შეუდგა ვითარების სტაბილიზაციას. ეს საქმე შევარდნაძემ ითავა. მოთოკილი ნერვებით. მტკიცედ. პასუხისმგებლობით. სწრაფად უნდა აღმდგარიყო დარღვეული ცხოვრების რიტმი. პირველ დღეებშივე ითქვა, რომ დაიღვარა უდანაშაულო სისხლი და ღირსეულად უნდა გავაცილოთ დაღუპულნი უკანასკნელ გზაზე, რომ უნდა დადგინდეს და დასახელდეს დამნაშავენი, რომ ხელი შევუწყოთ ნორმალიზაციას, რათა უახლოეს ხანში გაუქმდეს საგანგებო ღონისძიებანი და კომენდანტის საათი.

ცეკაში არ წყდება სიცრუით სავსე ბრიფინგები, „საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის“ არაფრისმაქნისი სხდომები. გეზს ძველი ხელმძღვანელები იძლევიან. პატიაშვილი, ჩერქეზია, ჩხეიძე, ფოფხაძე. ისმის ერთმანეთის ყვედრება. გადაბრალ-გადმობრალება. სულსწრაფობა და სულმოკლეობა.

„მოთმინება და საღი გონება გვჭირდება“. „ჯარის ძალას ჩვენ შეგვიძლია დავუპირისპიროთ მხოლოდ წესრიგი!“ „უზრუნველვყოთ ქალაქი პურით, ბოსტნეულით, რძით, ძეხვეულით“. „განვაახლოთ სწავლა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში“. „ჩავაყენოთ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში!“ „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ!“ „კომენდანტის საათის საჭიროება რომ არ იყოს!“ „ვინ ამწვავებს მდგომარეობას!“ „ინტერვიუ არ მიმიციან!“ „ნორმალური რიტმით!“

რამდენიმე საათმა მთელი ჩვენი ცხოვრება ამოაგდო კალაპოტიდან. დატრიალებული უბედურება ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულს მისწვდა. ქუხილით გადაუარა პლანეტას. მთელი დედამიწა შეაზანზარა.

შევარდნაძე მოვლენების ცენტრში იყო, — აქტივობით, გავლენით, იდუმალებით. ადგილობრივი ხელმძღვანელები, რომლებიც მოსკოვში გადაყვანის შემდეგ, მეტისმეტად გაუთამამდნენ მას, ახლა დამფრთხალნი ძველებურად შეღირღიცებდნენ და, ბედის განაჩენს მისგან ელოდნენ.

დეზინფორმაცია ძალას იკრებდა. ცეკას მდივანი ნუგზარ ფოფხაძე ბრიფინგს ბრიფინგზე ატარებდა. ლაპარაკობდა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა პოლიტიკურ შეცდომებზე, რამაც გამოიწვია ექსტრემალური სიტუაცია. აკრიტიკებდა ბიუროს წევრებს, პატიაშვილს. ამხელდა „რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს", რომლის არსებობა ფაქტიურად არავინ იცოდა. აპრილის დასაწყისიდან თბილისში საჯარისო ნაწილები მობილიზებული აღმოჩნდნენ.

ხელმძღვანელთა შორის რიდი გამქრალიყო. მიტინგზე პირველი მდივნის გამოუცხადებლობა ბრიფინგზე იმით ახსნეს, რომ ეს გამოიწვევდა პატიაშვილის დისკრედიტაციას, რისი სიმპტომებიც აშკარად ჩანდა მიტინგებზე. არაფორმალები უარს აცხადებდნენ ხელისუფლებასთან შეხვედრაზე: „არავითარი დიალოგი მარიონეტულ მთავრობასთან".

ერთ-ერთ ბრიფინგზე ისიც ითქვა, რომ „მომხდარისთვის პასუხი უნდა მოეთხოვოს ცეკას მეორე მდივან ნიკოლსკის".

პატიაშვილს აღარავინ ერიდებოდა და აკადემიაში შეხვედრის დროს ისეთი ბრალდებები წაუყენეს, იძულებული გახდა, გადადგომა ეთხოვა. განაცხადა: „ეს ჩემი უკანასკნელი გამოსვლა იყო". მისი თხოვნა პრინციპულად იქვე გადაწყდა.

თოთხმეტ აპრილს გაიმართა ცეკას პლენუმი, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება. მიიღეს მიმართვა კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი, ახალგაზრდობისადმი. პატიაშვილი „თავისი თხოვნით" გაათავისუფლეს თანამდებობიდან. პირველ მდივნად აირჩიეს გივი გუმბარიძე, რომელსაც იმ დროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი ეკავა. ასევე „საკუთარი თხოვნით" გაათავისუფლეს ჩხეიძე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობიდან. მის ადგილზე ჭითანავა დანიშნეს.

მიმართვაში ითქვა პირველი საგულისხმო აღიარება და სინანული: საკაცობრიო რეზონანსს ვერ გაზომავ ვერავითარი გონებაგანჭვრეტითი საწყაოთი, ვერავითარი ლოგიკური კატეგორიებით, საგანგებო გარემოებათა ვერავითარი დამოწმებით.

ეს დადასტურება იყო, რომ პოლიტიკური გამოსვლების მეთაურებმა ბეკ, ბიუროკრატ, ხელისუფლებს დააშვებინეს

საბედისწერო შეცდომები, რასაც თვითონაც გადაჰყვნენ, და რამაც საფუძველი შეურყია დრომოჭმულ წყობილებას.

ნუ გაგაოცებთ ეს დასკვნა! იმ ოცი ადამიანის სიცოცხლემ ახალი გზა გაჭრა კაცობრიობის ისტორიაში. მილიონების მსხვერპლს გაუტოლდა. ხალხი დარწმუნდა, რომ ძალადობაზე დამყარებული რეჟიმის დამხობა შესაძლებელია. გაქრა დიქტატორული სისხლისღვრის წინაშე შიში. გამხნევდა, გათამამდა ხალხი. ამასთან დაკავშირებით, შევარდნაძემ მოხერხებულად დაიმოწმა გორბაჩოვის სიტყვები: „ის, რაც თბილისში მოხდა, ზიანს აყენებს გარდაქმნის, დემოკრატიის, ქვეყნის განახლების ინტერესებს“.

კიდევ ერთი საგულისხმო აზრი გამოითქვა: „გულდასმითმა, მიუკერძოებელმა და ყოველმხრივმა გამოძიებამ იურიდიული და მეცნიერული უცილობლობით უნდა განსაზღვროს ცხრა აპრილის ტრაგედიის გამომწვევი ამბების ხასიათი და მიმართულება. ყოველი დამნაშავე დასახელებული იქნება“.

მოთმინება და დროა საჭირო, რომ მბრძანებლური სულისკვეთებით აღზრდილებმა დიალოგი დიქტატისგან გაარჩიონ.

ასეა თუ ისე, საქართველომ ახალი ხელმძღვანელობა მოიპოვა.

თექვსმეტ აპრილს შევარდნაძემ, რაზუმოვსკიმ და გუმბარიძემ ყვავილები მიიტანეს მთავრობის სასახლის წინ მოედანზე, სადაც 9 აპრილს განთიადისას უდანაშაულო ადამიანები დაიღუპნენ.

ორიოდე დღის შემდეგ, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით თბილისში შემოღებული კომენდანტის საათი ჯერ შეამცირეს, ხოლო თვრამეტი აპრილის ხუთი საათიდან გაუქმებულად გამოცხადდა.

ქალაქმა ამოისუნთქა.

„შრომითი კოლექტივები რიტმულად ამუშავებდნენ“.

მეცადინეობები განახლდა.

* * *

შეიქმნა ცხრა აპრილს მომხდარ გარემოებათა გამომკვლევი კომისია.

აპრილის სისხლიანი კვირა ყველა ქართველს ერთნაირად არ

განუცდია. ზოგს, ჩიტის რძეც არ ჰკლებია, ტკბილი ცხოვრება დაერღვა და მოუსვენარ თანამემამულეებზე გაბოროტდა. ამათ ოღონდ თანამდებობა ჰქონდეთ, კაი ჭამონ და კაი სვან, სახლები იშენონ, ქრთამები აიღონ, ახალი ორდენები და ხარისხები მიიღონ და სხვას არას ინაღვლიან. მათთვის სამშობლოს ტკივილები, მასზე ზრუნვა და ოცნება არ არსებობს. პატრიოტიზმი სპორტში მოპოვებული გამარჯვებით ამოიწურება. უსამშობლოდ და უმორალოდაც დიდებულად გრძნობენ თავს. უნდა გენახათ, რა მტანჯველად, დაბოღმილი შეჰყურებდნენ „ექსტრემისტებს“, რომლებიც დალხინებულ ცხოვრებაში ხელს უშლიდნენ.

ეს ჭკუის დამრიგებელი მოძღვრები, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ყველაფერს იკადრებენ. „საქართველოს ინტელიგენციას დიდი პასუხისმგებლობა გვაწევს!“ — იჭიფხებიან ისინი. „დროულად უნდა გამოგვეჩინა სიფხიზლე და სიმტკიცე!“ „ვიყვეთ გონიერნი! ახალ უბედურებას ნუ დავატეხთ საქართველოს თავს!“ „მშრომელთა ინტერესები საკმაოდ შორსაა არაფორმალ ლიდერთა ანტისაბჭოური ლოზუნგებიდან“. „ჩვენ პასუხს ვაგებთ საქართველოს მომავლისათვის!“ — ოხრავს საქართველოს მომავალზე და გულისხმობს საკუთარ სტომაქს.

ხედავთ, როგორ არეკლილა ობივატელის შემეცნებაში მომხდარი მოვლენები? ვინ ყოფილა მტყუანი და ვინ მართალი?! თუმცა, ნურც იმას დავივიწყებთ, რა დევნა, ტანჯვა-წამება და ჯოჯოხეთი გამოიარა ქართველმა ხალხმა სამოცდაათი წლის განმავლობაში. რა დღე დაგვაწია სტალინმა და სტალინის გულისათვის კი რა კუპრში ჩაგვყარა ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელიც ყოველ წუთს სამშობლოდან აყრითა და გადასახლებით გვემუქრებოდა. გავწყდებოდით, გადავგვარდებოდით და გაიხრწნებოდით, მა რა მოგვივიდოდა?!

* * *

უმკაცრესი ცენზურისა და დეზინფორმაციის მიუხედავად, სიმართლე ცხრა აპრილის სისხლისღვრაზე მთელ პლანეტაზე გზას იკაფავდა და მილიონობით თანამგრძნობს პოულობდა. მოდიოდა მხურვალე თანაგრძნობის წერილები და დეპეშები

საბჭოთა კავშირისა თუ უცხოეთის ყველაკუთხე-კუნჭულიდან. ქვეყნდებოდა უტყუარი ცნობები. მსოფლიოს მოედო ჟურნალისტ იური როსტის გაბედული ფოტორეპორტაჟები. მძაფრი ორთაბრძოლა გაჩაღდა სიმართლესა და სიცრუეს შორის.

დარბევაზე ნაკლებ მტანჯველი არაა, როცა გრძნობ, რომ ცამდე მართალი ხარ, და ნაცემ-ნაგვემი მარტო ხარ მიგდებული. საუბედუროდ, ესეც წინასწარ დაგეგმილი და გამიზნული გამოდგა. შეიძლება კატასტროფული შედეგები მოჰყოლოდა ამას. იმ დღეებში გაირკვა, რომ ღვთის მიერ განწირული არ ვიყავით და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კალთა გვფარავდა.

ცენტრალური პრესის თავდასხმებს წინ გადაეღობა ყველა ერის ადამიანთა სათნოება და მოყვასისადმი თანაგრძნობა.

ლენინგრადიდან პირველსავე დღეებში მოვიდა მხარდაჭერის კოლექტიური წერილები და დეპეშები. მოსკოვში თანაგრძნობის მანიფესტაციები მოეწყო. ბალტიისპირეთში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად სამგლოვიარო მიტინგები გაიმართა. საზოგადოებრიობა გმობდა მშვიდობიანი მიტინგების ტანკებითა და მომწამლავი გაზებით ჩახშობას. ანათემას უთვლიდა სალდაფონებს, თანამედროვე ეგზეკუტორებს. სამარცხვინო ბოძზე აკრავდა დაქირავებულ მჯღაბნელებსა და სისხლისმსმელთა ადვოკატებს.

ცხრა აპრილის მოვლენები მსოფლიოს განსჯის, კამათის, მოპირდაპირე მხარეთა უკომპრომისო შეჯახების საგნად იქცა და გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პოლემიკამ და დისკუსიამ განუზომელი როლი ითამაშა ხალხთა გამოფხიზლებასა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში.

„სისხლიანი კვირის“ მაგალითზე ერებმა სასიცოცხლო დასკვნები გამოიტანეს. ქართველ ხალხზე ზედგამოჭრილი გამოდგა ილია მართლის სტრიქონები:

კვლავ ეწამა მოყვასთათვის
საოცარი იგი ერი,
კვლავ დაიდგა დიდ წამების
მან გვირგვინი მშვენიერი.
კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა,
წმინდა სისხლი წამებულის...

ოღონდ, „განახლების ძალნი“ ამჯერად დიდი ხნით აღარ შემდგარა და „ისტორიაც აღარ შეფერხებულა“. ვერც დიდმპყრობელური ნება განხორციელდა: „როგორც მომესურვება, ისე მოგექცევი, შენ კი ხმა გაიკმინდე და კმაყოფილებით მომელაქუცე!“

ზებედეს აგონდებოდა სამგლოვიარო მიტინგზე სამფეროვანი ქართული დროშით გამოსული მწუხარე გოგონა, რომელსაც ეროვნულ დროშაზე წაწერილი ჰქონდა საგულისხმო ნაწყვეტი ვაჟას ლექსიდან: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ნურც ნურვინ შეგვეცილება!“

ჩვენმა ხალხმა სისხლის ფასიც იცის და ცრემლისაც, „რომელიც უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს... ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა — შუქია წინასი და შუქი ხომ, დასაწყისია განთიადისა“.

...ავი და კარგი ერთმანეთში ათქვეფილიყო. ჩვენი ტრაგედიის მესამე თუ მეოთხე დღეს, ვნუკოვოს აეროპორტში გაისმა ტელეფონის ზარი. უცნობმა მამაკაცმა განაცხადა, რომ თვითმფრინავში, რომელიც მოსკოვ-თბილისის რეისს ასრულებდა, ჩადებულია ასაფეთქებელი მოწყობილობა, ამასობაში უკვე ლაინერი საქართველოს დედაქალაქს უახლოვდებოდა.

ეს ინფორმაცია სასწრაფოდ გადასცეს თბილისის აეროპორტს და საქართველოს ტრანსპორტის შინაგან საქმეთა სამმართველოს. მილიციის მუშაკებმა უაღრესად გულდასმით შეამოწმეს მშვიდობით დამჯდარი თვითმფრინავი, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს: განგაში ყალბი აღმოჩნდა.

გარდა ამისა, ტრანსპორტის შინაგან საქმეთა სამმართველოში მიუღიათ მეორე ინფორმაციაც: თითქოს, ასაფეთქებელი ნივთიერებები დაედოთ თბილისის რკინიგზის ვაგზლის შემნახველ კამერაში. მაგრამ ეს ცნობაც არ დადასტურდა, თუმცა შემოწმდა უაღრესად საფუძვლიანად.

რას ნიშნავს ეს ჭორები? ვის აძლევს ამგვარი ხმების გავრცელება ხელს?

იმავე დროს გამოქვეყნდა კიდევ რამდენიმე ასეთი პანიკის გამომწვევი ინფორმაცია.

„როგორც თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველო იუწყება, ქალაქში გავრცელდა ჭო-

რები, თითქოს საქარხნო რაიონში მდებარე საბავშვო ბაგა-ბაღების პერსონალის ნაწილი უარს ეუბნებოდეს მშობლებს რუსული ეროვნების ბავშვთა მიღებაზე. მაგრამ შემოწმებით დადგინდა, რომ ამგვარი ფაქტები სინამდვილეში არ მომხდარა. აღნიშნული ბაგა-ბაღები ნორმალურად მუშაობენ და პერსონალი ყველა ეროვნების ბავშვებს აქ აბსოლუტურად ერთნაირად ეპყრობა".

„ყველა ჩვენი მუშაკი აღაშფოთა ამგვარმა ჭორებმა. ჩვენთან ბევრი ეროვნების ბავშვია: ქართველები, რუსები, სომხები, ქურთები. ყველა ერთნაირად გვიყვარს, ერთნაირად ვზრუნავთ მათთვის. სხვა რამ ვერც წარმოგვიდგენია..."

ეს იყო ეროვნული დაპირისპირების მზაკვრული მცდელობები, ეთნოკრიზისის წაქეზება, ინტერფრონტის შექმნის განზრახვა, რაც ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა, მაგრამ მტრისთვის შესაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო. თბილისის მოსახლეობის ძმათა სისხლისღვრაში ჩათრევა შეუძლებელი აღმოჩნდა. გაიშარჯვა ხალხებთან კეთილი ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ. ამ მხრივ, პროვოკატორებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და ამან დიდი გავლენა მოახდინა საერთო მდგომარეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ავის მოსურნენი თავიანთ განზრახვაზე ხელს არ იღებდნენ. დაქირავებული პრესა და ტელევიზია ურცხვად აღვივებდა ეროვნულ შუღლს.

მეგობარი ჭირში შეიცნობაო. პირველი წუთებიდან გამოეშურნენ გულშემატკივრები. გამამხნევებელი სიტყვითა და საქმით.

გვწერდნენ სომხები, ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები: „სულითა და გულით თქვენთან ვართ!" „ვიზიარებთ განუზომელ მწუხარებას"; „ჩვენ ტელევიზორით ვნახეთ თქვენი ტრაგედია"; „მხარს ვუჭერთ თქვენს მისწრაფებას ადამიანის თავისუფლებისადმი"; ჩვენი მიზანიც სამშობლოს დამოუკიდებლობაა"...

„ჩვენ ქართველ ხალხთან ვართ!" — გვიცხადებდა თბილისის არაქართველი მოსახლეობა. „ეს კურთხეული მიწა იმსახურებს მშვიდობას და მყუდროებას". „ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად!" „ზიზღი ცილისმწამებლებს!"

ყველაფერი იღონეს, რომ სიმართლეს საზღვარგარეთ არ

გაეღწია. უცხოური პრესა „საკდესის“ ცრუ ინფორმაციებმა დატბორა, მაგრამ ჭეშმარიტება მაინც ვერ ჩააჩუმა.

„ამერიკის ხმამ“ ცხრა აპრილის ღამესვე გადასცა ზუსტი ინფორმაცია თბილისის ტრაგედიაზე.

„რამდენიმე დღეა მასობრივი გამოსვლების მონაწილენი მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და მისი საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლას. თბილისში მთავრობის სასახლის კიბეებზე შიმშილი გამოაცხადა ასამდე კაცმა. ისინი მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას... ექვს აპრილს მიღებული იქნა გადაწყვეტილება საგაფიცავო კომიტეტების შექმნაზე. თბილისის საგაფიცავო კომიტეტი უნდა გადაიქცეს ოპოზიციის ხელმძღვანელ ორგანოდ. თბილისში შეიყვანეს ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები. ისინი კანსაკუთრებით კონცენტრირებული არიან საქართველოს ტელევიზიის შენობასთან...

იტალიურმა გაზეთმა „კორიერე დელლა სერამ“ თერთმეტ აპრილს გამოაქვეყნა ინფორმაცია სათაურით: „რკინის მუშტი საქართველოში“. „ათასობით ჯარისკაცი დაჰპატრონებია საქართველოს დედაქალაქს, რომელიც დახურულადაა გამოცხადებული უცხოელი ჟურნალისტებისთვის. მსხვერპლი ოცს შეადგენს“.

„შევარდნაძემ გადასდო დასავლეთ გერმანიაში ვიზიტი, რათა ჩასულიყო თავის სამშობლოში და მოეძებნა გზა სიმშვიდის დასამყარებლად“.

ინფორმაციებს ამავე თემაზე გაზეთები სენსაციური სათაურებით ბეჭდავენ.

„გორბაჩოვის ათასხუთასდღიანი მმართველობა თბილისელმა ნაციონალისტებმა ყველაზე დრამატულ სიტუაციაში ჩააგდეს“.

„მოსკოვი მთლიანად მხარს უჭერს რეპრესიებს საქართველოში“. „საქართველოს დედაქალაქიდან დარამატული ცნობები მოდის“. „სადაც გაიხედავ, ყველგან ხიშტმომარჯვებული სალდათია“. „დილით მრავალგან გაისმა გასროლა“. „ტურისტებს ურჩევენ, დასტოვონ რესპუბლიკა“. „ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ჭყლეტაში მოჰყვა ერთი თუ ორი ქალი“. „უარყოფენ ფოლადის ნიჩბების ხმარებას“. „საბჭოთა ხელისუფ-

ლებამ გაამართლა ჯარის ნამოქმედარი". „ქართველებმა მძიმედ დასჭრეს ასამდე ჯარისკაცი". „გორბაჩოვის გაფრთხილება საქართველოსადმი: „დაივიწყეთ დამოუკიდებლობა!"

„ხვალ თბილისში დაკრძალვაა". „ხოცვა-ჟლეტა ნამდვილი ბომბი შეიქნა კრემლისათვის!" „ბრალი ედება არმიას". „მილიცია საზარელი ღამისთვის პასუხს ითხოვს!" „შევარდნაძე ამბობს: რაც მოხდა, ყველაფერი ადგილობრივი ხელმძღვანელობის ბრალია!" „ედუარდ შევარდნაძეს სურს, კრემლს მოხსნას ყოველგვარი პასუხისმგებლობა და აღშფოთება ადგილობრივი ხელმძღვანელობისკენ მიმართოს". „გმობენ ჯარის ბარბაროსულ აქციას". „ექვსი ლიდერიდან ოთხი დაპატიმრებულია, ხოლო ორი ქალაქის გარეუბნებში საიმედოდ არიან დამალული".

„როგორც იუწყებიან, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" ტირაჟს კონფისკაცია უყო სამხედრო ხელისუფლებამ, რადგან ცხრა აპრილის ტრაგედიის მიზეზები იყო მხილებული. ამ ფაქტმა ქართველი ერი დაარწმუნა, რომ იმჟამინდელ ხელისუფლებას ძალიან ბევრი ბინძური საქმე ჰქონდა დასამალი".

„ედუარდ შევარდნაძე სიტუაციის განსამუხტავად, საქართველოს მოსკოვთან შესარიგებლად, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მოსახსნელად და ახლის დასანიშნავად თბილისს ჩაფრინდა".

„ვერცერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა ვერ შეძლო თბილისში შეღწევა".

მთავრობა ყველაფერს აკეთებდა, რათა ჩაეკეტა ცოცხალი ინფორმაციის წყარო და მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ტენდენციური თვალსაზრისი მოეხვია, ეროვნული მოძრაობისთვის სახელი გაეტეხა.

უდანაშაულო ადამიანთა სისხლში გასვრილ ხელისუფლებას განსაკუთრებით სახელს უტეხავდა უმწეო ქალებისა და ბავშვების ხოცვა-ჟლეტაში ქიმიური იარაღის გამოყენება. თანამედროვე მსოფლიოსთვის უპრეცედენტო შემთხვევა. რას არ ეკადრულობდნენ, რომ ეს დანაშაული არ გახმაურებულიყო. არც მოსყიდვას ერიდებოდნენ, არც აშკარა სიცრუეს და გაყალბებულ ანალიზებს. საავადმყოფოები მოწამლულებით იყო სავსე, სამხედრო დიქტატორები კი მკურნალობის საშუალებათა გამხელაზეც კი უარს აცხადებდნენ.

მოწმეთა ჩვენებებიდან ჩანდა, რომ მოიერიშეები თავიანთ მსხვერპლს სახეში ძალათ ასხურებდნენ გაზს. დაზარალებულებმა საავადმყოფოებში გაფიცვა გამოაცხადეს. „მოწამლულთა სიცოცხლე საფრთხეშია!“ დაიხურა მოსწავლეთა რესპუბლიკური სახლი, რომლის სარდაფებშიც დეგაზაცია დაიწყო. ფენოლის შემცველობა დიდად აღემატებოდა ნორმას. ამბობდნენ, ზოგიერთი მოწამვლის გამო დაიღუპაო, დაავადება ტალღისებურად მიმდინარეობს და გაუმჯობესება არ შეინიშნებაო.

თბილისს ესტუმრნენ საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლები, უცხოელი თუ წამყვანი საბჭოთა სპეციალისტები — ტოქსიკოლოგები, რომლებმაც ქართველ სპეციალისტთა დიაგნოზები დაადასტურეს, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე გენერლები ყოველნაირად ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ მათზე.

დაჭრილთა და გაზით მოწამლულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დღეში ორ-სამჯერ გამოდიოდნენ ტელევიზიით მინისტრი მენაღარიშვილი და სხვა სპეციალისტები. ობიექტური სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზის მიზნით მონაწილეობდნენ ქირურგები, ნევროპათოლოგები, ფსიქოლოგები. „ვერ დავადგინეთ, რით არიან ისინი მოწამლულნი. თითქოს, მარსიდან გადმოსხეს თბილისში ჯარები, რომლებმაც მოწამლეს ხალხი და არ იციან, რა მომწამლავი ნივთიერებები გამოიყენეს“.

ბოლოს და ბოლოს, ნაწილობრივ მაინც აღიარეს, ცრემლსადენი ქიმიური ნივთიერება გამოვიყენეთო. ერთი გენერალი ტელეინტერვიუდანაც გაიქცა, ასეთ შეკითხვებს როგორ მიბედავთო. ეს გაზები, თურმე, გონების მეყსეულ დაკარგვას იწვევენ.

საბრალო საქართველოვ, შენ რომ არცერთი უბედურება არ აგცდენია თავიდან!

„ვიწექი. ფანჯარა ღია მქონდა. — ამბობს ერთი მოწამლული. — ყვირილი მომესმა. ხალხი გარბოდა. კონსერვის კოლოფის მაგვარ საგნებს ისროდნენ. საშინელი სუნი და კვამლი იფრქვეოდა. ცუდად გავხდი. თავი მტკივა. გული მერევა. წელს ზემოთ გამომაყარა. დამეწყო ქავილი“.

ატროპინის მსგავსი ნივთიერებით არიან მოწამლული. ამ-

ჟამად მწვავე ინტოქსიფიკაციის სტადიაში ვიმყოფებით. თეატრალური ინსტიტუტის სარდაფში მოწამლულან. პირველ საშუალო სკოლაში დიდხანს არ განახლდება მეცადინეობა. ეფექტური პრეპარატი უნდა გამოიძებნოს.

ხალხი უბედურების მიზეზად გენერლებს თვლის, ისინი საქართველოს ცეკასკენ იშვერენ ხელს: ამათ მოგვიწვიეს წესრიგის დასამყარებლადო! ვერ გაიგებ, ვის დაუჯერო.

ბოლოს, როგორც იქნა, მომწამლავი გაზების გამოყენების ფაქტი ყველამ აღიარა. ახლა რაოდენობაზე შეიქნა პოლემიკა. სამხედროები ამტკიცებდნენ, სულ რაღაც ოცდაშვიდი გაზის პატრონა გამოვიყენეთ, ისიც მთავრობის სასახლესთან კი არა, რუსთაველის პროსპექტზე რამდენიმე ადგილასო. არ ვიცი, თავის მართლებად ჩაითვლება თუ არა ეს. იმისთვისაც მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ აღიარა და ცილისწამების ბრალდება მოგვეხსნა.

ისიც თქვეს, ასეთი „სპეცსაშუალებების“ გამოყენება ნებადართულიაო. რაკი ნებადართული ყოფილა, მაშინ სად გამოიყენებდნენ, თუ არა საქართველოში. პირველი საცდელი ბაჭიები ხომ ჩვენ გახლავართ! „ხელისუფლების ხელში ჩაგდება“ განვიზრახეთ. კეთილი, მაგრამ თვითონაც ასე იოლად მოეჩვენათ ეს საქმე და დაიჯერეს!?

როგორც იქნა, საბოლოოდ დაზუსტდა, რომ შინაგან საქმეთა ჯარებმა თბილისში გამოიყენეს რეზინის ხელკეტები, მომწამლავი გაზი „ჩერიომუხა“ და „ალესილი ბარები“, რომლითაც თავს უჩეჩქვავდნენ ქართველ ქალებს?!

როგორც ეტყობა, სამივე იარაღის ერთდრულად აღიარება რაღაც უხერხულობასთანაა დაკავშირებული!

„რატომ სახანძრო შლანგებით არ დაკმაყოფილდით?“ — ჰკითხეს გენერალ-პოლკოვნიკ იგორ როდიონოვს.

— რა საშუალებები იქნას გამოყენებული, ამას შინაგან საქმეთა ჯარების ხელმძღვანელობა განსაზღვრავს და სამხედრო ოლქის მეთაური.

— თქვენ ხომ მთავარსარდლად იყავით დანიშნული?

— ყველას საკუთარი საქმე ჰქონდა ჩაბარებული.

— უკანდასახევი გასასვლელები რატომ გადაუკეტეთ ხალხს?

— სიცრუეა! — გაწიწმატდა გენერალი, — ხალხს უკანდასახევად ღია ჰქონდა რუსთაველის პროსპექტი.

იმ დროს ქართველებს წარმოდგენა არ შეეძლოთ, რომ ცხრა აპრილი ხანგრძლივ უბედურებათა მხოლოდ დასაწყისი იყო. ღვთის გარდა, არავინ იცოდა, რა ხასიათს მიიღებდა და რით დასრულდებოდა მისი ტანჯული ისტორიის ეს ახალი ციკლი.

ერთი უბედურებიდან გონს მოსვლა ვერ მოვასწარით, რომ ზედიზედ ერთმანეთზე შესაზარი ტრაგედიები დაგვატყდა თავს.

ცამეტ აპრილს ყვარლის მთიანეთში მიწა იძრა, ხოლო ცხრამეტში, გაუგონარმა კატასტროფამ შეაძრწუნა აჭარა.

მეწყრისა და მდინარე ჩარუხის კალაპოტის გადაკეტვის შედეგად დაიტბორა და დაინგრა საცხოვრებელი სახლები ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

ოცდასამი აპრილი გლოვის დღედ გამოცხადდა. კვლავ დაუშვეს შავარშიანი დროშები. ღრმა სამძიმარი გამოუცხადეს დაღუპულთა ოჯახებს. შეიქნა სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისა და დაზარალებულთათვის საჭირო დახმარების სამთავრობო კომისია.

მწუხარებას მწუხარება დაერთო. დაშრეტილ თვალებს ისევ მოასკდა ცრემლი. ზვავმა და მეწყერმა აღგავა ქართული სოფლები, თან დაიტანა ქართველები. ურვა-მწუხარებამ დაისადგურა ჩვენი მამულის ყველა კუთხეში. არ უნდა გატყდე! ძმას გვერდით უნდა დაუდგე! ჭირი შეუმსუბუქო! ტკივილი გადაატანინო! გული გაუმთელო! თანადგომა და ერთგულება უჩვენო!

სოლგომანის მთიდან მოწყვეტილმა მასამ აყვავებული სოფლები წალეკა. სხალთის ხეობა ჩაკეტა. ხერგილის აფეთქებას ვერ ბედავენ. ახალი მეწყრების საფრთხე წარმოშვა. ხელოვნური ტბა წარღვნით იმუქრება. საცაა მოწყდება და გადაგვრეცხავს. მერმე, რა სოფლებს! რა კუთხეს! რა ხალხს! ასობით ოჯახია გახიზნული. დიდ-პატარა შეშფოთებულია. მთელი საქართველო დაიძრა უბედურების ადგილისაკენ. ვისაც რა შეუძლია. საჩქაროდ. გულგაუტეხლად. უნდა გადაარჩინო სასიკვდილოდ განწირულნი. მიწისქვეშ მოყოლილი ოჯახები. სტიქია არ ცხრება. ინგრევა შენობები. გზები. ბაღ-ვენახები. ათა-

სობით ოჯახი სახიფათო ზონაში მოხვედრილა. ევაკუაცია საჩქაროა. მოდიან ხონიდან, თეთრიწყაროდან, სიღნაღიდან, ლაგოდეხიდან.

ერი ძაძებშია ჩაფლული. ცისკენ თვალაპყრობილი. სასოებით და ნუგეშინით. საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ასი ათასი მანეთი გადარიცხა აჭარის მთიანი რაიონების ფონდში. კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღორძინებული ეკლესიები შემოიარა, წირვა და საზეიმო ნათლობა აღასრულა. მრავალრიცხოვანი მრევლი შეკრიბა. დალოცა მღვდელმთავარმა სასოწარკვეთილი ერი. ანუგეშა დაზარალებული მოსახლეობა. მიუსამძიმრა დაღუპულთა ოჯახებს.

* * *

სასახლის მოედანზე შინსახკომის მუზარადიანი, ჯავშანჟილეტიანი ასეულების შემოჭრისთანავე, სანამ ვინმე არაქათგამოლეული მოშიმშილეების გადარჩენაზე იზრუნებდა, უშიშროების სპეცბრიგადებმა, რომლებსაც მომიტინგეებისა და მათი ხელმძღვანელებისთვის წუთით არ მოუშორებიათ თვალი, წინასწარ დამტკიცებული სიის მიხედვით, ადგილზევე დააკავეს გია ჭანტურია, ირინე სარიშვილი, ვანო ხუხუნაიშვილი („ეროვნულ-დემოკრატიული პარტია"), მერაბ კოსტავა („ილია მართლის საზოგადოება") და ზვიად გამსახურდია („ჰელსინკის ჯგუფი"). როგორც ვთქვით, მეგობრების დახმარებით, იმ მომენტში დატუსაღებას თავი დააღწია ირაკლი წერეთელმა („ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია").

პატიმრები ჯავშნოსანში შერეკეს და პროკურატურის იზოლატორში მიიყვანეს.

ინფორმაციის საშუალებებისა და პრაქტიკული ღონისძიებების მიხედვით, მაშინვე აშკარა გახდა, რომ რეპრესიების ორგანიზატორებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, მთელი პასუხისმგებლობა „არაფორმალთა" ლიდერებისთვის გადაებრალებინათ, გამოეცხადებინათ ისინი „ექსტრემისატებად", საჯაროდ გაესამართლებინათ, მკაცრად დაესაჯათ, რითაც აელაგმათ ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები.

აღწერდა რა უდანაშაულო მსხვერპლთა სამგლოვიარო

პროცესიას, „პრავდა“ მთელ პასუხისმგებლობას „არაფორმალებს“ აკისრებდა. აცხადებდა მათ პროვოკატორებად, რომლებმაც თავიანთი „პირადი ამბიციები“ უცოდველ ადამიანთა სიცოცხლეზე მაღლა დააყენეს.

საკავშირო პრესაში პუბლიკაციები გამსჭვალულია ქართველი ხალხისადმი სიძულვილით, საქართველოში მცხოვრები ხალხების წაქეზების განზრახვით, წარმოადგენს „ეთნოკრიზისეზის“ პროვოცირებისკენ დაუფარავ მოწოდებას, რაც ფარდას ხდის ინსპირირების სამარცხვინო ფაქტებს, რასაც მალე კიდევ უფრო ტრაგიკული შედეგები მოჰყვა. ამ ყალბმა შეფასებამ მავნე მიმართულება მისცა ცხრა აპრილის მოვლენების გაშუქებას როგორც საბჭოთა, ისე უცხოურ პრესაში.

ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებს „გარდაქმნის“ მტრობა, რეაქციონერობა დასწამეს. ისინი საბჭოთა „მართლმსაჯულებას“ მიუგდეს შურისსაძიებლად, ყოველგვარი თანაგრძნობისა და შეწყნარების გარეშე.

ეს სიყალბე თოთხმეტ აპრილს გაავრცელეს მთელ მსოფლიოში, რათა სიმართლისთვის გზები დაეგმანათ, „ეთნიკური კონფლიქტებისთვის“ მწვანე შუქი მიეცათ, ხოლო დაპატიმრებული ლიდერები საბოლოოდ გაეწირათ.

ამერიკული „ენ-ბი-სი“-ს მოსკოველი კორესპონდენტი იტყობინებოდა, რომ „თბილისელი ნაციონალისტები“ გამოდიოდნენ ინგლისურ ენაზე დაწერილი ლოზუნგებით: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ „რუსო ოკუპანტებო, წაეთრიეთ საქართველოდან!“ „ქართველი დემონსტრანტები, — შენიშნავს კორესპონდენტი, — მშვენივრად ლაპარაკობენ ინგლისურად“.

პარიზის „იუმანიტე“, ფრანგი კომუნისტების გაზეთი „კასტური ინტერესებით“ ხსნიდა თბილისის გამოსვლებს და მის მეთაურებს „ექსტრემისტებად“ და „ნაციონალისტებად“ ნათლავდა. მოკლედ, ყველაფერი თავდაყირა იყო დაყენებული. ურცხვად შეთითხნილი და გაყალბებული. პატარა, უბედური ერის ჩასაქოლავად და გასალანძღავად. ვინ სჩადიოდა ამ სულისწამწყმედ და თავის მომჭრელ საქმეს?! ყველა, ვინც საქართველოს დაქცევაზე და თავის ეგოისტურ გეგმებზე ოცნებობდა.

მაგრამ იქვე ვერც იმას ფარავდნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ წრეებში გარკვეულ სიმპათიას გამოხატავდნენ საქართველოს მიმართ. „სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქართველებს უფლება აქვთ, მშვიდობიანად გამოხატონ თავიანთი კანონიერი უფლება“.

ჩვენი ვითარება ხელს აძლევდა ცხრა აპრილის სისხლისღვრაში დამნაშავე წრეებს, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, უწინარესად, სამხედრო დამნაშავეებს. მთელი თავიანთი გიგანტური მანქანა მათ „ესტრემისტი მეთაურების“ გასანადგურებლად მომართეს და ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ახლოს იყვნენ მიზანთან. გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვის ფიქრით, თბილისის მიტინგის შედეგებისთვის მთელი პასუხისმგებლობა პირადად გამსახურდიასა და მის მეგობრებს უნდა დაკისრებოდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ თვითონ წესრიგს ამყარებდა საქართველოს „უდისციპლინო დედაქალაქში“.

როგორც იქნა, გახმაურდა ცხრა აპრილის მიზეზები, მასშტაბი და პოლიტიკური შინაარსი. „მოსკოვსკოე ნოვოსტიმ“ ობიექტური რეპორტაჟი დაბეჭდა ცენზურის ვიზის გარეშე.

ხალხმა საოცარი სიმტკიცე გამოიჩინა ამ საქმეში. ერთი ქართველი მოწმეც ვერ იპოვეს, მიტინგის ხელმძღვანელები რომ ექსტრემისტებად ეცნო და დასჯა მოეთხოვა. დაღუპულთა ჭირისუფლები გულწრფელი პატივისცემით იხსენიებდნენ მათ. დედები და მამები გმირებად სახავდნენ და ამაყობდნენ, რომ მათი შვილები ასეთ მეთაურებს გაჰყვნენ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ხალხი ხელისუფლებისაგან ახსნა-განმარტებას ითხოვდა. რა ბედი ელოდა დატუსაღებულებს.

შეშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე და ზოგიერთი სხვა საკანონმდებლო აქტი ხელმოწერილი იქნა რვა აპრილს, შაბათს და, თითქოს, იმ მიზნით გაკეთდა, რომ ცხრა აპრილის ამბების შემდეგ გამოეყენებინათ დაკავებულ მეთაურთა მიმართ.

დაპატიმრებულთა ბედით შეშფოთებულ საზოგადოებას ავტორიტეტული ორგანოების მიერ დამაჯერებლად გაეცა პასუხი, რომ ასეთი ბრძანებულება, კანონი თუ კოდექსი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან ათი დღის შემდეგ. აღნიშნული ბრძანებულება თერთმეტ აპრილს გამოქვეყნდა „იზვესტიაში". მაშასადამე, ცხრა აპრილის მონაწილეებზე ვერ გავრცელდება. ამან ქართველი საზოგადოება ცოტა დაამშვიდა, თუმცა, დაკავებულთა განთავისუფლების მოთხოვნებმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო. უკანონოდ დატუსაღებულთა ბედზე ასეთმა ზრუნვამ სარგებლობა მოუტანა არა მარტო პირადად პატიმრებს, არამედ მთელ საქართველოს. შემოატრიალა მისი ბედის ბორბალი. ლახვარი ჩასცა სხვადასხვა ჯურის პროვოკატორებს.

ანალოგიური საკითხების რკვევაში, მთავრობის დაწესებულებებთან ერთად, ქმედითად მონაწილეობდნენ ახლად დაარსებული პარტიები. მტკიცდებოდა რწმენა, რომ იმ საბედისწერო ღამეს სისხლისღვრა აუცილებელი არ იყო სასახლის მოედანზე წესრიგის აღსადგენად. მთავრობის ვერსიების გამუქება არ მოხერხდა. ვერც ლოთობა და ნარკომანობა დაუმტკიცეს ჩვენს მომიტინგეებს. მოჭორილი გამოდგა მოედანზე ნაპოვნი შპრიცებისა და ამპულების ამბავი. პირიქით, დარბეულ მოედახზე იპოვეს ქალის ფეხსაცმელები და ჩანთები, ნოტები და წიგნები, სახელმძღვანელოები და „ლოცვანი", ლექსთა კრებულები და ხელნაწერები.

სიმართლის დადგენაში განუზომელ როლს ასრულებდა ყველა ქვეყნის პატიოსანი პრესა. გაკვირვებას იწვევს ზნეობრივ ადამიანთა ერთსულოვანი თანადგომა. უსაფუძვლო გამოდგა ეჭვი, რომ ქართველ ხალხს მეგობრები არ ჰყავს. მართალ საქმეს გულშემატკივარი არ გამოელევა.

* * *

ციხე ადამიანის უბედურების მწვერვალია. ისიც საბჭოური ციხე. განსაკუთრებით, თუ უპატრონო ხარ და ჯალათებს ხელი გახსნილი აქვს.

ბადრი უჯარმელს ცხოვრება დევნასა და პატიმრობაში გაუტარებია. შეიძლება ითქვას, ნებაყოფლობით, მოხალისეობით.

არაფერი ხელს არ უშლიდა მშვიდად, ნებიერად გაევლო წუთისოფელი. მე თითქმის არ ვიცნობ მას. მაგრამ გულში მოკრძალებით ვეპყრობი, რადგან დარწმუნებული ვარ, მისი სიცოცხლის მიზანი საქართველოა. ამაზე წმინდა საფიქრალი და სატანჯველი არასოდეს ჰქონია. მუდამ ეძებდა და პოულობდა მამულის სამსახურის გზებს. არ უშინდებოდა არავითარ განსაცდელს. არ წუწუნებდა. ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ სამშობლოსათვის თავდადება არგუნა წილად.

ერთხელ, ძლიერ სიმპტომატური შეკითხვა დაუსვამთ: „არ დაიღალეთ?"

„არა, არ დავღლილვარ. მე უთქმელობა და უმოქმედობა მღლის. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება თითქმის პატიმრობაში გავატარე". იყო ნამდვილი პატიმრობა. შინაპატიმრობა. გადასახლება. ციხე. იყო პერიოდი, ლუკმაპური მიჭირდა.

ამას წინათ, კიდევ ერთხელ გაგვაოცა უაღრესად საჭირბოროტო, სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანით. ეროვნული და სოციალური სამართლიანობის გამთლიანებით, რამაც სამუდამოდ უნდა გააერთიანოს უკანონო პრივილეგიებითა და ქონებრივი უთანასწორობით გათიშული ჩვენი ერი.

„დღეს ჩვენს წინაშე იგივე პრობლემა დგას, რაც ებრაელი ერის წინაშე იდგა ორმოციან წლებში. ჩვენ არა მხოლოდ უნდა ვიხსნათ და გავათავისუფლოთ ჩვენი სამშობლო, არამედ უნდა ვიყიდოთ იგი. ხელახლა უნდა ვიყიდოთ კორუმპირებული კომუნისტების მიერ გაყიდული ჩვენი სამშობლო. კომუნისტებმა ერისა და სამშობლოს ღალატი შემოიღეს წესად. ჩვენ ნორმად უნდა ვაქციოთ მისი ერთგულება, მისთვის თავდადება".

ეს ახალი საქართველოს დასაწყისია. ჭეშმარიტად თავისუფალი, პატიოსანი საქართველოს დასაწყისი. სადაც იბატონებს არა თანამემამულისგან მიტაცებული ოქროს კერპი, არამედ ხალასი სინდისი, ვაჟკაცობა და თანასწორობა.

პირქუშად გამოიყურებოდა ბადრი უჯარმელი. დარდით დაყურსული, მძიმე და მოუქნელი ჩანდა. მოქმედებაში იცვლებოდა. ენერგიითა და ხალისით ივსებოდა. თავი არ ენანებოდა, უფლისა მონას შიში და მერყეობა არ სჩვეოდა. სხვა ბედი და ცხოვრება არასოდეს უნატრია. ბევრჯერ სასოწარკვეთილება-

შიც ჩავარდნილა, მაგრამ მიზნის უარყოფამდე არასოდეს მი-სულა.

„ქართული ფენომენია!“ ტყვიისთვის მკერდმიშვერილი. „წინამებრძოლი“. მტრისთვის თავზარდამცემი. თავისუფლების გზა გრძელი და ნარეკლიანია. ბევრი ვერ უძლებს. ზოგი მო-ქანცული ფეხს ითრევს. ზოგი თავლაფიანი შორდება. ის ბო-ლომდე მისდევს. ბოლო სადგურამდე. გამარჯვების ფინიშამდე.

ახლაც, დატუსაღება ერთბაშად არ უგრძვნია. მუჯლუგუ-ნები, ლანძღვა-გინება, მუქარა. გამთანგავი შთაბეჭდილებების-თვის თავი ვერ დაეღწია. საოცნებო საქართველო. ნანატრი. განუმეორებელი სურათები. ღვთაებრივი სახეები. უბედნიერე-სი. თავისუფლების სასწაული. ნეტარება. ადამიანები საკუთარ თავს ვერ სცნობდნენ. ვერ წარმოიდგენდნენ თუ ასეთი სიხა-რული შეეძლოთ. ერთ არსებად ქცეული ზღვა ხალხი. პატი-ოსნების ზეიმი. დატყვევებული სულის განთავისუფლება.

საოცარი პლაკატები ხელისუფლების თვალწინ! აქამდე გა-უგონარი! „ძირს კომუნისტური რეჟიმი!“ „ძირს ლენინიზმი!“ „მოვითხოვთ საქართველოს დამოუკიდებლობას!“ მუშტებ-ამართული ათასები. ლოცვად დაჩოქილი ერი!

შენი დიდებული მამული. მებრძოლი და მავედრებელი. სი-მართლის მოსმენის ბედნიერება. თავისუფლებისკენ მოწოდე-ბის სალბუნი. ამაღლებული სულის ლხენა.

ბიუროკრატიამ სახალხო ზეიმი „ემოციად“ მონათლა“. ერის მისწრაფებათა მესიტყვეობა — ამბიციად.

საოცარ სურათებს თან მოჰყვებოდა ზეციური ჰანგი და სიტყვები: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია“. ამ სიტყვებს ცა და დე-დამიწა ერთად აგუგუნებდა. თვალწინ გაიელვებდა ტანკების უკან სიბნელეში მომავალი მუზარადიანი, ჯავშანჟილეტიანი „შინსახკომელების“ მწყობრი, გამჭვირვალე პლასტმასის ფა-რებითა და რეზინის ხელკეტებით. სახედასერილი, სისხლით მოთხუპნული, თვალებზე ხელაფარებული ქალები უკანასკნელ ღონეს იკრებენ, რათა თავი დააღწიონ ჯოჯოხეთს. უიარაღო ჭაბუკები სალდათებს ჯოხებსა და ქვებს ესვრიან. სახელდახე-ლო რაზმს გადაუწყვეტია გაარღვიოს წრე და ხალხს გზა გაუ-თავისუფლოს.

უსინათლო მომღერლები აგონდება. „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს!“ არაამქვეყნიური ხმები!

„გადარჩენ?!“

განკარგულება არ დავიწყებია: „უსინათლოებს მიეშველეთ!“

„მოასწრეს?!“

ტანკები გრუხუნით შემოდიან. გაისმის ოფიცერთა მქისე შეძახილები. წინასწარ განიარაღებულ მილიციელთა გარემოცვაში, ტრიბუნაზე დგას. მოედანი ალყაშია.

„დიადია!“ „გრანდიოზულია!“

გარიჟრაჟზე გარს ერტყმიან, გალერეასთან ცოცხალი ჯაჭვი შეუკრავთ. მანქანების საყვირებითა და ხელიხელ ჩაჭიდებული იმაგრებენ მღვრიე ტალღებს.

ჩამტვრეული ვიტრინები. ნამტვრევებით მოფენილი პროსპექტი. სისხლი. ნანგრევები. ფიცრები, გიტარები, თერმოსები. საძილე ტომრები.

— ხედავთ, რა ჩაიდინეთ?! — ზიზღით ჩასძახის პოლკოვნიკი. — დაგხვრეტთ. ცოლ-შვილიანად გაგეუჟავთ!

უჯარმელის სტიქია ხელჩართული ბრძოლაა, მოუსვენარი სიტყვა და საქმე. ციხე მისთვის უქმად ყოფნაა. მისი სული ღმერთს მოქმედებისთვის გაეჩინა. ნაღდი საქმეების სამსახურისთვის. მახლობლებს კარგად ესმოდათ ეს. უწინარესად: ძმადნაფიც ამირან ლაშქარავას.

პრინციპული ხასიათის გამო, ბევრი მოშურნე და მოძულე ჰყავდა. თუმცა, ეს იყო წვეთი თაყვანისმცემლებთან შედარებით. არავის უთმობდა. არავის ეპირფერებოდა.

— შემოგიყვანთ ახლავე მოღალატის ცოლ-შვილს და შენს თვალწინ დავთხრით თვალებს! — კბილები დაუხრჭიალა გამომძიებელმა.

უჯარმელს მაშინ გაახსენდა ცოლ-შვილი. შიშმა აიტანა. ცოლ-შვილის წამებით წინათაც დამუქრებიან და იცოდა, ცარიელი მუქარა არ იყო. იმთავითვე ჩვეულებრივ საშუალებად ითვლებოდა ამათ საგამომძიებლო პრაქტიკაში.

სამაგალითო მეუღლე და მამა ბრძანდებოდა. ეს მისი ღვთის მოშიშობისა და ქართველობის უპირველესი ჯავარი გახლდათ. ოჯახის სიწმინდეს ისევე უფრთხილდებოდა, როგორც

ღვთის საკურთხეველს. ამ მხრივაც მკაცრი, სიტყვაძვირი და საქმით მეტყველი იყო. ცდუნებათა რწმენით გადამლახველი. ბავშვებს ესმოდათ, ვისი გორისანი იყვნენ და ყველაფერში ამის შესაფერისად იქცეოდნენ. მეუღლე ხომ თავდადებული და გონიერი გამოერჩია მამაზეციერს. გაჭირვების ტალკვესი.

— ვინ აწყობს შენი განთავისუფლების აქციებს?

ბადრიმ შეკითხვა ვერ გაიგო.

— არ გეყურება?! ვინ მოითხოვს შენს განთავისუფლებას?

ლაშქარავაზე უფრო სწუხდა, ვიდრე თავის თავზე. ლაშქარავაც დიდი ხანი არ იყო, რაც კატორღიდან დაბრუნდა. ნაჯიჯგნი. სასიკვდილოდ გადადებული.

რეზიდენტები, რომლებიც ცხრა აპრილის წინ მოავლინეს, ჯერ კიდევ თბილისში იმყოფებოდნენ და თვალს ადევნებდნენ დაპატიმრებულთა ძიებას, რათა ყველა დანაშაული მათთვის აეკიდებინათ.

საბჭოთა გამოძიება ინტრიგაა და სხვა არაფერი. პატიმრები ერთმანეთს უნდა წაჰკიდონ. ერთმანეთზე სისაძაგლე და ტყუილი ათქმევინონ.

უჯარმელს ცილს სწამებდნენ, რომ უასაკო ბავშვებს ითრევდა დემონსტრაციებსა და მიტინგებში, შიმშილობებსა და გაფიცვებში. თუმცა, ყველამ იცოდა, რომ ის ისეთ ღონისძიებებში მოსწავლეთა მონაწილეობის წინააღმდეგი იყო. შეგირდებს ცოდნის დაუფლებას ურჩევდა.

გამომძიებლები ძალღონეს არ იშურებდნენ, რათა უჯარმელის მეგობრებისთვის საწინააღმდეგო ჩვენებები ჩამოერთმიათ და მათ შორის შუღლი ჩამოეგდოთ.

დღევანდელ თაობას ველურ გარემოში უხდება ბრძოლა და მოღვაწეობა, ახალ დროს კეთროვანები გადმოეცნენ წინა თაობებიდან. ზნედაცემული სულიერებით შემოვედით გადახალისების ხანაში. კეთილი ინებე, და, თუ ბიჭი ხარ, გამოიცანი, ვინ რა კაცია! ვის რა მორალი შემოჰყოლია, ვის ენდო და ვის — არა. ამ სახელმწიფოში ადამიანები გათიშული არიან ერთმანეთისგან. აბა, გამოიცანი და ენდე! ქართველი კაცის პოლიტიკური მოღვაწეობა უაღრესად რთულია. ბევრი რამ უნდა იცოდეს და გაითვალისწინოს, რაც სხვაგან არ მოეთხოვება. ათას ხათაბალას უნდა დააღწიო თავი. ათას უკადრებელს

ჯაკადრებენ და უნდა მოითმინო. დამოუკიდებლობა შეინარჩუნო და არც კონფლიქტში გაეხვიო. პოზიორობა არ უნდა გემჩნეოდეს და საკუთარი თავდაჭერა გქონდეს. არავის გავლენაში არ უნდა მოექცე. ძალიან უანგარო უნდა იყო. ვითარების აწონ-დაწონა შეგეძლოს.

* *

მან თავიდან ბოლომდე თვითონ შექმნა თავისთავი.

უსაქმურებმა მისგან ექსტრემისტის მოდელი შექმნეს.

ანგარებაში, რომელსაც სწამებდნენ, პიროვნული არაფერი ერია.

უჯარმელი მიზანსწრაფულია.

ბეჭდავდა და ავრცელებდა პერიოდულ ორგანოებს, რომელთა ხელში აღება ჩვენ შიშის ზარს გვცემდა.

რა ხანია, შეეჩვია, რომ ლანძღავდნენ, ლაფში სვრიდნენ. ცილს სწამებდნენ. ის, არათუ ითმენდა, ბედნიერებად, ღვთის წყალობად მიითვლიდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს სიკეთე ითხოვდა ამას.

როგორ ეფერებოდნენ იმ მძიმე წლებში: „აყვავებულ ატმის სუნოქვით გერწეოდა აკვანი... საქართველოს ყელზე უჭერს, ბიჭო, შენი საკანი!“

ისინი დააცალკევეს. ზოგჯერ, ასე მოითხოვს ძიების ტექნოლოგია. ზოგჯერ პირიქით, საერთო საქმეზე დაკავებულთა ერთ საკანში თავმოყრა სჯობს.

უჯარმელი და ლაშქარავა ბავშვობიდან მოსდევდნენ ერთმანეთს ბრძოლასა და ციხეში, ერთმანეთს ავსებენ და ამაგრებენ. მათი ერთიანობის ნაყოფია, რომ ცხრა აპრილს ჩვენი გოგო-ბიჭები მოიერიშე ტანკების წინ ცეკვავდნენ და მღეროდნენ.

იმ დღეს ეროვნულმა მოძრაობამ ვეფხის ნახტომი გააკეთა.

* * *

აპრილის დასაწყისი უბედნიერესი დღეები იყო ვიოლასა და დედამისის ცხოვრებაში. ისინი ისხდნენ მთავრობის სასახლის კიბეებზე, ტრიბუნის წინ. მილიციის მწკრივებს შორის.

ხუთი დღის ნაშიმშილებნი, ანთებულნი, ნეტარებით გასხივოსნებულნი უსმენდნენ ორატორებს, კვერს უკრავდნენ მათ მოწოდებებს. ხედავდნენ ადამიანთა გულითად მხიარულებას, იმედიან ზეიმს და სამართლიანობისკენ საყოველთაო ლტოლვას.

სულ ახლოს მუშტებშემართული ბადრი უჯარმელი და ამირან ლაშქარავა იდგნენ, რწმენაგადამდები იერით.

დედა-შვილი თვალს არ უჯერებდნენ, რომ ეს საყვარელ თბილისში ხდებოდა, მთავრობის სასახლისა და ცეკას ციტადელის გვერდზე, საიდანაც არაერთხელ გამოუძევებიათ მათი საჩივრებით შეწუხებულ მედროვეებს.

ზოგჯერ წამოდგებიან, ხალხით მოზიმზიმე ქუჩებს გახედავენ, რათა სული დაიტკბონ. შეეცდებიან, მომღერალ გოგონებს ხმა შეუწყონ. საცეკვაოდ შეტოკდებიან. „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“. გამომეტყველება აქვთ და სჯერათ, რომ ამ ტალღებს ვერავითარი ძალა ვეღარ შეაჩერებს. ქართული დროშები! მოფრიალე ქართული დროშები! შინდისფერი. თეთრი. შავი.

არ წყდება განუმეორებელი მუსიკა: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ რასაც მოჰყვება არაამქვეყნიური, ექსტაზური ტაში და ნაბიჯების შრიალი.

დედა-შვილს არასოდეს ასეთი სახეები არ უნახავს.

„ჩვენ გავიმარჯვებთ““ „აღარ დაგვჭირდება თვეობით კრემლის კარებთან გდება!“ ოთარაანთ ქვრივის რკინის ქალამნები!

შარშან ყელამდე სიმართლით სავსე ერთი ასეთი საჩივრისთვის სამსახურიდან გააგდეს, ულუკმაპუროდ დატოვეს, საჯაროდ გაათახსირეს და გიჟებად გამოაცხადეს.

რატომ?! სიმართლის არსებობა რად გირწმუნებიათო! აქ ცოტა სიმართლე გვაქვს, რომ ცხრამთას იქით გარბიხართო? ება, ერთი ვუყუროთ, რა თავს მოიკლავენ თქვენი განცხადებებისთვისო! კრემლთან ჩვენ ჩვენი საქმეები მოგვარებული გვაქვსო! თუ გიჟები არ ხართ, ეს როგორ გირწმუნებიათო!?

ვინ მოთვლის, რა ჯოჯოხეთი დააწიეს! სად არ ათრიეს! რამდენჯერ გაჩხრიკეს და დაარბიეს. ჩაუცმელ-დაუხურავი გამოირეკეს. „შავ მანქანებში“, გამოახრჩვეს. ბაკებში აცოდვი-

ლეს. „როგორ თუ, გვიჩივლეთო?!“ „როგორ თუ სიმართლე გირწმუნებიათო?“ „ესეც თქვენ მილიცია და პროკურატურაო!“ „გამოიგუდეთ, და ის იქნებაო!“

გამოსწორებას არ აპირებდნენ. არ სჯეროდათ, რომ ქვეყანა ჩალითაა დახურული! რომ გოგია უიშვილის ბედი სანატრელი გაუხდებოდათ, რომ გამკითხველი არავინ იქნებოდა.

„წერე და იკითხე!“

რა ენერგია, რა ნერვები, რა სიმტკიცე აღმოაჩნდა სიფრიფანა გოგოს! პოეტსა და რაინდს!

წარმოიდგინა, რომ იუბილეებს შემომქმედისადმი პატივისცემის ნიშნად იხდიან და არა თავის გამოჩენისა და გამორჩენისთვის. გამოვარდა თავგაცხელებული სიმართლის სათქმელად და იქიდან პირდაპირ მოშიმშილეებთან ამოჰყო თავი.

საკმარისია, უფროსმა ბრძანოს გიჟიაო, და მერმე, იყვირე, რამდენიც გინდა. უფრო დარწმუნდებიან, რომ უფროსი მართალია.

ჭკვიან, ნიჭიერ, სინდის-ნამუსით დაყურსულ ქალს უპატიოსნო, გაყიდული ადამიანებისთვის როგორ დაემტკიცებინა, რომ ნორმალური, მართალი ადამიანი იყო.

„არ მეგონა თუ ადამიანში ამოდენა ბოროტება და ღვარძლი იქნებოდა“.

ათიოდე დღის წინ რამდენიმე კეთილშობილმა მკურნალმა, რომლებიც ეროვნულ მოძრაობას თანაუგრძნობენ, სიკვდილის პირას მიყვანილი დედა-შვილი ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოაპარა.

შემორჩენილია რვა აპრილის ერთი ფოტოსურათი, რომელზედაც დედა-შვილი მთავრობის სასახლის კიბეებზე ერთადაა გადაღებული. ეს ფოტოსურათი თოთხმეტ აპრილს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა. დააკვირდით ვიოლასა და დედამისის სახეებს. წარმოიდგენთ, რომ ამ გაბადრულ ადამიანებს ცხოვრებაში რამე განსაცდელი დადგომიათ?! რა ნეტარება, სიმშვიდე და თვითდაჯერებაა! რა მალე ურწმუნებიათ, რომ რაც იყო აღარ განმეორდება. სულ სხვა ადამიანები გეგონებათ! ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს გაცნობიერებული, რას ნიშნავს თავისუფლება და რა ძალა აქვს მას. ერთ გულგრილ ადამიანს თუ დაინახავთ ამდენ ხალხში! ჩვენს სახელმწიფოში არ გეგონება

თავი. ჩემო მამულო, რა ყოფილხარ და აქამდე არ გეცოდნია!

ქართველი ხალხი გამოიფიტა ჯაჯგურით და ცრუ დაპირებებით, მაგრამ თუ დროზე ეღირსება შველა, ის ფენიქსივით აღსდგება, როგორც ჩვენს თვალწინ გაცოცხლდა ვიოლა და დედამისი.

როცა მოახლოებული ტანკების გრუხუნზე, კათალიკოს-პატრიარქმა მომიტინგეებს მოუწოდა, დაეტოვებინათ მოედანი და ქაშუეთში გადასულიყვნენ საღოცავად, ვიოლამ პირველთაგანმა შესძახა: „არა! არ წავალთ!"

ეს შეძახილი გამსჭვალული იყო შიშით, რომ ხელიდან გლეჯდნენ ძლივს მოპოვებულ თავისუფლებას.

დედა-შვილი, ერთმანეთის გვერდით დაჩოქილნი, სასოებით იმეორებდნენ „მამაო ჩვენოს" და საფრთხეს არად აგდებდნენ.

ტანკები წამით შეყოვნდნენ, თითქოს, მლოცველებს მოერიდნენო. მერმე, უცებ, ამაზრზენი ხრეიალით მოშიმშილეებში შემოიჭრნენ. ერთმანეთში აირია უწმაწური ლანძღვა, შუქარა, ალესილი ნიჩბების ჩახაჩუხი და კეტების ლაწანი. გადმოცვივდნენ უიარაღო მილიციელები, რათა უილაჯო მოშიმშილეები ჭიჭინაძის ქუჩით სამშვიდობოზე გაეყვანათ. პლასტმასის ფარებიანი ხეკაცები ბრიყვული გამომეტყველებით ამხნებდნენ ერთმანეთს და ხელჩართული შეტაკების წესდების მოთხოვნათა მიხედვით ცდილობდნენ, ხელიდან არავინ დასხლტომოდათ. ხელკეტის რამდენიმე ჩარტყმით ჯალათმა მილიციის სერჟანტი გზიდან ჩამოიშორა და დორბლმორეული ვიოლას მისწვდა. ქალი ღონივრად ჩაეჭიდა ჯალათს და უმუსარადოდ დარჩენილს გამწარებით ჩაასო კბილები. ამ დროს იხელთა მომენტი ქართველმა მილიციელმა და მუშტის დარტყმით გამოთიშა მოძალადე.

ვიოლა წამით გამოერკვა. ძრწოლით მიმოატარა თვალი, რათა დაენახა, სად იყო დედა, რომელსაც დაუხმარებლად ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო.

ვერსად შეამჩნია. გაალმასებით ეკვეთა ერთ მასად შეკრულ ჯგროს, მაგრამ უძლურებისგან უკანასკნელი ძალა გამოეცალა. გადათელავდნენ, ჭაბუკების გუნდს რომ არ შემოეღწია. ხელიხელ გადაჭდობილებს პროსპექტიდან შემოსასვლელი არ გადა-

ეკეტათ და ღონედაკარგული თავისიანებისთვის გზა მიეცათ.

დედას მთავრობის სახლის მარცხენა რკინის ჭიშკართან წაეწყდა. არაქათგამოლეულს და ყველასგან მიტოვებულს. აქ ავტომატიანი შინსახკომლები არავის უშვებდნენ. შესასვლელი ჩაეხერგათ და შენიღბული ტყვიამფრქვევებით იცავდნენ. მთავარსარდალი გაფრთხილებული იყო, რომ აჯანყებულები დროებითი მთავრობის შექმნას და სასახლის დაკავებას აპირებდნენ.

სახეშეშლილი ვიოლა დედას მხრებში ჩააფრინდა. ფეხზე უნდა წამოეყენებინა.

გამოგიცდიათ სასოწარკვეთის სიგიჟე?! გინახავთ განწირულებაში ჩავარდნილი ადამიანი?

„წადი, თავს უშველე!“ — ემუდარებოდნენ დედის თვალები.

ვიოლა ვერაფერს ხედავდა. გამწარებით ეკაჩებოდა დედის უღონო სხეულს. გული ამოვარდნაზე ჰქონდა. მაგრამ მთელი არსება გაემსჭვალა უზენაეს ნებას: გაეღწიათ, გადარჩენილიყვნენ! გვემა, დამცირება, სიკვდილი ვეღარ გააკვირვებდათ. ჯოჯოხეთი ბევრჯერ გამოევლოთ.

შუბლზე ჩამოფხატული ნაქსოვი ქუდის ქვეშ ინახავდა საგიჟეში ჩუმად ნაწერი დღიურის უკუნასკნელ ფურცლებს. „ნუთუ, სამშობლო ცოცხლად დაგვმარხავს თავის ერთგულ შვილებს? უკვალოდ გაქრება ჩვენი ოჯახის წმინდა პატრიოტული შეგნება? თუკი ბოროტ ძალებს შეუძლიათ გაერთიანდნენ თავიანთი მზაკვრული ინტერესების განსახორციელებლად. ქვეყნის საძარცვად და ასაოხრებლად. რატომ არ ძალუძს კეთილ ძალებს ერთმანეთს მიაყუდონ ზურგი მამულის გადასარჩენად!?“

* * *

— გააჭირეს საქმე! — უთხრა რენე ჭანიშვილს იმ დილით კიკეთიდან ჩამოსულმა ბეჟან სურამელმა. — ამათი ხელიდან სასიკეთო არაფერი გამოდის! ამათი დარდი მიტინგები და ლაზღანდარობაა. დღეს ერთ წუთს დაკარგავს საქმის გამკეთებელი კაცი?!

ევროპაში იმედის მომცემი მოგზაურობიდან შაბათს დაბრუნებულიყო. იმ ღამეს ჯოჯოხეთი დატრიალდა და ერთი კვირის შემდეგ ოჯახიდან პირველად გამოედგა ფეხი. პარიზის ფირმებთან რამდენიმე ხელსაყრელი კონტრაქტი დაედო, რომლებზედაც დიდ იმედებს ამყარებდა. ამის თაობაზე აქაურმა პრესამ წინასწარ შთამბეჭდავი ინფორმაციები გამოაქვეყნა.

— ისეთი დრო დაგვიდგა, ჭკვიანმა კაცმა უმაქნისად არც ერთი წუთი არ უნდა დაკარგოს. — კვერი დაუკრა ჭანიშვილმა, რომელიც რომში წასასვლელად ემზადებოდა და შიშობდა მომიტინგეთა უდისციპლინობით ხელი არ შეშლოდა.

— ასეთ უჭკუო გამოსვლებს, შეიძლება, გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს.

— დაგვღუპავს უპასუხისმგებლო ამბიციები. შიგნით თუ გარეთ ნდობა დაგვეკარგება. ვის სჭირდება ღღეს ტანკებთან თამაში! იმის მაგივრად, რომ შვიდობიანი ვითარება შევქმნათ, მოსკოვს ვაღიზიანებთ. ქართველებს ყველაზე მეტად გვჭირდება სტაბილურობა.

— გუშინწინდელი ბრძანებულება „სახელმწიფო დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, იმედია, ბოლოს მოუღებს ანარქიულ მოვლენებს.

ნაწილი მეოთხე

1.

საზოგადოების სხვადასხვა ფენამ პირველსავე დღეებში სცადა, აპრილის მოვლენებისთვის საკუთარი შეფასება მიეცა, თუმცა, ჯერ კიდევ უცნობი იყო, და, ღღესაც (როცა ეს წიგნი იწერება!), ბურუსითაა მოცული ბევრი არსებითი გარემოება.

სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ დაკვირვებულმა მოწმეებმა შეამჩნიეს დიდი თანამდებობის პირთა დაინტერესება, არ გამოეჩინათ ამ არაადამიანური ხოცვა-ჟლეტის მიზეზები და ფაქტები. აღინიშნა, რომ რაც მოხდა, შეუთავსებელია ცივილი-

ზებული საზოგადოების მორალურ და უფლებრივ ნორმებთან.

დაგმეს ცენტრალური პრესა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი იმის გამო, რომ ყალბად და ტენდენციურად აშუქებდნენ მოვლენებს. ვითომ, იმ საბედისწერო ღამეს მოიტინგეები მსხვერპლი გახდნენ გაუგებრობით გამოწვეული „ჰულეტისა". რესპუბლიკის ხელმძღვანელობას რომ სწორი ნაბიჯები გადაედგა, ჰუმანურობა გამოეჩინა, ტრაგედიას თავიდან აიცილებდნენ. მათ მიერ თბილისში მოწვეულ შინსახკომის წაწილებთან შეხვედრაც ვერ მოისაზრეს.

საზოგადოებრიობის ჩარევით დადგინდა მსხვერპლის რაოდენობა. მომწამლავ ნივთიერებათა გამოყენება. ოპერაციის ბარბაროსული ხასიათი. გამოიყო საგამოძიებო კომისიები. შეიცვალა ინფორმაციის ტონი. „მოსკოვსკოე ნოვოსტიმ" გამოაქვეყნა გამოჩენილ ავტორთა მიუკერძოებელი ნარკვევი.

იმხანად ჩვენთანაც არ იყო ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნული საღი და კომპეტენტური აზრი. ერთი უმწიფარი ავტორი ნიშნს უგებდა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ თანატოლებს; ნუთუ, ახლაც ვერ შევიგნებთ, რომ ვცოდეთ? ცოდვას ცოდვა დავუმატეთ და სისხლს — სისხლი? ცხრა აპრილის სისხლი ჩვენ ყველას მოგვეკითხებაო.

მითქმა-მოთქმა გამოიწვია აკაკი გაიხარაშვილის სახელით დაბეჭდილმა გამოხმაურებამ, რომელშიც „ურჩ შვილებს" ადანაშაულებს. თითქოს, ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, ბოლომდე დარჩებოდნენ თუ არა „მამები" სასახლის მოედანზე შვილებთან ერთად. იმ დღეებშივე უფრო სერიოზული მოსაზრებებიც გამოითქვა. განსაცდელმა ხალხი დარაზმა და შეაკავშირა. ასე ერთსულოვანი ჩვენი ერი დიდი ხანია არ ყოფილა.

მასობრივი გლოვა გამოაცხადა ერმა. ხალხის გაუთავებელ ნაკადს დაღუპულთა საფლავებზე ყვავილები მიჰქონდა. სამგლოვიარო ცერემონია სიონის ეკლესიაში გადაიტანეს.

რესპუბლიკის ხელმძღვანელად დანიშნულ გუმბარიძეს თავშეკავებული, მაგრამ იმ დღეებისთვის მაინც საყურადღებო დასკვნა გამოჰქონდა: „ყველაზე ადვილია, თბილისის მსგავსი მოვლენები ეროვნული ემოციების მოზღვავებით აკვხსნათ. განა, მათში გარკვეულად არ გამჟღავნდა სოციალიზმის დეფორმაციის შედეგები?!"

• • •

საქართველოსადმი თანაგრძნობა საოცარი სისწრაფით იზრდებოდა და ღრმავდებოდა. ეტყობა, განგებით, თორემ, ჩვენ რა ისეთი პატრონი გვყავს. მოხდა რაღაც უჩვეულო, რომელიც ყველა ხალხს, მთელ ქვეყნიერებას შეეხებოდა. კანტიკუნტად დაიწყო. ჯერ, თითქოს, ვერ გაუგიათო. არ სჯერათო. მერმე, ნელ-ნელა იფანტებოდა ბურუსი. ადამიანებს, ხალხებს, კონტინენტებს თვალი ეხილებოდა. ბოლოს და ბოლოს, საქმე ისე განვითარდა, რომ საქართველოსთან ერთად, მსოფლიო აქვითინდა.

კაცობრიობას განა მსხვერპლის რიცხვი გაუკვირდებოდა? დამსჯელთა სისასტიკე და უსამართლობა გააოცებდა! მწუხარებას საკუთარი მოტივი და მიზეზი ჰქონდა. ლიტველთა სამგლოვიარო მსვლელობას წინ მიუძღოდა თანაგრძნობის მშვენიერი სიტყვები: „როცა შენ იტანჯები, მეც მტკივა“. ვილნიუსის კათედრალურ ტაძარში სამგლოვიარო წირვა ჩატარდა.

საგლოვიარო დეპეშების, წერილების, სიტყვების, ცერემონიალების დასახელებას ვერავითარი აღწერილობა ვერ დაიტევს. რომელი ერთი დავასახელოთ? იური როსტის ფოტოკადრები, სახალხო დეპუტატების თანადგომა, სოლიდარობის მანიფესტაციის რეპორტაჟები, სომხეთიდან გამოგზავნილი ხაჩქარი, ანუ წმინდა ქვა, სულის ძლიერების სიმბოლო, მოსკოველ მწერალთა თანაგრძნობა ექვსასი ხელმოწერით, „გარდაქმნის მხარდამჭერ მწერალთა“ დეპეშა.

„მოსკოვსკიე ნოვოსტიმ“ მსოფლიოს ასორმოც ქვეყანას მოჰფინა მართალი სიტყვა. თბილისს ესტუმრნენ საბჭოთა კავშირში აკრედიტებულ ტელეკომპანიებისა და პრესის წარმომადგენლები. გავრცელდა ანდრეი რომანოვის რეპორტაჟი: „თბილისი. ტრაგიკული აპრილი“.

ანტიქართული პროპაგანდა მაინც არ წყდებოდა. ვრცელდებოდა ჭორი და ცილისწამება.

ცნობა, რომ სახელგანთქმულმა მეცნიერმა ანდრეი სახაროვმა თავსხმა წვიმაში არბატზე ხალხმრავალ მიტინგზე, დარბეულ, სასოწარკვეთაში ჩავარდნილ ერს სოლიდარობა გამოგვიცხადა, გულწე მალამოდ მოეცხოთ, რადგან ცხრა აპრილის

ტრაგედიამ, როგორც ჩერნობილის კატასტროფამ, თანამედროვე ცივილიზაცია ეკვის ქვეშ დააყენა, სწავლული ჰუმანისტის პოზიციამ მხარდაჭერა გამოიწვია.

სამ მაისს, გვიან ღამით, სახაროვი მეუღლითურთ თბილისში ჩაფოფრინდა. ჰუმანიზმისთვის დაუცხრომელმა მებრძოლმა აეროპორტში სახელდახელო პრესკონფერენციაზე ქართველ ხალხს ღრმა სიმპათია და თანაგრძნობა გამოუცხადა. დედაქალაქს ელვასავით მოედო ეს სანუგეშო ინფორმაცია. იმავე დღეს სტუმარი დაესწრო უმაღლეს საბჭოსთან შექმნილ საგამოძიებო კომისიის სხდომას, ინახულა დაჭრილები, გაზით მოწამლულები და მოშიმშილეები, შეხვდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ სახაროვის შუამდგომლობით, თბილისში მალე წითელი ჯვრის საზოგადოების კომისია ჩამოფრინდა გაზით მოწამლულთა მდგომარეობის შესასწავლად.

მიუხედავად ამისა, მეცნიერთა მიერ საგამოძიებო კომისიაში მონაწილეობაზე უარის თქმა ბინდითაა მოცული და შეიძლება აიხსნას, როგორც ოფიციალური მოტივებით, ისე პირადი სიმპათია-ანტიპათით. მით უფრო, თუ საქართველოს გარშემო მოვლენების შემდგომ განვითარებას გავითვალისწინებთ. იმ დღეებში ისე გვიჭირდა, რომ სახაროვის თანაგრძნობა სულის სალბუნად აღიქმებოდა. იგი იმის საწინდარად მიიჩნიეს, რომ ცხრა აპრილის სიმართლე არ დაიმალებოდა. მსოფლიო გაიგებდა, რომ სისხლისღვრა პროვიცირებული იყო. „ანდრეი სახაროვის სახელი კეთილი ნების ადამიანებისთვის სიმართლისა და კეთილშობილების იდენტურია“.

ოთხ მაისს საგამომძიებო კომისიის სპეციალური ჯგუფის სხდომაზე, სადაც სახაროვს ქართველმა მეცნიერებმა საკმაო ინფორმაცია მიაწოდეს ტრაგედიის შესახებ, საპატიო სტუმარმა „თავი შეიკავა აზრის გამოთქმისაგან“.

გულმოკლულ ხალხში, რომელიც ნუგეშს და სრულ მხარდაჭერას ელოდა, ამან იმედგაცრუება და დაბნეულობა გამოიწვია. სხდომას სახაროვის მეუღლე, ქალბატონი ელენა ბონერიც ესწრებოდა. მაშინ პირველად გავრცელდა ხმა, რომ ის

თბილისელი ბრძანდებოდა და აქაურ სიტუაციებში შინაურულად ერკვეოდა, ხოლო თუ გულახდილად ვიტყვით, საძრახის მიკერძოებას იჩენდა.

სახაროვი დაინტერესდა მოწამლულთა მდგომარეობით. სურდა, მტკიცედ სცოდნოდა, მართლა გამოიყენეს თუ არა გაზები.

— არსებობს სასამართლო-სამედიცინო დასკვნა? — იკითხა მან.

— ჩვენმა ექსპერტებმა ხელი მოაწერეს დასკვნას, სამხედრო ექსპერტებმა — არა.

ეს, ცხადია, საგონებელში აგდებდა მას და გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვდა. ცხრა აპრილის ამბები პირველი წუთებიდანვე მჭიდროდ გადაეკვანძა სამხედრო უწყების, არმიის ავტორიტეტს, რაც იმ დროს ჯერ კიდევ გადაულახავ ჯებირს წარმოადგენდა.

მიუხედავად გაურკვევლობისა, იმავე დღეს ტელეფონით დაუკავშირდა შეერთებული შტატების საელჩოს, პირადად ელჩ მეტლოკს და სთხოვა ამერიკის შესაბამის უწყებაში გამოერკვიათ „სი-ეს“ გაზის მოწამვლის მკურნალობის მეთოდები.

ანდრეი სახაროვი ენერგიულად ცდილობდა შეხვედროდა ცხრა აპრილის სამხედრო ოპერაციის სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ იგორ როდიონოვს, მაგრამ ის ყოველნაირად თავს არიდებდა მასთან კონტაქტს. ეტყობა, ასეთი მითითება ჰქონდა მოსკოველი ხელმძღვანელებისაგან, რომლებიც მდგომარეობიდან თავდახსნის საკუთარ გზებს ეძებდნენ.

„ზოგიერთი მასალის ტონი ხელს ვერ შეუწყობს ქართველი ხალხისა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილების ტრადიციული ძმური ურთიერთობის განმტკიცებას“, — თუ გავიხსენებთ, ქართველების მაშინდელ მდგომარეობას, გენერლის „მეგობრული გაფრთხილება“ დამაფიქრებლად ეღერს.

სახაროვის თაობაზე სარდალი კიდევ უფრო მეტი რიხით იტყობინებოდა: „აკადემიკოსი რესპუბლიკაში ჩამოვიდა, როგორც კერძო პირი და წინასწარ არ შეუთანხმებია ჩემთან შესაძლო შეხვედრისა და საუბრის ვადები. ასეთი შეხვედრა ვერ

შედგა ჩემი უშუალო სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების უაღრესად დაძაბული რიტმის გამო... მანამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა თავი უნდა შეიკავონ დასკვნებისაგან“.

საბჭოთა გენერლის პასუხი არაფრით განსხვავდება გენერალ ციციანოვის მუქარის წერილების სტილისგან, რომელთაც ის დაღესტინს ხანებს უგზავნიდა.

სხვა რაღა დარჩენოდა, სახაროვი მეორე დღესვე გაემგზავრა თბილისიდან.

ამ ვითარებაში ქარაგმულად გაისმა აკადემიკოს საგდეევის ნათქვამი: „სახაროვის ნათქვამი ყოველთვის ჩვენთან იქნება. ნორმალურ ვითარებაში და ნორმალურ სახელმწიფოში პოლიტიკას პროფესიონალი პოლიტიკოსები ქმნიან. მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი თავიანთი საქმით არიან დაკავებული“.

* * *

არც ცენტრი, არც ადგილობრივი მთავრობა იმ პოლიტიკაზე ხელისაღებას არ აპირებდა, რომელმაც საქართველო ცხრა აპრილის სისხლისღვრამდე მიიყვანა. პირიქით, ყოველ ღონეს და ეშმაკობას მიმართავდა, რათა წყლიდან მშრალად გამოსულიყო; დანაშაული მიტინგის მეთაურებისთვის გადაებრალებინა.

პატრიოტიზმს შეხორცებული ფუნქციონერები ვერ გრძნობდნენ, რომ ისტორიამ გეზი იცვალა და ჩარხის შემოტრიალება არავითარ ძალას აღარ ძალუძდა. ხელისუფლების სათავეში მყოფი „გარდაქმნის“ სულისჩამდგმელები და „არაფორმალები“, რომელთაც „უძრაობის პერიოდში“ „დისიდენტებს“ უწოდებდნენ, თავიანთი წინააღმდეგობის გამწვავებით, არსებითად, საერთო საქმეს ემსახურებოდნენ და საჭემოშლილ, დამყაყებულ ქვეყანას გრანდიოზული, საკაცობრიო მნიშვნელობის გარდატეხისკენ მიაქანებდნენ.

ამის შეგრძნებისა და გაგების უნარი წართმეული ჰქონდათ მხოლოდ ცრუ რევოლუციური დოგმებისა და პრიმიტიული ხერხებით გამდიდრების ჟინის სასიკვდილო მეტასტაზებით შეპყრობილ სულიერებს.

„ვინ არის დამნაშავე? — კითხულობდნენ ისინი. — ვინ უნდა აგოს პასუხი?“ „ექსტრემისტებმა, რომლებიც ციხეში მიაბრძანეს! „ცნობილი ამრევები“. არაფორმალთა ლიდერები. პირველი და მეორე შემთხვევა ხომ არაა! გამოძიება დავაჩქაროთ! პასუხი ვაგებინოთ!“

ნუთუ, წარმოსადგენია ისეთი სიყრუე, რომ ბოლოს და ბოლოს, ამათაც არ ეგრძნოთ, საით მიდიოდა ცხოვრება?! ყოველდღიურად. ყოველწუთიერად. ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ. საით იხრებოდა ხალხთა სიმპათიები და მხარდაჭერა? ვის სასარგებლოდ მუშაობდა დრო? ვინ გამოიყენა ტანკები, ხელკეტები, პირბასრი ბარები და გაზები? ვინ ამოწყვიტა ქალები, უასაკო მოწაფეები? ვისგან ელის საშიშროება მსოფლიოს ჩაგრულ ხალხებს, ადამიანთა მოდგმას! მოშიმშილეებისა და ორატორებისგან, თუ საგანგებოდ გაწვრთნილი კაციჭამიებისგან! აქ იმდენად ნათელი და აშკარა იყო ყველაფერი, საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა არმიის პრესტიჟის გადასარჩენად უხვად დაფინანსებულმა პროპაგანდამაც კი ვერ დაამარცხა პატარა, უპატრონო ქვეყნის სიმართლე.

იგრძნო თუ არა საერთაშორისო თანაგრძნობა, ქართველმა ხალხმა გადაჭრით მოითხოვა უსამართლოდ დაპატიმრებულთა განთავისუფლება.

აკადემიკოს ანდრეი სახაროვთან შეხვედრისას მას უთხრეს: „ჩვენ მოვითხოვთ დაპატიმრებულ არაფორმალების განთავისუფლებას, იმ დრომდე მაინც, სანამ გამოძიება მათ დანაშაულს დაადგენდეს. თორემ, რა გამოდის! მკვლელები თავისუფლად დასეირნობენ, ხოლო ისინი, ვისაც არაფერი დაუშავებია, ციხეში იტანჯებიან“.

სახაროვისთვის ამის თქმა ბევრს ნიშნავდა და შედეგიც გამოიღო.

* * *

ჩვენი ცხოვრების ამ ტრაგიკულ პერიოდს დაემთხვა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები.

მართალი ითქვას, საქართველოს მაშინ შავი დღე ადგა და არჩევნების თავი არ ჰქონდა. მით უფრო, რომ წარმოდგენა არ გააჩნდათ, რა არჩევნები უნდა ყოფილიყო ეს.

მაგრამ, როცა გამოჩენაზე და გამორჩენაზეა, მსურველი მუდამ მოიძებნება. გაჩაღდა საქმიან წრეებში „ჩაწყობები“ და გარიგებები. ძველი თამასუქების ფრიალი. საეჭვო დამსახურებებით თავმოწონება. დაიძრა დამრიგებლური ხმები, რომ ბედნიერებას მოგვიტანენ: იურისტები, ეკონომისტები, რუსულად მეტყველი ორატორები. ჩვეული წესით შედგა ჯგუფური სიები, ლიმიტები. მოეწყო არჩევნების რამდენიმე ტური. განმეორებითი კენჭისყრები. ზოგიერთი დეპუტატი ერთდროულად რამდენიმე ხმის მფლობელი გახდა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე პარლამენტის გარეშე დატოვეს. აპრილის ამბებში უღირსი საქციელისთვის საჭირო შეიქნა ზოგის უკან გამოწვევა. განსაკუთრებით პროტესტს უცხადებდნენ როდიონოვს, ნიკოლსკის, სირაძესა და სხვებს, მაგრამ ბუზიც ვერ აუფრინეს. ამომრჩეველთა პროტესტები და არგუმენტები მოხერხებულად მიაფუჩეჩეს.

2.

ზებედე ქარცივაძემ ვიოლა გაზეთის ფოტორეპროდუქციაზე აღმოაჩინა. გაზით მოწამლულთა პალატაში.

ბევრი არ უფიქრია. მარტოლეკი გაიყოლა და საავადმყოფოში გასწიეს.

ქალიშვილს სხივი მოეფინა.

დედა მეზობლებისთვის გაეყოლებინა თელავს. მას საავადმყოფოდან არ უშვებდნენ, თვითონაც ფრთხილად უნდა ყოფილიყო. ფსიქიატრიულში დაბრუნებას სიკვდილი სჯობდა. მომჩივანთათვის მაღალ ინსტანციებში, როგორც ვთქვით, გზების გადაკეტვა ჩვენში უმაღლეს ხელოვნებად ითვლებოდა, ხოლო, ვინც თავისას არ დაიშლიდა, იმის ცხოვრება ფსიქიატრიულ იზოლატორში მთავრდებოდა. ეს ჩვენი ცივილიზებული საამყაროს უდიდესი მონაპოვარი გახლდათ.

ვიოლა გაზით მოწამვლაზე იმდენს არ დარდობდა, რამდენსაც იმაზე, როგორ აეცილებინა თავიდან ეს მწარე ხვედრი. მის დღეში ჩავარდნილმა ადამიანმა თავისთავი თვითონ უნდა გადაირჩინოს.

პალატა, სადაც ვიოლა იწვა, სახაროვმა და ელენე ბონერმა ინახულეს. ფოტოზე სახალხო დეპუტატებთან ერთად არიან გადაღებული. აკადემიკოსს მწუხარე . და გაოცებული გამომეტყველება აქვს, გაუგებარია, რომ გაზით მოწამლული ქალები შიმშილობას აცხადებენ. იმ დღეს ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში რუსთაველის გამზირსა და პირველ საშუალო სკოლაში მოწამლულთა ახალი პარტია მიიყვანეს. მომწამლავ გაზს გვიანი მოქმედების უნარი აღმოაჩნდა.

სამხედრო ხელისუფლება ირონიულად უყურებდა ამ ამბებს. მიუხედავად იმისა, რომ ანალიზებში მოსკოველი სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ, გენერლები გადაჭრით უარყოფდნენ გაზების გამოყენებას.

„ჩვენ ალარაფერი გვიშველის. — ამბობდნენ მოწამლული ახალგაზრდები. — არასრულფასოვნები დავრჩებით“.

„გუშინ „განთავისუფლებას“ მოვუსმინე, — ჰყვებოდა ამხანაგების სანახავად მისული ბიჭი. — გენოციდად გამოაცხადეს.“

„დავყაროთ მანდატები! რაღას უყურებენ, ნეტავ!“

მოსკოვის მედიკოსთა კომისიამ პრესაში ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნა, რომ „თბილისში დემონსტრანტთა წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა ნეირო-ტროპული და გამაღიზიანებელი მოქმედების მომწამვლელი ნივთიერებანი. დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ“.

„წარმატებით რომ ვუმკურნალოთ, სიმართლე უნდა ვიცოდეთ!“

მეტრო „ლენინის მოედანთან“ ქალთა მრავალრიცხოვანმა მიტინგმა დაგმო მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენება და მოითხოვა დამნაშავეების დასჯა.

ვიოლა აღელვებული ისმენდა ახალ-ახალ ცნობებს; საავადმყოფოში გული არ უჩერდებოდა. იმაზეღა ფიქრობდა, როგორ დაეღწია თავი და შეერთებოდა იმ თანამემამულეებს, რომლებიც ბრძოლის გაგრძელებაზე ოცნებობდნენ.

როგორც სამედიცინო კონსილიუმმა დაადგინა, დაღუპულთა შორის აღმოჩნდნენ ქიმიური ნივთიერებებით მოწამლულნი.

თბილისს საერთაშორისო წითელი ჯვრის ექიმები ესტუმრნენ.

ხალხი კვლავ ნერვიულად დაიძაბა. „რას იტყვიან!? ვის მხარეს დაიჭერენ?!“

„საკუთარი თვალით დავინახეთ, რა გადაიტანა ქართველმა ხალხმა და ახლაც როგორ იტანჯება. — თქვა პროფესორმა მუმენტალერმა. — ზოგს სერიოზული მკურნალობა სჭირდება. ჩვენი კომიტეტი კერძო ორგანიზაციაა! იურიდიული დასკვნების უფლება არ გვაქვს. ჩვენი დასკვნები არ ქვეყნდება და არც არავის მოხსენდება“.

ამანაც დააეჭვა და გააღიზიანა ქართველები.

„ხომ არ გვატყუებენ!?“

აღარავის ენდობოდნენ; საშიშარ მოწინააღმდეგეს შეეძლო ყველაზე მოეხდინა ზეგავლენა.

* * *

აპრილის ბოლოდან გვიან შემოდგომამდე ვერის დაღმართზე, „სამაიას“ სკვერში და იქიდან რესპუბლიკის მოედანზე გამავალ ქუჩებში წუთით არ წყდებოდა ქალიშვილებისა და ჭაბუკების საქმიანი ფუსფუსი.

წერდნენ, ხატავდნენ, ასწორებდნენ. კედლებზე, კიბეებსა და ხეებზე აკრავდნენ სახელდახელოდ შედგენილ ფურცლებს, კარიკატურულ ჩანახატებს და მოწოდებებს. მანქანაზე გადაწერილ სტატიებს და, წარმოიდგინეთ, სტამბურად დაბეჭდილ ნაირნაირი ფორმატის გაზეთებს.

ზებედეს დღეში ორჯერ მაინც უხდებოდა ამ ადგილზე ავლა-ჩამოვლა და, რაც არ უნდა საჩქარო საქმე ჰქონოდა, წაუკითხავს არაფერს უშვებდა. ასეთ საჭირბოროტო წერილებს ცენტრალურ პრესაშიც იშვიათად წააწყდებოდა კაცი. რაც შეეხება ინფორმაციას, ის შეიძლებოდა უნიკალურად მიგვეჩნია, სანდო წყაროებს ემყარებოდა და დიდი პასუხისმგებლობით იყო შერჩეული.

„სამაიას“ ფოტოატელიესა და მის ახლომახლო კიბეებსა და სასადილოებში რამდენიმე პოლიტიკურ პარტიას დაედო შტაბბინა და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ინტენსიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდნენ.

უკეთეს სანახაობას ვერ ინატრებდი. სულს ნეტარებით ავ-

სებდა მზის გულზე გამოსული ყმაწვილკაცობის შთაგონება. ისინი პატრიოტულ პარტიებს აარსებდნენ. რამდენიმე თვის წინ ამაზე რცნებაც არ შეიძლებოდა. ზვიად გამსახურდია ცხრაკლიტულში ბეჭდავდა „ოქროს საწმისს“, „საქართველოს მრამბეს“ და „დროებას“. ეს თავისუფლება ცხრა აპრილის მონაპოვარი იყო. თავიანთი ვაჟკაცობით იმტკიცებდნენ ამ უფლებას.

— გვეღირსება, ნეტავ, ქართული პატიოსნებით სავსე გაზეთი?! — ამოიოხრა ზებედემ.

— რატომ გაგტეხია, ძია კაცო, გული?!

— იგუებს დღევანდელი ხალხი? ისიც არ დავკარგოთ, რაც „პერესტროიკამ“ მოგვცა.

— ტყუილი შიშია. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ვიაროთ.

ახალი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას მყარი საფუძველი ეყრებოდა.

პირველად ხელისუფლებამ სცადა პარალელური პოლიტიკური პარტიის შექმნა.

ამ პარტიას კომუნისტურმა ცეკამ „რუსთაველის საზოგადოება“ უწოდა. დამფუძნებელი ყრილობა რუსთაველის თეატრში ჩაატარეს. მეთაურებად ნაცადი, შემოწმებული პირები დაუნიშნეს. ფასადი მიმზიდველად გააფორმეს. სათავეში აკადემიკოსები და ლაურეატები. რუსთაველი ჯადოქრული სახელი. გარანტირებული დაპირებები.

ქვეყანაში მოახლოებული ძვრების პირველ ნიშნად ამ მოოქრვილი სატყუარის კრახი უნდა ჩაითვალოს. დაარსება ძლივს მოასწრეს, რომ დაფუშვა დაიწყო. ვერც ღმერთკაცის სახელმა უშველა, ვერც მოზიმზიმე მედროვეებმა.

სულ სხვა ეპოქა რეკდა თავის ზარებს. გაცვეთილი მეთოდებით ხალხის მოტყუება შეუძლებელი გამხდარიყო. ცხრა აპრილს ულმობლად გაეშიშვლებინა ქვეყნისთვის თვალისაბმისა და გასულელების, ცეკას მდივნების კაბინეტებში გამოჭყლეტილი ერზაცების შეტყუების ხერხები.

გზა დაელოცა იმ არსებულ თუ გასაფორმებლად გამზადებულ პარტიებს; რომლებმაც საქვეყნოდ დაამტკიცეს თავიანთი სიცოცხლისუნარიანობა, ცოცხალ ოკეანედ აქციეს თბილისის პროსპექტები და მოედნები.

ამ დღეს ცეცხლით შერუჯული ახალგაზრდები აარსებდნენ თავიანთ მებრძოლ პარტიებს. მათ პოლიტიკური ლაზღანდაროობით ვეღარ შეაცდენენ.

ამ გავარვარებულ პოლიტიკურ ატმოსფეროში ჩვენთან ვერც „სახალხო ფრონტმა“ მოიდგა ფეხი. ხანში შესულ ადამიანებს, რომლებიც იმთავითვე გამოჩნდნენ ამ ორგანიზაციის სათავეში, საქართველოში დიდი ხანია გატეხილი ჰქონდათ სახელი. ისინი მლიქვნელ, კარიერისტ, ცეკაში თრევით წელში გატეხილ „მამებს“ განასახიერებდნენ. უსასოო გლოვის დღეებში ისინი სასოწარკვეთილ ხალხს „წესიერებისა და სიმშვიდისაკენ მოუწოდებდნენ“. ეს თავისთავად გონივრული წინადადება, სისხლამღვრეულ მეამბოხეებს ბებრულ ჭკუის დამრიგებლობით აღიზიანებდა. ისინი „ახალი აქციებისთვის“ მზად მყოფ პარტიებს ქმნიდნენ. ეს იყო მიზეზი, რომ მათ რიგებში ვერ მოხვდნენ ასაკოვანი, მაგრამ თავისუფლების სულით მათსავით გამსჭვალული, ცეცხლში გამოვლილი ადამიანები, რამაც კვალი დააჩნია მათ საქმიანობას.

სამწუხაროდ, როგორც რუსთაველის საზოგადოება, სახალხო ფრონტიც მრავალმხრივ ჭრელ ორგანიზმად ჩამოყალიბდა. ამან გააღრმავა და დააჩქარა ერთსულოვნების მოშლა ეროვნულ მოძრაობაში, რის მწარე ნაყოფსაც ვიმკით.

სახალხო ფრონტის დამფუძნებელ ყრილობაზე სამართლიანად ითქვა: „სახალხო ფრონტის მთავარი პრობლემა მარად ძველი და მარად ახალი პრობლემაა. მას სამშობლოს გადარჩენა ჰქვია. აქ ძლიერ მოკრძალებულად განისაზღვრა მისი როლი... ყველას თავისი ადგილი აქვს ბრძოლის ველზე; ერთი ადგილი სახალხო ფრონტს ეკუთვნის“.

აქ უნდა თქმულიყო გამაერთიანებელ როლზე.

იქვე, მერაბ კოსტავამ ჭკუის სასწავლი პასუხი გასცა შეკითხვაზე: „რას უსურვებთ საქართველოს სახალხო ფრონტის ყრილობის მონაწილეებს?“

— მიბაძონ არაფორმალური ორგანიზაციების საქმიანობას!

• • •

ნაშუალამევს ლაფაროში შეყუჟულ ჯგუფს თეთრ კოსტუმში გამოკვალთული ქალი შეუერთდა.

ორმოციოდე წლისა. ჯიშიანი. მკაცრი გამომეტყველებისა და სასიამოვნო შესახედაობის.

წითელი თავსაბური ეხვია.

ამხანაგები მორიდებით შეხვდნენ, რაც, შეიძლებოდა, რამდენიმე მიზეზით აგვეხსნა. ცხრა წლის წინ ის შიომღვიმის ტაძარში დაეპატიმრებინათ მილიციელებთან შეტაკების გამო. მაშინ ბევრი გაურკვეველი რამ დაიბეჭდა ამის თაობაზე და ამერიკის რადიოს გადმოცემებშიც ითქვა. შეუპოვარი ქალი გამოდგა. გატეხილი. გამოძიებასა და სასამართლოზე გამომწვევად ეჭირა თავი. სამი წლის პატიმრობა მიუსაჯეს მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების ბანაკში. ვერც ამან დააკლო ვერაფერი იმდენი იომა, სანამ ძველ ადგილზე არ აღადგინეს და არც იქ იჩენდა მორჩილებას. რასაც გარშემო ხედავდა, ყველაფერი ჩხუბის ღირსი იყო და ისიც სულ ჩხუბობდა.

სიყვარული არ შეარგეს. საქმრომ, პირველი შემთხვევისთანავე უღალატა. მომავალმა მამამთილმა, როცა გაიგო მის ვაჟს ახალმოვლენილი მდივნის ქალიშვილის შერთვა შეეძლო, „გარყვნილ, „ქუჩის ქალს“ მილიცია დაასხა თავს და ხელწერილი დაადებინა, უარი ეთქვა საქმროზე.

რაინდს არავითარი უხერხულობა არ უგრძვნია. რაკი მამის კარიერა ამას მოითხოვს, წინ ხომ არ გადაუდგება. „სულ არ მინდა შენთან ჩხუბი, — უტიფრად უთხრა საცოლეს. — მოდი, დავშორდეთ და მეგობრებად დავრჩეთ!“

არაფერი უპასუხნია. საითაც გული მიუწევდა, იქით გასწია. ყველაფერი ნახა და გადაიტანა. ცხრა აპრილს ტრიბუნიდან არ ჩამოსულა. მისი ხმა სხვაგვარად ქუხდა და მოუწოდებდა.

ორლესულიც აგემეს, ტვინის შერყევა და გულის რევა გამოჰყვა. მეგობრებმა საიმედოდ გადამალეს. ციხეც ააცილეს და საავადმყოფოს რეგისტრაციაც. მესამე დღეა, რაც მზის სინათლეზე გამოსულა. ამათთან ყოფნა და ტრიალი ყველაზე უებარი წამალია.

მავიწყდებოდა: ეს ქალი შუშანა ლიჩელი გახლავთ.

• • •

ცხრა აპრილს სატუსაღოში ერთად მიიყვანეს სხვადასხვა თაობის, განსხვავებული დანაშაულებრივი კატეგორიის პატიმარი. ბადრი უჯარმელი და ამირან ლაშქარავა ორმოცდათექვსმეტის ცხრა მარტის მოვლენებს შემოეტაცნა სახალხო მოძრაობაში. დროს ესენი ერთსულ და ერთხორც ექცია. დანარჩენები ჭაშინ დაბადებულიც არ იყვნენ, მაგრამ გზა ამათაც მძიმე და ჩინებული გამოევლოთ.

ბადრი უჯარმელი ცხრა აპრილს აფასებდა, როგორც ტრავმას, რომლითაც ახალი ეტაპი იწყებოდა. ქართული ეროვნული მოძრაობა აქამდე, ძირითადად, ინტელიგენციასა და ახალგაზრდობას ემყარებოდა, ამიერიდან საერთო სახალხო მოძრაობის ხასიათს იღებდა.

მათ უკუაგდეს ხელისუფლების მიერ გავრცელებული ვერსია, თითქოს, ისინი ხალხს ძალადობისკენ მოუწოდებდნენ.

„ეროვნული ხსნის კომიტეტმა“ შეიმუშავა „მიმართვა ქართველი ხალხისადმი“, რომელშიც ნათქვამია:

„ძვირფასო თანამემამულენო! საქართველოს ეროვნული მოძრაობა შედის ფრიად მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ფაზაში. ცხრა აპრილის ტრაგედიამ, მოწამეთა უმანკო სისხლმა არნახულად დარაზმა ჩვენი ერი. დღეს მთელი ქართველი ხალხი გაერთიანდა თავისუფლების დროშის ქვეშ, გვიერთდებიან არაქართველნიც, გვიცხადებენ სოლიდარობას.

ჩვენი მოძრაობა არასოდეს ყოფილა ესოდენ მძლავრი, მასობრივი და ყოვლისმომცველი, მაგრამ, ამავე დროს, აუცილებელია, შევინარჩუნოთ ეს დონე. ყოველი დღე ჩვენგან მოითხოვს მაღალ შეგნებას და პასუხისმგებლობას, რათა არავის მივცეთ ახალი სისხლიანი პროვოკაციის მოწყობის საბაბი.

უწინარეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი ბრძოლა მშვიდობიანი ბრძოლაა. ჩვენ ვგმობთ ძალადობისა და ტერორის ყოველგვარ ფორმას. მეოცე საუკუნის გამოცდილებამ ცხადყო, რომ პოლიტიკური ბრძოლის მშვიდობიანი ფორმები გაცილებით დიდ და სტაბილურ შედეგებს იძლევიან, ვიდრე შეიარაღებული გამოსვლები, რომელთაც შეიძლება კატასტროფამდე მიიყვანონ ეროვნული მოძრაობა, როგორც

ეს მოხდა, მაგალითად, უნგრეთში 1956 წელს. მშვიდობიანი ბრძოლის უპირატესობას ადასტურებს პოლონეთის და ბალტიისპირეთის გამოცდილება, რომელნიც, აგრეთვე, უარჰყოფენ შეიარაღებული აჯანყების გზას.

მას შემდეგ, რაც 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტის ინიციატორებს და შემსრულებლებს ნიღაბი აეხადათ მთელი კაცობრიობის წინაშე, ისინი მიმართავენ პროვოკაციებს, რათა „დაასაბუთონ“ თავიანთი ჯალათური აქციის მართლზომიერება და ამ მიზნით თავადვე აწყობენ დივერსიებს, რათა შემდეგ ქართველებს გადააბრალონ.

ყოველივე ამის გამო გაასკეცებული სიფხიზლე და სიდინჯე გვმართებს, რათა არ წამოვეგოთ მსგავს პროვოკაციებზე და ძალადობას ძალადობითვე არ ვუპასუხოთ... არ დავუშვათ არავითარი პროვოკაცია, არავითარი გადახრა ჩვენს მიერ ერთობლივად შემუშავებული კურსიდან, რომელსაც უნდა გაჰყვეს ჩვენი ეროვნული მოძრაობა და რომელიც უთუოდ მიგვიყვანს საბოლოო გამარჯვებამდე!“.

კითხვაზე: „როგორ გესახებათ ჩვენი ეროვნული მოძრაობის ხვალინდელი დღე“? გამსახურდიამ მიუგო: „ეს დამოკიდებულია ჩვენს ერთიანობაზე, კონსოლიდაციაზე და მსოფლიო საზოგადოებრიობაში მხარდაჭერაზე. აქ რუსეთის საზოგადოების ჯანსაღ ნაწილსაც ვგულისხმობ“.

ეს სიტყვა წინასწარმეტყველური გამოდგება.

თუ კონსოლიდაცია გსურთ, — ჰკითხეს საკნიდან ახლადგამოსულ ზვიადს, — მაშინ რაღა საჭიროა ამდენი პარტიისა და საზოგადოების არსებობა?

დროის შესაფერისად მოაზრებულია ამ კითხვის პასუხი: „ეროვნულ მოძრაობაში ახლა ისეთი ეტაპია, რომ ყველას სურს მასში რაღაც ინდივიდუალური შეიტანოს. მაგრამ, განსხვავებული ნიუანსების მიუხედავად, გეზი და ტაქტიკა საერთოა.“.

ეს იყო გონივრული და კეთილი სურვილი, რომელსაც ყოველთვის არ უწერია ახდენა.

• • •

საკვირველ ამბებს ჰყვებოდნენ მილიციელთა თავდადებაზე. ქართველი მილიციელები რომ არა, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდაო. იმ დღეებში ისინი მხარში ედგნენ თბილისის მოსახლეობას. საკუთარ თავზე იღებდნენ ხელკეტებისა და მოპირული ბარების დარტყმებს. წინასწარ განიარაღებულნი პირისპირ შეტაკებებში ჯალათებს ხელიდან გლეჯდნენ სასიკვდილოდ განწირულ ქალებსა და ბავშვებს. იცავდნენ კინოთეატრ „რუსთაველში“, თეატრალურ ინსტიტუტსა, ქაშუეთის ტაძარში, მიწისქვეშა გასასვლებებსა და ჩიხებში მომწყვდეულ, ნაცემ-დარბეულ ხალხს.

მილიციის განყოფილებები იღებდა დეპეშებს: „ძვირფასო მილიციის მუშაკებო! უღრმეს მადლობას გიძღვნით დიდსულოვნებისათვის, თანადგომისა და პატრიოტიზმისათვის“.

არასოდეს ასე მჭიდრო და ერთსულოვანი არ ყოფილა მილიციისა და ხალხის ერთიანობა, — იუწყებოდა შინაგან საქმეთა სამინისტრო. მილიციამ ხალხთან ერთად მიიღო დარტყმა. მათთან ერთად დაიჭრნენ და დასახიჩრდნენ. გვახარებს, რომ ხალხი თავის მილიციაში კვლავ ხედავს იმედსა და მოსარჩლეს.

პრესამ ალალმართალი ნარკვევები უძღვნა მილიციელთა გმირობას. დაჭრილ მილიციელთა სანახავად საავადმყოფოში მიდიოდნენ მომიტინგეები და მოშიმშილეები, რომლებიც მათი წყალობით გადაურჩნენ დაღუპვას. მიჰქონდათ საჩუქრები, ყვავილები.

თბილისის შინაგან საქმეთა ლაზარეთს არასოდეს ჰყოლია ამდენი მნახველი.

• • •

მმართველ წრეებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის დაემალნათ, და ამ გზით ქართველებისთვის გადაებრალებინათ ცხრა აპრილის ტრაგედია.

პატრიოტებმა ამ ვერაგულ განზრახვას დაუპირისპირეს უბრალო და კანონიერი მოთხოვნები: „გამოვარკვიოთ სიმარ-

თლე! გამოვიძიოთ მიზეზი! ეს დაგვეხმარება თავი დავაღწიოთ კრიზისს. მრმხდარ ტრაგედიას გამართლება არ აქვს. დატრიალებულმა ამბებმა ლახვარი ჩასცა ჩვენს იმედებს! გასამართლდეს, ვინც ეს შემზარავი ბრძანება გასცა. დამნაშავეებმა პასუხი აგონ. აღიკვეთოს საკავშირო პრესის ცრუ ინფორმაცია. მოვითხოვთ, გაგვიმხილონ გამოყენებული გაზების საიდუმლო. დაიწყოს ყოველმხრივი გამოძიება! მოვითხოვთ ავტორიტეტულ კომისიას!"

საზოგადოებრივმა, სამეცნიერო ორგანიზაციებმა თუ კერძო პირებმა ამ მხრივაც პირველი დღეებიდანვე გასაოცარი ოპერატიულობა, სიფხიზლე და კომპეტენტურობა გამოიჩინეს, ვაჟკაცურად და გონივრულად წარმართეს ეს რთული საქმე. არაფრით ტოლი არ დაუდეს მოწინააღმდეგე ძალებს.

გრძელდებოდა შიმშილობები, გაფიცვები, საჩივრები, დემონსტრაციები. ფართო, ყოველმხრივი გამოძიების მოთხოვნით: აპრილშივე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეიქმნა ავტორიტეტული კომისია ქვეკომისიებით. თვის ბოლოს კომისია უკვე შეუდგა ინტენსიურ კვლევა-ძიებას. დაიწყო სრული და მართალი ინფორმაციის მიწოდება უცხოელი ჟურნალისტებისათვის. გადაეცათ ნივთიერი მტკიცებანი, დოკუმენტები.

არც მტრები ცხრებიან. ცილისწამებებს წერენ „პრავდაში", რომელიც მილიონობით ეგზემპლარად ვრცელდება მთელ მსოფლიოში. როგორ აპირებ თავი დაიცვა?! გულზე სკდები, ლამისაა, თავი ახალო კედელს. აღარ იცი, ვის შესჩივლო, ვინ გვიშველის!

ამ ცოტა ხნის წინ ჩვენმა კინოხელოვანებმა მოახერხეს მოსკოვში ეჩვენებინათ იური როსტის მიერ ცხრა აპრილს გადაღებული შემზარავი ქრონიკა. რა გამოვიდა?! თუ ერთნი ქვითინებდნენ და გვითანაგრძნობდნენ, მეორენი — ხითხითებდნენ და დასცინოდნენ ჩვენს თავგაჩეხილ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალიშვილებს. დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა ბნელსა და ნათელს, ბოროტსა და კეთილს შუა. ერთმა მინისტრმა საჯაროდ განაცხადა: „ამ ფილმში აღმაშფოთებელს ვერაფერს ვხედავ, გარდა დიქტორის ტონისა და სიტყვებისა".

მტრისთვის აბუჩად აგდების საშუალება არ უნდა მიგვეცა.

ცოდვა-მადლი მისხალ-მისხალ აგვეწონა, ჩვენი სიმართლე დაგვემტკიცებინა. არ უნდა შევეპუებოდით, ჭეშმარიტება, რაც შეიძლება, შორს გაგვეტანა. არაფერი შეგვერჩინა. ვაჟკაცობასთან ერთად, კომპეტენტურობაც გვეჩვენებინა.

ჯერ ის რად ღირდა, რომ პირველსავე დღეებში დაიწყო მასობრივი ლაშქრობა იმ სახალხოო დეპუტატთა გამოწვევისათვის, რომელთაც ქართველობა პირად პასუხისმგებლობას აკისრებდნენ ცხრა აპრილის ტრაგედიისათვის.

სიმახინჯის ვითარებაში ჩატარდა ეს ვითომ არჩევნები საქართველოში. არავითარი შეჯიბრი და ბუნებრივი შერჩევა. თანამდებობრივი ნომენკლატურა და „ჩაწყობები“. გამოგონილი ღირსებები და „პარტდახასიათებები“.

აღშფოთებულმა მოსახლეობამ დაუყოვნებლივ მოითხოვა როდიონოვის, ნიკოლსკის და სხვა მათ მსგავს „ხალხის რჩეულთა“ დაუყოვნებლივ გამოწვევა. საბუთებიც შედგა. გაიგზავნა. მაგრამ საქმეში ხართ!?

ერთი „რჩეული“ მანდილოსანი იქამდეც მივიდა, რომ ყველაფერში მსხვერპლად შეწირულ ახალგაზრდობას დასდო ბრალი. „თუ ისინი პატიოსანი გოგონები იყვნენ, დილის ოთხ საათზე მთავრობის სახლთან რა უნდოდათ?!“ მე მრცხვენია, ისეთი დაბალი დონის ახალგაზრდობა გვყავს“. „არაფორმალური გაერთიანებები კოოპერატივის დონეზეც კი არ არიან!“

ამგვარი თუჯისთავი და მორალი უნდა ჰქონოდა, დეპუტატად რომ აერჩიათ, იქიდან კი, ქვეყანა რომ დაექცია, უბატონოდ ხმას ვერ გასცემდი!

იმის ნაცვლად, რომ დამნაშავეები გამოეწვიათ და საქართველოს საგამომძიებლო კომისიის მუშაობა დაეჩქარებინათ, სამხედრო პროკურორ კატუსევს საგანგებო გამოძიების ჩატარება დაევალა.

პასუხად, საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტრომ საექსპერტო კომისია შექმნა, რომელიც კომპლექსურად იკვლევდა და ასაბუთებდა მომწამლავი გაზების გამოყენებას, რაც მთელ მსოფლიოში ამხელდა დამრბევთა ბარბაროსობას.

გამოძიება ძალას იკრებდა. უწინარეს ყოვლისა, ქართული პრესისა და საზოგადოებრიობის განუწყვეტელი მოქმედებისა და ენერგიულობის წყალობით. ცენტრალურ ხელისუფლებას

საქმის მიძინებისა და მიფუჩეჩების საშუალებას არ აძლევდა, დაუშრეტელ წყაროებს პოულობდა ამ მიზნისთვის. ქმნიდა საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს.

საკავშირო აკადემიის წინასაარჩევნო კომისიაზე მკაცრი მამხილებელი სიტყვით გამოვიდა თამაზ გამყრელიძე, რომელმაც დაგმო ბარბაროსული მეთოდები, მოითხოვა ძიების დაჩქარება და ობიექტურობა, ცხრა აპრილის გამოცხადება „დანაშაულად საკუთარი ხალხის წინაშე", დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა.

გახმაურებული ფილმის „მონანიების" ავტორმა, კინორეჟისორმა თენგიზ აბულაძემ, ნიშნად პროტესტისა, უარი თქვა კანის ტრადიციულ კინოფესტივალში მონაწილეობაზე და მიწვევის პასუხად გაგზავნილ წერილში მიუთითა, რომ თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ „ფიზიკური და მორალური მდგომარეობა საშუალებას არ აძლევს მონაწილეობა მიიღოს ზეიმში".

ავტორიტეტული ქართველების ხმას ემატებოდა სახაროვის, საგდეევის, ლიხაჩოვის, სხვა გამოჩენილ ადამიანთა გამოხმაურებანი და პროტესტები.

ცხრა აპრილის შეფასებაში მკაფიოდ გამოიკვეთა ამიერკავკასიის სამხედრო გამოცემების უკიდურესად არაადამიანური, ანტიჰუმანური და შოვინისტური პოზიცია, რასაც ქართველმა ჟურნალისტებმა დაუპირისპირეს მამხილებელი ფაქტები, ჰეშმარიტებაზე დამყარებული პოლემიკა. ეს იყო სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება გათავხედებულ, წაქეზებულ მტრებთან, რომლებიც ყველაფერს კადრულობდნენ ჩვენი სახელის გასატეხად.

ქართულ პრესას არცერთი ცრუ ბრალდება უპასუხოდ არ დაუტოვებია. მკითხველი გულისძგერით კითხულობდა ამ წერილებს და თანაუგრძნობდა ჩვენს ხალხს.

აპრილის ბოლოდან თბილისის ამბებმა ღირსეული ადგილი დაიკავა საერთაშორისო პრესასა და ტელეხედვაში. არ დარჩენილა არცერთი ქვეყანა, სადაც არ ეცადათ ცხრა აპრილის მოვლენებში გარკვევა. საკუთარი წყაროების გამოყენება და დამოუკიდებელი ანალიზით სამართლიანი დასკვნების გამოტანა. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცხრა აპრილი

მაშინდელი საერთაშორისო ცხოვრების ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა და თავისი კვალი დააჩნია მის განვითარებას.

თუ სტატისტიკას ვენდობით, სამი თვის განმავლობაში ამ ამბავს რვა ქვეყნის ორმოცდაათი პერიოდული გამოცემა გამოეხმაურა, ორასამდე წერილი და ნარკვევი გამოქვეყნდა. ინტერესი კი არ ცხრებოდა, არამედ, თითქოს, ახლა გაიგესო, — სიმწვავეს იძენდა. უპირისპირებდა რა ერთმანეთს აპრილის მოვლენებსა და „სახალხო დეპუტატთა" არჩევნებს, ზოგიერთი საქართველოს ვანდეად აცხადებდა, „ტოტალიტარიზმისა და ავტორიტარიზმის მუზეუმად" მიიჩნევდა. ასეთი ზედაპირული ახსნის მიზეზს წარმოადგენდა დაინტერესებულ წრეებში გავრცელებული აზრი, თითქოს, საქართველო, როგორც „სტალინისა და ბერიას სამშობლო" მხარს უჭერდა კონსერვატიზმს. საბედნიეროდ, ამ ცრუ თვალსაზრისმა დიდხანს ვერ იბოგინა. ყველასთვის ნათელი შეიქმნა, რომ საქართველო ეპოქის გამათავისუფლებელი მოძრაობის ბარიკადებზე ღვრიდა სისხლს და მისი ხმა მთელ მსოფლიოს მებრძოლ ხალხთა ხმას უერთდებოდა. იგი სწორედ სტალინიზმის სიძულვილით იყო ნასაზრდოები.

უცხოურ პრესაში ცხრა აპრილმა ყურადღება მიიპყრო გაუგონარი ვანდალიზმით, რაც ყველა ხალხს აფიქრებდა თავის საკუთარ მომავალზე, საკაცობრიო ღირებულებებზე. თუმცა დასავლეთს წუთითაც არ ავიწყდებოდა გორბაჩოვის ინტერესები, რომელთანაც, მათი წარმოდგენით, „პერესტროიკის" ბედიღბალი, მაშასადამე, „ახალი მსოფლიოს" მოწყობა იყო დაკავშირებული.

თავის მხრივ, სამხედრო წრეებიც (უფრო სწორი იქნება, ვთქვათ: პარტია და მთავრობა) ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რათა მომხდარისთვის მთელი პასუხისმგებლობა ხალხისთვის („არაფორმალი ექსტრემისტებისთვის") გადაებრალებინა. არ ნელდებოდა ამ ორ ძალას შორის გააფთრებული შეხლა-შემოხლა. მცირერიცხოვანი ერისთვის შეუდარებლად უფრო ძნელია ამ კრიზისის გადატანა, ვიდრე გაბატონებული ხალხისა და სახელმწიფოსთვის. ზღაპრულად დიდი განსხვავებაა მათ შესაძლებლობებს შორის. კრიტიკულ მომენტში ქარ-

თველობას ბრალად დასდეს ეროვნული მღელვარება, სხვა ხალხთა შეუწყობაობლობა, რუსების დევნა, მათი ოჯახების დაწიოკება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი სიძულვილი ჩვენთვის ორგანულად მიუღებელია და ბრალდებები საგანგებოდ იყო შეთითხნილი, იოლად მივხვდებით, რა დეპრესიას იწვევდა ამგვარი ცილისწამებები: „მოხულიგნო ახალგაზრდების ჯგუფმა ქვა დაუშინა რუს ბავშვებს!“ „თბილისის პეტრეპავლეს სასაფლაოზე შეუბილწავთ რუს სამხედრო მოსამსახურეთა საფლავები“. როგორ გინდა, თავი იმართლო ასეთი ბრალდებებისაგან?! არავინ კითხულობდა, რომ ეს შეიძლება პროვოკატორის ნამოქმედარი ყოფილიყო. პრესის და ტელევიზიის გამოყენებით ამ სიცრუეებს მთელ მსოფლიოში ავრცელებდნენ ქართველი ხალხის სახელის გასატეხად.

არც ეს იმედი გაუმართლდათ ავის მსურველებს. არაქართველთა ბევრი მიმართვა გამოქვეყნდა პრესაში იმის შესახებ, რომ ისინი ძალიან კარგად გრძნობენ თავს საქართველოში. აპრილის მიტინგებში, რომელიც ასე ტრაგიკულად დასრულდა, ქართველების მხარდამხარ აქტიურად მონაწილეობდნენ სხვა ერის შვილებიც. საქართველოში მათ არასოდეს უგრძვნიათ თავი უცხოდ.

ისიც თქვეს, თითქოს, სანამ რუსთაველზე ტანკები შემოგიდოდნენ, ქართველმა ახალგაზრდებმა დაჭრეს რუსის ჯარისკაცებიო. მომწამლავი ნივთიერებები ჯარს კი არ გამოუყენებია, არამედ ქართველებმა გამოიყენესო.

ჩვენი პრესის და საზოგადოებრიობის ყოველ გამოსვლას ისინი ერთი მეორეზე უარესი ცილისწამებით პასუხობდნენ.

გენერალ კოროტკინს საქმე ისე გამოჰყავდა, უიარაღო თბილისელ გოგონებს ლამის, შეიარაღებულ ომში დაემარცხებინოთ საბჭოთა არმია.

თბილისის მილიციის უფროსი გვენცაძე აღშფოთებული წერდა პროგრამა „ვრემიას“ პროვოკაციული გამოხდომის გამო: „ქალაქის მოსახლეობის მხრივ სამხედრო პირებზე თავდასხმის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. ეს ტელევიზიის მონაგონია ჩვენი მისამართით. ასეთი გადაცემები ეროვნულ შუღლს აღვივებს და ძნელი გასაგები არაა, ვის აძლევს ხელს ასეთი სიცრუე. ერთი ოფიცრის მტკიცება, რომ მას სცემეს,

არ დადასტურდა. როგორც გამოირკვა, იგი გალახა მისივე მძღოლმა. დღეს დედაქალაქში, თუ ქართველი კაცის მდუმარე და გულისმომკვლელ გლოვას არ ჩავთვლით, არავითარი დაძაბული ვითარება არ არის. შემცირდა ყველა სახის სისხლის სამართლის დანაშაული".

* * *

ორი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეჯახებული ძალის დაძაბულ ჭიდილში ზაფხულმაც მოატანა. ჯერ კიდევ ძნელი სათქმელი იყო, ვინ ვის დაამარცხებდა: სიმართლე იზეიმებდა თუ ბოროტების ღრეობა გაიმართებოდა.

მტრის შემოტევებსა და ჩვენს კონტრიერიშებს დასასრული არ უჩანდა.

ეს იყო ნერვების ბრძოლა, რომელსაც მართლისა და სუსტის მფარველი ღვთაებრივი ძალა წარმართავდა.

ერთ-ერთ საგამოძიებო დასკვნაში ნათქვამია: „მიტინგის მონაწილეებს არა მარტო არ გამოუყენებიათ ძალადობა, არამედ ყოველნაირად ცდილობდნენ თვითონვე აღეკვეთათ ყოველგვარი ისეთი ქცევა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ძალადობის გამოყენების მიმნიშნებელი იქნებოდა. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები ადასტურებენ, მიტინგის მონაწილეებში არ ყოფილა შემჩნეული არავითარი ექსცესები. შიმშილობა შეხამებული იყო მიტინგებთან, ამიტომ, მოშიმშილეებს გარდა, აქ იყვნენ მოქალაქეები, რომლებიც, მართალია, არ შიმშილობდნენ, მაგრამ დროდადრო მართავდნენ მიტინგებს წამოყენებული მოთხოვნის მხარდასაჭერად.

იმის გამო, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მოშიმშილეებისა და მომიტინგეების მოთხოვნას არავითარ პასუხს არ აძლევდა, ქალაქში დაიწყო საგაფიცვო მოძრაობა".

კაცობრიობის განვითარება და, კერძოდ, საბჭოთა კავშირის ისტორია გვასწავლის, რომ უბედურება იწყება იქ, სადაც სამართლიანობის პრინციპები არ მუშაობენ, სადაც საზოგადოებრივი ურთიერთობები ვითარდება არა სამართლით განსაზღვრული მიმართულებებით, არამედ თვითნებობით.

ჯერ კიდევ ძლიერადაა გამჯდარი აზროვნების სტალინური რვევა, როცა ანტისაბჭოური მოწოდება ან სიტყვა უფრო დიდ დანაშაულად ითვლება, ვიდრე პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი დანაშაული. არსებული რეჟიმის ნებისმიერ ფასად შენარჩუნების იდეოლოგია ფაქტობრივად უგულებელყოფს კონსტიტუციით დამკვიდრებულ დებულებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი თავისუფალ რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი კავშირია. ასეთი იდეოლოგიის მიმდევარნი უმძიმეს სახელმწიფოებრივ დანაშაულად თვლიან იმ აზრსაც კი, რომ რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკამ გამოიყენოს კონსტიტუციის სათანადო მუხლი და გავიდეს სსრ კავშირის ფარგლებიდან. ისინი თვლიან, რომ მოქალაქე შეიძლება სიკვდილით დაისაჯოს ამგვარი აზრის გამოთქმისათვის, ხოლო თუ ასეთ აზრს მასა გამოთქვამს — მიმართოს მასობრივ ხოცვა-ჟლეტას, რაც კიდეც განხორციელდა თბილისში.

სწორედ ეს არის 9 აპრილის „დანაშაულის" მთავარი მოტივი.

სახალხო დეპუტატთა პირველ საკავშირო ყრილობაზე მძიმე საიდუმლოებებს აეხადა ფარდა. ანატოლი ლუკიანოვმა გამოაქვეყნა თბილისიდან საკავშირო ცეკაში გაგზავნილ დეპეშათა დედნები, რომლებსაც ხელს აწერდა პირველი მდივანი, რომლებშიც ის ხალხის წინააღმდეგ დამსჯელი ჯარების გაგზავნას მოითხოვდა.

მას პასუხის გაცემის საშუალება არ მისცეს, მაგრამ ფარდამ მაინც იმ სიმაღლეზე აიწია, რომ ბევრი რამ იდუმალებით ჰოცული გამოჩნდა.

რამდენიმე დღის შემდეგ გორბაჩოვის წინადადებით, გამოიყო სახალხო დეპუტატთა საგამომძიებლო კომისია ცხრა აპრილის გარემოებათა შესასწავლად, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ლენინგრადის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი ანატოლი სობჩაკი.

საქმე სულ უფრო რთულდებოდა და ბევრისთვის საშიშ ხასიათს იღებდა. ეს ამგვარი კომისიის შექმნის პირველი შემთხვევა იყო ამ ქვეყნის ისტორიაში, სადაც თვითნებობას კანონთა კოდექსზე მეტი ძალა ჰქონდა.

• • •

აღნიშნული საგამოძიებო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით, საქართველოში დიდი გამოცოცხლება და მითქმა-მოთქმა შეიქნა. ვინ რას ამბობდა. დაიძრა მოსკოვისკენ კერძო საჩივრებისა, ანონიმური წერილებისა და ჯგუფური განცხადებების ოკეანე.

ქართველების არც ერთ არგუმენტს უპასუხოდ არ ტოვებდნენ. „პასუხები" მიზნად ისახავდა ფეხქვეშ გათელილი ერის დამცირებას, აბუჩად აგდებას, დეპრესიების გზით წინააღმდეგობის უნარის წართმევას. სადისტური ხასიათი მიიღო ინფორმაციის მიჩქმალვამ და ფაქტების გაუკუღმართებამ. პრესამ და ტელევიზიამ ამ საქმეში მსოფლიო რეკორდები დაამყარა. არცერთი ცილისწამების წინაშე უკან აღარ იხევდნენ. პირბასრი ნიჩბებით დაჩეხილ უმანკო გოგონებზე მგლოვიარე, უსამართლოდ გალანძღული, შეგინებული ერი მკვლელთა უტიფარი მუქარისა და ზიზღის საგნად უნდოდათ ექციათ.

რაღას არ წაიკითხავდით და გაიგონებდით! „ხულიგნები", „ფაშისტები", „თავაწყვეტილი შოვინისტები", „შურისმაძიებელი ვანდალები", ქართველების ჩვეულებრივ ეპითეტებად გაეხადათ.

უკიდურეს განწირულებაში ჩვენს ხალხს, როგორც არა ერთხელ და ორხელ მის მრავალტანჯულ ისტორიაში განმაკურნებელ ძალად მოევლინა გაცოცხლებული ღვთის რწმენა. ხან ძალმომრეობით, ხან სტალინის ცდუნებით ჩვენგან წაგლეჯილი და დავიწყებული ღმერთი. მოგვევლინა მთელი თავისი ძლევამოსილებით, უსაყვედუროდ, უზენაესი მფარველობით.

ჩვენ უხსოვარი დროიდან მოგვყვება მტკიცე რწმენა, რომ საქართველო ღვთიშობლის წილხვდომილი ქვეყანაა. ეს არის ყოვლისმომცველი, ეჭვშეუტანელი, ისტორიის გამოცდილებით დადასტურებული იმედი. ერმა სასოებით აღაპყრო მზერა დავიწყებული ზეციისკენ. იმანაც ლმობითა და სასოებით მოგვხედა. მოგვიტევა და გადაგვაფარა კალთა. გერმანელი მისანი, პროფესორი დინა რიზი იმ ზაფხულს ამბობდა: „კავკასია არამარტო უძველესი მთებია, არამედ წმინდა მხარეცაა. ქართვე-

ლების სიძლიერე ისიცაა, რომ ისინი ღრმად რელიგიური ხალხია“.

დიდებულ გრძნობას იწვევს იმაზე ფიქრი, რომ ჩვენს ერს ვერავითარმა რეპრესიებმა ვერ ჩაუქრო გულის სიღრმეში ის, რის დავიწყებაც არ შეიძლება. გაცოცხლდა სიონი და სვეტიცხოველი, ქაშუეთი და გელათი. ფერფლიდან აღდგნენ ეშმაკისაგან დანგრეულ-გადაბუგული ეკლესია-მონასტრები.

იმ ჯოჯოხეთური ღამის მოწმეთ არც იმის დავიწყება შეუძლიათ, რომ კათალიკოსის მიწვევით ქაშუეთის ტაძარში თავშეფარებულ ბავშვებსა და ქალებს გააფთრებული სიძულვილით თავს ესხმოდნენ არყით გალეშილი მკვლელები. ის ყიზილბაშური მორალიც კი ყველას დავიწყებოდა, რომლის მიხედვითაც ეკლესია-მონასტერს შეფარებული ქრისტიანი გადარჩენილად ითვლებოდა. თერთმეტი აპრილის სახალხო გლოვის დღიდან გაზით მოწამლული „მთავრობის სახლის“ ტერიტორიიდან დაუსრულებელმა მსვლელობამ სამღვდელოების მოწოდებით, სიონის ტაძარში გადაინაცვლა.

საქართველოს ეკლესიამ დროზე უმჯობესუფლა დამეწყრიფ მთიან აჭარას.

უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე უბედურების ადგილზე გამოცხადდა. სტიქიით დაზარალებულ სოფლებში მივიდა. სხალთის ისტორიულ ეკლესიაში ღვთის მსახურება გადაიხადა. მოსახლეობა ანუგეშა. დაზარალებულთა ფონდში საპატრიარქომ, ქუთაის-გელათის, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიებმა მნიშვნელოვანი თანხები გადარიცხეს. პატრიარქმა ბათუმში ღვთისმშობლის ეკლესია აკურთხა და წირვა აღასრულა. ხალხი ითხოვდა საყოველთაო ნდობა და სიყვარულ მოხვეჭილი კათოლიკოსის საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატად არჩევას.

სარწმუნოების ჭეშმარიტი აღორძინებისა და ავტორიტეტის ნიშნად იქნა აღიარებული ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ათასხუთასი წლისთავის აღსანიშნავად გადაწყდა თბილისის საკათედრო ტაძრის აშენება, რისღვისაც გამოცხადდა კონკურსი.

• • •

საქართველო დარდსა და ურვას არ ნებდებოდა. მოქმედებაზე ხელს არ იღებდა. საკუთარ ღონისძიებებს ახორციელებდა. მაგრამ გველეშაპთან ჭიდილი იოლი ხომ არაა. თბილისი მსოფლიოში ყველაზე პირქუშ, კუშტ ქალაქად გამოიყურებოდა. ვერსად ამდენ მოღრუბლულ, გულჩაქანგებულ, წვერმოშვებულ ჭაბუკსა და ძაძებში ჩაძირულ ქალს ვერ იპოვიდით. ახლა უპატრონო, ნაღვლიანი, ნერვიული ბავშვები იკითხეთ..

• • •

ხუთ მაისს მეტროსადგურ „თავისუფლების მოედანზე" ქალთა მასობრივი მიტინგის მონაწილეები გამოდიოდნენ. მათ ერთი უცნაური პლაკატიც მოჰქონდათ: „ჩამოვიდეს დედა ტერეზა".

დეპრესიაში ჩავარდნილი, ყველასაგან და ყოველმხრივ დევნილი ქართველი სასწაულს ელოდა. „დედა ტერეზაც" ერთ ასეთ ნუგეშად გამოუჩნდა ქართველებს. ორიოდე დღეში მთელმა საქართველომ გაიგო, რომ „დედა ტერეზა" „მოწყალების ორდენის" დამაარსებელი ბრძანდებოდა. ნობელის ბრემიის ლაურეატი, ოთხმოც წელს მიწევნილი კალკუტაში მოღვაწე მონაზონი. მის მიერ დაარსებული ორდენის დევიზს წარმოადგენდა: „ვემსახუროთ გაჭირვებულთა შორის ყველაზე გაჭირვებულს". „დედა ტერეზას" მსოფლიოს ასამდე ქვეყანაში საკუთარი „მოწყალების სახლები" ჰქონდა, რომლებშიც ორდენის დები თავდადებით, უანგაროდ ემსახურებოდნენ უსახლკარობით, შიმშილით, დევნით, სნეულებით სასომიხდილ ადამიანებს.

პროდიუსერმა და რეჟისორმა ჯანეტ პიტრიმ თბილისში ჩამოიტანა დედა ტერეზას სამძიმრისა და ნუგეშის ბარათი:

„უდიდესი მწუხარებით შევიტყვე საქართველოში მომხდარი ტრაგიკული ამბები.

ჩემს სიყვარულსა და ლოცვას ვუგზავნი ყველას, ვინც მისი მსხვერპლი გახდა.

ღმერთმა გაკურთხოთ!

დედა ტერეზა“.

ძალა არ შემწევს, გაგრძნობინოთ, რა სიხარული მოუტანა საქართველოს ამ რამდენიმე სტრიქონმა. ბევრი ამით მიხვდა, რომ ღვთისგან მიტოვებული არ ვიყავით და უნათესავო ერს არ წარმოვადგენდით. არსებობდა ქრისტიანული თანალმობა და თანადგომა.

მალე მთელ საქართველოს მოეფინა სანუგეშო ხმა, დედა ტერეზა ჩამოდისო.

* * *

— ეს ხომ დიდებულია! სასოწარკვეთილის დანუგეშება, თანაგრძნობის გამოცხადება! — აღტაცებით შესძახა ვიოლამ, როცა დედა ტერეზას თავგადასავალი გაიგო. — ჩვენში ეს წარმოუდგენელია! ასეთი აზრი თუ ვინმეს დაებადა, საგიჟეში. ამოხდიან სულს.

— აზვიადებთ, ქალბატონო! — შეაწყვეტინა სამაიას ბაღში გამვლელმა.

— მაშინ არაფერი გცოდნიათ იმ ქვეყნისა, სადაც ცხოვრობთ! — წამოენთო ვიოლა.

— არც მასეა საქმე. — თავი გამოიდო სამაიას ბაღში შემთხვევით გამვლელმა.

— ნუთუ, თქვენ თვითონ გჯერათ, რასაც ამბობთ?

— არ ვამტკიცებ, რომ სამოთხეში ვცხოვრობთ, მაგრამ არც დედა ტერეზას სანუგეშოდ გვაქვს საქმე.

— რა ბედნიერი ყოფილხართ! მე კი აღარაფერი მჯერა. უბრალო რამისთვის შეუძლიათ გაგაქრონ. ციხესაც არ გაღირსებენ. ფსიქიატრიულ კლინიკაში მოგაშთობენ.

— სხვის ნათქვამს იმეორებთ, ქალბატონო. ვინ დაიჯერებს, რომ შეიძლება, ჯანსაღი ადამიანი გიჟად გამოაცხადონ. განა, გონიერთ თავისი ნორმალურობის დამტკიცება გაუჭირდებათ?!

— გაჩუმდით, თუ ღმერთი გწამთ! — შეჰკივლა გამწარებულმა ქალმა. — ერთი თუ გამოგიტანეს დასკვნა; მერმე ილაპარაკე. რამდენიც გინდა. დასკვნას რაიკომი, მილიცია და

პროკურატურა აკეთებს, ექიმი კი ვალდებულია, დაადასტუროს.

— რას არ გაიგონებ! — ხელები გაასავსავა შემთხვევით გამვლელმა.

— ოოხ! — განწირულად ამოიოხრა ვიოლამ. — რა საშინელებაა, როცა ადამიანებს ერთმანეთის. ამბავი არ აინტერესებთ.

„ვინ დაიჯერებს, რომ გიჟად შენი სიმართლისათვის გამოგაცხადეს. მხოლოდ იმის გამო, რომ მეტისმეტად მართალი იყავი. იმიტომ გკლავდნენ (ექიმები!), რომ შენი სიმართლე ხალხში არ გაგეტანა. ასობით ფოტომამხილებელი მასალა არ გამეღავნებულიყო. ამისთვის გმარხავდნენ ცოცხლად მართალსა და პატიოსანს, რათა ათასობით უნამუსოს არხეინად ეპარპაშა. შენი კვალი, შენი ოჯახის პატიოსნება გამქრალიყო. უფსკრულში დანთქმულიყო!“

— თქვენ არ იცით, რა სუსტი არსებაა ადამიანი! — ამოიოხრა შემთხვევით გამვლელის გასაგონად. — ნაძირალებს შეუძლიათ სამშობლოდან მოგკვეთონ. მიმიყვანეს ფსიქიატრიულში — ჩამავლო ექიმმა ხელი და ისე, უთქმელად დამიწყო ცემა, როგორც ძაღლს. ხომ უნდა დამყარდეს ადამიანის წამების რეკორდი! სად უნდა დამყარდეს ის, თუ არა სტახანოვური შრომის სამოთხეში!

ზებედე ამჩნევდა, რომ ქალიშვილი მეტისმეტად აღელვებული იყო და თავის მოქმედებას კონტროლს ვეღარ უწევდა.

აღდგომის წინ ავადმყოფობებმა იფეთქა. სახაროვი თბილისში იმყოფებოდა. გაფიცულთა პალატებში დადიოდა. დაპატიმრებულთა მდგომარეობას არკვევდა.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მოშიმშილეებს სააღდგომო ეპისტოლე გაუგზავნა: „ქრისტე აღსდგა!

აღდგომის სიხარული დღეს ჩვენთვის მწუხარებებთან არის დაკავშირებული. ცხრა აპრილის ტრაგედია მუდმივ ტკივილად დარჩება ჩვენი ხალხის ხსოვნაში. ამ ტკივილმა გააერთიანა ქართველი ერი. ის ჩვენი განსაცდელი, რომელსაც რწმენით, სიყვარულითა და სასოებით ვძლევთ.

გისურვებთ მალე გამოჯანმრთელებას. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

ღრმა პატივისცემით თქვენთვის მლოცველი ილია II".

ჯერ, წითელი ჯვრის დელეგაცია გვესტუმრა. დედა ტერეზასაც დღედღეზე ველოდით. ახალი გულშემატკივრები გვიჩნდებოდნენ. უცხოეთიდან დაბრუნებულ ქართველებსაც სანუგეშო ცნობები ჩამოჰქონდათ; მთელი მსოფლიო ინფორმირებული ჩანდა ჩვენს უბედურებაზე; თვალებში ცრემლი უკიაფებდათო.

„ვაშინგტონ პოსტი" იუწყებოდა: „ამერიკელ მედიკოს-ექსპერტთა ჯგუფმა, რომელიც საქართველოდან დაბრუნდა, დაასკვნა, რომ ცხრა აპრილს, ქიმიური და ტოქსიკოლოგიური მონაცემებით, ორ ცრემლსადენ გაზთან ერთად, გამოიყენეს მესამეც — ძლიერი ქიმიური აგენტიც. ოცი მსხვერპლიდან ოთხი ადგილზე გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც ჯარისკაცებმა ხალხს პირდაპირ ცხვირის ნესტოებში შეასხურეს „სი-ესით" ცნობილი გაზით".

— რა სულელები ვიყავით! რა მიამიტები! — ჩურჩულებს ვიოლა.

— წადი, ქალო, გაიქე! მყუდრო კუთხე მოძებნე! — ჩაილაპარაკა შემთხვევითმა გამვლელმა.

— მყუდრო კუთხე?! სად იპოვი მყუდრო კუთხეს!? განა, მთელი ცხოვრება მის ძებნაში არ ვეწამე?! დღეს დედა ტერეზა ჩამოდის, წამყევით, აეროდრომზე შევხვდეთ.

ნეტავ, დედაჩემიც აქ მყავდეს!

* * *

ცხრა აპრილი ისტორიის წყალგამყოფი მიჯნა გახდა. არამარტო საქართველოსა და იმპერიის სხვა ხალხებისთვის, არამედ უფრო გლობალური მასშტაბით. მანამდე და მას შემდეგ! თითქოს, ყველაფერი მზადდებოდა იმისათვის, რომ აქ, სწორედ ამ წერტილში, სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო ჩარხის შემობრუნება. ამის დამტკიცება ფაქტობრივად შეიძლება, მაგრამ უფრო მეტის მთქმელია, მთელი არსებით გრძნობდე და განიცდიდე ამას: ეს რომ გაიგო, საჭიროა, გაიხსენო როგორც ის, რაც წინ უსწრებდა მას, ისე მომენტისეული მოვლენები და უშუალო შედეგები.

მე ყოველივე ეს არაამქვეყნიური ძალის გამრვლინებად მეჩვენება. თითქოს, მენახა, დამსიზმრებოდა და მთელი ცხოვრება ველოდი. გაგონილიც მქონდა. ჩვენი პლანეტის ერთმანეთისგან ძლიერ დაშორებულ კუთხეებში. განსაკუთრებით, იმიერპოლარეთში, სადაც სასიკვდილოდ ვიყავი გადაგდებული. ოღონდ, გარჩევა მიჭირდა: სიზმარში ვიყავი თუ ცხადში. არაერთხელ მომისმენია ბიბლიური წინასწარმეტყველებანი, რომელთა თანახმად, რომელიღაც ქორონიკონს, რომელიღაც სატანის დამხობის შემდეგ, რამდენიმე ძველ სამეფოში მეფობა აღდგებოდა. მათ შორის პირველად ივერია იხსენიებოდა.

რამდენიმე წლის წინ ვის შეეძლო წარმოედგინა, რომ კომუნისტური ხელისუფლება ქართველ ერს ოცდაექვსი მაისის, საქართველოს თავისუფლების დღის საზეიმოდ აღნიშვნის ნებას დართავდა:

ჩემს მეხსიერებაში ამ თარიღს ტაბუ ჰქონდა დადებული. „გეპეუ“, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციები ორი-სამი თვით ადრე იწყებდნენ მის აღმკვეთ ღონისძიებებს.

წელს კი, ცხრა აპრილიდან თვენახევრის შემდეგ, საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების დადგენილებით მთელი საქართველო სახალხო ზეიმით აღნიშნავდა ოცდაექვსი მაისის ეროვნულ დღესასწაულს.

ფანტასტიკაა! სხვა რა სახელი შეიძლება უწოდო. ისტორიული მონაპოვარი. დიდი გამარჯვება.

ოც მაისს, ტელევიზიით გამოსვლისას კომპარტიის ცეკას მდივანმა გუმბარიძემ თქვა: უსამართლოა დაყოფა არა ფორმალებად და ფორმალებად. ჩვენ ერთი საზოგადოება ვართ... ქართველი ერის განვითარების ყველა ეტაპის უმთავრესი ამოცანა მთელი სისრულით გაცხადებულია 1918 წლის 26 მაისს მიღებულ დამოუკიდებლობის აქტში, სადაც ნათქვამია: „ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას; მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს; დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს“.

საქართველოს-ბრიტანეთ ისეთი გზნებით და ენთუზიაზმით

ბრ აღუნიშნავს 26 მაისის დღესასწაული, როგორც იმ ცხრა აპრილის შემდეგ. მოეწყო გრანდიოზული მიტინგი. ვაკის პარკში ასიათასობით კაცმა მოიყარა თავი. დააგუგუნეს „ჩემო კარგო ქვეყანავ!“ დემონსტრაცია გაგრძელდა რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სახლთან. მიტინგის შემდეგ, ასიათასამდე კაცი ეროვნული დროშებით, წმინდა ილია მართლის ხატებით სიონის საკათედრო ტაძრისკენ დაიძრა, სადაც საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ პარაკლისი გადაიხადა.

საეჭვო აღარ იყო, რომ ერის არა მარტო ზნეობრივი მეთაურობა, არამედ პოლიტიკური წინამძღოლობაც ეროვნული ოპოზიციის ხელში გადადიოდა. ედუარდ შევარდნაძემ ამ მოვლენას თავისებური შეფასება მისცა თბილისში ჩამოსვლისთანავე: „რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საზოგადოებრივ აზრს ოპოზიციის ყველაზე რადიკალური ფრთა დაპატრონებოდა“.

* * *

ოცდაექვსი მაისის გზაჯვარედინი იწყებოდა.

საით წავიდოდა საქართველო? დაკმაყოფილდებოდა აღებული ბასტიონების გამაგრებითა და შენარჩუნებით თუ გასწევდა წინ, საბოლოო გამარჯვებისკენ? ეს დილემა ყოველი რევოლუციისა და გამათავისუფლებელი მოძრაობის კრიტიკული წერტილია. მერყევი, პასიური, მეშჩანური წრეები დაინტერესებული არიან შეაჩერონ მოძრაობა. სული მოიბრუნონ. სარგებლობა ნახონ. ქირქილებენ, „ხალხი დაიღალაო“, „ამდენს აღარ მოვითმენთო!“ ცდილობენ, შეარყიონ ხალხის რწმენა. შიშობენ, შენაძენი არ დაკარგონ.

საქართველოში ეს ხანა თვითგამორკვევის ახალი გამოცოცხლებით აღინიშნა. ზომიერი წრეები ამ ინტერვალს პოლიტიკაში „წესრიგის დასამყარებლად“ იყენებენ. სიმშვიდეს, თავშეკავებას, ჰუმანიტარიზმს ქადაგებენ. „ტემპის დაგდებას“ ესწრაფვიან.

ეს ბიზნესის გაფურჩქვნის ნიადაგია. საქველმოქმედო საზოგადოებების, ნახევრად პარტიული გაერთიანებების, აკადე-

მიური „ფირნიშების“, სოლიდურ პარლამენტარიზმზე ოცნების, „ექსტრემიზმის“ დისკრედიტირების პაუზა.

ჩვენში ის აზრი მკვიდრდება, რომ ქართული არაფორმალური გაერთიანებები ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დაყოფა-დანაწილების ნიადაგზე აღმოცენდა. ეს თვალსაზრისი ანგარიშს არ უწევს მანამდე არსებულ ლეგალური თუ არალეგალური პარტიული ჯგუფების არსებობას.

ილია ჭავჭავაძისა და რუსთაველის საზოგადოებებს, სახალხო ფრონტს, რომელიც ცოტა მოგვიანებით იქმნებოდა, თან დაჰყვა ოფიციალურ-აკადემიური იერი, პოლიტიკური უხერხემლობა, პოზიციის გამოუკვეთაობა, რასაც ბოლომდე ვერ დააღწიეს თავი და ვერც ხალხის აღიარება მოიხვეჭეს.

პოლიტიკური ძიების ამოცანა არანაკლები სიმწვავით წამოიჭრა პატიმრობიდან ახალგამოშვებულ, ცხრა აპრილის აღიარებულ ლიდერთა შორისაც. მათ ციხეშიც არ განელებიათ ბრძოლის ცეცხლი, სრული გამარჯვებისკენ სწრაფვა, ჭაბუკური იდეალები. საგულისხმოა, რომ ისინი სხვადასხვა პარტიებს ქმნიდნენ, თუმცა სახელწოდებებისა და მიზნების ერთმანეთისგან გამიჯვნა არც თუ ისე იოლი იყო და დროთა ვითარებაში შეიძლებოდა, გაუგებრობის მიზეზი გამხდარიყო. მათ გარშემო ირაზმებოდა უწვერულვაშო, მხურვალე სისხლის, გულწრფელი, მაძიებელი ყმაწვილკაცობა. დაისაკუთრეს ძვირფასი სახელები, უკეთესს რომ ვერ ინატრებ! მაგრამ ეს იყო ფასადი, დადგებოდა მომენტი, როცა ხალხი დაინტერესდებოდა, რა ხდებოდა შიგნით?

ახალი პარტიები და საზოგადოებები არალეგალურ თუ ლეგალურ სხდომებს მართავდნენ სამაიას სკვერში, ვაკის პარკში, ალპინისტების კლუბში.

თავის პოზიციას დაუბრუნდა ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ნაცადი გვარდია — ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავას მეთაურობით. ისინი ახალი პარტიების ჩამოყალიბებას არ ჩქარობდნენ. საკმარისად მიაჩნდათ განვლილ ბრძოლებში გამოწრთობილი წყობა და პროგრამა. ახალ საზოგადოებებს, რომლებსაც მხარს უჭერდნენ, ისინი მიმართავდნენ პოპულარობის, მასობრიობის მიზნით და მკაცრი პარტიულობის დონეზე არ აჰყავდათ; ცდილობდნენ, მოძრაობა ყოველგვარი პოლიტიკანობისგან დაეზღვიათ.

ქველმოქმედ „ჰუმანიტარებს“ გულწრფელად სჯეროდათ, რომ ბრძოლა დასრულდა და ახლა უმთავრესი იყო უმანკო მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავყოფა. პრესაში ცხარე დებატები იმართებოდა იმის თაობაზე: „როგორ წარმოგიდგენიათ ცხრა აპრილის მსხვერპლთა მემორიალი?“ „სად აღიმართოს ძეგლი?“ „სად უნდა ენთოს ნაკურთხი სანთელი?“ იბეჭდებოდა ასობით და ათასობით გამოხმაურება. „რა წარწერა გავუკეთოთ მემორიალს?“ „იქნებ, ეკლესიის აგება სჯობდეს?“ „აუცილებლად უნდა გიზგიზებდეს მარადიული ცეცხლი!“ ყოველივე ეს მკაფიოდ გამოხატავდა გულმოკლული ერის განწყობილებას.

მაგრამ „ცხრა აპრილის პოლიტიკურ წრეებში“ წუთითაც არ წყდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა.

* * *

25 მაისს კრემლის ყრილობათა სასახლეში შეიკრიბა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა. არავინ იცოდა, რა გზით და რა ნიშნით შექუჩებულ ადამიანთა მასა. ვინ, როდის, რატომ აირჩიეს. იმ დროს საქართველოს არავითარი არჩევნების თავი არ ჰქონდა. ეტყობა, ყველაფერი ინდივიდუალური თაოსნობით და იმ ინსტანციის მეთვალყურეობით ხდებოდა, რომლის გარეშეც ასეთი რამეები არ ხდება.

საქართველოს დელეგაციამ გულისამაჩუყებელი დეპეშა გამოგზავნა თბილისში: „ქართველი სახალხო დეპუტატები ჩვენს ხალხს ველოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს, ვუსურვებთ ჩვენი იდეალების განხორციელებას!“

ვერაფერს იტყვი, ნაცადი ხალხია — იციან, როდის, სად, რა თქვან! ბრწყინვალედ ფლობენ ჩვენი „ძლევამოსილი სამშობლოს“ პოლიტიკურ ტექნიკას.

2.

მომდევნო დღის ამბებმა ყველაფერი ერთბაშად დაჩრდილა. ცხრა აპრილის სისხლიანი ჭრილობებიც.

— თათრები შემოგვესიენ! — ელვისებურად მოედო დედაქალაქს, თითქოს, მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გამოგვეღვიძა.

ეს დაძახილი დროთა სიახლოვის შეგრძნებითაც მოულოდნელად და შემაშფოთებლად გაისმა.

თურმე, რა ახლოს ვყოფილვართ იმ საუკუნეებთან, ჩვენ კი, ვინ იცის, სად გვეგონა ჩვენი თავი!

მოვლენები ყურისძირში, თითქმის, სატახტო ქალაქის გარეუბნებში ხდებოდა და სულ მალე დაწვრილებით გავიგეთ რა უბედურებაც გვჭირდა.

ოცდაოთხ ივნისს მარნეულის ცენტრალურ მოედანზე დაგეშილ მსტოვრებს უსანქციო მიტინგი მოეწვიათ და საქართველოს ხელისუფლებისთვის გაუგონარი ულტიმატუმით „ბორჩალოს ავტონომიური რესპუბლიკის“ შექმნა მოეთხოვათ, რომლის დედაქალაქად რუსთავი უნდა გამოცხადებულიყო.

ღმერთო, რას არ მოესწრები კაცი! რუსთავზე, გარდაბანზე, მარნეულზე, ბოლნისზე, დმანისზე საქართველოს ხელი უნდა აეღო. ყოველგვარი კანონისა და ბრძოლის გარეშე. „თეორიულად“ კარგახანია, თადარიგიც დაეჭირათ. აზერბაიჯანის უნივერსიტეტის კათედრის გამგეს პროფესორ ალისკეროვს მოსკოვშიც ნიადაგი შეემზადებინა: ბოროტთა და უმეცართა ძხარდაჭერით, „იზვესტიაშიც“ მიამიტური სტატიაც გამოექვეყნებინათ, თათბირიც მოეწვიათ, და სხვა რაღა უნდოდა უპატრონო ხალხისთვის რამდენიმე ქალაქისა და რაიონის წართმევას. ჯერ „ავტონომიას“ გამოგიცხადებდნენ, ორი-სამი წლის შემდეგ კი, ნებაყოფლობით შეუერთდებოდნენ „დედა სამშობლოს“. ასე იოლად წყვეტდნენ ერის ბედიღბალს სტალინიზმზე აღზრდილი ვაიმეცნიერები.

ჩვენს ინტელიგენციას ეს დივერსია მხედველობიდან არ გამოპარვია; „ლიტერატურულ საქართველოში“ საფუძვლიანი კრიტიკა გამოქვეყნდა .ისტორიულად უნიადაგო გამოდგა მტრების პრეტენზია; იურიდიულად — აბსურდული, ზნეობრივად — სამარცხვინო, ხერხებით — მზაკვრული. აი, სადამდე მივყავართ სტალინურ ინტერნაციონალიზმს!

როგორც გამოირკვა, ჩვენს გარდა, ყველა ფხიზლობდა. ჩვენ ვრჩებოდით ორთოდოქს ინტერნაციონალისტებად. ქარ-

თველებს გვეთვლებოდა მშობელი ერის ინტერესების დაცვა მომაკვდინებელ ცოდვად. ჩვენ გვახრჩობდნენ ამისთვის. მხოლოდ ჩვენთან არსებობდა „ხალხთა მეგობრობის მუზეუმი“ და არ არსებობდა რუსთაველის მუზეუმი. სხვა ეროვნების ინტერნაციონალისტები კი მუხანათურად ეუფლებიან შენს მიწებს. ითვისებენ, ყიდულობენ, ყიდიან და მერმე ამ გზით მიტაცებულზე თავიანთი სახელმწიფოების შექმნისათვის იბრძვიან. კონსტიტუციებს იმოწმებენ. კანონის სახეს აძლევენ. იყიდება საქართველო: დაწესებულებები! სოფლები. ქალაქები. თბილისი... და უცბად ირკვევა, რომ თითქმის შენს ქვეყანაში აღარც კი ცხოვრობ... ხვალ-ზეგ მთელ მამაპაპეულს მოგთხოვენ.

ჩვენი კარიერისტები თავს არიდებდნენ გართულებებს, ეშინოდათ, ნაციონალისტებად არ ჩაეთვალათ, და ყოველგვარ დათმობაზე მიდიოდნენ.

მუსულმან ფუნდამენტალისტებს, გათამამებულ მომხვეჭელებს, ქართულ მიწებს დახარბებულ ეგოისტებს ყოველგვარი თავშეკავება დააკარგვინა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის გამოქვეყნებამ, ქვემო ქართლში სტიქიით დაზარალებული სვანებისა და აჭარლების ჩამოსახლებამ, მიწის რეჟიმის მოწესრიგების ღონისძიებებმა, დემოგრაფიული მოწესრიგების პატრიოტულმა პოლიტიკამ ხელი ააღებინა კეთილმეზობლური ურთიერთობის ელემენტარულ ნორმებზე. გადაავიწყდათ, ვინ იყვეენ, საიდან და როდის მოვიდნენ აქ, რა ეკისრებოდათ.

მეჩვიდმეტე საუკუნეში შემოსევებით გაპარტახებულ ქვემო ქართლში ავადსახსენებელმა შაჰ-აბასმა იძულებით ჩამოასახლა თურქისტანული „ბორჩალუს“ ტომი და სომართლე უნდა ითქვას, ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ ქართველ მეფეებს. არასოდეს ღალატში შემჩნეული არ ყოფილან. შრომობდნენ და პატიოსნად იბრძოდნენ. რუსების შემოსვლის შემდეგაც, არ გადასულან მტრის მხარეზე. ოცდათორმეტი წლის შეთქმულებაში ალექსანდრე ბატონიშვილს ერთგულებდნენ; თავი სასიკვდილოდ ჰქონდათ გადადებული. ბევრმაც ციმბირის მიწაში ჩაყარა თავისი ძვლები.

ახალ საბჭოურ რეჟიმს სხვა ვინ გადაურჩა ტრადიციების

ერთგული, რომ ესენი გადარჩენოდნენ. მალე გამოეთხოვენ მამა-პაპურ სინდის-ნამუსს.

ცხრა აპრილის შემდეგ ეჭვი აღარ ეპარებოდათ, რომ მათმა ზარმა დაჰკრა. განსაცდელში ჩავარდნილი საქართველოს წამოჩოქება აღარ გაუჭირდებოდათ.

„ფრონტიდან" საგანგაშო ცნობები მოდიოდა. მტრისგან წაქეზებულები ახალ-ახალ მოთხოვნებს აყენებდნენ: რესპუბლიკის გარეთ სოფლის პროდუქტების გატანის აკრძალვის გაუქმებას, თბილისის ბაზრებში პრივილეგიებს, ათასგვარ შეღავათებს, ქართველი მოსახლეობის ხარჯზე დაფინანსების გაზრდას.

გავიხსენოთ, რომ ამ რეგიონში, კარგა ხანია, სისხლისმღვრელი შეხლა-შემოხლა მიმდინარეობს აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის. ყარაბაღში ხოცვა-ჟლეტაა. სუმგაითში ნადირშაჰისდროინდელი მუსრი დატრიალდა. მთავრობას, ეტყობა, ხელს აძლევს მეზობელთა შფოთი. სამი ერის გასაყრისზე ხანძარი გამოუსწორებელ ვითარებას შექმნის.

რაც უფრო აირევა, მით უკეთესი! დაჭამონ ერთმანეთი! არც მეომარ მხარეებს შერჩენიათ განსჯის უნარი. გონება სისხლის სუნს დაუბნელებია.

ძნელი წარმოსადგენი არაა, რას ნიშნავს ამისთანა კონფლიქტში ჩათრევა. ცეცხლზე ნავთი! ახალი დესტაბილიზაცია!

რა ძალებისგან მოდის? რა მიზნით?

გადაბრუნდა ქვეყანა. გაცოცხლდნენ აბდულბეგები და აჯიჩელებები. დაიძრნენ თბილისისკენ. ერეკლე და ლევან ბატონიშვილი კი აღარსად გვეგულვება. ვისი იმედი უნდა გქონდეს ამ მეორედ მოსვლისას! საქართველოს ამასწინანდელმა პრეზიდენტმა გილაშვილმა, რომელსაც შეწუხებულმა ქართველებმა შველა თხოვეს, ქართულ ენას არაფრად აგდებენო, ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტური გულმტივნეულობით თავისიანები დატუქსა. „თქვენ ისწავლეთ აზერბაიჯანული ენა, ისინი აქ უმრავლესობას შეადგენენო!"

„ბორჩალოელთა" შემოსევის მთავარი წამქეზებლისა და ორგანიზატორის გამოცნობა განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენდა. „ხუნტა" საჭიროდ არ თვლიდა დაემალა, რომ ახალ-ახალი შურისძიებისთვის ემზადებოდა, რაკი საქართვე-

ლომ საქვეყნოდ ამხილა მისი ველურობა ცხრა აპრილის ამ-ბებში. მთელ მსოფლიოს მიაწვდინა სიმართლის ხმა. ნიღაბი ჩამოხადა ცრუ ვერსიებს, გაზების გამოყენების ფაქტებს და ბოროტმოქმედთა სასტიკად დასჯას ითხოვდა. ახლა ეს ბრძო-ლა უკვე „სახალხო დეპუტატთა“ ყრილობის ტრიბუნებსა და კულისებში გადასულიყო. საკავშირო ინფორმაციის საშუალე-ბები უკან დახევას არ აპირებდნენ. ადგილობრივი სამხედრო ხელმძღვანელობა და მათი პრესა, კერძოდ, გაზეთი „ლენინს-კოე ზნამია“ აშკარა ცილისმწამებლურ, პროვოკაციულ ღონის-ძიებებს ატარებდა ქართველი ხალხის წინააღმდეგ, დღითიდღე ძაბავდა ვითარებას.

გააფთრება გამოიწვია საქართველოს განთავისუფლების დღის, 26 მაისის ზეიმმა. ჯერ, „პარტისტორიის მოკლე კურ-სით“ შეიარაღებულებმა ვითომ თეორიული ბრძოლა გაგვიჩა-ღეს. ფაქტების დომხალით სულელური კამათი წამოიწყეს და ბუნებრივია, თავსლაფი დაესხათ. დამტკიცდა, რომ „საქარ-თველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება“ ოკუპაცია და ანექსია იყო და მეტი არაფერი. პოლემიკას ისინი სასურველ შედეგებამდე ვერ მიჰყავდა. არმიის ნაწილებში გაავებულ ან-ტიქართულ პროპაგანდას ეწეოდნენ. ვინმე პოლკოვნიკი ბახში აბუჩად იგდებდა ცხრა აპრილის მსხვერპლთ, ბინძურ ბრალ-დებებს უყენებდა ქართველ ხალხს და ყოველგვარი ბოროტე-ბის წყაროდ აცხადებდა მას. ბახშის მსგავსი ლექტორები და ჟურნალისტები მოშხამულ ნიადაგს ქმნიდნენ ანტიქართული გამოსვლებისთვის.

* * *

გაიგო თუ არა მარნეულის ამბები, ზებედე იმ წამს კინო-სახლის მოედნისკენ გაეშურა, სადაც აპრილის დასაწყისიდან უამრავი ხალხი იყრიდა თავს. მეტროდან ამოსვლისთანავე ადამიანთა ზღვას შეერთო. რუსთაველის გამზირი, კინოსახ-ლის, მეცნიერებათა აკადემიის, რესპუბლიკის მოედნები ხალ-ხით გადაჭედილიყო.

„ქუდზე კაცი!“ გაუელვა და შვებით ამოისუნთქა. ერეკ-ლეს „მორიგი ლაშქარი“ მოელანდა. თავის დროზე და თავის

ადგილზე გამოცხადებული. არც სამხედრო კომისარიატები დასჭირვებიათ, არც რაიკომები, არც ახალი პარტიები. ეს თავისით მომხდარიყო. ინსტინქტით. თაობათა ისტორიული მეხსიერებით. ეროვნული თვითდაცვისა და გადარჩენის გულისხმისყოფით.

მთელი საქართველო აქ გაჩენილა. საიერიშოდ მზადმყოფი. ერთ მუშტად შეკრული.

„გვიბრძანე! ჩვენ მზად ვართ!"

არსებობს ერთ არსებად ქცევა. ერთი გრძნობით და ერთი აზრით გამსჭვალვა. თავისთავის დავიწყება. დიდებული სანახაობა! არ მომხდარა, დღემდე ამ მიწას ვინმე შეგვდავებოდეს და მხრებზე თავი შერჩენოდეს.

დღეს აქ მგლოვიარეს ვეღარ ნახავდით.

კუშტი სახეები! ნებისყოფით დამუხტული გამოხედვა! თავისთავის რწმენა! მდუმარე ფიცი! ძლივს შეკავებული მოუთმენლობა.

მოდიან და, თუ ბიჭი ხარ, წუ დახვდები! ასე მოდიოდნენ საუკუნეები და ვხვდებოდით. ამით ვამაყობთ.

უნებლიეთ, გონების თვალს ავლებ შენს ბატარა და დიად საქართველოს. ერთდროულად განიცდი თავისი სივრცეებით, გმირებით და ისტორიით. გრძნობ, რომ მზად ხარ თავდადებისთვის.

„შენი ადგილი აქაა! ამისთვის დაბადებულხარ! სწორედ ამ წუთისთვის!"

სახალხო ფრონტის უწყებაში ენერგიული მოძრაობით შედიან-გამოდიან საქმიანი ახალგაზრდები. სასწრაფო დავალებებს იღებენ და მიკროფონით გადასცემენ თავშეყრილ ხალხს.

— სიჩუმე, სიჩუმე! უკანასკნელი ცნობები მარნეულიდან! მოუსმინეთ ამ წუთს ჩამოსულ მეკავშირეს!

სამარისებურ სიჩუმეში მიკროფონთან მიდის ჩია ტანის ახალგაზრდა.

— დღეს, თერთმეტ საათზე მარნეულის ცენტრში, უსანქციო მიტინგზე შეიკრიბნენ აზერბაიჯანელები, რომლებიც ავტონომიას აცხადებენ. რაიცენტრსა და ახლო-მახლო სოფლებში ადგილი აქვს ექსცესებს. სასტუმროს, სადაც დროებით შესახლებული ყრიან სტიქიით დაზარალებული სვანები, ადგი-

ლობრივ მაცხოვრებელთა ჯგუფებმა ალყა შემოარტყეს და მოითხოვენ დაკავებული ნომრების განთავისუფლებას. ცალკეული დასტები ცდილობენ შეაღწიონ ახალ სახლში, რომელიც ჩამოსახლებულებს აქვთ დათმობილი. დაჭრილია რამდენიმე კაცი. ცალკეულ უბნებზე ისმის სროლა. ქალაქში შესასვლელებს ხერგავენ. ქართული მოსახლეობა თავდაცვისთვის ემზადება. სოფელ წერეთელში დავაკავეთ რამდენიმე კერძო მანქანა. მილიციის განრიგმა დააკავა რუსთავიდან მომავალი შეიარაღებული რაზმი.

„ხედავთ, რა დღეში ჩაგვყარეს ჩვენმა ჭირსუფლებმა!?“ — ჩურჩულებს ლანდივით კაცი.

კედლებზე ახალ-ახალ მოწოდებებს, განცხადებებს, პროკლამაციებს აკრავენ.

რუსთაველის ძეგლთან ეროვნული ხსნის კომიტეტის მორიგ განკარგულებას კითხულობენ, რომელსაც ხელს აწერს ამ კომიტეტის თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.

სახალხო ფრონტის გამგეობიდან ჭაღარა კაცი გამოდის და ხალხს მიმართავს:

— სამი კაცი გვინდა თავიანთი მანქანებით, ბოლნისში გასაგზავნად! მოხალისეები გამოცხადდნენ შესასვლელში.

სიტყვის დასრულებას ვერ ასწრებს, რომ ათობით ახალგაზრდა გამოდის სადარბაზო კარებთან.

— პროფესორი ნათაძეა! სახალხო ფრონტის თავმჯდომარე! — ჩურჩულებენ ხალხში.

ზებედე შორიდან იცნობს ამ კაცს. ძლიერი მეცნიერია. კარგი მოლაპარაკე. დინჯი და პატიოსანი. მაგრამ თუ ასეთი ოპერატიული და ენერგიული იყო, არ მოელოდა.

— რა მდგომარეობაა? — მოირბინა მარტოლეკმა.

— ჯერ რას მიხვდები!

— მიდიხარ?

— სად?

— ბორჩალოში, მაგათი ჯილაგი გაწყდა!

— ცალ-ცალკე ხომ არ გამოვეკიდებით! საქმეს, ეტყობა, პატრონი ჰყავს! პირველად მეც ასე მეგონა, ახლავე უნდა ვუშველოთ-მეთქი, აქ დავრწმუნდი, რომ უპატრონო არ ვყოფილვართ. ეროვნული ხსნის კომიტეტიც არსებულა. რაღაც შტაბე-

ნიც. თავდაცვის ტვინი და გული. რაც მოხდა, მათთვის არც ისე მოულოდნელი ყოფილა, როგორც გვეგონა.

— ეროვნულ საკითხზე მსჯელობა ჩვენში აქამდე პოლიტიკურ დანაშაულად ითვლებოდა. ნაციონალისტობის ბრალდებაშიშის ზარს სცემდა ქართველებს. არა ერთსა და ორს სული ამოხადეს ამისთვის.

— მაგრამ, როგორც ხედავ, მამულის სიყვარულზე ხელი ვერ აგვაღებინეს. აბა, ერთი ამ სახეებს შეხედე! იფიქრებდი, ასე ერთსულოვნად აღდგებოდა ჩვენი ხალხი?! აღარ მეშინია.

* * *

რუსთაველის მოედანზე ხალხში ნემსი არ ჩავარდებოდა. აქედან გაბრუნებას არავინ აპირებდა. სულმოუბრუნებლად ელოდნენ ინფორმაციას საგანგებო შემთხვევის ადგილებიდან. ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა მზად იყო თავის მოვალეობის შესასრულებლად. კინოსახლის სადარბაზოს კარები ჭრიალითა და გრუხუნით იღებოდა და იხურებოდა. მიკროფონით აცხადებდნენ რა სჭირდებოდათ. თვალის დახამხამებაში იკრიბებოდა მოხალისეთა რაზმები და დაუყოვნებლივ მიეშურებოდნენ მიღებული დავალების შესასრულებლად.

ერთ-ერთი „გამოცხადებისას“ ზებედე და მარტოლეკი მიკროფონთან ახლოს აღმოჩნდნენ და უყოყმანოდ დაუდგნენ მხარში წასასვლელად გამზადებულ ჭაბუკებს.

— თქვენ საით? — გაოცებით იკითხა ინფორმატორმა.

— წინა ხაზზე, — ამაყად მიუგო მარტოლეკმა.

— დარჩით, არაა საჭირო!

— რატომ? არ გამოვდგებით, ვითომ?

— როგორ გეკადრებათ! მაგრამ სამაგისო რა გაგვჭირვებია!

— რატომ! ეს ახალგაზრდას ორი-სამი მხცოვანიც გამოადგება. — მიუგო მარტოლეკმა.

— ბებერი ხარისა რქებიცა ხნავენო. ამ ორმოცი წლის წინ სად არ უტრიალია ჩვენს ხმალსა! — ჩაილაპარაკა ზებედემ და მანქანაზე ავიდნენ.

კარგად იცნობდნენ ამ ადგილებს. ისიც მოეხსენებოდათ, რა დღეში ჩააგდეს მტერ-მოყვრებმა უპატრონოდ დაგდებული

ქვემო ქართლი, ეს ყოველმხრივ მდიდარი, სასიქადულო და ლიდებით მოსილი სადროშო.

გზები უჩვეულოდ გამოცოცხლებულიყო. დაძაბულობა იგრძნობოდა, მაგრამ მოძრაობა წუთით არ ბრკოლდებოდა. მოქმედებდა რაღაც უხმაურო, თავისთავადი დისციპლინა. თუმცა, ორთაჭალიდან დაწყებული, მცირე ინტერვალებით მილიციის პატრულებიც შეიმჩნეოდა. ყველაფერი, რაც მოხდა, და რაც ჩაიდინეს, მაქსიმალურ სიფრთხილესა და სიფხიზლეს მოითხოვდა.

შავნაბადას რომ გასცდნენ, გზა მანქანებით, მორებით, ლოდებით, რკინის ნამტვრევებით ჩახერგილი აღმოჩნდა. ეშვიც აღარ იყო, რომ ბოროტი საქმის მოთავეებს სამხედრო ღონისძიებებზეც ეზრუნათ.

უბედურო საქართველოვ! მერე სად ხდებოდა ეს! ცხვირწინ! თითქმის, შიგ დედაქალაქში. მუხანათი მტრების ხიმანკლობით და მოღალატე შვილების უბადრუკობითა და ღორმუცელობით.

არ გვაინტერესებდა, თუ ვინ ცხოვრობდა, რით სუნთქავდა ღა რას გვიპირებდა ხიზანი.

კარგა ხანია, რაც ამ კუთხის პატრონს აქ კაცად არ აგდებდნენ, გადამთიელად თვლიდნენ. რამდენჯერმე მოინდომეს დაენგრიათ სკულპტურული კომპოზიცია: „ისევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“.

ვითომ არც იცოდნენ, რას გამოხატავდა ეს ქანდაკება. ჩვენ საქართველოდან მოსულებად გვთვლიდნენ. თავიანთ თავს სხვა ქვეყნად ასახელებდნენ.

ხალხთა მეგობრობა რომ აუცილებელია, ეს ყველა ნორმალურმა ადამიანმა იცის, მაგრამ ხიზნის ყურმოჭრილ მონად რომ ვერ გადაიქცევი, ესეც ცხადია.

ჩვენი თავითა გვჭირს, რაცა გვჭირს. ბევრი თანამემამულე მოხერხებულად შეფარებია ჩრდილს და სოროში უნამუსოდ მიქუჩებულ სასუსნავს შეექცევა. სხვა კი, თუნდაც ყველაფერი დაქცეულა და ამოვარდნილა. იმისთანა შიშსა და ხათრს რა ვუთხრა, მეწისქვილეს რომ ვერ შებედო, მსხვილად ფქვავსო. რას გაუგებ, ეს ქვეყანა სავსეა უკუღმა მოლაპარაკეებით.

აბა, ერთი ჰკითხეთ ქალბატონ ვიოლას, პატიოსან ჟურნა-

ლისტ ქალს, რა დღე დააყენეს სიმართლის ძებნისთვის!

უსინდისობა არავის უნდა ეპატიოს.

„ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენი ხალხი დაზაფრულია ცხრა აპრილის ტრაგედიით. ამოდენა იმპერია და მისი არმია კრიჭაში ჩაგვდგომია. თქვენ კი, ჩვენს მეზობლებს, გადაგიწყვეტიათ, დრო გვიხელთოთ. შეთქმულებრივად შემოგვესიოთ. რაკი დაგვიწყეგიათ, გაგახსენებთ, ვინა ვართ და ვისი გორისანი. ჩვენი თავის დაცვას ყოველთვის შევძლებთ, ხოლო სხვისი დამონება და დამცირება არასოდეს მოგვისურვებია. ღმერთი ხედავს ჩვენს ალალმართალ გულს და არ გაგვწირავს“.

მარნეულის შესასვლელთან მანქანები მილიციის ნაწილებმა შეაჩერეს, ბოლნისისა და დმანისის გზები გადაეკეტათ.

„მე ვარ მშიშარა? — განაგრძობდა ფიქრს ზებედე. — თანამებრძოლებს ბრესტის ციხე-სიმაგრეში, საფრანგეთსა და პოლონეთში ხომ ბოლომდე მივსდევდი! უკან არ დამიხევია! დღესაც ცოცხალი ვარ და ვიბრძვი! ათი ათასობით დევკაცს შევაგროვებთ! ლომგულებს! შევუტევთ! ვანანებთ! არავის ვერაგობას არ შევარჩენთ!“

* * *

რუსთაველის მოედანზე, დროდადრო, მცირე მიტინგები იმართებოდა. ჩარიტას უემოციო, ხრინწიანი შეძახილები ისმოდა: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“

ირგვლივ ახალნერგი ერისკაცები ეხვივნენ. ჩარიტა აშკარად ლიდერობდა. ჭაბუკებთან ყოფნა სიხარულს ანიჭებდა. არასოდეს თავისთავი ესოდენ ქალად არ უგრძვნია. თვალები ებლანტებოდა და მსუბუქი თავისტკივილი ჰქონდა.

ამ წრეში ზებედემ რამდენჯერმე მოჰკრა თვალი ახლო მეზობელს, ცოტა არ იყოს უცნაურ, პრეტენზიულ ქალიშვილს, რომელსაც ჟღურტულას სახელით იცნობდნენ. გასულ წელს უნივერსიტეტი დაემთავრებინა და ჯერ არსად მსახურობდა. ერთ-ერთ ეკლესიაში სულიერ მამებს ეხმარებოდა და მოკლე ხანში სასოებით სახელი გაეთქვა. შეძლებული ოჯახის შვილს შეწირულება არ ენანებოდა.

რესპუბლიკის მოედნის დაბალ სართულებზე სხვადასხვა

საზოგადოებებსა და პოლიტიკურ თუ საქველმოქმედო ორგანიზაციებს დაედოთ ბინა. ერთგან მოულოდნელი მოწოდება გამოეკრათ: „უარყავით საბჭოთა მოქალაქეობა!“ რამდენიმე ნაბიჯს იქით, შავად გალაქული ყუთი დაედგათ წარწერით: „აქ ჩაყარეთ პასპორტები!“

მოედანზე გრძელჩანთებგადაკიდებული გოგო-ბიჭები მოქალაქეებს მოუწოდებდნენ, „გადაეყარათ სისხლის სამართლის დამნაშავე კომუნისტური პარტიის მანდატები!“

ზებედე გაოგნებული დარჩა, როცა მის თვალწინ რამდენიმე ჩანთა დააცარიელეს და პარტბილეთები კოცონებს მისცეს.

„ეს ხომ ანარქიზმია!?“ — გაუელვა მას.

„რას ბრძანებ! — გაჩნდა საწინააღმდეგო აზრი. — მოაბეზრეს თავი ქვეყანას!“

— პასპორტი ხომ ყოველ წუთს სჭირდება ადამიანს? — ხმამაღლა წამოაბოდა მას.

— გავძლებთ რამენაირად! — დამცინავად შეაგება უწვერულვაშო ყრმამ.

გვერდზე გამწივანი სიმღერა ხვრეტს ყურის ბარაბანს: გამომწვევი. ისტერიული: „გავუცინოთ ერთმანეთს!“

თუ არ გამიცინებთ?! რა თქმა უნდა, გიტირებ ყოფას!

მომხიბვლელი უმწიფარობაა! თავბრუდამხვევი ანარქიზმი!

რუსთაველის ძეგლთან ყღურტულას ბოღმიანი მუქარა მისწვდა: „ვიცი, არ გაგიხარდება ეს ამბავი და იმიტომ გეუბნები, რომ მოგშხამო!“

გაოცებულმა მიიხედა და ღონივრად გაიქნია თავი.

„ღმერთო, რა მკრეხელობაა! მორწმუნე ქალიშვილი და ასეთი ღვარძლი! რა გვეშველება!?“

„აჰ, ესა?“ — ჩაესმა უცნობის წამოძახილი.

„არიან ანარქისტები, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ, რომ ანარქისტები არიან!“

* * *

— ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში ორი ბილეთი მაქვს. — შესთავაზა ზებედემ ვიოლას.

— წავიდეთ! რამდენიმე თავისუფალი საათი მრჩება.

ისინი ესწრებოდნენ გალა კონცერტს: „ღამის წყვდიადში ენთო სანთლები“, რომლის შემოსავალი ცხრა აპრილს დაღუპულთა ფონდში ირიცხებოდა.

ვიოლამ წინა დღეს დედა მოინახულა და წინანდელზე დამშვიდებული ჩანდა. იმხანად არაფერი ისე არ აწყნარებდა ადამიანებს, როგორც ანთებული თაფლის სანთლები. დედა-შვილს ის ღამე თაფლის სანთლების საუფლოში გაეტარებინათ, თითქმის უხმოდ. დუმილსა და უსიტყვო ვედრებაში. ხმა გაევრცელებინათ, რამდენჯერმე ფსიქიატრიული საავადმყოფოდან მოაკითხესო; ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ.

წასვლის წინ დიდებულ მუსიკალურ სანახაობას დაესწრნენ: „ვაჩუქოთ ერთმანეთს თვალები“, რომელმაც ვიოლაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. არასოდეს იმდენი კეთილი ადამიანი ერთად არ უნახავს და იმდენი სულის ლხენა არ განუცდია. იხილა მგალობელი ბავშვები, რომლებმაც ცხრა აპრილის განთიადი მოაგონეს.

„დედაო ღვთისავ, დაიფარე საქართველო!“

განსაცდელს დასასრული არ უჩანს და ჩვენი მხნეობაც უსასრულო უნდა იყოს.

ფილარმონიდან რომ გამოდიოდნენ, მთაწმინდის ფერდობებს ბადრი მთვარე დაჰნათოდა და ყველაფერი ხელისგულივით მოჩანდა. ზებედეს, უცებ, ბნელი აჩრდილები მოელანდა; შეშფოთება იგრძნო, ვიოლას წინ გაუსწრო და რუსთაველის მოედნისკენ ნაბიჯს აუჩქარა. იქ შეიძლება, მარნეულის მიმართულებით მოხალისეებს უხმობდნენ და თავის ადგილზე უნდა ყოფილიყო.

• • •

ივნისის ბოლოს საშიშარ ზოლში მოქმედება ჩაკვდა. საქართველოს ხელისუფლება, როგორც ჩანს, პასიურობას ამჯობინებდა. ქართველი „არაფორმალებისა“ უფრო ეშინოდა, ვიდრე არაქართველი მეზობლებისა და საბჭოთა არმიის სარდლებისა. „ფრონტზე“ საეჭვო მყუდროება ისადგურებდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობა ამ უმოქმედობაში მზაკვრულ საფრთხეს ხედავდა. „შემოგიტევენ, დაი-

კავებენ ქართულ მიწაწყალს, და, თუ ბიჭი ხარ, დაიბრუნე! ისინი გადაჭრით მოითხოვდნენ კომუნისტური ხელმძღვანელობისგან, გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაეწიათ აგრესორებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრძოლას თვითონ ჩაუდგებოდნენ სათავეში.

დღეები ზოზინით გადიოდა. კომუნისტური ხელისუფლება ილუზიას ქმნიდა, თითქოს, ძალას იკრებდა კონტრიერიშისათვის. მოსაზღვრე რაიონებიდან მილიციის რაზმები გამოიძახეს. მერვე პოლკის დანაყოფებით გააძლიერეს. ორიოდე ჯავშანტრანსპორტიორიც მიაშველეს. სარდლობა მილიციის გენერალ შადურს დაავალეს. მზადყოფნის შთაბეჭდილება შექმნეს.

„ეროვნული ხსნის კომიტეტის“ მონაცემებით, საშიშროება კი არ იხსნებოდა, არამედ უფრო და უფრო რთულდებოდა და მწვავდებოდა. მოძალადეები ანტიქართულ ცოფს აღვივებდნენ და „საგანგებო წესების“ გამოცხადებისთვის ემზადებოდნენ, რათა ცხრა აპრილისა და შემდგომი აქტივობის სამაგიერო მიეზღოთ.

ქართული ეროვნული მოძრაობა აქაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მილიციის ნაწილების რამდენიმე ენერგიული აქციით, მარნეულისა და გარდაბნის უბნებზე მოწინააღმდეგის დაწოლა შესუსტდა. შეტაკებებმა ბოლნის-დმანისის მხარეს გადაინაცვლა, სადაც რამდენიმე თავხედურ გამოსვლას ჰქონდა ადგილი. ეზოებში ცეცხლგამჩენ ყუმბარებს ისროდნენ. თავს ესხმოდნენ ახალჩამოსახლებულ სვანებს. ამ ასპარეზზე იმთავითვე შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ხელი მოეცარათ და გული გაუტყდათ. არ მოელოდნენ თუ შეუჩვეველ გარემოში მოხვედრილი ახალმოსულები ასეთი გააფთრებით დაიცავდნენ მშობლიურ მიწას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი იუწყებოდა: „განვლილი დღეღამის მანძილზე მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისი ძალებით, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად ახორციელებდა პრაქტიკულ გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. ამის შედეგად აღნიშნულ რეგიონში რაიმე სერიოზული დარღვევა არ მომხდარა. ოპერატიული ვითარება სტაბილიზებული ხდება და თანდათან დგება კალაპოტში.

ადგილობრივი მოსახლეობა გაგებით ეკიდება და მხარს უჭერს ყველა ამ ღონისძიებას. სამინისტროს ხელმძღვანელობა მადლობას მოახსენებს რეგიონში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც არ იშურებენ ძალღონეს იმისთვის, რომ აღადგინონ ნორმალური ცხოვრების პირობები. ოპერატიულ ვითარებას რეგიონში კონტროლს უწევს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო".

მაგრამ სიმშვიდე მოჩვენებითი გამოდგა. ანტიქართული ინტრიგის სულისჩამდგმელებს არ ეძინათ. ახალ ხვანჯებს ქსოვდნენ და გაერთიანებული ძალით ამზადებდნენ შემოტევას.

შვიდ ივლისს მარნეულში ყველაზე ხალხმრავალი და აგრესიული მიტინგი გაიმართა, რომელსაც თან ახლდა იარაღის ჟდარუნი, შეტაკებები და ექსცესები. აზერბაიჯანული მოსახლეობა დაერწმუნებინათ, რომ თბილისიდან დიდი ექსტრემისტული ლაშქრობა მზადდებოდა, რომელიც მიზნად ისახავდა არაქართველი მაცხოვრებლების დარბევასა და საქართველოდან გადარეკვას. ამავე დროს სომხებიც წაექეზებინათ და ჯავახეთზე თავდასხმისთვის მომზადებულიყვნენ. თავს იმართლებდნენ, ქართველები დამარცხდნენ, მათ მიწებს აზერბაიჯანელები ეპატრონებიან და ახალქალაქის დაკავება უნდა დავასწროთო. პარალელურად აფხაზმა და ოსმა ექსტრემისატებმაც წამოჰყვეს თავი.

ბანიკური ვითარება შეიქმნა. ხელისუფლება კვლავ დროს გაყვანის ტაქტიკაზე გადავიდა. თავდაცვის სიმძიმე ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას დააწვა მხრებზე, როგორც სამხედრო, ისე დიპლომატიური მხრივ.

* * *

ქვემო ქართლში ვითარება მოწესრიგების გზას დაადგა. ჯავახეთში იქაური ქართველები აჭარელთა ჩასახლებას ითხოვდნენ. სამცხეში ეროვნულმა მოძრაობამ საფილტრაციო პუნქტები დააწესა. როგორც აწყურის საყარაულოდან იუწყებოდნენ, „თურქმა მესხებმა" ენერგიულად სცადეს ესარგებლათ აზერბაიჯანელ ექსტრემისტთა მიერ პროვიცირებული არეულობით, შემოჭრილიყვნენ და მონიშნული ადგილები დაეკავები-

ნათ. აწყურში რეგულარულად მორიგეობდნენ რჩეული ახალგაზრდები; აჩერებდნენ საეკვო პირებს, უსინჯავდნენ საბუთებსა და ტვირთს. სამასზე მეტი უკანონოდ შემოღწეული გაბრუნეს უკან. უმრავლესობამ ქართული ენა არ იცოდა. ერთმა ნაწილმა აჭარის მხრიდანაც სცადა შემოსვლა. აშკარა გახდა, რომ მარნეულის ინციდენტი ფართო მასშტაბის ოპერაციად იყო ჩაფიქრებული.

აღმოსავლეთ რეგიონში ვითარების გამწვავებას ანტიქართული ძალები მუხანათურად უხამებდნენ კრიზისული სიტუაციების პროვიცირებას აფხაზეთსა და ოსებით დასახლებულ სამაჩაბლოსა და ქსნის ხეობაში. შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ყოველმხრივ გარემოცულ, თავდაცვისთვის მოუმზადებელ საქართველოს მთელ ქვეყნიერებასთან უხდებოდა არსებობის შესანარჩუნებლად ჭიდილი.

* * *

ამ კრიტიკულ ვითარებაში ერთი ხელის დაქნევით დაიწყო საომარ გაანგარიშებებთან გადახლართული ჟურნალისტური „მეცნიერული“ ანტიქართული ლაშქრობა, რომელიც თითქმის ორი წელიწადი გრძელდებოდა, საერთაშორისო მასშტაბი ჰქონდა და კარგად დაფინანსებული ჩანდა.

ეს, უწინარეს ყოვლისა, უშუალო გაგრძელება იყო ლიხნის 18 მარტის ყრილობის უსამართლო პრეტენზიებისა და დადგენილებებისა „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ სტატუსის აღდგენის“ შესახებ, რის გამოც „აფხაზეთის სახალხო ფრონტმა“ წერილობით მიმართა გორბაჩოვს.

ამჯერად, ქართველების გასაღიზიანებლად და შეიარაღებული შეხლა-შემოხლის გამოსაწვევად რამდენიმე ახალი კონფლიქტი იქნა პროვოცირებული.

მოულოდნელი იყო ინგლისელი ქართველოლოგის, პროფესორ ჯორჯ ჰიუტის „ღია წერილი ქართველებს, უცხოელის დაკვირვებანი აფხაზებისა და ქართველების დაძაბულ ურთიერთ დამოკიდებულებაზე“.

მოგვმართავდა, ერთი შეხედვით, მეგობარი, ქართული ენის მცოდნე, სინამდვილეში, ჩვენს ცხოვრებასა და ისტორიაში

სრულიად ჩაუხედავი, პრეტენციოზული, სამტროდ დაპროგრამებული კაცი, რომელსაც გადაეწყვიტა, შავი თეთრად გაესაღებინა და ჭკუა ესწავლებინა ჩვენი ერისთვის.

ეს იყო გაუგონარი უტიფრობა, არაკომპეტენტურობა და ცინიზმი. ამისთანა შემთხვევებზე იტყვიან, რამდენი სიტყვაცაა, იმდენი სიცრუეაო. ყველაფერი, რაც ჩვენთვის და-ძმა უორდროპებს და მათ მსგავს ინგლისელებს სიკეთე უქნიათ, ამ ახალგამომცხვარმა ქართველოლოგმა ერთი ხელისმოსმით წყალში ჩაყარა. წერილში ბევრი რამაა შეურაცხმყოფელი და აბსურდული, მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელი და ქუჩური ის არის, რომ ჰიუტი სტალინის ავი საქმეებისთვის ქართველებს სთხოვს პასუხს და გვირჩევს, ამისთვის ბოდიში მოვუხადოთ აფხაზებს. ისიც არ იცის, ან არ სურს იცოდეს, რომ სტალინს არცერთ სხვა ერისთვის ისეთი და იმდენი უბედურება არ დაუტეხნია თავს, რამდენიც ქართველებისთვის. წაგვართვა დამოუკიდებლობა, გაგვთიშა, ჩამოარიგა ჩვენი მიწა-წყალი, გაქლიტა გონიერი საქართველო. მერე, როგორ გგონიათ, რატომ? უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმიტომ, რომ საქართველო მას ქართველად არ სცნობდა.

განსაკუთრებით აღმაშფოთებლად გაისმა ქართველი ტომების დაპირისპირებისა და ქართველების გათიშვის ბოროტი განზრახვა, რასაც ქართველი ხალხი არავის აპატიებს.

ჰიუტის შიხედვით, აყვავებული, ბედნიერი, ყოველმხრივ დალხინებული საქართველო ჩაგრავს, სისხლს სწოვს დამონებულ, დატანჯულ აფხაზეთს.

ასეთ სიცრუეს, ცილისწამებას, აბუჩად აგდებას ვინ მოითმენს? ისიც ცხრა აპრილის სისხლისღვრის შემდეგ.

ჰიუტი დაუფარავად იცავს „საბჭოეთის ხალხთა კავშირს“, იმპერიულ ხელისუფლებას. დიახ, ასეთი პუბლიკაციების მიზანი „სიძულვილის ცეცხლის გაღვივებაა“.

ძმათა სისხლისღვრის გასაჩაღებლად იყენებდნენ „ეროვნებადაკარგულ“ ქართველებს, „საბჭოთა ინტერნაციონალისტებს“, ორთოდოქს ლენინელებს. აფხაზური გაზეთი „ბზიფი“ სისტემატურად აქვეყნებდა ვინმე ბოკუჩავას ანტიქართულ ბოდვას. ეს „სახალხო მასწავლებელი“ ამაყობდა, რომ ქართული ენა არ იცოდა. ხელს უწყობდა შვილების გადაგვარებას.

აქებ-ადიდებდა ჩვენს ავის მოსურნეებს და მომაკვდინებელ ცოდვებს სწამებდა ვითომ თავის მშობლიურ ქართველ ერს.

ჯადოქრულ ძალას არცერთი შანსი გამოუყენებელი არ რჩება. ბოროტების სრული კონსოლიდაციაა. საბრძოლო სინქრონულობა.

ლიხნის სულისჩამდგმელებს ოსების სახელით საბრძოლო მზადყოფნას უცხადებს „ადამონ ნიხასის“ ფანატიკოსი ალან ჩოჩიევი. უწინარეს ყოვლისა, ეს ორგანიზაცია თავისთავს აცხადებს „გარდაქმნის მხარდამჭერ მოძრაობად“, რომელიც მტკიცედ იცავს საბჭოთა ხელისუფლების ლენინურ პრინციპებს. აფხაზეთის მაგალითი მასში საზეიმო განწყობილებას იწვევს. „მოძმე ქართველი ხალხი“, ცხადია, ბრჭყალებშია ჩასმული.

„ადამონ ნიხასის“ წევრები, მთელი ოსი ხალხი დაძაბული ოანაგრძნობით ადევნებს თვალყურს აფხაზეთის მოვლენებს. ჩვენ ამაყი, დამოუკიდებელი სულის მთიელი ხალხები ვართ. ამ სულის გატეხვა კი ჩვენს გმირობითა და ტანჯვით აღსავსე ისტორიაში მრავალრიცხოვან „სტუმართაგან“ ვერავინ შეძლო. „მით უფრო დღეს ვერ შეძლებს“.

ასე აქეზებენ ერთმანეთს სხვის მიერ წაქეზებული „ჩაგრული ერები!“

ქართველები თურმე მოქმედებენ იმპერიალისტური პრინციპით: „დაჰყავი და იბატონე!“ აი, რა პათოლოგიურ ხასიათს იღებს ხალხთა ურთიერთობა.

იმავე „ბზიფში“ ვინმე ვოზბა ქართველ დემონსტრანტებს ბრალს სდებს, რომ არ აფრიალებენ საბჭოთა დროშებს.

არავითარ ეჭვს არ იწვევდა, რომ აფხაზ ექსტრემისტთა მოძრაობის შტაბი აქედან შორს, მოსკოვში, იმყოფებოდა და, როგორც ამბობდნენ, მას ანგარებით აქეზებდნენ და აიმედებდნენ საკავშირო გავლენიანი ბირები, რომელთაც შეთქმულთა წრეში მეგობრები ჰყოვდათ და საკუთარი ინტერესებიც ჰქონდათ.

სამწუხაროდ, ინიციატივა მოწინააღმდეგის ხელში იმყოფებოდა. ჩვენ დიდი დაგვიანებით ვიგებდით, რა ხდებოდა ჩვენს თავს.

ვის უნდა ეთქვა! ვის უნდა გავეფრთხილებინეთ! ჩვენ ისიც

არ ვიცოდით, რომ რა ხანია ამ ეგრეთწოდებული ეთნოკრიზისების თეორია, სტრატეგია და ტაქტიკა კარგად დამუშავებული ჰქონოდათ.

ჩვენ მაშინ გავიგეთ ეს უბედურება, როცა „ოგონიოკმა“, აპრილის ტრაგედიის შემდეგ, სახაროვის ინტერვიუ გამოაქვეყნა. ერთი საოცარი დებულება, რომელიც წყალბადის ბომბის მამამ წამოაყენა, ის გახლავთ, რომ საქართველო მცირე იმპერიად გამოაცხადა. ამის მთქმელი ან ძალიან უსამართლო და უსინდისო კაცი უნდა იყოს, ან უკიდურესად უმეცარი.

დიახ, თავად გამწარებული კოლონია თურმე კოლონიებს დაპატრონებია.

პათოლოგიურად უნდა აღიქვამდე სინამდვილეს, რომ საქართველოს განუყოფელი ნაწილები აფხაზეთი და შიდა ქართლი, სამხრეთ ოსეთად წოდებული, დაპყრობილ და დამონებულ კოლონიებად გამოაცხადო, ხოლო უზარმაზარ სივრცეებზე გადაჭიმული, მრავალმილიონიანი გაძარცული იაკუტეთი, თათრეთი, ჩუვაშეთი, ბაშკირეთი და ათობით სხვა კოლონია ვერ შეამჩნიო, რომლებიც რუსეთის ფედერაციაშია შეყრილი.

ახლა იმაზედაც დავფიქრდეთ, რუსეთის კოლონიებს რომ დამოუკიდებლობა მიეცეთ, სად უნდა წავიდნენ? არსად, ისევ და ისევ რუსეთში უნდა დარჩნენ. ამით არაფერი იცვლება.

საქართველოს „კოლონიებს“ რომ დამოუკიდებლობა მიეცეთ, ისინი სადღა უნდა წავიდნენ? ისევ რუსეთში, დიდი იმპერიის ოკეანეში. სხვა გზა არ არსებობს. ეს ყველას კარგად მოეხსენება. მაშასადამე, აქ აფხაზეთის ან აგრეთწოდებული სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაზე კი არაა ლაპარაკი, არამედ რუსეთის მიერ მათ მიტაცებაზე.

— შენი აზრით, ეს ბრალდება სახაროვის გამოგონილია?— შეაჩერა მარტოლეკმა.

— აბა? — შეკრთა ზებედე.

— სახაროვი დაბადებულიც არ იყო, როცა საქართველოს „იმპერიობას“ აბრალებდნენ.

— ვინ აბრალებდა?

— როგორ იოლად ივიწყებენ ადამიანები თავიანთ წარსულს და როგორ სარგებლობენ ამით ვერაგი მეზობლები. შინაური აშლილობის გამოსაწვევად ტომებისა და მცირე ერების

ერთმანეთზე მისევა ძველისძველი ხერხია. შენი სისხლი რატომ უნდა დაღვარო იქ, სადაც შეგიძლია, სხვისი სისხლით შენი საქმე გააკეთო? ჩემი რწმენით, სახაროვს ეს იდეა გამოცდილმა შინაურებმა ჩააგონეს, რომლებსაც კარგად აქვთ შესწავლილი ჩვენი სისუსტეები და თვალს არ გვაშორებენ. სახაროვის ეროვნული კონცეფცია, რომელიც თითქოს, კეთილი სურვილებით იყო შთაგონებული, სინამდვილეში, ეროვნული ჩაგვრის, კონფლიქტების, ეთნოკრიზისებისა და ხალხთა დამონების სამსახურში ჩადგა. ამბობენ: პური მეპურეს გამოაცხობინეო. ფიზიკოსის ექსკურსებმა პოლიტიკაში შეიძლება წყალბადის ბომბზე არანაკლები უბედურება დაგვატეხოს თავს.

• • •

ივნის-ივლისში კონფლიქტებმა მთელი საქართველო მოიცვა. აქა-იქ აფეთქებებს ხელოვნურად აკავებდნენ ოპერატიული თანმიმდევრობის დასაცავად, ამას ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა.

ვითარებაზე წარმოდგენას იძლევა არაოფიციალური პრესა, რომლის მიხედვით, ეროვნული მოძრაობა ყოველნაირად ცდილობს აიძულოს ხელისუფლება, რათა ჩააბას იგი აგრესიის მოგერიებაში. ეს დოკუმენტები იმის მუქარასაც შეიცავს, რომ თუ მარიონეტული მთავრობა გადამწყვეტ ღონისძიებებს არ მიიღებს მამულის დასაცავად, მაშინ სახალხო ლაშქარი აიღებს ძალაუფლებას, ან დაუმორჩილებლობის სხვა მეთოდებს გამოიყენებს.

ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთა უნდობლად ეკიდებოდა ხელისუფლების ლიბერალურ ღონისძიებებს; ხალხის მოსადუნებელ ეშმაკობად თვლიდა სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე საქართველოს ანექსიის აღიარების განსახილველად გამოტანას; სახალხო ფრონტის დაშვებას; კომუნისტური პარტიის მიერ საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის შემუშავებას. მოწინააღმდეგე პოლიტიკურმა პარტიებმა და წრეებმა გადაწყვიტეს ჩაეშალათ უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნები და მის ნაცვლად შეექმნათ ოპოზიციური ეროვნული სათათბირო, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა

საერთაშორისო ასპარეზზე ხალხის სახელით ემოქმედა. ეს უკვე კონგრესის იდეა იყო.

ვინ იცის, რამდენად სწორი იყო მდგომარეობის ეს გართულება. იქნებ აჯობებდა, ცალკეული ფაზების მიხედვით, კონკრეტული ამოცანების დასახვა და მთელი ძალების შესაბამისად მობილიზება. არა დანაწევრება, არამედ გაერთიანება. პარტიათა პროგრამების გამარტივება, რაც გაადვილებდა მიმდინარე ამოცანების გადასაწყვეტად შემჭიდროებას და თავიდან აგვაცილებდა წვრილმან თუ შორეული ამოცანების გამო უსაგნო პოლემიკას და დაქსაქსვას.

ამ დროს წააწყდა ზებედე „სახალხო ფრონტის" კედლებზე გამოკრულ ამერიკის შეერთებული შტატების სენატის № 110 რეზოლუციას, რომელიც მხარს უჭერდა საქართველოს თვითგამორკვევას.

ამ დოკუმენტმა სენსაცია გამოიწვია. ხალხი ბუზივით თაეს ეხვეოდა გამოკრულ აფიშებს, თუმცა გარკვეული არ იყო, რა ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა მას. ამ დოკუმენტს საგულისხმო სათაური აქვს: „სენატის რეზოლუცია საბჭოეთის მიერ ანექსირებული საქართველოს შესახებ".

იგი შთამბეჭდავად იწყება: „ვინაიდან ქართველების თვითმყოფობა ჯერ კიდევ ჩვენს წელთააღრიცხვამდე იღებს სათავეს", ამას რამდენიმე ძლიერი დებულება მოსდევს და მთავრდება იმედის მომცემი გადაწყვეტილებით: „მოუწოდებს საბჭოთა მთავრობას, ყურად იღოს ქართველი ხალხის ხმა — დაკმაყოფილოს ქართველი ხალხის მიერ თვითგამორკვევისა და ადამიანის უფლებათა კანონიერი მოთხოვნები".

ტექსტი გამოქვეყნებულია აპრილშივე, მთავრობის ბიულეტენში „კონგრეშენალ რეკორდში", სენატორ ჰელმსის წარდგინებით: „ბატონო პრეზიდენტო, ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ თავისუფალი მსოფლიო გულგრილი არაა მისი ხვედრისადმი".

მწარე მითქმა-მოთქმა გავრცელდა საქართველოში „შინაგან საქმეთა ჯარების" შემოყვანაზე. სამხედრო წრეები, ალბათ, ამ თვალსაზრისზე იდგნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, თავიანთი ვერ გაიტანეს.

აქაურმა ხელისუფლებმა პირობა დადეს, რომ საკუთარი

ძალებით მოაწესრიგებდნენ ქვემო ქართლის კონფლიქტს და სხვა რაიონებშიც აღადგენდნენ სტაბილურობას.

მილიციას ზურგს უმაგრებდნენ მერაბ კოსტავას მოხალისეთა ნაწილები. პარალელურად მოლაპარაკებები იმართებოდა აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენელთან, იქაური მილიციის მუშაკებთან. ისინიც დაინტერესებული იყვნენ ვითარების დარეგულირებით; აცხადებდნენ, რომ საქართველოსთან ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნდათ და „ბორჩალოს“ ხალხს უცხო ქვეყნიდან მოსულებად თვლიდნენ, ისიც დავსძინოთ, რომ ამ რაიონების მოსახლეობას თბილისის ბაზრების გარეშე არსებობა ერთ დღესაც არ შეუძლია. მოსავალი მინდვრებში ეღუპებოდათ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ გარდაბნის მოსაზღვრე ყაზახის რაიონში ფერღანის სისხლისღვრის დროს გამოდევნილი ათასობით „თურქი მესხი“ ელოდა საქართველოში შემოჭრის სიგნალს. ოპერაცია ფართო მასშტაბით გაანგარიშებული ყოფილა და მცირეოდენი მოდუნების შემთხვევაში, შეიძლებოდა, საბედისწერო შედეგებით დამთავრებულიყო.

იმ დროს აქ, საზღვარზე, სტიქიით დაზარალებული სვანები სახლდებოდნენ. სამშობლოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობით. შემართებით. მკვიდრად და საშვილიშვილოდ.

თათარს უთქვამს: ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ, თორემ, მაგათ ვინ მოერევაო.

სწორედ ეს ერთი პირი იგრძნობოდა მაშინ მთელ საქართველოში. საყოველთაო საპროტესტო გაფიცვის გამოცხადებას კეთილი ნაყოფი გამოჰქონდა. ის იმ შემთხვევაში შეწყდებოდა თუ „კრემლი აღკვეთავდა სისხლიან ტერორს და საქართველოს წინააღმდეგ ეთნოპროვოკაციულ გამოხდომებს“.

არაოფიციალურ პრესაში გახშირდა განცხადებები: „ძვირფასო თანამემამულენო! სამშობლო გასაჭირშია. მიიღეთ მონაწილეობა საყოველთაო გაფიცვაში!“

„ყველას გიწვევთ მიტინგზე, რომელიც ეწყობა ყოველდღე, საღამოს 7 საათზე, აკადემიის წინ (რუსთაველის გამზირზე)“.

იქვეა ინფორმაცია: „ღამის სამ საათზე დაუდგენელმა პი-

რებმა ხელყუმბარა ააფეთქეს ბატონ ზ. გამსახურდიას სახლთან. მსხვერპლი არ არის. მომხდარი ფაქტი შეშფოთებას იწვევს ქართველ პატრიოტებში“.

* * *

რუსთაველის მოედანზე ხალხის თავშეყრა, მიტინგები და რადიოგამოცხადებები არ წყდება. ძალიან ბევრი მთელ ღამეებს აქ, ან ახლომახლო საკრებულოებსა, სარდაფებსა და სკვერებში ატარებს. „წინა ხაზზე გამოძახებას“ უცდიან. გაზეთის მომდევნო ნომრებს ამზადებენ, წერენ და ხატავენ, წყვილდებიან და მეტოქეობენ.

ივნისის დასაწყისიდან ყღურტულა ყველაზე პოპულარული შეიქნა სამაიას სკვერის შტაბბინაში. იმ წელს იურიდიული ფაკულტეტი დაესრულებინა. არსად მსახურობდა. მატერიალურ სიდუხჭირეს არ განიცდიდა. „კეთილდღეობა“ გარანტირებული ჰქონდა და ცხოვრების დიდ ნაწილს „ლურჯ მონასტერში“ ატარებდა. არ ვიცი, რამდენად მტკიცედ სწამდა. ეს ჩვენი საქმე არაა. უფლებაც არა გვაქვს, მოყვასის სულის საიდუმლოებას ჩავეძიოთ. თუ ფაქტებით ვიხელმძღვანელებთ, არჩევანის ერთგული ჩანდა. დღეს არ გამოტოვებდა, ღვთის სახლში არ მისულიყო. ნებაყოფლობით და გატაცებით საქმიანობდა — რეცხავდა, ხეხავდა, ასუფთავებდა. რაც მთავარია, დამხობილი ლოცულობდა და რელიგიურ ექსტაზს ეძლეოდა. გარეგნულად ღვთისმოსავი ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

სტუდენტობისას ახალგაზრდულ მოძრაობაში არ გარეულა. არც ნოემბრის გაფიცვა-შიმშილობაში მიუღია მონაწილეობა, არც ცხრა აპრილს გამოსულა მთავრობის სახლთან. ბუნებრივია, მომწამლავ გაზებსაც გადაურჩა, სამაგიეროდ, როგორც კი თამარ მეფის პროსპექტზე „ჰუმანიტარული სახლი“ გაჩნდა, ერთერთი პირველთაგანი გამოცხადდა იქ და ამით ადამიანთა უფლების დაცვის მოძრაობას შეუერთდა. მოეწონა ამ „სახლის“ დევიზი: „ნუ გაუკეთებ მოყვასს იმას, რასაც საკუთარ თავს არ უსურვებ!“

მერე სამაიას სკვერს მიაშურა. იქ სულ უმაწვილკაცობას

მოეყარა თავი. სტუდენტობასა და მოსწავლეებს. სახე გამკაცრებოდათ. სერიოზულ საქმეებზე მსჯელობდნენ. ცხოვრება დაუჯერებელი სისწრაფით იცვლებოდა. დღევანდელი დღე გუშინდელს არ ჰგავდა. კომკავშირის ახალგამოჩეკილი ლიდერები თავს იკლავდნენ სავარძლების გადასარჩენად.

უამრავი პარტია და საზოგადოება იქმნებოდა, სხვადასხვა განზრახვითა და იმედით. ზოგი ბობოქარი, ზოგიც იმთავითვე უღიმღამო და უსუსური. ზოგი დამაარსებლებსაც კი დარბაზიდან გასვლისთანავე ავიწყდებოდათ. ბულვარული პრესის მარგალიტებიც ჩნდებოდა. ვიღაცამ სტატიაც გამოაქვეყნა: „რქებისა და ჩლიქების ასოციაცია?!“ სულ მოკლე ხანში მათ რიცხვს ასამდე მიუღწევია.

რა თქმა უნდა, ასეთ ფაცხა-ფუცხში ვერც საკუთარ უნარს და შესაძლებლობას გაზომავ, არც პარტიების და ასოციაციების ტაციობა გამოიღებს კეთილ ნაყოფს. რაკი ყოველ მათგანს თავისი პრეზიდენტი სჭირდება, ეს საპატიო ტიტულიც გახშირდა და არავინ არ ფიქრობდა, რომ ასეთ „პრეზიდენტობას“ გრძელი სიცოცხლე არ ექნებოდა.

ეღურტულა დააბნია ნანახმა და გაგონილმა. აღარ იცოდა, ვისთვის დაეგდო ყური და ვის გაჰყოლოდა. ერთი ფერმკრთალი ბიჭი „ამტკიცებდა“ ახალ საზოგადოებაში კულტურა მხოლოდ სამ ენაზე განვითარდებაო: ებრაულად, ბერძნულად და ლათინურადო. იქვე მიმდევართა სიაც შეადგინა და ეღურტულა, რომელიც „სამაიას“ სკვერის კიბეზე ჩამომჯდარიყო, ცენტრალური კომიტეტის თუ, აღარ მახსოვს, „დარბაზის“ წევრად ჩაწერა.

ცოტა მოშორებით, საკავშირო ცეკას მდივნის ეგორ კუზმიჩ ლიგაჩოვისადმი მიწერილ წერილს კითხულობდნენ, რომელშიც აბუჩად იგდებდნენ „მტკიცე ბოლშევიკის“ ორთოდოქსულ შეხედულებებს.

რამდენიმე ახალგაზრდა ბოლნისელი თათრების სიას ადგენდა, თბილისის მისამართების მითითებით და მათ გასახლებას მოითხოვდა. უცნაური ის იყო, რომ ეს ბოლნისელი აზერბაიჯანელები თბილისში ცხოვრობდნენ, საუკეთესო ბინები ეკავათ და აქედან უტევდნენ „ქართველ დამპყრობლებს“.

ბევმო ქართლის სასაზღვრო რაიონებში ივლისის დასაწყი-

სიდან ვითარება ისევ გამწვავდა. გახშირდა ყაჩაღური თავდასხმები და ხულიგნური გამოხდომები. მილიციის მიერ ამოღებული იქნა ასობით ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი. აღიკვეთა ერთაშორისი შუღლის პროვოკაციული აქციები.

არეულობის ამ სტადიაშიც შეინიშნებოდა „თურქი მესხების“ გააქტიურება. სარგებლობდნენ რა შექმნილი ვითარებით, ისინი ცდილობდნენ, ბორჯომის ხეობით შემოეღწიათ მესხეთის რაიონებში.

გაკეთდა ხერგილი ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხაში, სადაც ცხოვრობენ ხუთი წლის წინ ჩამოსახლებული ეგრეთწოდებული თურქი მესხები. სოფელში ჩატარდა ორი მიტინგი. მოსახლეობას განუმარტეს დაძაბულობის მიზეზები. მოუწოდეს სიმშვიდისა და გონიერებისაკენ.

ხაშურში და სხვა რაიონებში ჩატარდა მიტინგები ორდღიანი გაფიცვის მხარდასაჭერად. ხალხი ხელისუფლებისაგან მოითხოვდა გადამჭრელი ღონისძიებები მიეღო მარნეულ-დმანისის ხაზზე წესრიგის დასამყარებლად, ან გადამდგარიყო.

„ქართველებს ვერ დააშინებს ვერავითარი რეპრესია, ვერც ცხრა აპრილი, ვერც სხვა მუქარა“.

ასეთი პასუხი გასცა საქართველოს მოსახლეობამ ცენტრის მიერ ქვემო ქართლში ინსპირირებულ ეთნიკურ გამოსვლებს.

„საზოგადოებრიობა მზადაა იბრძოლოს სამშობლოს თავისუფლებისათვის!“ — ამ დევიზით შეეგება ქართველი ხალხი უმძიმეს განსაცდელს, რომელიც ულმობელმა მტრებმა განუმზადეს მას.

იმავ დღეებში გაცხადდა საყოველთაოდ: „ჩვენ დღეს უფლება არ გვაქვს შორიდან ვუყურეთ მოვლენებს. საქართველოს ნებისმიერი კუთხის ტკივილი ჩვენი ტკივილია. ჩვენს სამომავლო გზასაც სწორედ გათიშულობის მცდელობასთან შეურიგებლობა გადაწყვეტს“.

მთელ საქართველოში ეს სულისკვეთება სუფევდა. ხალხი ყველგან ფეხზე დადგა. რეალური ძალაუფლება არსებითად პატრიოტების ხელში გადადიოდა. დამყაყებულ ხელისუფლებას იარლიყად იყენებდნენ.

მოფიქრებული ღონისძიებების წყალობით, „ბორჩალოს“ ექსტრემისტები თანდათან დაიჩუტნენ და დატკბნენ. ბოლოს

და ბოლოს, მათ არავითარი არგუმენტები არ აღმოაჩნდათ. ლოზუნგებზე გაჩნდა გონივრული აზრი: „ჩვენ საქართველოს აზერბაიჯანელები ვართ!“ ის სწორ ეროვნულ ზნეობრივ გზას უსახავდა გაბრიყვებულ კუთხეს. შეახსენებდა, რომ საქართველოს ყველა მაცხოვრებელმა ქართული ენა უნდა იცოდეს. აზერბაიჯანელი ავტორები ამაღელვებლად წერდნენ ცხრა აპრილზე; თანაგრძნობას უცხადებდნენ ქართველ ხალხს. ტოფიკ ყურბანოვი აღტაცებით ჰყვებოდა მოშიმშილეებზე, მიტინგებზე, მოძრაობის თავკაცებზე.

ბედნიერია ყველა, ვინც ამ დღეს მოესწრო. მჭევრმეტყველებითა და სიბრძნით გამოირჩეოდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. მათი სიტყვა თავმოყრილთ აღაფრთოვანებდა. „გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ საქართველოს!“ — გაიძახოდნენ ისინი. მოდიოდნენ სამეგრელოდან, სვანეთიდან, კახეთიდან, ქართლიდან დროშებით, საბრძოლო შეძახილით.

აზერბაიჯანული საკირე მხურვალებას ჰკარგავდა. ვისაც კაცურ-კაცობა არ დაეკარგნა, გონს მოდიოდა, მშვიდ ცხოვრებას უბრუნდებოდა.

„თურქი მესხებიც“ ხვდებოდნენ, რომ ერთხელ კიდევ გაასულელეს და ქართველებთან ასეთი ძალმომრეობით ვერაფერს გახდებოდნენ.

* * *

მაისიდან მოკიდებული თბილისს ვერტმფრინავების გრუხუნი აღვიძებდა. ისინი დედაქალაქის არცერთ უბანს არ ტოვებდნენ უმეთვალყურეოდ, მაგრამ საგანგებოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებს დასტრიალებდნენ თავს.

პატრიოტული რაზმები ხელისუფლების ღონისძიებებს უნდობლად ეკიდებოდნენ, იმედს საკუთარ ძალებზე ამყარებდნენ.

კინოსახლის წინ მომიტინგეთა რიცხვმა იკლო. ინფორმაციები შემცირდა. სულ უფრო იშვიათად მოუხმობდნენ მარნეულ-დმანისის ხაზზე გასაგზავნ მოხალისეებს. სამაგიეროდ, ივლისის დასაწყისში რამდენიმე ისეთი ცნობა გადმოიცა, რომელიც უფრო შორეულ არეალში ვითარების გამწვავებაზე მეტყველებდა.

„კინოსახლის“ საინფორმაციო გადაცემებში აფხაზეთის ამბები უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებდა და განგაშის გრძნობას აძლიერებდა. აქ ეროვნულ შუღლს შეიძლებოდა უფრო საშიში ხასიათი მიეღო. საამისოდ ნიადაგი მზად იყო ლიხნის ყრილობის გამო ატეხილი შეხლა-შემოხლით, ჰიუტის შეურაცხმყოფელი ოპუსებით, გაგულია-ბოკუჩავას მსგავსი კეთილისმყოფლების დარიგებებით, პრესაში გაჩაღებული ტენდენციური პოდემიკით, დაბოლოს, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ხელოვნურად შექმნილი ანტიქართული კონფრონტაციით. სოხუმიდან ჩამოსული მეკავშირეები დაუჯერებელ ამბებს ჰყვებოდნენ იქაურ ექსცესებზე, ჯერ ერთი რეგიონი არ ჩაწყნარებულიყო, რომ სხვა მხრიდან აძლიერებდნენ დაძაბულობას, რათა კოცონს ჩინჩხვარი არ მოჰკლებოდა. უბან-უბან კომბლებით შეიარაღებული ბრბოები დაძრწოდნენ. ტყვიებით ცხრილავდნენ ქართველთა კარმიდამოებს.

განცხადება გუდაუთის რაიონის ახალსოფლიდან:

აქ ლიდერობენ ოზგანი — პარტიის რაიკომის პირველი მდივანი. ხიშბა — გაზეთ „ბზიფის“ რედაქტორი. ხაზარია — საბჭოს თავმჯდომარე.

აფხაზები გამუდმებით გვემუქრებიან. ცხადდება გვარები, ვისი სახლიც უნდა გადაწვან. არ გვაძლევენ დაჭრილებისა და დარბეულების საავადმყოფოში გაგზავნის საშუალებას. მძიმე დღეში არიან ბავშვები და ქალები. არ მოაქვთ პური“.

სამსახურში ან შინ რაღა გაგაჩერებს, როცა ხედავ, რა მდგომარეობაა ქვეყანაში. ოფიციალური წყაროებით ვერ გაიგებ, რა ხდება, როგორ ვითარდება მოვლენები.

ამბობენ, ბადრი უჯარმელი, ამირან ლაშქარავა, ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერები უკვე აფხაზეთში იმყოფებიანო.

ეს ნაღდი იმედია. ხალხს სჯერა მათი. იციან, რომ არაფერს დათმობენ. კინოსახლის მოედანზე ხალხი კვლავ მატულობს. ათასობით მოდიან ახლო-მახლო რაიონებიდან. ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან. კამათობენ. სიტუაციას იხილავენ.

აფხაზეთიდან დაბრუნებულნი ლაპარაკობენ ვითარების გამწვავებაზე. ზოგს ძლივს დაუღწევია თავი. მოსახლეობა გაღიზიანებული, წაქეზებულიაო.

აფხაზი ფუნქციონერები ხელოვნურად ამწვავებენ მდგომარეობას უნივერსიტეტის გამო.

თბილისის უნივერსიტეტმა ფილიალი გახსნა, სოხუმში ქართველი აბიტურიენტების უფლებათა დასაცავად, დაძაბულობის განსამუხტავად. სეპარატისტებს გადაეწყვიტათ თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ კონფლიქტური სიტუაცია. ისინი საქართველოში საკავშირო „შინაგანი ჯარების“ შემოყვანით იმედოვნებენ თავიანთი მიზნების განხორციელებას, რის პირობასაც „უფროსი ძმები “აძლევდნენ. ამიტომ დაინტერესებული არიან ანარქიით, ვითარების დესტაბილიზაციით. ქართველებს კი სხვა გზა არა აქვთ, სანამდე შესაძლებელია, უნდა მოითმინონ.

თექვსმეტ ივლისს, კინოსახლთან, ხალხის უზარმაზარი მასა მთელი ღამე არ აპირებდა დაშლას. ავი მოლოდინი ჰქონდათ.

მზე ამოიწვერა. როცა დაღლილ-დაქანცულმა ბიჭებმა თბილისს ჩამოაღწიეს. კრიჭა შეკვროდათ, თავზარი დასცემოდათ. ცხრა აპრილზე უარესს შესწრებოდნენ და განეცადათ. ძმაოა სისხლისღვრას. ძმად მიჩნეულ აფხაზთა მიერ ქართველების სასიკვდილოდ გამეტებას.

გაიმარჯვა სატანამ, რამეთუ უგულოა და მეხსიერება დაკარგული აქვს.

ოჩამჩირის რაიონის მშრომელები იტყობინებოდნენ:

„მეოთხე დღეა რაც აფხაზეთში უკიდურესად დაძაბული მდგომარეობაა და ქართული სოფლები მიტოვებულია ბედის ანაბრად. მათ არ ჰყავთ ხელმძღვანელობა. მოკლებული არიან რჩევა-დარიგებას და ინფორმაციას, აფხაზთა და ქართველთა შორის მდგომარეობის გამწვავების შემდეგ ავტოტრასაზე შეიქმნა უკიდურესად დაძაბული მდგომარეობა. აფხაზურ სოფლებთან გზის პირას თავს იყრიდნენ შეიარაღებულ აფხაზთა დიდი ჯგუფები, რომლებიც ჩხრეკდნენ ავტომობილებს, მგზავრებს შეურაცხყოფას აყენებდნენ, სცემდნენ, ამცირებდნენ. ჩვენ იძულებული გავხდით, ასევე მოვქცეოდით მათ. მით უფრო, რომ ცნობილი გახდა, აფხაზებს შენიღბულად იარაღი გადაჰქონდათ.

ორი თვით ადრე, სანამ ეს ამბები დაიწყებოდა, ჩვენი სოფ-

ლის მოსახლეობას მასობრივად ჩამოართვეს იარაღები. რაიპროკურორის განკარგულებით ეს იარაღი აფხაზებს დაურიგეს. ჩვენ ასეთ ჟამს „ცარიელ-ტარიელი“ დაგვტოვეს. არადა, საფრთხე რეალურია. კვიტოულის სასოფლო საბჭოში ორი სოფელია: აფხაზური და ქართული. ქართველების სოფლიდან რაიონში მიმავალი გზა აფხაზურ სოფელში გადის. აფხაზები არავის არ უშვებდნენ, ქართულ სოფელში აშკარად კრიტიკული მდგომარეობა შეიქნა სურსათით მომარაგების მხრივ. აფხაზებმა სპეციალური საშვი დააწესეს, რომელსაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იძლეოდნენ. ცხადია, საშვი აქ მხოლოდ ქართველებს სჭირდებოდათ.“

იმ დღეებში აფხაზეთიდან და ეგრეთწოდებულ „სამხრეთ ოსეთიდან“ ასობით ასეთი წერილი მოდიოდა ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციებში. თბილისში მათ კითხულობდნენ ხალხმრავალ მიტინგებზე.

„შაბათს სოჭში გავემგზავრეთ ექსკურსიაზე. კვირას გავიგეთ, რომ სოხუმში სისხლისღვრა დატრიალებულა. სასწრაფოდ გამოვბრუნდით ზუგდიდში. ლესელიძეში დაგვხვდნენ აფხაზებით შეიარაღებული ბანდები. გაგვაჩერეს. ჩამოგვყარეს ავტობუსიდან. გაგვჩხრიკეს. იარაღი არ აღმოგვაჩნდა. ყვიროდნენ: ავტობუსი ხალხიანად დავწვათო!“ ზოგი ურჩევდა: „ქალები და ბავშვებიც არიან, ყველას ნუ გავიმეტებთო! ეს არაფერს მოგვიტანსო!“ ბედმა გაგვიღიმა და განვაგრძეთ გზა ზუგდიდისკენ. დაგვხვდნენ ისევ ბზიფზე. კეტებით, დანებით, ნაჯახებით შეიარაღებულნი. გადაგვარჩინეს ისევ ქალებმა და ბავშვებმა.

ეს მეტყველებს, რომ ადამიანები აფხაზებშიც ურევიან.

მტრული გამოსვლები ყოველნაირად მომზადებული და კოორდინირებული ჩანდა. კბილებამდე შეიარაღებული, გაალმასებული, ზურგგამაგრებული, სიძულვილით კბილმოხრჭიალე კაციჭამიებივით მიესივნენ გამოცდების ჩასაბრაებლად მისულ ქართველ ახალგაზრდებს და სისხლის გუბეები დააყენეს.

თავზარდაცემული იდგნენ ჩვენიანები. ვერ გაერკვიათ, რა ხდებოდა. რამ გააგიჟათ მეზობლები და მოყვრები. რა დაეშავებინათ ასეთი, თავდასაცავად ხელის აღმართვა ვერ გადაეწყვიტათ. ძმად ნაგულველნი სასიკვდილოდ ვერ გაემეტებინათ.

თორემ, თავს როგორ ვერ დაიცავდნენ! სოხუმი ხომ ქართული ქალაქია! მართალია, ყალბი ინტერნაციონალიზმის ქადაგებით გული მორბილებული გვაქვს, მაგრამ თავისთავი, ოჯახი და მამული როგორ შეიძლება, ადამიანთა საჯიჯგნად გაიმეტო.

თავისიანის უმანკო სისხლმა გაგვაცოფა. შეუძლებელია ამ დროს ქართველების გადათელვა. მათ ვერაფერი გადაურჩება დაუძლეველი.

— გაიხადეთ პერანგები! — გაისმა ფოლადიანი, გამყინავი ხმა.

ჩადგნენ მოიერიშეთა რიგებში აუთრთოლველი ვაჟკაცები, შურისძიებით აღვსილნი. მოღალატეთა დასასჯელად ამხედრებულნი.

ეს მილიონების შეჯახება არ ყოფილა. არც „ფერდინანდებისა“ და ნაღმოსნების პირისპირ დგომა. მაგრამ გააფთრება არ ჰკლებია. უნამუსობისადმი, სიხარბისადმი, ვერაგობისადმი ზიზღი. მიაწვნენ, იფრინეს და გაირეკეს ერთგულმა ძმებმა. მეგრელებმა, სვანებმა, საქართველოსთვის შეფიცულმა შვილებმა, რომელთაც გულში არ გაუვლიათ დედის ღალატი. დაადასტურეს, რომ საქართველო ცოცხალია. მარადიულად იცოცხლებს. არ აპატიებს ძმის მკვლელს, „ვეფხისტყაოსნის“ გამოქელველს. გაზულუქებულს. მოყვრის მტერს და მტრის მეგობარს.

ქარიშხალმა გადაუარა საქართველოს. ერთსულოვნების, ათასწლეული ძმობის და ერთგულების. ქუდზე კაცი დადგა. „აბჯარი თუნდა ხისაო!“ ლაშქარს გმირული სული აქცევს დაუმარცხებლად. იმ დღეებში აშკარა გახდა, რომ საქართველოს სხვისი არაფერი უნდა და თავისას არავის დაუთმობს.

დაპირებისამებრ, იმპერიის პოლკებმა ზურგი გაუმაგრეს გაბრიყვებულ გამცემებს და მდინარე ღალიძგაზე საიმედო პოზიცია დაიკავეს. უმსხვერპლოდ არც აქ გადარჩენილა.

ნათლად ვიგრძენით, რომ სიმართლის დაცვა აღმოსავლეთშიც შეგვძლებია და დასავლეთშიც. მით უფრო, როცა თვითონ არავის ვერჩით და მკერდში პატიოსანი გული გვიცემს.

ეს მერამდენე ომი დატრიალდა იმ ავბედით თვეებში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყებოდა: დასავლეთ საქართველოში დამნაშავეთა ჯგუფები ბანდიტურად ესხმიან

. თავს შიხაგახ საქმეთა რაიგახყოფილებებსა და სხვა სახელმწიფო ობიექტებს. განვლილი დღეღამის განმავლობაში ცხრა ასეთი თავდასხმაა. მათ შორის — ოთხი მილიციის რაიგანყოფილებებზე.

იარაღდებოდა მოსახლეობა თავისი ეროვნული ინტერესების დასაცავად.

„ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის სახელით“ გამოქვეყნებულ მიმართვაში ქართველი ხალხისადმი, რომელსაც ხელს აწერდა ზვიად გამსახურდია, ნათქვამია: „აფხაზეთში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობა სამართლიან აღშფოთებას იწვევს მთელს საქართველოში. ყველა ქართველი მზად არის მამულის დასაცავად. ზუგდიდში შექმნილია თავდაცვის შტაბი, რომელიც მოქმედებს, რათა მიაღწიოს მდგომარეობის სტაბილიზაციას. ჩვენ მივმართავთ ყველა ქართველს, ყველა მოქმედება შეუთანხმოს თავდაცვის შტაბს. არ გადადგას არცერთი მოუფიქრებელი ნაბიჯი, რათა თავიდან ავიცილოთ კატასტროფული შედეგები, რომლებიც დამღუპველი იქნება ჩვენი ხალხისათვის. განსაკუთრებით ვერიდოთ არმიასთან შეიარაღებულ შეტაკებას. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ბრძნულად. გეგმის მიხედვით. ინსტრუქციებს მიიღებთ თავდაცვის შტაბისგან“.

ამ დოკუმენტმა დაამშვიდა ზებედე ქარცივაძე. ქვეყნის ბედიღბალი საიმედო ადამიანებს ებარა. ერთი არაზუსტი ნაბიჯი და... საქმე შეიძლება, უკუღმა დატრიალებულიყო.

ამავე მიზანს ემსახურებოდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და ჰელსინკის კავშირის ერთობლივი გამაფრთხილებელი მიმართვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსადმი.

„უაღრესად კრიტიკული ვითარება, რაც გამოიწვია თხუთმეტ ივლისს აფხაზი ტერორისტების შეიარაღებულმა თავდასხმამ ქართულ მოსახლეობაზე, შედეგია კრემლის წამქეზებლური, ერთაშორისი შუღლის გამღვივებელი პოლიტიკისა, რომლის საბოლოო მიზანია საშუალება მისცეს კომუნისტურ რეჟიმს საქართველოში (ან, მისი ტერიტორიის ნაწილ-

ზე) შემოიღოს კომენდანტის საათი და ამ გზით მოახდინოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პარალიზება.

ჩვენ, საქართველოს პოლიტიკურ-ოპოზიციური გაერთიანებები... ვაცხადებთ:

ვინაიდან კრემლის იმპერიალისტური პოლიტიკა, რომლის პრინციპია „გათიშე და იბატონე", დღეს ფიზიკური განადგურების რეალური საშიშროების წინაშე აყენებს ქართველ ერს.

ვინაიდან ქართველი ერის ბუნებისათვის უცხოა მტრობა და სისხლისღვრა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლებთან.

ვინაიდან აფხაზეთში შექმნილი ვითარება აშკარად ხელოვნურია და წარმოადგენს კრემლის ანტიქართული პოლიტიკის ნაწილს;

ვინაიდან 15 ივლისს აფხაზეთში მომხდარი სისხლისღვრა არის არა შეტაკება აფხაზთა და ქართველთა შორის, არამედ აფხაზთა შეიარაღებული თავდასხმა ,ქართველებზე, რამაც შეიწირა ადამიანთა სიცოცხლე;

ვინაიდან ვითარების განმუხტვისათვის საკმარისია ელემენტარული სამართლებრივი ღონისძიებების ,გატარება რაც ხელეწიფება საქართველოს საბჭოთა მთავრობას.

ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

1. აფხაზეთში მოწყობილი სისხლისღვრის აქტიურ მონაწილეთა დაუყოვნებლივ დაპატიმრებას;

2. აფხაზი მოსახლეობისაგან იარაღის მასობრივ ამოღებას (განსაკუთრებით გუდაუთა-ბზიფში).

2. თანამდებობიდან განთავისუფლებას და სისხლის სამართლის საქმის აღძვრას აფხაზეთის ეგრეთწოდებული ავტონომიური რესპუბლიკის იმ ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ან ხელს უწყობდნენ 15 ივლისის სისხლიან აქციას.

4. მოვლენების ობიექტურ გაშუქებას პრესითა და რადიოთი.

თუ ორი დღის განმავლობაში აღნიშნული ღონისძიებები არ იქნება გატარებული, ჩვენ იძულებული გავხდებით ბრალი

დავდოთ კრემლს გენოციდში, გაუქმებულად ჩავთვალოთ საქართველოს საბჭოთა მთავრობა, როგორც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე პრობლემების გადასაჭრელად დამოუკიდებელი მოქმედების ყოველგვარ უფლებას მოკლებული მარიონეტი და გამოვაცხადოთ საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. 16 ივლისი, 1989 წელი".

იმავე დღეს სოხუმიდან ჩამოსულმა მეკავშირემ კინოსახლთან შეკრებილ ხალხს აცნობა, რომ მტრისგან წაქეზებულმა ფანატიკოსებმა მოწამებრივად მოკლეს ვოვა ვეკუა. ჰეშმარიტი ქრისტიანი და მამულიშვილი.

„...სული ჩემი ღმერთს! გული ჩემი სამშობლოს! მძორი ჩემი თქვენ, ჯალათებო!"

სატელეფონო ხაზზეა სოხუმი. ინფორმაცია.

ქართველებს, ამ კუთხის ძირძველ, აბორიგენი მოსახლეობის დაჩაგრულ უმრავლესობას, ფრთა შეასხა და რწმენა ჩაუნერგა პრივილეგირებული უმცირესობის თავხედური შემოსევების მოგერიებამ. მძიმე მსხვერპლის მიუხედავად, თავისი თავი მშობლიური აფხაზეთის ბატონ-პატრონად იგრძნო და ვერავითარი ძალა უკან ვეღარ დაახევინებს.

ამ განწყობილებას აორმაგებდა „მიმართვა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობისადმი".

„მოსკოვის მიერ ინსპირირებულმა აფხაზ ტერორისტთა მაფიის სისხლიანმა დანაშაულებმა სამართლიანად აღაშფოთა ქართველი ერი და ყველა კეთილი ნების ადამიანი.

საქართველოს ყველა კუთხე დაიძრა თქვენს დასახმარებლად. ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი რაზმავს ხალხს, რათა საკადრისი პასუხი გაეცეს აფსუა სეპარატისტთა ბანდებს, რათა სამაგალითოდ დაისაჯოს ყველა მომწყობი და ინსპირატორი ამ სისხლიანი აქციებისა. ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ ერს საყოველთაო გაფიცვებისაკენ, ყოველგვარი საპროტესტო აქციებისაკენ, სანამ ხელისუფლების მიერ ზომები არ იქნება მიღებული, სანამ გარანტირებული არ იქნება ქართველი ადამიანების უსაფრთხოება. ხელისუფლებაზე დაწოლამ, გაფიცვებმა და პროტესტებმა ნაწილობრივ უკვე

გამოიღო შედეგები. ტერორისტთა რამდენიმე ინსპირატორი და ხელმძღვანელი მოხსნილია თანამდებობიდან, რამდენიმე ტერორისტი დაპატიმრებულია. ხელისუფლება იღებს გარკვეულ ზომებს, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაკმაყოფილებს. ამჯერად ჩვენ ვემზადებით უფრო დიდი აქციებისათვის და იმ შემთხვევაში, თუ ყველა ჩვენი მოთხოვნა აფხაზეთთან დაკავშირებით არ იქნება დაკმაყოფილებული, დავიწყებთ უფრო ფართო მასშტაბიან გამოსვლებსა და გაფიცვებს, რასაც გადავზრდით ეროვნულ დაუმორჩილებლობაში. ჩვენ ვიღებთ ყველა ზომებს, რათა თქვენი უსაფრთხოება ყოველმხრივ იყოს დაცული, რათა ვერცერთმა ტერორისტმა ვეღარ შეძლოს დაუსჯელად თქვენი ხელყოფა!

სიმართლე ჩვენს მხარეზეა!

ღმერთი არს ჩვენთან!

ჩვენ გავიმარჯვებთ!

ვაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის სახელით

ზვიად გამსახურდია.

29.07.89 წ."

პროკლამაციებში, განცხადებებსა და მიმართვებში, რომლებიც იმ დღეებში ვრცელდებოდა და ბუზივით ეხვეოდა ხალხი, ქართველი ერი ნუგეშს, გამხნევებას, ბრძნულ დარიგებასა და მოქმედების პროგრამას პოულობდა.

* * *

„ბორჩალოს" თათრებისა და აფსუების გაერთიანებული შემოტევის კრიტიკულ მომენტში, რომელთაც სხვა ავისმოსურნეებიც უჭერდნენ მხარს, „სამხრეთ ოსეთიდანაც" გახშირდა უსიამოვნო ინფორმაციები. ჩოჩიევის წერილის შემდეგ ჩვენ აღარც მათგან გაგვიკვირდებოდა ვერაგობა, უსირცხვილო პრეტენზიები და „მარქსისტულ-ლენინური" არგუმენტები, მაგრამ ვითარება მაქსიმალურ მოთმინებას ითხოვდა ჩვენგან. წაყრუებასაც კი.

ძველად ასე არ ყოფილა, მაგრამ ეს ქართველებზე გადიდ-

გულებული თაობა გახლდათ, ქართველი „აზნაურების“ დახვრეტაში გაწაფული. ძერჟინსკის სულით მოწამლული. გამომძიებლების, ციხის მეთვალყურეებისა და არმიელთა საკავშირო პენსიონერების „არისტოკრატია“.

ზებედე ქარცივაძეს ახსოვდა, გორიდან ცხინვალში მატარებლით მიმავალი რომ ვარიანში ვაგონიდან ჩამოაბრძანეს, „აქ ქართულად ლაპარაკს როგორ ბედავ, საქართველო ხომ არ გგონიაო!?“

დიდი შიში ჭამა მაშინ ზებედემ: ნაციონალისტობა რომ დაებრალებინათ, ვინ დაიფარავდა!? იქაური ეთნოგრაფიული მუზეუმი უნდა შეემოწმებინა, სადაც ნაცარგორას არქეოლოგიური გათხრის მასალები „ქრისტეს წინათ მეორე ათასწლეულის „ოსური კულტურის“ ნიმუშებად იყო გამოფენილი! თუ ბიჭი იყავი, ხმა ამოგეღო!

დიდხანს ვხრწნიდით ერთმანეთს — ისინი თავიანთი აგრესიულობით, ჩვენ — ჩვენი კაკუტიობით, ვაითუ, „იქ“ დამაბეზღონო.

თუ ვაჟკაცი იყავი, „ოლქის“ აღმასკომში ან, „საოლქო კომიტეტში“ ქართულად სიტყვა დაგეძრა! ჩრდილოეთიდან მოვლინებული მათი თანამემამულენი დასახვრეტად გაგიმეტებდნენ, ხოლო „ჩვენებური ოსები“, შიშით ცახცახებდნენ, ქართული არ წამომცდესო.

საქმეში გაუცნობიერებელ ერთ ქართველ ხელმძღვანელს, ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით, თამარაშენში ჩვენი დიდი მწერლის ვანო მაჩაბლის მშობლიურ სახლში მემორიალური მუზეუმის გახსნა დაედგინა. ხარჯი ბევრი არ სჭირდებოდა და ასეთ მუზეუმებს მაშინ ყოველ ნაბიჯზე აარსებდნენ. გულშემატკივრებმა ზებედეს ურჩიეს, მაჩაბელზე ხმა არ ამოეღო. როცა მოვალეობის შესასრულებლად გაბედა და საქართველოს „მთავრობის“ დადგენილება გამოაჩინა, თვალები გადმოუტრიალეს და მოსკოვის განკარგულება მოსთხოვეს. გავიდა ათი, ოცი, ოცდაათი წელი, ნახევარი საუკუნე, მაგრამ ამ საქმეს ტაბუ არ ეხსნებოდა. მაჩაბლის სახლ-მუზეუმზე ხმის ამოღება „მძიმე პოლიტიკურ შეცდომად ითვლებოდა“.

როცა „ხალხთა მეგობრობის განსამტკიცებლად“ ეგრეთწოდებულ სამხრეთ ოსეთზე მიმაგრებულ ერთ დიდ გავლენიან

მგოსანს სთხოვეს, ორიოდე სიტყვით შესწეოდა ამ კეთილ და მართალ საქმეს, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

— არა, ძმაო! მაჩაბლისთვის ოსებთან ურთიერთობას ვერ გავიფუჭებ. კაი გამარჯობას მეუბნებიან! ხაბიზგინებით და ეიპიტაურით მიმასპინძლდებიან!

ომის დროს შორეულ ქვეყანაში ზებედე ქარცივაძე პარტიზანულ შენაერთს მეთაურობდა. ერთხელ ვიღაც წელში მოკაკული ნაცარქექია შემოუყვანეს. შეიწყნარა და პარიზში გაგზავნა. შეხვედრია იქ „თავისიანებს". დაუნიშნავთ „დაცვის უფროსად".

ფიქრად არ მოსვლია ზებედეს, ქართველი რომ არ იქნებოდა. გვარი ქართული, ენა ქართული. გვიან აეხილა თვალი. დარევიან საწყალ ქართველ ემიგრანტებს და შავი დღე დაუწევიათ.

საქართველოში რომ ჩამოაღწიეს, ქართველმა პარტიზანებმა, მათი „დახასიათებები" გამზადებული დახვდათ. დიდ ამბებს მას ეკითხებოდნენ. სხვისი არაფერი სჯერდათ. ჩამოიკიდა ჩინ-მედლები. აშენდა და დასახლდა. თქვენ წარმოიდგინეთ, დაპატიმრებაც მოუნდომა. დააპატიმრა კიდეც. აღარც მერე მოეშვა. ეტყობა, ხელს აღარ აძლევდა მათი ნაცნობობა.

მერე, აღარ იკითხავთ, ვინ აღმოჩნდა, რა რჯულისა და სინდის-ნამუსის სულიერი?!.

მართალი გითხრათ, ზებედე ქარცივაძეს დიდხანს მაინც არ სჯეროდა, რომ მოსალოდნელი იქნებოდა „სამხრეთ ოსეთის" საქმის გართულება.

უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ საქართველოში არსებობს არა ოსების პოლიტიკური ავტონომიის პრობლემა, არამედ „ოსობის" ეთნიკური კულტურული მოწესრიგების საკითხები.

საკუთრივ „სამხრეთ ოსეთში" ოსების შედარებით უმნიშვნელო ნაწილი ცხოვრობს, დიდი ნაწილი კი მიმოფანტულია მთელ საქართველოში. არაკომპაქტურად, ქართულ მოსახლეობასთან განუყოფლობაში.

„სამხრეთ ოსეთის" პოლიტიკური ავტონომია „ოსობის" პრობლემის გადაწყვეტას ხელს კი არ შეუწყობს, არამედ ხე-

ლოვნურად ართულებს და ამწვავებს ურთიერთობას, როგორც საკუთრივ ავტონომიურ ოლქში, ისე მთელ საქართველოში. მით უფრო, რომ არსებობს „ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა". ოლქი იმთავითვე შეიქმნა, არა პრობლემის მოწესრიგებისთვის, არამედ ქაოსის გამოსაწვევად. განუწყვეტელი დესტაბილიზაციის წყაროდ.

„ოსობა" საქართველოში აღიქმებოდა არა ეთნიკურ მოვლენად, არამედ ბუნების სტიქიად. მათი განსახლება ხდებოდა ყოველგვარი კანონზომიერებისა და სისტემის გარეშე. არ ჩანდა თვითმყოფობის შენარჩუნების არავითარი ინტერესი და პერსპექტივა. როგორც „ავტონომიური ოლქის" ტერიტორიაზე, ისე საქართველოს სხვა რაიონებში ოსების განსახლებამ მტაცებლური ხასიათი მიიღო. ამ გზით ჩვენს თვალწინ ქრებოდა ქართული სოფლები, გაჩაღებული იყო მიწის ყიდვა-გაყიდვა, ქართული ისტორიული ძეგლების გაქრობა, ლანდშაფტისა და ეთნოგრაფიული სურათის შეცვლა. მოიშალა მიწის ყოველგვარი კანონმდებლობა. ერთი და იგივე პირი (ოსი) საქართველოს რამდენიმე ადგილას ფლობდა მიწის ნაკვეთს. მდინარეთა ნაპირებზე უნებართვოდ კერძო საკუთრებად იღობავდნენ მიწას.

* * *

თორმეტ აგვისტოს ცხინვალში გაიმართა ანტიქართული მიტინგი. მოჰყავდათ მოგონილი მაგალითები, ვითომ, ქართველების მიერ ოსების ჩაგვრაზე. მიტინგმა მოითხოვა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიის ჩამოსვლა და „სამხრეთ ოსეთის" უშუალოდ მოსკოვისთვის დაქვემდებარება, სანამ გადაწყდებოდეს ჩრდილოეთ ოსეთთან მისი შეერთება და საქართველოდან გამოყოფა.

ვრცელდებოდა ცილისწამებები და დეზინფორმაცია ქართველების გასაღიზიანებლად და მოთმინებიდან გამოსაყვანად.

ცხინვალის პოლიკლინიკაში ცალკე განიხილეს „ეროვნული საკითხი" და სამუშაოდან მოხსნა დაუპირეს მთავარი ექიმის მოადგილეს, იმის გამო, რომ საბუთებს ქართულ ენაზე ადგენდა.

არც „ავტონომიური ოლქის“ გარეშე იყო უკეთესი მდგომარეობა. ბორჯომის რაისაავადმყოფოში მოკალათებული ოსი ექიმები ქართველებს სამსახურში მიღებაზე ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ.

ბორჯომის სამხედრო კომისარი გაგლოევი ქართველებს მხოლოდ ავღანეთში აგზავნიდა, ხოლო, როცა ბაზრის დირექტორად გადაიყვანეს, ქართველების ექსპლოატაციით, მილიონებს აგროვებდა.

ზაფხულის თვეებში ერთდროულად გიზგიზებდა ცენტრის მიერ ეთნიკურ კრიზისებად“ მონათლული ცივი და ცხელი ომის ხანძარი ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ ზოლში, აფხაზეთსა, „სამხრეთ ოსეთსა“, სამცხე-ჯავახეთსა და სხვა რეგიონების შერეულ მოსახლეობაში. ყველა საქმეში, ყოველ წუთს, თითოეულ უბანზე უკიდურესი დაძაბულობა იგრძნობოდა. ცენტრი საჭიროდ არ თვლიდა თავისი განზრახვების დაფარვას. არავითარ ანგარიშს არ უწევდა ვინ, სად, რას იტყოდა. ხალხის დაუკითხავად, პარტიულ-კომკავშირულ კრებებზე წყვეტდნენ საქართველოში ჯარის შემოყვანისა და „საგანგებო წესების“ შემოღების საკითხებს.

დღეს საქართველოში ფაქტიურად „ცხელი წერტილების“ ამოქმედების წრიული ჯაჭვია შეკრული. პრობლემები ნაწილობრივ ან სულ არ წყდება, რაც დაძაბულობის ბოლომდე განმუხტვის საშუალებას არანაირად არ იძლევა. დამთავრდება „მარნეული“, დაიწყება „აფხაზეთი“, დამთავრდება „აფხაზეთი“, დაიწყება „ოსეთი“. დამთავრდება „ოსეთი“ და კვლავ დაიძაბება საქართველოს რომელიმე კუთხეში მდგომარეობა. რაც მთავარია „ჯაჭვური რეაქცია“ უკვე დაპროგრამებულია და მიმდინარეობს.

ოფიციალური პრესა ციწიკური გულგრილობით იტყობინება:

„ვითარება აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში კვლავ უაღრესად სერიოზულია. ექსტრემისტულად განწყობილი ელემენტები გაწაგრძობენ მოსახლეობის წაქეზებას სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამა წლის 15 და 16 ივლისს მასობრივი უწესრიგობის დროს ცივი და

ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს 14 კაცი. 187 მოქალაქე დაიჭრა, მათ შორის მილიციის 4 თანამშრომელი, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში არიან.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ძალებით ხორციელდება ვითარების სტაბილიზაციის გადამჭრელი ღონისძიებები. ჩამოდის შინაგანი ჯარების დამატებითი ძალები, გაგზავნილია სპეციალური ოპერატიულ-საგამოძიებო ბრიგადები უწესრიგობის მოთავეებისა და წამქეზებლების დასადგენად და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად. სამართალსაწინააღმდეგო მოქმედების ყოველი ფაქტი კანონის მთელი სიმკაცრით შეფასდება.

მდგომარეობას ართულებს ის, რომ 16 ივლისს დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით მოხდა თავდასხმები მცველებზე, შინაგან საქმეთა განყოფილებების შენობებზე, იარაღის შესანახ სხვა ადგილებზე. შინაგან საქმეთა ზოგიერთ განყოფილებაში ძალის გამოყენებით ხელთ იგდეს როგორც წინათ მოსახლეობისათვის ჩამორთმეული სანადირო იარაღი, ისე შინაგან საქმეთა ორგანოების კუთვნილი იარაღი. ქალაქ ზუგდიდში ექსტრემისტულად განწყობილმა პირებმა ხელთ იგდეს საგამოძიებო იზოლატორი, რის შედეგად გაიქცა გამოძიებაში მყოფთა ნაწილი, მათ შორის არაერთგზის ნასამართლევი პირები, გატაცებულია ბევრი იარაღი....

უკიდურესად დაძაბულ ვითარებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოსახლეობას მოუწოდებს გამოიჩინოს თავშეკავება და სიმშვიდე, მოქალაქეობრივი შეგნებულობა, ნებაყოფლობით ჩააბაროს გატაცებული იარაღი, დაუყოვნებლივ მიაწოდოს მილიციის ორგანოებს ყოველგვარი ინფორმაცია იარაღის ადგილსამყოფელის შესახებ“.

ასევე ცინიკურად გაისმის ხელისუფლების სამძიმარი:

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ამა წლის 15 ივლისსა და 16 ივლისის დამდეგს ქალაქ სოხუმში მოსახლე-

ობის აფხაზ და ქართულ ნაწილს შორის მოხდა შეტაკება, რის შედეგად არის მსხვერპლი, დაშავებულები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ ამ რთულ ვითარებაში აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, მთელი საქართველოს მშრომელები გამოიჩენენ კეთილგონიერებას, საღ აზრსა და დიდ პასუხისმგებლობას. ყველას ზნეობრივი ვალია, ვისთვისაც ძვირფასია წინაპართა ხსოვნა, ვისთვისაც ყველაზე მაღლა დგას მშვიდობა და თანხმობა მშობლიურ მიწაზე, ვინც ფიქრობს თავის ხალხსა და მის მომავალზე, ხელი შეუწყოს პარტიულ, საბჭოთა, სამართალდაცვით ორგანოებს წესრიგის აღდგენასა და ვითარების სტაბილიზაციაში“.

• • •

დილით ზებედე ვერის ბაღში შეხვდა მარტოლეკს. შესასვლელთან ხალხს წითელ არმიაში სამსახურის წინააღმდეგ მოწოდებები გამოეტანათ: „კრემლო, დაგვიბრუნე ჩვენი შვილები, ძმები, მამები და მეუღლეები!“ გუნდ-გუნდად გამოქცეული ჯარისკაცები ჩამომსხდარიყვნენ. დატანჯული სახეებით, აღელვებულნი და დამფრთხალნი. თუ ტრიბუნალს გადასცემდნენ, დეზერტირობისთვის მძიმე სასჯელი ელოდათ, საზარელ ამბებს ჰყვებოდნენ ქართველი ჯარისკაცების მდგომარეობაზე. ცემა-ტყეპა, მისიკვდილება, წაქება.

— რა მოგელით ამისთვის, ნაწილში რომ დაბრუნდებით?

— არც ვაპირებთ! თუ სასიკვდილო ვართ, ბარემ, აქ დავიხოცებით!

— გადაბრუნდა ქვეყანა! — ამბობს მარტოლეკი. — ცხრა აპრილიდან ისე მოირღვა, რომ ვეღარაფერი შეაჩერებს.

— ღმერთო, დაგვიხსენი! არმიაში რომ ეს ამბავია, სხვაგან რა იქნება.

— დაიღალა ყველა! გაწყდა ქვეყანა წელში. ერთი და ორი დღე ხომ არაა!? სანამდე შეიძლება ატყუო და აბუჩად აიგდო ხალხი?

თბილისში ადგილს ვერ იპოვი, რაღაც სიახლეს არ წააწყდე, რამე ახალი არ გაიგონო და ნახო. ყველგან მიტინგები და დემონსტრაციებია. ამ ბოლოს საბურთალოზეც გადმოინაცვლეს. აქ სულის საოხად ორჯონიკიძის ძეგლია. ბუზივით ახვევია ცნობისმოყვარეები. შემზარავი დანაშაული მიუძღვის ამ კაცს ერის წინაშე. ტალახს ესვრიან, საღებავებით თხუპნიან. არაფერი შველის, არც ის, რომ ხარაჩოებშია „დატუსაღებული". არც ის, რომ რამდენიმე მილიციელი უდგას საპატიო ყარაულში. ვინაა! რისთვის მოთრეულა? რა გაუკეთებია, რომ ძეგლად ქცეულიყო?! როგორ შეუძულებია თავისთავი ადამიანებისთვის! პატრონი არ ჩანს, ვერ გადაუწყვეტიათ, რა უყონ. კერპების მსხვრევა გრძელდება. კარგა ხანია, „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადსაც" შებედეს. ჯერ-ჯერობით, ისევ იქ დგას. მაგრამ არავინ იცის, სანამდე!

* * *

საქართველოს სამხედრო გზით, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოედნიდან, ასობით მსუბუქი მანქანა, სხვადასხვა მარკის ავტობუსი დაიძრა ცხინვალის მიმართულებით. ცნობისმოყვარეობით თუ მამულიშვილური აღტკინებით უამრავ ხალხს მოესურვებინა წასვლა.

ალმურიანი დღეები იდგა. სამხედრო ელიტის მიერ საქართველოს დასასჯელად დანთებულ ხანძარს ადვილად აალებადი სითხის ახალ-ახალ ნაკადებს უსხამდნენ ცეცხლის გამჩაღებლები. ქვემო ქართლის აზერბაიჯანული რაიონებიდან და აფხაზეთიდან ცოფმა შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ ხეობებში გადმოინაცვლა და გაალმასებული ხასიათი მიიღო.

სიმართლე გითხრათ, ამას არავინ ელოდა; მიუხედავად ბოლო ათწლეულების მწარე გამოცდილებისა, არ ეგონათ, თუ ძველი მეზობლები ასე ვერაგულად იხელთებდნენ დროს და სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების აგებას განიზრახავდნენ. იმპერიული ძალები მოხერხებულად აღვივებდნენ შუღლს; ათასგვარი დაპირებებით ამხნევებდნენ ოსებს. გულს უბოროტებდნენ.

გზადახლართულთ იოლად სჯეროდათ; მოსკოვში უტიფარ

მიმართვებს გზავნიდნენ საქართველოდან გამოყოფაზე, ავტონომიურ რესპუბლიკად გადაკეთებაზე, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის გაუქმებაზე; ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის გაერთიანებაზე. ქართველები მოთმინებიდან გამოჰყავდა უმადურობას; დღისით-მზისით შარაგზის ყაჩაღობას; სხეულის ღვიძლი ნაწილის ჩამოკვეთის განზრახვას. საქართველოს გასაჭირს რომ უყურებდნენ, ოსებიც მზად იყვნენ, დაეჯერებინათ „ადამონ ნიხასის“ მიზოფრენიული გეგმები.

ქართველების სახელის გასატეხად, დემორალიზაციისა და ანარქიის გამოსაწვევად აძლიერებდნენ იმ მხურვალე დღეებში საქართველოს „მცირე იმპერიად“ გამოცხადების კამპანიას, რომელსაც მსოფლიო ავტორიტეტად აღიარებულ ანდრეი სახაროვს მიაწერდნენ, თუმცა ეს „თეორია“ სულ სხვა ეგოცენტრისტულ სამყაროში შეიქმნა და სახაროვმაც იქიდან შეითვისა.

უპრიანი იქნებოდა, ჯერ, უკიდეგანო იმპერიას ეჩვენებინა მაგალითი ერთი ციდა „იმპერიისთვის“, რომელსაც ძირძველი ნაწილების წაგლეჯას უპირებდა.

ქართველობას ჯერ კიდევ არ დავიწყებოდა, როდის, რა ვითარებაში, ვისი წყალობით და რა დამსახურებისთვის გაჩნდა ეს „ავტონომიური ოლქი“ დედაქალაქის ცხვირწინ. ლენინ-სტალინის შთაგონებით დიდი აჯანყებაც წამოიწყეს, მაგრამ ჩვენს მტერს, რაც იმათ დღე დააწიეს.

თვით რიგიან ოსებსაც ეუხერხულათ თანამემამულეთა პრეტენზიები. ისინი ხომ უნებართვოდ ჩამოდიოდნენ ჩრდილოეთის თოვლიანი მთებიდან და სახლდებოდნენ, საცა მოესურვებოდათ. არავინ ეკითხებოდა, არავინ ედავებოდა. მთელ საქართველოში სახლდებოდნენ გაფანტულად, ქართველების გვერდით, კეთილმეზობლურად. რა ავტონომიაზე შეიძლება ლაპარაკი ასეთ ვითარებაში. ყველაფერს, რაც ჩრდილოეთითაა, სამხრეთ ნაწილიც შეიძლება გაუჩნდეს.

პატიოსანი ოსების უმრავლესობას შეუმჩნეველი არ დარჩენია ეს ხრიკები. ამ მიწაზე უნდა იცხოვრონ, ჩვენთან ერთად. ძმურად და სიყვარულით. მიხვდნენ, კეთილის მოსურნეები არ იყვნენ, ვინც ამისთანა რჩევას აძლევდა. ვერ ვიტყვით, მტრისა და მოყვრის გარჩევა გაუჭირდათო. ცალკე პარ-

ტია შეადგინეს. მიტინგი მოიწვიეს. ქართველებს ძმობა დაუდასტურეს. საერთო ბრძოლაში ძმური მხარდაჭერა შესთავაზეს. ამ ორგანიზაციის მეთაურს ბორის დუდაროვს ეკუთვნის ამაღელვებელი სიტყვები: ჩვენ მიზნად ვისახავთ შევინარჩუნოთ და განვავითაროთ ის ურთიერთობა, რომელიც დღემდე არსებობს ქართველ და ოს ხალხებს შორის. დადგა ჩვენი რიგი, რათა დავაფასოთ ის კეთილშობილება, რაც ქართველებს დღენიადაგ გამოუჩენიათ, სიკეთით გადავუხადოთ. ოსი ერი ნათესაური კავშირით შეერწყო ქართველობას და თავს არ იზოგავდა, ყველა სახის ბრძოლაში, ქართველ ერთან ერთად ღვრიდა სისხლს.

„ადამონ ნიხასი“ ყოვლად გაუმართლებელ მოთხოვნებს აყენებს, რითაც ჩირქს სცხებს ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას, — წერენ ოსები კოლექტიურ წერილებში. — ჩვენთვით ძვირფასია ოსი და ქართველი ხალხების მეგობრობა.

დიდებული აზრებია, მაგრამ ბოროტებას არ სძინავს. ბოროტება ვერაგი და ულმობელია. უნდა ჭკუა გადაუბრუნოს ადამიანებს. გააბრიყვოს იოლად დამჯერნი. შხამიანი კალამი მიაჩეჩოს ხელში. ისტორია და გეოგრაფია დაამახინჯონ. რას არ გაიგონებთ და წაიკითხავთ. დახედავთ ერთ მშვენიერ დღეს და საქართველო საქართველო აღარაა. რუკა რუკას აღარა ჰგავს, ნაცნობი ადგილები გამქრალა. უცნობი დაბა-ქალაქები გაჩენილა.

ამ მეგობრულ სტრიქონებს ჯერ მელანი არ შეშრობოდა, რომ დაბოღმილმა სეპარატისტებმა სასაცილოდ აიგდეს ქართველებთან კეთილდამოკიდებულება.

აი ფრაგმენტი ერთერთი ოსის წერილიდან: „ჩვენო ძვირფასო ალან ჩოჩითი! ადამოწ ნიხასის ძვირფასო წევრებო! ჩვენ, თბილისელი ოსების ერთი ჯგუფი, რომელიც არ ეთანხმება „სამართლიანი ოსების“ ასოციაციას, ძალიან ვაფასებთ თქვენს იდეებს, ...იმიტომ, რომ თქვენ გამოაღვიძეთ ოსი ხალხი! დე, წყალივით დაიღვაროს ჩემი სისხლი, გაუმარჯოს ოსურ ენას და ოსეთს!“

ვერაფერს იტყვი. უზომო თავდადება ჩანს. მაგრამ სრულებით არ იგრძნობა იმ ხალხის ინტერესების გაგება, ვისაც სადავოდ უხდი უდავოს.

ეს ხდება მას შემდეგ, რაც გენერალ როდიონოვისა და არძინბას დემაგოგიურ სიტყვებზე სახალხო ყრილობის დელეგატებმა მქუხარე აპლოდისმენტებით დაანგრიეს კრემლი. მოდი და ამდენი გენერლისა და სხვა მფარველის იმედით ნუ გათამამდები და ბუნად ნუ მოგეჩვენება „მცირე იმპერია“! ნუ ირწმუნებ, რომ მასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მარტო არ დაგტოვებენ.

სეპარატიზმისთვის უფრო მეტი გარანტიების მიცემა წარმოუდგენელია.

„მიდით! თქვენ იცით და თქვენმა ბიჭობამ! საქართველოს სხვა ჩაგრული ერებიც თქვენთანაა!“

ვერც სამხედრო ოლქის შტაბს დაივიწყებ. ვერც მათ გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“, რომელიც მუდამ უყოყმანოდ იზიარებს „ავტონომიური ოლქის“ პოზიციას რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მიმართ. რას უნდა ელოდე ასეთი ჭკუის დამრიგებლებისგან, რომლებიც ასე თავხედურად ერევიან ჩვენი ხალხის საშინაო საქმეებში და ბატალიონების პარტიულ კრებებზე წყვეტენ ხალხთა ბედიღბალს.

ცხინვალში სამხედრო ნაწილები დგას. მოსკოვისა და თბილისის სამხდერო კორესპონდენტები ჩადიან დაპირებებით, გამამხნევებელი დეკეზებით. მათთვის საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის საზღვარი ორი სახელმწიფოს საზღვარია. მთიანი ყარაბაღის სუნი სცემთ და ბრძოლის სურათები ელანდებათ. რუსეთის „შინაგან ჯარებზე“ ოცნებობენ. ჯავშანტრანსპორტიორებზე. ამ გზით თქვენი თავდაცვა უზრუნველყოფილია, შეუტიეთ! გამსახურდია ყველაფერში დამნაშავეა.

დარბაისლურად მსჯელობს მაიორი კუშნირი ოსური და ქართული ენის უფლებებზე. ქართული ენა არ უნდა აიკრძალოს, ილაპარაკოს, ვისაც სურს. მაგრამ სკოლასა და დაწესებულებებში მხოლოდ რუსული და ოსური უნდა იყოს. მაიორის დასკვნით, ამ საქმესაც ხელს უშლის ზვიად გამსახურდია. მაიორ კუშნირს „ადამონ ნიხასის“ ყველა მოთხოვნა კანონიერად მიაჩნია. „ოსეთი თავის მომავალს რუს ხალხთან კავშირში ხედავს“.

სამხედრო კორესპონდენტი ნასიამოვნებია იმ მეგობრული

ურთიერთობით, რომელიც ცხინვალელ ოსებსა და არმიის ნაწილებს შორის დამყარებულა.

ამ ფონზე გაუგებრობას იწვევდა ქართული გაზეთის გულისამაჩუყებელი ჩიჩინი: „ქართველ და ოს ხალხს შორის არ მომხდარა არავითარი უთანხმოება. ყურით მოთრეულია ინფორმაცია, თითქოს ვითარება სულ უფრო იძაბება. არაფერი მსგავსა არ ხდება“.

სინამდვილეში, მთელი წლის მანძილზე დაძაბულობა მატულობდა.

ცხინვალის ლენინურად განსწავლულმა მესვეურებმა კონტრდემონსტრაცია დაუსვედრეს თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს. გზები გადაკეტეს. მისადგომები გაამაგრეს. წინ წითელყელსახვევიანი ყმაწვილები დააყენეს.

ვანდეა!

უფრო მეგობრული დახვედრა წარმოუდგენელია!

მობრძანდით და ვნახოთ, რისი შემძლე ხართ!

ვინ დაგპატიჟათ? თქვენისთანა „მოკავშირე რესპუბლიკის“ არ გვეშინია! საკავშირო დეპუტატთა ყრილობა ჩვენია და ზურგში ძლევამოსილი არმია გვიდგას!

კარგა ჩამობნელებული იყო, როცა პირველი მანქანები თბილისში დაბრუნდნენ. ბრძოლის ველიდან გამოქცეულის შთაბეჭდილებას სტოვებდა ეს დაბოღმილი ლაშქარი. ციოდა. გვარიანი შემოდგომის ქარი სახეში გვიშხაპუნებდა ყინულოვან თოვლჭყაპს.

ზებედე მეტრო „რუსთაველთან“ იმყოფებოდა, როცა ცხინვალიდან დაბრუნებული რამდენიმე ავტობუსი გაჩერდა. უხმოდ ჩამოვიდნენ და თავჩაღუნული წალასლასდნენ.

„რა მოხდა?!“

გარეშე ძალების „უპარდონო“ ჩარევა დღითიდღე ძაბავდა ურთიერთობას. გახშირდა გამომწვევი საქციელი, პროტესტები და თავდასხმები. ზაფხულში ხმა გავრცელდა, ოსებმა მეოთხე საუკუნის ტაძარი ააფეთქესო. შემოდგომის პირზე ოსებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ანტიქართული მოთხოვნები წამოაყენეს. ქართველებთან აღარ ვიმუშავებთო. ლოზუნგები გამოფინეს: ქართული ენა არ გვსურსო. „კარგი ქართველი, მკვდარი ქართველიო“. „მთავრობის სახლის“ კიბეებზე ჩამ-

წკრივდნენ. ყველაფერში შარობდნენ, მშვიდობიანი ლაპარაკიც არ სურდათ. ღვთიშობლის ეკლესიასთან ბიტინგი ჩაშალეს. ტელევიზიის მუშაკებს ვიდეოკამერა დაუმტვრიეს. ჩაწერილი კასეტა გაიტაცეს. ეკლესიიდან გამოსულ მამა ზოსიმეს შეურაცხყოფა მიაყენეს. ქართველები არ შეეპუენ. ლოზუნგებით, გაშლილი საეკლესიო დროშებითა და „შავლეგოს“ სიმღერით ქალაქის ქუჩებით სოფელ თამარაშენში გასწიეს.

ამ ვითარებაში ირონიულად ისმოდა მოწოდებები ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაზე, „ძმობის ხიდზე“. აბროლაურის, ონისა და ჯავის რაიონების მშრომელთა სოლიდარობაზე. არც „ქართველი ექსტრემისტების“ ლანძღვა-გინებას მოჰქონდა სასურველი ნაყოფი.

იმ დროს, როცა ოფიციალურ პირთა მონაწილეობით ასეთი „მეგობრობის შეხვედრები“ ეწყობოდა, „ოსეთის მშრომელები და „ადამონ ნიხასი“ საკავშირო უმაღლეს საბჭოს, მინისტრთა საბჭოს და კომუნისტური პარტიის ცეკას უგზავნიდა „ოსი მშრომელების“ მიმართვას“, რომელშიც ეწერა:

1989 წლის 15 აგვისტოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულია დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ.

ჩვენ მივესალმებით ქართველი ხალხის სწრაფვას ეროვნული კულტურის, ტრადიციისა და ენის ყოველმხრივი განვითარებისაკენ. ვთვლით რა ამას ნებისმიერი ხალხის, ერის განუყოფელ უფლებად.

საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილება თავისი შინაარსით, რესპუბლიკის არაქართული მოსახლეობის, კერძოდ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხალხთან მიმართებაში ანტიდემოკრატიული და დისკრიმინაციულია. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაში არაფერია წათქვამი ერთაშორის ურთიერთობის ენის სტატუსისა და მცირე ერების ენის შესახებ.

ჩრდილო-ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ისტორია ისე აიწყო, რომ საქმის წარმოებისა და ერთაშორისი ურთიერთობის ენად

გვევლინება რუსული, ოსურთან ერთად. საქართველოს მთავრობის ახალმა დადგენილებამ დასაბამი მისცა ოლქის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები ოსების ხელოვნურ ასიმილაციას ქართველების მიერ, ვინაიდან დაუშვებელია ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში განსხვავებული ენობრივი პოლიტიკის გატარება.

ჩვენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ აბსურდად მიგვაჩნია — ერთი დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებში ოსეთის მცირერიცხოვანი ხალხის ორ ადმინისტრაციულ ერთეულად გაყოფა და ვითხოვთ, რომ ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის შეერთების საკითხი განხილულ იქნას საბჭოთა კავშირის კპ ცკ ეროვნული საკითხებისადმი მიძღვნილ პლენუმზე და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ყველა ოსის საუკუნებრივი ოცნება — გაერთიანების შესახებ, საბოლოოდ განხორციელდეს.

დღეს კი, მიღებული დადგენილების დისკრიმინაციული და ანტიდემოკრატიული ხასიათი, ოსეთის არაქართველი მოსახლეობის მძაფრ გულისწყრომას იწვევს. ჩატარდა რიგი გამაფრთხილებელი გაფიცვები და მიტინგები. საერთო აზრით, ეს ფასდება, როგორც კიდევ ერთი რგოლი — რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის არაქართველი მოსახლეობის დამცირებისა და შეურაცხყოფის იმ ჯაჭვისა, რომელიც უწყვეტ ნაკადად მოედინება საქართველოს ტელევიზიის, რადიოსა და პრესის ფურცლებიდან.

გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე — ლენინური ნაციონალური პოლიტიკის პრინციპებიდან, ეროვნულ საკითხებზე სკკპ პლატფორმის დებულებიდან და საქ. სსრ-ში ოსი მშრომელებისათვის შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციიდან,

მ ო ვ ი თ ხ ო ვ თ:

1. სკკპ ცკ პლენუმზე ეროვნული საკითხების შესახებ განხილულ იქნას და გადაწყდეს სამხრეთ და ჩრდილო ოსეთის გაერთიანების პრობლემა, რითაც შესრულდება ყველა ოსის საუკუნეობრივი ოცნება. ვთვლით, რომ ორი ნაწილის გაერთიანება გახდება იმ ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური აბსურდისაგან თავის არიდების აქტი, როდესაც საერთო ტერიტორიის მქონე ერთი ერი, ორ ადმინისტრაციულ

ერთეულადაა გამოყოფილი ერთი დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებში და სხვადასხვა სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში იმყოფება. ვითვალისწინებთ რა ქვეყნის დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციას, ჩვენ ვუშვებთ, რომ ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების პირველ საფეხურად სამხრეთ ოსეთისათვის (ოლქისათვის) ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება უნდა იქცეს.

2. კონსტიტუციურად განმტკიცდეს ყველა ავტონომიური წარმონაქმნის უფლება თავისი ბედის თვითგანმგებლობის შესახებ (მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობიდან გასვლის უფლება).

3. გადაწყდეს საკითხი ყველა ტიპის ავტონომიური ფორმირების — საერთო, ერთობლივი ფედერალური ცენტრისადმი დაქვემდებარების შესახებ...

4. ყველა კანონი, დადგენილება, გადაწყვეტილება, სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციების შესწორება, რომელიც ეხება — სსრკ ან მოკავშირე რესპუბლიკის ავტონომიურ ფორმირებათა ინტერესებს, გამოტანილ იქნას საერთო სახალხო განხილვაზე ავტონომიური წარმონაქმნის მოსახლეობისა.

5. კანონში ენის შესახებ შეტანილ იქნას შემდეგი პუნქტი: „სამხრეთ-ოსეთის მთელს ტერიტორიაზე — ყველა პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, სამეურნეო დაწესებულებებში, საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში — სახელმწიფო ენად ოსური ენა გამოცხადდეს. საქმისწარმოება, ასევე სწავლება, სამხრეთ ოსეთის ყველა ტიპის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში წარმოებულ იქნას ოსურ და რუსულ ენებზე, ნაციონალურ-რუსული ეროვნების პრინციპის დაცვით. ქართული ენა ფუნქციონირებს — ქართული ეროვნების პირთა კომპაქტური დასახლების ადგილებში — თანაბარი უფლებებით ოსურ და რუსულ ენებთან ერთად“.

პასუხად ეროვნული ხსნის კომიტეტმა გამოაქვეყნა „მიმართვა ქართველი ხალხისადმი“:

უკანასკნელ ხანებში შიდა ქართლში — ისტორიულ სამაჩაბლოში, რომელიც საქართველოს სოვეტიზაციის შემდეგ

ე. წ. „სამხრეთ ოსეთად“ იქნა გამოცხადებული დამპყრობელი ბოლშევიკების მიერ, გაძლიერდა ანტიქართული გამოხდომები, რომელთაც გეგმავს და ახორციელებს ე. წ. ოსეთის სახალხო ფრონტი — „ადამონ ნიხასი“. ძირძველ ქართულ მიწას, სადაც კულტურისა და ისტორიის ყველა ძეგლი, ყველა ტოპონიმი ქართულია, სადაც ოსების ჩამოსახლება თვით საბჭოთა ენციკლოპედიის აღიარებით XIII საუკუნიდან დაიწყო (თუმცა, ეს უფრო მთიანეთს ეხება, ვიდრე ცხინვალის მხარეს, სადაც ოსები XX საუკუნიდან სახლდებიან), აცხადებენ „ალანთა უძველეს ქვეყნად“ — ავრცელებენ მოსკოვში გამოცემულ ფანტასტიურ რუკებს, სადაც მტკვრის მთელი მარცხენა სანაპირო ალანთა კუნთვნილებად არის გამოცხადებული, ცხინვალში გამოკრულია ლოზუნგები — „ქართველებო, დასტოვეთ ოსეთის მიწა“, ვრცელდება პროკლამაციები და მიმართვები, სადაც მოითხოვენ ე. წ. სამხრეთ ოსეთის შეერთებას ჩრდილოეთ ოსეთთან, ახალი ოსური რესპუბლიკის შექმნას და მის გამოყოფას საქართველოდან. მოითხოვენ აგრეთვე ოსური ენის სახელმწიფო ენად დაკანონებას, ქართული ენის უკუგდებას, ოსეთის რუსიფიკაციას — „ადამონ ნიხასი“ უკვე აგროვებს სახსრებს და იარაღს ქართველთა მომავალი ხოცვა-ჟლეტისათვის.

დღესავით ნათელია, რომ ყოველივე ეს არის კრემლის მორიგი პროვოკაცია, რომლის მიზანია ახალი სისხლისღვრა და ქართველთა გენოციდი. ყოველივე ამის გამო საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს ქართველ ერს:

1. საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ჩატარდეს მასობრივი მიტინგები, გამოსვლები და გამაფრთხილებელი გაფიცვები ე. წ. სამხრეთ ოსეთის უკანონოდ შექმნილი ავტონომიის გაუქმების მოთხოვნით.

2. საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს უსწრაფესი ზომები პროვოკატორთა ასალაგმავად, რათა ცხინვალში არ განმეორდეს სოხუმის ტრაგედიის მსგავსი მოვლენები.

3. ქ. ცხინვალში ჩატარდეს ქართველთა მასობრივი, მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც წამოაყენებს ყველა ზემოხსენებულ მოთხოვნას და ზღვარს დაუდებს ქართველთა უფ-.

ლებების დარღვევას, ქართული ენის დისკრიმინაციას ამ უძველეს ქართულ მიწაზე:

გადამთიელებმა უნდა დასტოვონ ეს მიწა, თუ მათ აღარ სურთ ჩვენთან მშვიდობიანი ცხოვრება. სამაჩაბლო საქართველოა!

ჩვენი ბრძოლა სამართლიანია!

ღმერთი არს ჩვენთან!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!"

ამ ვითარებაში გაურკვეველობა დაბადა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და „ადამონ ნიხასის" ერთობლივმა მიმართვამ ქართველი და ოსი ხალხებისადმი:

აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ერთაშორისი ურთიერთობა რესპუბლიკაში უაღრესად დაიძაბა. გარკვეული წრეები დაინტერესებული არიან შექმნან დაძაბულობა ჩვენს ხალხებს შორის. ისინი ავრცელებენ ჭორებს შეიარაღებული ჯგუფების შექმნის შესახებ, ასახელებენ ცალკეულ დასახლებულ პუნქტებს, რომლებზეც თითქოსდა უნდა მოხდეს თავდასხმა და ა. შ. ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ ჩვენს ხალხებს შორის დაბნეულობა და უნდობლობა დაითესოს. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უკვე იმდენად აღელვებულია, რომ, შეიძლება ითქვას, ჩვენ ფსიქოზის მიჯნაზე ვდგავართ, რომელიც შეიძლება მხოლოდ გონივრული და ერთობლივი მოქმედებით ავიცილოთ.

ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს მოძმე ხალხებს: ნუ აჰყვებით პროვოკატორთა ლიტონ განცხადებებს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოსთხოვეთ ჭორების გამავრცელებლებს კონკრეტული დასაბუთება. დღეს, როდესაც შიშის დათესვის მეშვეობით ცდილობენ ჩვენს ურთიერთიზოლაციას, კი არ უნდა გავუცხოვდეთ, კი არ უნდა გვეშინოდეს ერთმანეთის, არამედ პირიქით — უნდა დავამყაროთ ერთმანეთთან უშუალო კონტაქტები და ვეძებოთ ის, რაც გვაერთიანებს და არა ის რაც გვანსხვავებს ერთმანეთისგან. მადლი უფალს, ჩვენ გვაქვს ძმური კეთილმეზობლობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი დიდი წინაპრებით, რომელნიც ყოველთვის პოულობდნენ გზას ერთმანეთის გულებისაკენ. ჩვენი ვალია შთამომავლობას შევუნახოთ ეს ტრადიცია. ჩვენ

კმაყოფილებით აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ დღესაც მთელ საქართველოში ჩვენი ერების წარმომადგენლები სრული თანხმობით და კეთილმეზობლური ურთიერთპატივისცემით ცხოვრობენ.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ არავის მივცემთ ნებას ხელყოს ჩვენი ეს ფასდაუდებელი მონაპოვარი, რამეთუ კარგად ვუწყით: ჩვენი ურთიერთობის გაუარესებით დაინტერესულია მხოლოდ ორივე ჩვენი ხალხის მტერი.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება;
ადამონ ნიხასი.
ცხინვალი.
1989 წლის 21 ივლისი.

ასეთი ურთიერთდაპირებები საქმეს აღარ შველოდა. ვითარებას ჩრდილოეთ ოსეთის ემისრები ამწვავებდნენ, რომელთაგან იმ ხანად ყურადღება მიიქცია პროფესორმა და გენერალმა ცოგოლოვმა, მოსკოვის სამხედრო ელიტასთან დაახლოებულმა ინტელიგენტურმა კაცმა. იგი ნაირნაირ ღონისძიებებს იგონებდა საქმის მოსაწესრიგებლად, სინამდვილეში, ნებით თუ უნებლიეთ, აღრმავებდა გაუგებრობას. არ წყდებოდა ხან ოსური, ხან ქართული მოსახლეობის აქციები. შიდა ქართლის შეწუხებული ქართველობა თბილისის ხშირი სტუმარი გახდა.

ნოემბრის დასაწყისში მათ მჯდომარე გაფიცვა მოაწყეს მთავრობის სახლის წინ. დღის სამ საათზე ცხინვალიდან თხუთმეტკაციანი ჯგუფი ჩამოვიდა, რომელიც შეუერთდა აქციის მონაწილეებს. „ისინი სოლიდარობას უცხადებდნენ აფხაზეთის ქართულ მოსახლეობას. მათი მთავარი მოთხოვნაა — ეგრეთ წოდებული სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი გადაკეთდეს „ცხინვალის ოლქად“. საღამოობით, რუსთაველის გამზირი გადაკეტილია, მიმდინარეობს მრავალათასიანი მიტინგი. გაფიცულებს თანადგომას უცხადებენ როგორც თბილისის, ასევე საქართველოს სხვა რაიონების მოსახლეობა“.

ამერიკული რადიოსადგური „განთავისუფლება“ იუწყება, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გიორგი ჭანტურიამ ინტერვიუ ჩამოართვა არაფორ-

მალური ორგანიზაციის — „სამართლიან ოსთა ასოციაციის“ ლიდერებს.

„ჩვენ წარმოვადგენთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ოსთა ორგანიზაციას „სიმართლეს“. — განუცხადებია მის მეთაურს ბორის დუდაროვს. — ჩვენი მიზანია, კვლავ აღორძინდეს ის ძმური ურთიერთობა, რომელიც მუდამ იყო ქართველთა და ოსთა შორის. ასე ფიქრობს ოსების უმრავლესობა. დაპირისპირება ხელოვნურადაა შექმნილი. ეს დაპირისპირება ნამდვილად მოიხსნება დემოკრატიული დიალოგით. რაც ხდება, ინსპირირებულია მესამე ძალის მიერ“.

ამ ვითარებაში გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ არც სამხრეთ ოსეთის ოფიციალური ხელისუფლება, არც „ადამონ ნიხასი“ და მისი თანამგრძნობები, არც ქართული არაფორმალურ გაერთიანებათა უმრავლესობა თანახმა არ იყო 23 ნოემბრის „მეგობრობის მარშისა“ ცხინვალში. ამას დაჟინებით ითხოვდნენ ოსი თავკაცები, რომლებიც წინა დღეს ტელევიზიით გამოვიდნენ.

როგორც ვთქვით, მშვიდობიანი მსვლელობა მაინც შედგა. თბილისიდან ცხინვალისკენ ავტომანქანათა ქარავანი დაიძრა და ამას სერიოზული უსიამოვნებანი მოჰყვა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმე ისტორიის კუთვნილებაა, დღემდე ნათელი არ არის, რა იყო ეს — შეცდომა თუ გარდუვალი აუცილებლობა?

თუ წასვლისას მოწინააღმდეგეთა არგუმენტები გარკვეულია, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ბოლოს და ბოლოს, სანამდე უნდა დაისაპყრო თავი, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, ვილაცის დიქტატით, უარი თქვა შენი ხალხის ძველისძველ ქალაქში წასვლაზე. ასეთ დროს აწონილი უნდა იქნეს, როგორც ლოგიკური, ისე ემოციური მოტივები.

წაუსვლელობა ხომ შენს კანონიერ უფლებებზე ხელისაღების ნიშანია და არავის ეპატიება.

ზებედეს აზრით, პრობლემა ადგილობრივი ქართველობის მომავალზე ზრუნვამ გადაწყვიტა. ისინი უკიდურეს შეპირვებასა და შევიწროვებას განიცდიდნენ. გაუგონარი ტერორის მიზეზით ამოწყვეტის პირას იმყოფებოდნენ. თუ ამ შემთხვევასაც ხელიდან გაუშვებდნენ, უძველესი საცხოვრისიდან ფეხი უნდა ამოეკვეთათ.

ბადრი უჯარმელის რწმენით, უკანდახევა საშვილიშვილო დანაშაული იქნებოდა.

ერთი იქაური ქართველი იმ დღეებში წერდა: „ცხინვალელო ძმებო, არ დაგავიწყდეთ ძველი სამაჩაბლო, ძველი ზემო ქართლი, ძველი სიყვარული და მამაპაპური ადათ-წესები. არ დაგავიწყდეთ, რომ ქართველების მამა-პაპათა საფლავებზე ცხოვრობთ. მათ საფლავებზე, ვინც ჩვენზე უკეთესად იცოდა სტუმართმასპინძლობის, მტერ-მოყვრობის, ძმობის, მეზობლობის და ნათესაობის ფასი“.

ძნელი მოსათმენია, როცა საკუთარ ოჯახში სტუმრად გადაგაქცევენ. იქიდანაც გაგრეკავენ და ამის მოგონების უფლებასაც მოგისპობენ.

სწორედ იმ დროს ცხინვალის ინსტიტუტში ქართული კონტიგენტი შეემცირებინათ. ქართული სკოლა ყოფნა-არყოფნის წინაშე დამდგარიყო. პატრონი არსად ჩანდა. ოსები ორენოვნებას იცავდნენ. ქართულს რუსულით ცვლიდნენ, ქართული ენის გამოხრჩობით სრულ რუსიფიკაციას ანხორციელებდნენ. ეს იყო ცინიკური პასუხი ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაზე. პროფესორ ჯუსოითის მტკიცებით, ოსური ენის განვითარებაზე ზრუნვა შესაძლებელია მხოლოდ სამხრეთ ოსეთში. თითქოს, არ არსებობდეს ჩრდილოეთ ოსეთი. ასეთი მეთოდებით ცდილობდნენ მიეღწიათ ორი ოსეთის შეერთებას საქართველოს ხარჯზე და ფაქტიური ცენტრის ქართულ მიწაწყალზე გადმონაცვლებას.

ეს მეტი იყო, ვიდრე ქართველების აბუჩად აგდება. ყველასთვის ნათელი გახდა, სანამდე შეიძლება მიგვიყვანოს წაყრუებამ და „მშვიდობიან მეზობლობაზე“ ლაყბობამ.

ოცდასამი ნოემბრის მშვიდობიან აქციას მხარეები მომზადებული შეხვდნენ. ეროვნულ-დემოკრატიულმა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიებმა აქტიურ მონაწილეობაზე უარი თქვეს. მიტინგის ჩატარება განზრახული იყო ცხინვალის სადგურის დიდ მოედანზე. მშვიდობიანად, ოსებისა და ქართველების მონაწილეობით, დიალოგში ორივე მხარეს საკუთარი პოზიცია უნდა გამოეხატა. აირჩევდნენ დელეგატებს. ჩამოაყალიბებდნენ თავიანთ თვალსაზრისს. განაცხადებდნენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ, საქართველოს

დაქუცმაცებას. საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა მიტინგის დაცვის გარანტიებზე. „ეროვნული ხსნის კომიტეტისა“ და გივი გუმბარიძის შეთანხმების საფუძველზე, გადაწყდა მიტინგი ქალაქის მისადგომებთან გამართულიყო.

იმ დროს, როცა კორდონი მოიხსნა და დემონსტრანტები ცხინვალში უნდა შესულიყვნენ, ჯარისკაცებმა გზა ჩახერგეს, ხოლო ქალაქიდან კორდონს მოსახლეობა მოადგა, რომელიც დემონსტრანტების პირისპირ აღმოჩნდა. წარმოიშვა რთული სიტუაცია, რომლის მოწესრიგება აღარავის შეეძლო. შეხლა-შემოხლას შეიძლება მწარე შედეგები მოჰყოლოდა. მიტინგი ჩაიშალა. დარჩა დამშეული, არეულ-დარეული, უძილობით, სიცივით გამწარებული ხალხი. არც დელეგატების არჩევა და დიალოგი გამოდიოდა.

თბილისელმა ორგანიზატორებმა დემონსტრანტებს ზღუდერის ტყესთან მოუწოდეს, სადაც უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ ვითარების შესაფასებლად დაუვიწყარი სიტყვა წარმოთქვა ბადრი უჯარმელმა. დააშოშმინა და გზაზე დააყენა ჩამოსულები.

ამ მომენტიდან ვითარების მიუკერძოებლად შეფასება იოლი აღარაა. უდავოა მხოლოდ ის, რომ აქცია გაითიშა, ერთი ნაწილი თბილისში გაემგზავრა, ხოლო „მხედრიონი“, რომელსაც დასაწყისში დემონსტრაციის ბადრაგი ევალებოდა, „ქართული მოსახლეობის დასაცავად გაემართა“.

აქედან მოკიდებული დღემდე, როცა ეს წიგნი იწერება, ოლქის ტერიტორიაზე დაძაბულობა აღარ შენელებულა. დაინტერესებული წრეები, როგორც შიგნით, ისე გარედან მეთოდურად ამწვავებენ ურთიერთობას და საქმე იქითკენ მიჰყავთ, ისეთი რამ მოახდინონ, რომლის შემდეგაც, ერთმანეთის მეზობლად ცხოვრება ყოვლად შეუძლებელი გახდესო. რაღაც რიცხვს ასახელებდნენ, ამდენი და ამდენი კაცი უნდა შეაკლან ქართველებს, რათა გენოციდში ბრალი დასდონო.

იოლი სათქმელია! ოსებსა და ქართველებს ისტორიული მეგობრობა აკავშირებს. ნათესაობა, მოყვრობა, სიყვარული, ახლა, ისე უნდა ეომო, არ შემოგაკვდეს, გენოციდი არ დაგწამონ, საკუთარი სიცოცხლე განსაცდელში უნდა ჩაიგდო.

ნოემბრიდან ცხინვალის ქუჩებში სამარცხვინო ლოზუნგები გამოჩნდა. „ქართველებო, წაეთრიეთ ოსეთიდან!“

საკუთარ თვალს ვერ დაუჯერებ, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს.

არა, ამას აქაურები არ ჩაიდენენ! არც „ადამონ ნიხასი“!

მეგობარი, მოყვარე თბილისელი ოსებისათვის, რომლებსაც ყოველდღე ვხვდები, თვალში ვეღარ შეგიხედავს.

გამწარება რას არ აფიქრებინებს და ათქმევინებს ადამიანს.

„მოვხვიოთ ხელი და გადავრეკოთ, საიდანაც ჩამოხეტებულანო!“ — გაისმოდა აქეთ-იქიდან.

ჩვენს ერთგულებას იარაღს უტარტარებდნენ: „თუ მართლა ოსი ხარ, რატომ გვერდით არ გვიდგეხარ ქართველებთან ომშიო!“

„სოვეტონ ირისთონი“ წერდა: „ვის აძლევს ხელს ასეთი წერილები? ჩოჩიევის ნათქვამი ოსი ხალხის აზრს არ გამოხატავს. ეს სჭირდებათ მათ, ვისაც სწადია ერთა შორის შუღლის გაღვივება, ქართველთა და ოსთა ძმური ურთიერთობის მოშლა!“

* * *

აურაცხელი მასალა გროვდებოდა, რომ ოს-ქართველთა ურთიერთობას გარეშე ძალები ამღვრევდნენ. აკოწიწებდნენ „მეხუთე კოლონას“. ქედს გადაღმიდან გზავნიდნენ თავიანთ ემისრებს. იყენებდნენ საკავშირო ინფორმაციის საშუალებებს. მოსახლეობას აბრიყვებდნენ ცრუ დაპირებებით. ეპატრონებოდნენ როკის უღელტეხილს; იყენებდნენ მას იარაღის შემოსაზიდად.

იანვარში ცნობილი გახდა მოსკოვიდან საქართველოში მოვლინებული პოლკოვნიკ ძიოევის ერთა შორის შუღლის გამომწვევი პროვოკაციები.

„სარანგმა“ მის მიერ საკავშირო შინსახკომში ცხინვალიდან გაგზავნილი რამდენიმე დეპეშა გამოაქვეყნა.

„დეპეშა ცხინვალიდან: მოსკოვში, სსრკ შინაგან საქმეთა

სამინისტრო: თქვენს სიტყვიერ შეკითხვაზე გაცნობებთ, რომ 1989 წლის 23 ნოემბრიდან დღემდე ადგილი ჰქონდა მოსახლეობის წამების ოთხ შემთხვევას: 16 დეკემბერს ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვში რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან მოვლინებული თანამშრომლები აჩერებდნენ ტრანსპორტის საშუალებებს, გადმოჰყავდათ და ქართული ეროვნების შეიარაღებულ ექსტრემისტებს გადასცემდნენ მგზავრებს. ოსი ეროვნების თექვსმეტი მოქალაქე მიიყვანეს შტაბში, ცხინვალის რაიონის სოფელ ქემერტაში, სადაც ისინი არაადამიანურად აწამეს: ცემეს თოფის კონდახებით, დაწნული რკინის მათრახებით, აიძულებდნენ საბანაოდ შესულიყვნენ მდინარე ლიახვში, მოპარსეს და ჩააყლაპვინეს ულვაშები. სამი მათგანი მოთავსებულია საავადმყოფოში.

იმავე წლის 26 დეკემბერს ქართველი ეროვნების შეიარაღებულმა რაზმმა და ჩამოსულმა არაფორმალებმა ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენში შეიპყრეს ამავე სოფლის ოსი ეროვნების ოცი მაცხოვრებელი, მიიყვანეს ისინი შტაბში და არაადამიანურად აწამეს. რამდენიმე დღეღამის შემდეგ ჩააბარეს სამხრეთ-ოსეთის საავადმყოფოს, სადაც ერთი მათგანი — 1938 წელს დაბადებული გოთირ ნიკოლოზის ძე ტაგიევი მიყენებული სხეულის დაზიანებისგან ოცდარვა დეკემბერს გარდაიცვალა.

პირველ იანვარს ცხინვალი-ჯავის გზით მიმავალი ქალაქ ცხინვალის მცხოვრებნი ვ. კ. ხუბეჟოვი და გ. ა. თედეევი დაეკავა ქართველი ეროვნების შეიარაღებულმა ჯგუფმა, მიიყვანა შტაბში, სადაც მიაყენეს სხეულის მძიმე დაზიანებები.

1989 წლის 30 ნოემბერს ქართველი ეროვნების ათამდე კაცისგან შემდგარი შეიარაღებული ჯგუფი შეიჭრა ცხინვალის რაიონის სოფელ ერედვის მცხოვრებ გ. კ. კასაევის სახლში, ტყვიით დაცხრილეს, გაჩხრიკეს, გადავიდნენ იმავე რაიონის სოფელ ოტრევში, 30-დე გასროლა მოახდინეს გარაჟში, რის შედეგად დაიჭრა ოთხი ოსი, რომელთაგან ორი მძიმე მდგომარეობაშია.

ექვს დეკემბერს ქართველი ეროვნების შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა სოფლებს: ვალების, პრინევს, ზოვლეთს ზნაურის რაიონში, ექსტრემისტებმა დაცხრილეს სახლები, გაჩხრიკეს სამი სახლი.

ქართველი ეროვნების შეიარაღებულმა რაზმმა საკუთარი სახლიდან გაიტაცა ვ. მ. ბოლოთაევი, რომელსაც სხეულის მძიმე დასახიჩრება მიაყენეს.

თორმეტ დეკემბერს ზნაურის რაიონის სოფელ უბიათაში ქართველი ეროვნების შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა ო. გ. ვალიევის სახლს, წაართვეს ათასი მანეთი, ოჯახის ნივთები, წაიყვანეს შტაბში, გორის რაიონის სოფ. მერეთში, საიდანაც რამდენიმე ხნის შემდეგ გამოუშვეს, მაგრამ ფული და ნივთები არ დაუბრუნებიათ.

სოფელ ავნევში შეამტვრიეს „ავტოვაზის“ ფილიალი და გაიტაცეს სათადარიგო ნაწილები.

14 დეკემბერს ღამით თავს დაესხნენ ცხინვალის რაიონის სოფელ ანდისს, დაცხრილეს სახლები, დააობიეს და სცემეს მცხოვრებნი. ასი კაცი საავადმყოფოში ღაფავს სულს. საპასპორტო მონაცემებით, ოლქიდან ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში გახიზნულია ორასამდე ასაკოვანი და ათასორასი ბავშვი.

ოლქი რძისა და რძის პროდუქტების მწვავე ნაკლებობას განიცდის.

გრძელდება ოლქის გზებზე თავდასხმები, ჩხრეკა და ძარცვა.

გაფიცვების თაობაზე მონაცემები არ მოგვეპოვება“.

ხელს აწერს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს „გუურის“ სამმართველოს უფროსის მოადგილე: მილიციის პოლკოვნიკი ბ. ბ. ძიოევი.

ამ დასმენებში, რა თქმა უნდა, ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი, რა დღეში აგდებდნენ ქართველებს დამსმენთა მიერ წაქეზებული სეპარატისტები.

თმა ყალყზე დაგიდგებათ!

რაც სამაჩაბლოში იმ შემოდგომასა და ზამთარში მოხდა, სამარცხვინო ლაქად დარჩება ორი ხალხის ურთიერთობაში, სიფხიზლისა და მზადყოფნისაკენ მოგვიწოდებს.

ამასვე შეგვახსენებს № 145 ჯავშანტრანსპორტიორი, რომელიც „მედგრად იცავდა“ სოფელ ერგნეთის მისადგომებს. შემდეგ ქალაქ ცხინვალის მილიციის მუშაკების, ბითაროვისა და თეკაევის მეთაურობით აწიოკებდა ზნაურის რაიონის ქარ-

თვეზე მოსახლეობას. ჯავშანტრანსპორტიორს თან დაჰყვებოდა სეპარატისტების რაზმი, რასაც მოწმობს მათ მიერ დატოვებული თვითნაკეთი ყუმბარები და ვაზნები.

* * *

თბილისში გამაყრუებელი სიგნალით მიმოჰქრიან მანქანები. ტრანსპორტი დრო და დრო ისევ იფიცება. მოშიმშილები ადგილიდან ადგილზე გადადიან. ბოძებზე წებოშეუშრობელი ლოზუნგები მოუწოდებდა: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ მეგაფონები საგანგაშო ცნობებს ავრცელებდნენ. მიყუჩებულ „ცხელ წერტილებში“ კვლავ წამოუყვიათ თავი. „ბორჩალოს თათრები სამგორის მეტროს შემოდგომიანო“. „აფხაზებისთვის იარაღი დაურიგებიათო!“

გრილა. შიგადაშიგ წვიმს. გორის რაიონის ოსურ სოფლებშიც შემოუღწევიათ. „ცენტრის“ უხილავი შტაბი მოსვენებას არ გვაძლევს.

რა გარდაქმნაზე, დემოგრაფიაზე, ეკოლოგიასა და ეკონომიკაზე შეიძლება ლაპარაკი.

ბნელი ძალები წუთით არ წყვეტენ მითქმა-მოთქმას, რომ თბილისის გარშემო ციმბირიდან ჩამოყვანილი ჯარებია განლაგებული და საცაა შემოვლენ. ხელისუფლება იძულებულია ორჭოფული უარყოფით გამოვიდეს: „უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი კატეგორიულად აცხადებს, რომ მას არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია თბილისში ჯარის შემოყვანის შესახებ“.

საკავშირო დეპუტატთა ყრილობა და სესიები, საიდანაც „სახელმძღვანელო ჭორები“ და პროკლამაციები ვრცელდება, დაძაბულობის ბუდედ ქცეულა.

— ჩვენებიც ახლა დაერივნენ ერთმანეთს! — წუხს მარტოლეკი.

— ეს არ გვღუპავს!? მაგათ რომ ცხინვალში თანხმობა ჰქონოდათ, დამთავრებული იყო.

— თანხმობა! — გაწიფინდა ყმაწვილი პოლიტიკოსი, რომელიც თავის თავს ერთ-ერთი მიმართულების ლიდერად თვლიდა.

— თანხმობა გასაიცხია!? — მიაჩერდა ზებედე. — შინაგანი შუღლი და გათიშულობა გვღუპავდა მუდამ.

— პოლიტიკური პრინციპები?! — აღელდა ჭაბუკი.

— მომენტი სრულ შეკავშირებას ითხოვს. ამ ეტაპზე ყველა პარტიას ერთი პროგრამა უნდა ჰქონდეს, ორი-სამი მუხლისგან შედგენილი.

— ესკიმოსები ხომ არ ვართ! პოლიტიკური ცხოვრების ათასწლოვანი ისტორია გვაქვს.

— არ მწამს ყმაწვილების პოლიტიკა! დრო იყო, ორმოცდაათ წლამდე ადამიანს ეკრძალებოდა პოლიტიკაში ჩარევა. ამას დიდი სიბრძნე, გამოცდილება და აწონ-დაწონა სჭირდება. ჩვენთან ერთ-ორ მიტინგს დაესწრო, ერთი-ორი პროკლამაცია გააკრა და წინასწარმეტყველია.

— ჩვენში პოლიტიკა სულაც არ არსებობდა, მაგრამ თავი არ მოგიკლავთ, — გაცხარდა ჭაბუკი.

— იმ პოლიტიკაზე არ მოგახსენებ, რომელიც არ არსებობდა. ის მაგონდება, ფილოსოფოსები რომ გვირგვინად სახავდნენ. როცა თავიანთ კლასიფიკაციებში ღირსების მიხედვით დაალაგებდნენ ცოდნისა და ხელოვნების დარგებს, ყველაზე მაღლა, ფილოსოფიისა და პოეზიის ზემოთ, პოლიტიკას ათავსებდნენ. სიბრძნესაც განასახიერებდა და ხელოვნებასაც. მაშ, ეს არის კარგი, რომ წელს, ჩემს თვალწინ, რამდენი სკვერიცაა თბილისში, იმდენი პოლიტიკური პარტია შეიქმნა!? რა მოარიგებს ამ პარტიებს!? ზოგს სახელიც ვერ გამოუძებნია და ჩხუბი მოსდით; მე შენზე ადრე დავაარსეო. განსხვავებას კი ვერ აგიხსნიან.

— თქვენ რას გიშლიან: ბინას გთხოვენ თუ ჯამაგირს?!

— მეშინია, ეს ჩვენი პოლიტიკა პოლიტიკანობად არ გადაგვექცეს. როგორც ვხედავ, უკვე იწყება „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ გადახრები. მალე ჩვენი „ტროცკისტ-უკლონისტებიც“ გამოჩნდებიან. სახელწოდებებისა და ტიტულების დატაცებასთან ერთად, აზრის მონოპოლიზებაც დაწყებულია.

ნიუანსები თანამოაზრეთა შორისაც არსებობს. იგი ცხრა აპრილსაც შეიმჩნეოდა. მერმე უფრო და უფრო გაღრმავდა. ინდივიდუალური თვისებებისა და მისწრაფებების მიხედვით.

განსხვავებათა დაპირისპირება დაძაბულობის გაღრმავებას იწვევს. შეიძლება, უსაგნო „პრინციპულობასა“ და ფანატიზმშიც გადაიზარდოს.

* * *

სამაჩაბლოს ამბებში დაპირისპირებამ შავი ნაყოფი გამოიღო და უკიდურესად დაძაბა ურთიერთობა.

ერთნი ეთნიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციას მოითხოვდნენ. „თურქი-მესხებისადმი“, როგორც თანამემამულეებისადმი, მეტ შემწყნარებლობას. ლეკების მიმართ — კავკასიურ სტუმარ-მასპინძლურ დამოკიდებულებას.

„პარტიულ პრესაში“ უამრავი მასალა ქვეყნდებოდა საკუთარი პოზიციის დასაცავად. ეს შერიგებას კი არ უწყობდა ხელს, არამედ ესკალაციას და პოლარიზაციას. ზოგნი მწვავე, ხანგრძლივი გაფიცვების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ისინი მკაცრად გმობდნენ და „ნეობოლშევიზმად“ აცხადებდნენ რადიკალიზმს ამ საკითხებში. ძნელი სათქმელია, რა იყო ეს, რეფორმიზმი და უკანდახევა თუ პროგრამისადმი ერთგულება. ვერ გაიგებდი, პრობლემის ანალიზს მიჰყავდა ისინი განსხვავებულ პოზიციამდე თუ დაპირისპირების აკვიატებულ სურვილს.

კონსოლიდაციაზე ღაღადისმა, რომელიც ცხინვალის ამბებს რამდენიმე თვით წინ უსწრებდა, ანტაგონიზმი თითქმის უიმედოდ გაამწვავა.

უსიამოვნო გრძნობას ბადებს ზოგიერთი ოპონენტის გაწიწმატება, რაც აკარგვინებს ეროვნულ ინტერესებს და მიუტევებულ დანაშაულს სჩადის.

ამავე დროს „ერთიანობა“, „კონსოლიდაცია“ და „შეკავშირება“ პირზე აკერიათ, თუმცა დაქსაქსულობისთვის უველაფერს აკეთებენ, ერთიანობისთვის კი — არაფერს.

ზოგიერთის გარჯილობაში ზიზღისა და გაბოროტების მეტს ვერაფერს იპოვით. კარგის დანახვა არ სურს და არ ძალუძს. ზიზღსა და ბრმა სიძულვილზე აგებულ პოლიტიკას და პროპაგანდას არავითარი წარმატების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

თვითმკვლელობაა, როცა საწინააღმდეგო ეფექტს მოელი,

მაგრამ ტონი, შენიღბული გულის ნადები, გესლი ბოროტ ზრახვებში გამხელს. როცა ვერ ფარავ, ვინ ხარ და რას აპირებ. „ისტორიის წინაშე მართალი ვეღარ იქნები", რადგან ისტორიას სიალალმართლე უყვარს და მისი გამოცნობაც შეუძლია.

* * *

ზამთარმა ცხარე შეხლა-შემოხლაში ჩაიარა. არც ერთ რეგიონში გარდატეხა არ მომხდარა. ოცდახუთი მარტისთვის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისთვის ემზადებოდნენ, რომელსაც ეროვნულმა ძალებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, როგორც „საბჭოთა არჩევნებს", რაც იმას ნიშნავდა, რომ განწირული იყო.

მიუხედავად ამისა, ის წრეები, რომლებიც აზრზე არ იყვნენ, რა ხდებოდა მათ გარშემო, „პარლამენტირიზმით" ირთობდნენ თავს. მეცნიერებათა აკადემიამ უარი თქვა 25 მარტის არჩევნებში ბოიკოტისგან. „მეცნიერებმა ერთხმად გადაწყვიტეს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში".

არაფორმალურ ორგანიზაციათა ლიდერებმა ფორუმი შეადგინეს.

იანვარში სამაჩაბლოში გაჩაღებული ტერორის პასუხად, თბილისში, მთავრობის სახლთან, მასობრივი შიმშილობა დაიწყო, რომელშიც ყველა ძირითადი პარტია მონაწილეობდა. მოითხოვდნენ თბილისში პოლიტბიუროს წევრების ჩამოსვლას. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. დიალოგს ეროვნული ხსნის კომიტეტთან.

3.

ადამიანის შესაძლებლობები მკაცრად არის განსაზღვრული. 1989 წელს თავს დატეხილ უბედურებებს შეეძლო წელში გაეტეხა ქვეყანა, ფიზიკურად, მორალურად, ფსიქიკურად დაესაპყრებინა; მტრების იოლ ნადავლად ექცია. თუ ეს არ მოხდა, თუ უთანასწორო ბრძოლიდან უფრო გაკაჟებული გამოვედით, ჩვენს ხასიათს უნდა ვუმადლოდეთ.

განსაცდელს გვერდით მაინც არ ჩაუვლია. მერაბ კოსტა-

ვა შეიწირა და საშიში შინაპოლიტიკური მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

ყველაფერი ღვთისგანაა. ასეთ მოვლენებში ბრალს ვერავის დასდებ. საერთო 'მენდობისა და მიტევებისთვის უნდა ილოცო. ღმერთმა ყველა მონანიების მადლით აღავსოს და ახალ ცოდვათაგან იხსნას.

აფხაზეთის, ქვემო და შიდა ქართლის, მესხეთ-ჯავახეთის კრიზისების პროცესში ახალი სიმწვავით წამოიჭრა შუა აზიაში სტალინის მიერ გასახლებული მესხეთის მოსახლეობის პრობლემა, რასაც ახლა ტრაგიკულ ხასიათს აძლევდა ფერგანის რბევა და ხოცვა-ჟლეტა. ვინც რა უნდა თქვას, ძნელი წარმოსადგენია ისეთი ქართველი, რომელიც სისხლხორცეულად არ განიცდიდეს ამ უბედურ ადამიანთა ბედს.

მთელი ტრაგიზმი ის არის, რომ მის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ თანაბარი ძალის არგუმენტები მოიპოვება.

ისტორიიდან ვიცით, რომ საქართველოს ნგრევა სამცხე-საათაბაგოდან დაიწყო. შემდეგ, რუსუ ი ორიენტაციაც იმის ნაყოფად მოგვევლინა.

ჩვენმა ავისმოსურნეებმა იცოდნენ ეს საიდუმლო და ვერაგულად სარგებლობდნენ ამით.

ბოლოს და ბოლოს, ყველა წინააღმდეგობამ ამ ფოკუსში მოიყარა თავი და ულმობელი ხასიათი მიიღო. წერდნენ სპეციალისტებიც და დილეტანტებიც.

ისედაც მტკივნეულ პრობლემას ან კუთხე და იარები გაუშიშვლეს, ამას მჭიდროდ გადაეკვანძა სამხრეთ საქართველოში სტიქიით ბუდეაშლილი სვანებისა და აჭარლების ჩამოსახლება.

ბრეთის ინციდენტს გავიხსენებთ. იქაური მოსახლეობა ნათესაური გრძნობით მიეგება გადასახლებიდან დაბრუნებულ დვალიძეების ოჯახს, მაგრამ სხვადასხვა პოზიციაზე მყოფი მხარეების ჩარევით ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა და ხელჩართულ შეტაკებამდე მივიდა...

ეროვნული მოძრაობის მეთაურებს, უპირველესად, მერაბ კოსტავას, იმ ზაფხულს განუწყვეტლივ უხდებოდათ რაიონებში მოგზაურობა.

ქართველ საზოგადოებას, რომელიც გულისძგერით ადევ-

ნებდა თვალს მის გამოსელვებს, ერთ დღეს მოულოდნელმა ამბავმა დასცა თავზარი: მერაბ კოსტავა დაიღუპა, ზურაბ ჭავ-ჭავაძე მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს საავადმყოფოშიო. თამარ ჩხეიძეც დაშავდაო.

ორი დღის წინ მისი ხმა ზარივით რეკავდა ტრიბუნიდან: „სიკვდილი ან გამარჯვება!“

ადამიანი მაშინ აღიქვამს პიროვნების მნიშვნელობას, როცა მას ჰკარგავს. აქამდე მერაბ კოსტავას ხალხი იცნობდა როგორც ტანჯულ მამულიშვილს და ფანატიკურად ერთგულ მეგობარს. ახლა კი, ერთბაშად, ეროვნული გმირობის მაგალითად იქცა. ასეთი მაგალითი კი საქართველოს რა ხანია, აღარ ჰქონია.

ქართველს წმინდა ცრემლი დაუგორდა ღაწვებზე.

ახლა მიხვდნენ, რას ნიშნავდა ამ ნატანჯი, უდროოდ გათეთრებული ვაჟკაცის თუნდ ერთი გამოჩენაც ალმოდებულ ტრიბუნაზე, საბრძოლოდ შემართული მისი მარჯვენა. მოახლოებულ საფრთხეში სიმშვიდით გამამხნევებელი მისი გამოხედვა. სიამაყე, რომ ის შენი სისხლი და ხორცია.

რა სანახავია თანამებრძოლთა შორის! კუშტი, შეუპოვარი და ალალმართალი.

ის დაიღუპა ბორითთან, 13 ოქტომბერს.

მეჩხერი ტყე. ჩამტვრეული კარები. მწირი, უღიმღამო პეიზაჟი. არარაობის განცდა. წარმავალობის ელდა. გზატკეცილზე სისხლის ლაქები. მიყრილ-მოყრილი ქვები.

დაგრეხილი რკინა.

ელვის სისწრაფით მიჰქროდაო მანქანა. აღელვებულ სახეებს მოვკარით თვალი. ვილაც კაპასობდა და კიოდა.

რას არ იტყვიან! ტრაგიკული ამბები მუდამ იდუმალებითაა მოცული.

„მერაბ, არ მოკვდე! არ მოკვდე, მერაბ!“

ახლა ის მანქანა დამსხვრეულია და მასთან ერთად, ბევრი რამ.

ორი დღე-ღამე სიონში ესვენა. როგორც პირველმოწამე და ასკეტი. მაოცებს მერაბის დედის სიტყვები: „ბავშვობაში ზვიადს არასოდეს უთამაშნია. სულ პატარაც კი, როდესაც ჩვენთან მოვიდოდა, სულ პოლიტიკაზე ლაპარაკობდა“.

19 ოქტომბერი. ხუთბაშათი. პირველ საათზე მგლოვიარე ხალხი გუნიბის აღმართზე ავიდა. ეზოში სამგლოვიარო მიტინგია. წაბლისფერი თმაგაშლილი გოგონა, წითელი მიხაკების ვეება ჯვრით. წითელი ჯვრები. ჯვრები. ნინოს ჯვარი (ალბათ, ზვიადისგან!). წითელი მიხაკების დაფაზე თეთრი მიხაკების ნინოს ჯვარი. თეთრი მიხაკების დაფაზე ქართული საეკლესიო დროშების ფორმის წითელი მიხაკების ჯვრები. ვარდისფერი მიხაკების ჯვარი. ბევრი, უთვალავი ჯვარი ყვავილებისა.

შავჩოხიანი ჭაბუკები ხელსურულად აღკაზმული. დახრილი ქართული დროშებით.

შავი, ყურყუმა ცხენი, შავნაბადგადაფენილი. მის უკან შავნაბადში გახვეული ჭაბუკი.

მერმე, მანქანაზე, ქართულ დროშებში მერაბი ასვენია. ნეტარად გაბრწყინებული და მდუმარე. მჭიდროდ შეკრული ხალხი მოჰყვება. მეორე რიგში ბადრი უჯარმელი თანამებრძოლთა შორის.

შინ არავინ დარჩენილა. თბილისი ქუჩებსა და მოედნებზეა გამოსული. გიორგობისთვის ქარი ქრის, მზე კი ალერსიანად ემშვიდობება მიმავალს.

უჯარმელს გვერდით ზღვისფერი ჟიგული მიჰყვება. იქ ლაშქარავას ჭირისუფლები სხედან.

მძიმე, მდუმარე პროცესიაა.

ხანგრძლივი პაუზებით, წყნარი, წყვეტილი სამგლოვიარო ჰანგები თავისით, შეუმჩნევლად იღვრება საიდანღაც.

მთელი საქართველო ავიდა მთაწმინდაზე. მთელი საქართველო ღვრიდა ცრემლს. სამფეროვანი დროშები მიჰქონდათ. შავარშიანი. ეს დაბადებას ნიშნავდა და არა დაკრძალვას. საითაც გაჰხედავ, ცრემლით სავსე თვალებია.

რა სიყვარული ვიცით!

გუგუნებს სვანური ზარი.

ლაღი, ნაღვლიანი „შავლეგო“.

ზებედეს დაამახსოვრდა შავი ცხენი, წინ რომ მიჰყვებოდა პროცესიას. მწუხარე, დაოკებული სიშმაგით და თვინიერი თვალებით.

„ისტორიამ კიდევ ერთი „საშვილიშვილო სამარე“ შესძინა მთაწმინდის მიწას“.

4.

ბევრს ვკამათობდით იმის შესახებ, თუ რა არის საქართველოს უბედურების მიზეზთა მიზეზი, საიდან უნდა დაიწყოს აღორძინება? რა გადაგვარჩენს? რას მივხედოთ უწინარეს ყოვლისა.

ზოგი ეკონომიკური ქაოსით ხსნიდა ქვეყნის დაქცევას. ზოგს ტექნიკური ჩამორჩენილობა აწუხებდა. უმრავლესობის აზრით, საქართველოს დამოგრაფიული კატასტროფა ემუქრებოდა.

— თუ ზნეობას არ მივხედეთ, ვერაფერი გადაგვარჩენს. — ამოიკვნესა ვიოლამ. — სინდის-ნამუსია გაწყვეტილი. ადამიანს თავის თავის მეტი აღარავინ და აღარაფერი ახსოვს.

— გეთანხმებით! — სახე გაუბრწყინდა ზებედეს. — ქართველების უპირველესი მტერი ეგოიზმია.

— ეგოცენტრიზმი! — დააზუსტა ვიოლამ.

— სამოცდაათმა წელმა მთლიანად გადარეცხა მორალი?

— ეს იოლად გამოსწორდება! — დამცინავად წარმოთქვა სტეპკო სვირინგიამ. — შეიცვლება ცხოვრება, შეიცვლება ზნეობაც.

— ვითომ?! თუ ჩვენ არ ვიზრუნეთ, შეიძლება უარესი მოჰყვეს.

— შემოვა უცხოეთის კაპიტალი. გვეყოლება ჩვენი ბიზნესმენები; დავდებთ ხელშეკრულებებს და უზნეობაც აღმოიფხვრება.

— მე მაგის მეშინია. თუ კვაჭობა და „მარიფათი“ არ მოვიშალეთ, მსოფლიოში მოგვეჭრება თავი.

— მართალი ხარ. ბიზნესი პატიოსნებას ითხოვს, ჩვენ კი, სხვანაირად გვესმოდა.

— არაპროფესიონალიზმი და არაკომპეტენტურობა გვღუპავს! — ჩაეცინა სვირინგიას.

— ესეც უზნეობითაა. არაპროფესიონალიზმი და არაკომპეტენტურობა უმეცრების, გაუნათლებლობის, პროტექციონიზმის პირმშოა.

— სწორია! — მიეშველა მარტოლეკი. — დღეს დალხინებული ისაა, ვინც სხვისი ძარცვა-გლეჯის მეტს არაფერს აკე-

თებს! გაუმაძღრობის ჭია უნდა გაქრეს ჩვენი ხასიათიდან.

— ყოჩაღ შენს ქართველობას! — შესძახა სვირინგიამ. — ფულის კეთებას მარტო ჩვენში მისდევენ?

— ყველამ თავის საქმეს მიხედოს! — წაიჩურჩულა ვიოლამ. — ქართველებმა ზნეობრივი კავშირი უნდა შეკრათ. ტრადიციები გამოვაცოცხლოთ. ქართული პატიოსნება მთელ ქვეყნიერებაზე განთქმული იყო. საქართველო საქმოსნებს, თვალთმაქცებს, ქურდებს აღარ დავანებოთ. ჩემს ჟურნალისტურ მოღვაწეობაში ამისთვის ვიკლავდი თავს. ამიტომ ამომხადეს სული ხორციჭამია ფსიქიატრებმა.

— უნდა დაიგმოს! — სახე აელეწა მარტოლეკს. — ველარ გაიგებ, რისთვის და რითი ნებივრობენ ჩვენი ბობოლები. ევროპაში თუ ვინმე მდიდრდება, ცოდნით, შრომით, ტვინით და კაცურკაცობით. ღორობა სამარცხვინოა.

— გეთანხმები! — ჩაერია უცნობი. — არაფერს ქმნი, ხალხს არაფერს აძლევ და ყველაფერი შენია.

— მიეჩვივნენ, რომ დამნაშავეს არავინ სჯის. ციხეები უდანაშაულო და უპატრონო ხალხითაა გატენილი. მდიდარი ყველასთან მართალია. ამან გარყვნა ყველაფერი. არსად ასე არ ეზიზღებათ სიმართლე.

— უკან-უკან მივდივართ. მაფია არსად ასე არხეინად არ გრძნობს თავს.

ამ სიტყვაზე ელდა ეცათ. საქართველოში „მაფიას“ ტაბუ ჰქონდა დადებული. იგი სხვა ქვეყნებში, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ბოგინობდა. აქ ვინ გაბედავდა ამის გაფიქრებას. ყველა თავისებურად პატრიოტობდა და მამულიშვილთა სიებშიც სულ ზემოთა სტრიქონი ეკავათ.

ეგოცენტრიზმს პირბადე აუფარებია. მომხვეჭელობა უზრუნველად შლიდა ფრთებს. ცოტა, ამ ორმოციოდე წლის წინ, ისიც კარიერისთვის, უშიშროების გენერალმა რუხაძემ დაიფრთხო, თორემ, სხვა ვინ გამოიდებდა თავს.

უკანონობა კანონად იქცა. „შეაჩერეთ საქვეყნო გარყვნილება!“ — დავიხოცეთ, აღარ შეგვიძლია. გმინავს ხალხი გულში. ხმამაღლა ვინ გაბედავს.

მძარცველებს „კონცერნი“ დაუარსებიათ.

— აქ ხომ ხეირი დაგვაყარეს, ახლა საზღვარგარეთაც ნახეთ!

— ნუთუ, ხმას არავინ ამოიღებს?!

— გაგიუდი?! ხომ დაჭამეს!

— ნახეთ, რა ტიტულებით ბრძანდებიან შემკობილი! მეცნიერი! ხელოვანი! ლაურეატი! აკადემიკოსი! დაეჭიდე თუ ვაჟკაცი ხარ! ყური უგდე მაგათ ქაჯურ პატრიოტიზმს! შეფარულ მუქარებს! „ჩუმად, თორემ, შეიძლება ყველაფერი უფსკრულში გადაიჩეხოს!“ „უცხოეთის რადიოსადგურები გვლანძღავენო!“ თითქოს, თუ ხმას ჩავიწყვეტთ, აღარ გაგვლანძღავენ.

— ჩვენი მილიონერები აღარ გვჭირდება!? — ქედმაღლურად მიაჩერდა სვირინგია.

— გვჭირდება, პატიოსნად გამდიდრებულნი და ზნეობრივი მილიონერები.

— ნაღდი და მართალი ყველაფერი გვინდა! — ჯიუტად თქვა ვიოლამ.

აგონდებოდა პანაშვიდი, სადაც ბაზარში სახელდახელოდ ნაყიდი ყვავილებით მივიდა. ჭირისუფალმა რისხვით შეათვალიერა და ბრძანა, შეუმჩნევლად გაეტანათ ეზოში. წაიღეს და აღარ გამოუჩენიათ. ნაგვის ყუთში გადაუძახეს. თვითონ მცხეთაში, წყნეთსა და ბეთანიაში არჩევდნენ ყვავილებს. განსვენებულს ზამბახისფერი აბრეშუმი ებურა და მასზე თეთრი ვარდებით არშიამოვლებული იის ჯვარი ელვარებდა, ბროლის ჭაღით გაბზინებული. მისაღები ოთახი, ვეება შავტყავიანი სავარძლებით, მალაქიტის მაგიდებითა და ანტიკვარის სამშვენისებით... კედლებზე გამოფენილი ლაურეატთა მიერ ნახატი განსვენებულის სურათები.

იცოდა, რომ ამ კომუნისტური დინასტია-მაფიის სათავეში იმყოფებოდა, ოდესმე მოჯამაგირე-კომკავშირელი, რომელიც მინისტრის სავარძელში ჩაესვათ და გარდა დახვრეტის ორდერზე ხელის მოწერისა, არაფერი იცოდა და ევალებოდა. დღეს ოჯახის შემოსავალი მილიონამდე აღწევდა. უსიკვდილოდ არ დათმობდნენ ასეთი „მძიმე გზით“ მოპოვებულ ბედნიერებას.

— ხალხი წელში წყდება! — ბოღმა ამოატანა ვიოლამ.

— ამათ არც სამშობლო სწამთ, არც ადამიანი.

— კორუფციას ახალ-ახალი შევსება ემატება.

— ქრთამით გამდიდრებულ-გადიდკაცებულები გზიდან რომ ურეკავდნენ პირად მდივნებს: „ხომ არავის ვუკითხივარ?“ „დატოვა რამე?“

— ამას რომ ვხედავ, სასოწარკვეთა მიპყრობს. გვეშველება რამე? გადავარჩენთ საქართველოს დაღუპვისაგან? ვინ განწირავს თავს! ვინ დაუპირისპირდება სატანურ ქაოსს?! რომელი ერთი ოპერაცია გაგახსენოთ? „ტარხუნა“, „მსხალი“, „მაყვლის ღვინო“ თუ „ვარაზის ხევი“!?

— ქართული ხასიათი იოლად ემორჩილება ზნედაცემულობას!

— ცილისწამებაა! — შეჰკივლა სვირინგიამ და თვალები გადმოქაჩა.

— სინამდვილე, რომელიც მემკვიდრეობად გვეძლევა, სავსეა სიბინძურით, კოშმარული უსამართლობებით, ეგოცენტრიზმის სულით.

— რას უნდა ველოდეთ ამ გაბღენძილი მედროვეებისგან?

— ამას არაფერი ეშველება. უქრთამოდ ჩვენში ვერავინ იცხოვრებს.

— დავღუპულვართ და ისაა. საცა ქრთამია, იქ წესიერი არც სკოლა იქნება, არც უმაღლესი განათლება, არც რამე წესრიგი და პატიოსნება. მასწავლებელს ჭამა-სმა არ უნდა?! რით იცხოვროს? როგორ უპატრონოს ცოლ-შვილს?

— მე არ მითქვამს, დღესვე მოისპობა ქრთამი-მეთქი.

— არც დღეს, არც არასოდეს. რამდენიმე წლის წინ მეგობრის შვილი აბარებდა მისაღებ გამოცდებს. სამ საგანში უმაღლესი ნიშანი მიეღო. ბოლოს, ლიტერატურაში წერით გამოცდაზე ორიანი დაეწერათ და ინსტიტუტის გარეთ რჩებოდა. მეგობარს საკონფლიქტო კომისიაში გაესაჩივრებინა და მთხოვა, გავყოლოდი ნაწერის შესაფასებლად. ნაშრომი წითელი მელნით იყო აჭრელებული და უიმედოდ ჩავიქნიე ხელი, მაგრამ წავიკითხე და გაოცებული დავრჩი! არც ერთი შეცდომა! „ხუთი“ თუ არა, „ოთხი“ ხომ ნაღდად ეკუთვნის. მას კი „სამიანიც“ ჰყოფნის. საკონფლიქტო კომისიაში სულ ჩემი ნაცნობ-მეგობრები არიან. იმედიანად მივედი ერთ-ერთ-

თან და მივუთითე, რომ წითელი ხაზები შეცდომითაა გასმული და ნაშრომი მაღალ შეფასებას იმსახურებს. როგორ გგონიათ, დავაჯერე და შევაცვლევინე რამე? უტიფრად შემომყურებდა თვალებში და მიმტკიცებდა, რომ გახაზული ადგილები შეცდომით იყო დაწერილი.

— შენ მასწავლებელს ამტყუნებ ამ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს უბადრუკობას?

— ვერც მასწავლებელს გაამართლებ! სკოლაში ნოლკლასიდან ითხოვენ „პატივისცემას"! თავს აარიდებ!? კარგ დღეს არ დააყრიან თქვენ ნორჩს. სიცოცხლეს გაუმწარებენ და ბოლოს შეუძლიათ მკაცრი მოთხოვნაც წამოგიყენონ: „გადაიყვანეთ ამ სკოლიდან!"

— ჩხუბით და სიმართლით რას გაიტან!? უნდა „ჩააწყო"!

— თქვენ წარმოდგენა არ გაქვთ, რა გაჭირვებაშია, რას ითმენს ხალხი!

— მაფიამ სამშობლო არ იცის! მაფია საქართველოს ახრჩობს. ვინ გაბედავს ამის თქმას!? ვის აბია ცხრა თავი?!

— თვალი გაახილეთ, რას სჩადის მაფია დღეს! ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობების, სამინისტროებისა და რაიკომების ყიდვა-გაყიდვით აღარ კმაყოფილდებიან. უცხოურ ფირმებს ეპატრონებიან, ეროვნული აბრებითა და ქველმოქმედების სახელით სპეკულანტურ საზოგადოებებს აარსებენ ხალხისთვის უკანასკნელი სისხლის გამოსაწოვად და ნაციონალური სიმდიდრის გასაზიდავად. უსინდისოდ სარგებლობენ იმით, რომ მაგათთვის დღეს არავის სცალია. ძარცვა-გლეჯის სინდიკატებია ამოქმედებული. ისიც იციან, როგორ დაბრმავონ გაჭირვებული და გულუბრყვილო ხალხი. ქურდს რა უნდა, ბნელი ღამეო. უნამუსოდ ნთქავენ უძრავ-მოძრავ საქართველოს.

— სანამ ეს ძარცვა-გლეჯა, ყაჩაღობა, ძმაბიჭობა, სიხარბე არ მოისპობა, საქართველოს არაფერი ეშველება.

— ნუ განიკითხავთ, რაითა არა განიკითხნეთ! მაფიასთან ჭიდილი ხეირს არ დაგვაყრის. უფრო აირევა ეს პატარა საქართველო!

— დღეს ყველაფერი გაუფასურებული და გაყალბებუ-

ლია. ადგილშენაცვლებული. ერთი ძმა რომ საკონსერვო ქარხნის დირექტორია, მეორე პროკურორის სავარძელში მოკალათებულა.

* * *

1990 წელი მდუღარე პოლიტიკური მოვლენებით დაიწყო. თუ ასე გაგრძელდა, დიდი ამბებია მოსალოდნელი. მთავარი მიზეზი მაინც უზენაესი საბჭოს არჩევნებია.

— თქვენც ბოიკოტის გამოცხადებას ხომ არ აპირებთ?

— რა თქმა უნდა: ამგვარი არჩევნებით თავის თავსაც ვიტყუებთ და ხალხსაც.

— რატომ, ფარული არაა?!

— კი, ბატონო, ფარულია, მაგრამ დასამალავი რომ არაფერია!

ეროვნულ-ოპოზიციური პარტიები მრავალპარტიულ არჩევნებს ითხოვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოიკოტით იმუქრებოდნენ. კომუნისტები, ფაქტობრივად, შეშინებული იყვნენ იმ აზრს, რომ არჩევნები ჩაიშლებოდა.

შემოდგომის მიწურულიდან თბილისში საპროტესტო აქციები გრძელდებოდა. შიდა ქართლის კონფლიქტი მოუგვარებელი რჩებოდა. მერაბ კოსტავას დაღუპვამ ახალი წინააღმდეგობები დაბადა.

ოცდაორიდან ოცდახუთ იანვრამდე სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა კონფერენციამ უსამართლოდ მიიჩნია არჩევნების ძველებურად ჩატარება. ნოდარ ნათაძემ, ზვიად გამსახურდიამ, აკაკი ბაქრაძემ საარჩევნო სისტემის გარდაქმნა მოითხოვეს.

ბოიკოტისგან თავის დასაღწევად, უზენაესი საბჭოს ოცი მარტის სესიამ იურიდიულად აღიარა მრავალპარტიულობა. ნება დაერთო პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, თანაბარ პირობებში მიეღოთ მონაწილეობა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში. ამავე პროცესში გამომუშავდა აზრი, რომ საქართველოს აერჩია ოპოზიციური ეროვნული სათათბირო. კომპარტია შეუდგა ეროვნული განკითარების კონცეფციის შედგენას. ეროვნულმა ოპოზიციამ

ისარგებლა ამით და ჩამოაყალიბა თვალსაზრისი სათათბიროს საერთაშორისო ასპარეზზე უფლებამოსილების შესახებ.

ოცდაერთ მარტს უნივერსიტეტის ეზოში „ურთიერთმიტევების“ მიტინგი გაიმართა.

ჯერ კიდევ არ ჩანს, რით დასრულდება ბოიკოტირება. ჟურნალ-გაზეთებიდან, აფიშებიდან, მოსაწვევი ბარათებიდან შემოგვყურებენ დეპუტატობისთვის გაგიჟებულ „გამოჩენილ ადამიანთა“ ყეყეჩი სახეები. ისინი მზად არიან ყოველგვარ არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა, ოღონდაც საზოგადოებას დაენახვონ. „საკუთარ პროგრამებს“ გვთავაზობენ, აყვავებისა და აღორძინების პროგრამებს. მოგვიწოდებენ, ხმა მივცეთ „საინიციატივო ჯგუფის“ რჩეულს. რახანია, ეწყობა „დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან“.

ზებედე თვრამეტ მარტს დაესწრო ერთ ასეთ შეხვედრას კინო-თეატრ „კოსმოსში“.

სწორედ ამ დღეებში ფილარმონიის დარბაზში მიმდინარეობს საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია, რომელიც გახსნა და სხდომებს ხელმძღვანელობდა ზვიად გამსახურდია. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია კატეგორიულად აცხადებდა, რომ უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩაშლილია. ეს პირველი უპრეცედენტო შემთხვევაა საბჭოთა იმპერიაში. კონფერენციაზე საზოგადოების წინაშე თავისი პოზიციებით წარსდგა ყველა წამყვანი ეროვნული პარტია და ორგანიზაცია. მოხსენებით და სიტყვებით გამოვიდნენ: ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, თემურ ქორიძე, ნოდარ ნათაძე, ნოდარ წულეისკირი, თენგიზ სიგუა, ჯაბა იოსელიანი, აკაკი ასათიანი და სხვანი.

მთავრობა ცდილობს, რაღაც რეცეპტები შესთავაზოს ქართულ ეროვნულ მოძრაობას.

კონფერენციამ აირჩია და შეადგინა ეროვნული ფორუმი. მონაწილე პარტიების სია იწყება პელსინკის კავშირით.

პრეზიდიუმში ერთმანეთის გვერდით სხედან ზვიად გამსახურდია, ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია. გაღიმებულნი, გარდა ზვიადისა, რომელსაც ძლიერ სერიოზული გამომეტყველება აქვს.

, გიორგი ჭანტურია დაასკვნიდა: „ეროვნული ფორუმი თავისთავზე აიღებს ეროვნული ხსნის კომიტეტისა და ეროვნული მოძრაობის ყველა ფუნქციას, ამასთან დაკავშირებით, ეროვნული ხსნის კომიტეტმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადა“.

ახალგაზრდა ორატორები პოლიტიკაში ვარჯიშობენ. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი თვლის, რომ „კონფერენციის მიზანია, დაასახელოს ის იურიდიული პირი და ორგანო, რომელსაც ექნება უფლება ილაპარაკოს ქართველი ერისა და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის სახელით. ასეთი იურიდიული პირი იქნება გარდამავალი კოალიციური ხელისუფლება — ამჟამად არსებული ოფიციალური ხელისუფლების ოპოზიციური ძალა“. ორი დღის შემდეგ იგივე ლიდერი კმაყოფილებით ამბობდა: „კონფერენციის მიზანი მიღწეულია. არჩეულია ეროვნული ფორუმი. ფორუმში თავი მოიყარა პატიოსანმა და, რაც მთავარია, საქმის გამკეთებელმა ხალხმა“.

იმავე დღეს საქართველოს ერთიანობის, მთლიანობის იდეით გამსჭვალულმა ხალხმა „ერთმანეთის მიტევებისადმი“ მიძღვნილი მიტინგი მოაწყო, რომელიც უნივერსიტეტის ეზოში დაიწყო და სიონის საკათედრო ტაძარში დაგვირგვინდა.

მაშინ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ამ ურთიერთ მიტევების აღთქმას ასრულება არ ეწერა.

კონფერენციის რეზოლუციაში შეტანილია მუხლები: „უზენაესი საბჭოს დეპუტატობის ყოველ კანდიდატი მორალურად ვალდებულია მოხსნას საკუთარი კანდიდატურა“... „იმ შემთხვევაში, თუ 25 მარტს დანიშნულ არჩევნებს საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება გადაიტანს იმ არჩევნებსაც, ისევე როგორც ნებისმიერ საბჭოთა არჩევნებს, გამოეცხადება ბოიკოტი“.

ამით უზენაესი საბჭოს არჩევნებს ჯვარი დაესვა. ეს იყო იმედიანი თათბირებისა და კონფერენციების გაზაფხული. თითქმის ერთდროულად, კინო-სახლში სახალხო ფრონტის საგანგებო კონფერენციაც ჩატარდა.

ზოგი მაინც სკეპტიკურად უყურებდა მარტის შერიგებას და წინა წლის 29 ოქტომბერს იგონებდა, როცა სამხატვრო გალერეასა და მთავრობის სახლთან უკვე აშკარად გამოკვეთილი ორი ფრთის პარალელური მიტინგი ჩატარდა.

* * *

ვიოლამ საათს დახედა. ორ საათზე ტექნიკურ ბიბლიოთეკასთან უნდა ყოფილიყო, სადაც თავისუფალ შემოქმედთა საძმო იკრიბებოდა.

რამდენიმე ვაჟაური ლექსი დაეტოვებინა. მეგობართა აზრს უცდიდა.

ეს „საძმოც“ იმ დროს გავრცელებული „სკვერების პარტიებისა და საზოგადოებების“ რიცხვს ეკუთვნოდა და ხელნაწერ ჟერნალს სცემდა.

გაძლიერებით მიმდინარეობდა სახელმწიფო, საზოგადოებრივი, სავაჭრო-სამრეწველო, შემოქმედებითი დაწესებულებების აშკარა თუ შენიღბული დატაცება-დაპატრონება. მაკონტროლებელი სისტემა მთლიანად მოშლილიყო და მოქმედებდა მმართველი ძალა დაინტერესებული ქაოსით. იბეჭდებოდა აურაცხელი წიგნი და გაზეთი, ვისაც რა მოესურვებოდა, კითხვის მოცალეობა, გულისდადება და ინტერესი ჰქონდა. აკადემიის წინ, კინო სახლთან, პრესის ჯიხურებთან ხალხის ბრუნვა არ წყდებოდა.

პარკებში ბეღურებივით ჩამომსხდარიყვნენ ადამიანები, რომელთაც, სტალინის გარდა, არაფერი აღელვებდათ და კუჭის გარდა, სხეულის არცერთ ორგანოს აღარ გრძნობდნენ.

ყმაწვილკაცობას პარტიები ჩამოერიგებინა და იერიშისთვის ემზადებოდნენ. ბევრს პრეზიდენტობა ან თანაპრეზიდენტობა გაეხერხებინა და ახლა ტვინს იჭყლეტდა, რა სარგებლობა მიეღო აქედან.

ზოგს მეტად მიმზიდველი სახელწოდება მიეთვისებინა. უკეთესს ვერ ინატრებდი. სარფიც მიეგნო, მაგრამ მაინც უკმაყოფილოდ წუწუნებდა, რომ ხალხი უგულოდ ეკიდებოდა. პირს იტკბარუნებდნენ „იმპერიის“, „სატრაპების“, „მოდერნიზებული ბოლშევიზმის“ ლანძღვა-გინებით, თუმცა ორიოდ თვის წინ ჯერ კიდევ კომკავშირის ცეკაში ცდიდნენ ბედ-იღბალს.

საშიში აზრთა პლურალიზმი და პოლემიკა კი არაა, არამედ ის, რომ ეს დაწესებულებები, პრესა და პარტიები აღმოცენდა შინაგანი მოწოდების გარეშე, დრომოჭმულ ოფი-

ციალურ, თანამდებობრივ და ფინანსიურ ფესვებზე. მედროვეებმა ახლა ამ გზით იგდეს ხელთ ძალაუფლება და კაპიტალი. დაიწყო ახალი მტაცებლური გადანაწილება, რასაც ოპოზიციურ შეფერილობას აძლევდნენ. არაფერს ზოგადვდნენ იმისთვის, რომ გამაჯანსაღებელი სიახლე ბნელ კუთხეებში მიემწყვდიათ.

გრძელდება ცხოვრება დრომოჭმული ხერხებით, მეთოდებით და გამოცდილებით. ცუდად შევდივართ ჩვენთვის უცნობ სამყაროში.

არ უნდა დავუშვათ, რომ ამ მემკვიდრეობით შევუძღვეთ ჩვენს ხალხს აღთქმულ ქვეყანაში.

* * *

ჭრელი შემადგენლობის, ლიდერთა იდეური და პიროვნული შეუთავსებლობის გამო, ეროვნული ფორუმი მალე დაიშალა.

იქნებ, იმიტომ, რომ ბუნებრივი მშობიარობით არ დაბადებულა.

თითქმის შექმნისთანავე, მარტში, „საქართველოს ეროვნული ფორუმის“ სახელით გამოქვეყნდა „მიმართვა ქართველი ერისა და მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი“, რომელშიც ჩამოყალიბებულია ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის უახლოესი ამოცანები. მიზნის მიღწევის საშუალებად აღიარებულია „მშვიდობიანი სამოქალაქო დაუმორჩილებლობა“, სრულიად სახალხო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით ეროვნული კონგრესის არჩევა, რომელიც უხელმძღვანელებს ეროვნულ მოძრაობას, კოორდინირებას გაუწევს მას, კონტროლს დაუქვემდებარებს ფაქტიურ ხელისუფლებას და აიძულებს, დაემორჩილოს ქართველი ხალხის ნებას, სანამ პოლიტიკური ბრძოლის საშუალებებით არ მიაღწევს საოკუპაციო ჯარების გაყვანას და დამოუკიდებლობის აღდგენას.

ბევრ მონაწილეზე ფორუმის იდეებმა მწიგნობრულობის შთაბეჭდილება დატოვა. პოლიტიკური რომანტიკის ილუზია იგრძნეს. ცოტა რთული პროცესი გაბმულ მოვლენად იგულისხმებოდა, თითქოს, ვიღაც „სამყაროს გამგებელი“ ვალ-

დებული იყო, ასე თანმიმდევრულად წარემართა მოვლენების განვითარება.

ზვიად გამსახურდიას, ეტყობა, უტოპიად და ძალების გამომფიტველად ეჩვენა ეს გეგმა. მისი სული ცოცხალ, ელასტიურ მოქმედებას ითხოვდა.

ორ მაისს დაიბეჭდა მისი თანამოაზრეების „მიმართვა ქართველი ერისადმი“:

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ მაისის ნომერში გამოქვეყნებულია ეროვნული ფორუმის განცხადება, სადაც საუბარია ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების მიერ ფორუმის დატოვებაზე, რაც შეფასებულია „ეროვნული მოძრაობის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად“ და „მტრის წისქვილზე წყლის დასხმად“.

ამგვარი განცხადება და პრესაში მისი გამოქვეყნება მიგვაჩნია შეუწყნარებლად, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იყო განმარტება იმ მიზეზებისა, რამაც გამოიწვია ამ პირებისა და ორგანიზაციების ნაბიჯი, საჭირო იყო აგრეთვე პარალელურად გამოქვეყნება ჰელსინკის კავშირის განცხადებისა, სადაც ახსნილია ყოველივე ეს.

საქმე ის არის, რომ ფორუმის ყველა მონაწილე ვერ აღმოჩნდა სათანადო ზნეობრივ დონეზე და ეროვნულ მოძრაობას დისკრიდიტაციის საფრთხე შეექმნა. უმთავრესი მიზეზი ჩვენს მიერ ფორუმის დატოვებისა იყო სკანდალური ინციდენტი, სროლა ფორუმის მიმდინარეობის დროს, ტერორისტული აქცია, რომელიც მიმართული იყო ფორუმის ზოგიერთი წევრის წინააღმდეგ. მიუხედავად ჩვენი კატეგორიული მოთხოვნისა, ფორუმის წევრთა ერთი ნაწილი თავს იკავებს ამ აქციის პოლიტიკური შეფასებისაგან და მის მომწყობთა წერილობით, საჯაროდ მხილებისაგან, თუმცა კარგად უწყის მათი ვინაობა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იმავე დღეს, 24 აპრილს, ფორუმის სხდომაზე და მიტინგზეც ირაკლი წერეთლის მიერ ეს პიროვნებები სიტყვიერად დაგმობილ იქნენ და გამოცხადდნენ ეროვნული მოძრაობის მტრებად.

ყოველივე ამაში გამომჟღავნდა ეროვნული მოძრაობის განადგურების მცდელობა კორუმპირებული მაფიის მიერ, რომელსაც ფარულად წარმართავს ოფიციოზი. რაოდენ სავა-

ლალოა, რომ ამ მაფიამ ფორუმშიც მოახერხა შეღწევა! აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველივე საბოლოო მიზნად ისახავს საქართველოში სამოქალაქო ომის პროვოცირებას და საგანგებო მდგომარეობის შემოღებას, რასაც დიდი ხანია ამზადებს კრემლი, რათა ჩაახშოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა.

ასე რომ, ეროვნული მოძრაობის ერთიანობას ფორუმიდან ჩვენი გასვლით კი არ ემუქრება, საფრთხე, არამედ ორგანიზებული ტერორიზმისაგან, რომელსაც ჩვენი ერის უბოროტესი მტრები უპირისპირებენ ეროვნულ მოძრაობას და მის წარმომადგენლებს.

ეროვნული ფორუმი არ უნდა იყოს თავშესაფარი ტერორისტებისა, იგი არ უნდა უწყობდეს ხელს მათ ბოროტმოქმედებას თავისი წაყრუებით და არ უნდა ჰქონდეს ალიანსი მათთან. მხოლოდ ამგვარი საგანგაშო მოვლენების დაგმობით და სათანადო ზნეობრივი დონით შესძლებს იგი იმ მისიის აღსრულებას, რომელიც მან დააკისრა საკუთარ თავს.

უნდა განვაცხადოთ აგრეთვე, რომ ფორუმის განცხადებაში არასრულადაა ჩამოთვლილი ფორუმიდან გასული პირები, მიჩქმალულია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ფორუმის 13 წევრმა ხელი არ მოაწერა ხსენებულ განცხადებას. ამდენივე წევრი უკვე გასულია ფორუმიდან, ხოლო განცხადებას ხელს აწერს 20 წევრი, ე. ი. ფორუმის წევრთა პირვანდელი შემადგენლობის უმცირესობა. ხელმომწერთა შორის არიან აგრეთვე ამ ტერორისტული აქციის მომწყობნი.

ჩვენ მივმართავთ ქართველ ერს, ჩვენს საზოგადოებრიობას, ეროვნული მოძრაობის ყველა ჭეშმარიტ აქტივისტს, აღიმაღლოს ხმა, რათა აღიკვეთოს ტერორისა და ძალადობის ახალი ფორმების გამოყენება ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა წინააღმდეგ.

ზვიად გამსახურდია, თეიმურაზ ქორიძე, ავთანდილ რცხილაძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, თენგიზ კიტოვანი, გიორგი ხონელიძე, გურამ პეტრიაშვილი, ვაჟა ადამია, შალვა წიკლაური, თედო პაატაშვილი, გიორგი ხოშტარია, არკადი მარკოზია, რევაზ კემულარია, ჯემალ გოლეთიანი, ერეკლე საღლიანი, ალეკო მე-

ლაძე, თენგიზ კიკალეიშვილი, თენგიზ მანაგაძე, თენგიზ სიგუა, დათო ანდღულაძე, ამირან კალაძე, მირონ ხერგიანი, თემურ ლორთქიფანიძე, თენგიზ დიხამინჯია.

ეს მეხის გავარდნას და ახალ საფეხურს ნიშნავდა საქართველოს ისტორიაში.

ავტორი თავის მოვალეობად თვლის, ბირუთვნელ მემატიანედ დარჩეს. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ პიროვნული ინტერესები და ხასიათებიც ამღვრევს ჩვენს საერთო საქმეებს.

ნურც ზოგიერთი მანდილოსნის ორკაპა ენის სავსავს დავივიწყებთ.

გული მიკვდება, ამის დაწერა რომ მჭირდება. მაგრამ ნუ გაიოცებთ, ეს მარტო თანამედროვეობის მანკი არაა. უარესიც შემხვედრია, 1832 წლის შეთქმულებაზე რომანს რომ ვწერდი. თუმცა, ისტორიას დიდი გადაადგილების უნარიც შესწევს: დამნაშავეები გააპატიოსნეს, ხოლო რომანტიკული რაინდი, იასე ფალავანდიშვილი მარადიული მოღალატის ჯვარს აცვეს.

24 აპრილს, დილის თერთმეტ საათზე, წიგნის მაღაზიას რომ მიუახლოვდნენ, ზებედე და მარტოლეკი ავტომატების მქისე გასროლებმა დააფრთხო.

ტყვიების ჯერმა მოპირდაპირე მხარეს, ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის კედლებს გადაუტყლაშუნა, სადაც იმ გაზაფხულზე ბინა დაიდო ფორუმში გაერთიანებულმა რამდენიმე პარტიამ.

პანიკა გამოიწვია ქალაქის ცენტრში, ხალხმრავალ გამზირზე ატეხილმა ბათქა-ბუთქმა. ალბათ, მოულოდნელობით და დაუცველობის შეგრძნებით უნდა ავხსნათ ის შიში და დაბნეულობა, რომელიც ყველას შეეტყო.

— რამდენი ქალაქი გადამირბენია თავიდან ბოლომდე ინტენსიურ ცეცხლში, მაგრამ ამდენი ზაფრა არ მაგონდება! — აღიარა მარტოლეკმა.

— თბილისია, ძმაო„ არ გვემეტება ტყვიის ზუზუნისთვის. ომი ხომ არაა.

— წამო, გავიგოთ, რა ხდება!

სროლა, მართალია, აღარ განმეორებულა, მაგრამ ხალხი მაგრად დამფრხალიყო.

ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი ხალხის ლაპარაკში გაისმოდა:

მხედრიონი", „თეთრი გიორგი". ახსენებდნენ რაღაც თათბირს, რომელზედაც მწვავე კონფლიქტი მომხდარიყო. ვიღაცას სხდომა მიეტოვებინა. ვიღაცას სროლის განკარგულება გაეცა. რამდენიმე მეომარს მომარჯვებული ავტომატებით პროსპექტი გადაეკვეთა.

— დედაქალაქში რომ პარტიზანები ატეხავენ სროლას, ცუდადაა ქვეყნის საქმე! — ამოიოხრა ზებედემ.

— ბევრი არაფერი! ეტყობა, „ფახს აძლევენ" ერთმანეთს.

— თუ ახლავე არ მიეხედეთ, შეიძლება, დაგვიანდეს.

— შურმან სახლისა ჩემისამან შემჭამა მე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რა ჭირი დაგვდგომია ერთმანეთის შურისგან.

რუსთაველის გამზირზე შეიარაღებული კონფლიქტის წაყრუებამ, რომელიც არავის სერიოზულად არ განუხილავს, ურთიერთობა უკიდურესად დაძაბა და შემარიგებლობის სულისკვეთება დაამკვიდრა.

უცხოეთის პრესა ამ დროსაც საკმაო ყურადღებას იჩენდა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი.

„ფაინეშლ ტაიმსი" ეროვნულ ფორუმზე წერდა:

„საქართველოს ახალგაზრდა ღრმადმორწმუნე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები დარწმუნებული არიან, რომ ლიტვის პარლამენტის ნაბიჯი მცდარი იყო. მათი აზრით, დამოუკიდებლობის მისაღწევად პირველი ნაბიჯი უნდა იყოს საოკუპაციო ჯარებისაგან (საბჭოთა არმია) განთავისუფლება, რაც მიიღწევა ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადებით და განხორციელებით. ისინი არ ეთანხმებიან ლიტვის მიერ გამოცხადებული საბჭოთა სახელმწიფოს ინსტიტუტების გამოყენების მცდელობას. ისინი ამ ინსტიტუტებს თვლიან არაკანონიერად.

ურყევი, უკომპრომისო ეროვნული მოძრაობის მომხრეების მიერ გამოცხადებულმა ბოიკოტმა ოქტომბრისათვის გადაატანინა საქართველოს მთავრობას მარტში დანიშნული არჩევნები. ამავე დროს ისინი აცხადებენ, რომ არ დაუშვებენ არჩევნების ჩატარებას, თუ საარჩევნო უფლებები შეეზღუდებათ. „საქმე ის როდია, კონსტიტუცია კარგია ან ცუდი, საქმე ისაა, რომ ეს კონსტიტუცია უცხოა" — ამბობს ეროვ-

ნულ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია. იგი ინტერვიუს აძლევდა ქალაქის ცენტრალურ შენობაში, რომელიც მისმა პარტიამ ადგილობრივ კომუნისტურ პარტიას წაართვა. ბატონმა ჭანტურიამ, ბატონმა გამსახურდიამ და ბატონმა ირაკლი წერეთელმა გადადეს თავიანთი უთანხმოებები, რათა ჩამოეყალიბებინათ ეროვნული ფორუმი. ეროვნული ასამბლეის არჩევნებით, რომელიც შესაძლებელია საქართველოს სახელმწიფოებრიობას მოაპოვებინებს.

ლიტვისგან განსხვავებით, საქართველოში არსებობს საშუალო ფენა, რომელსაც მოსწონს ახლადბოძებული სიტყვის და საზღვრგარეთ გამგზავრების თავისუფლება და რომელსაც არ აწუხებს სურსათის დეფიციტი. ამ ფენას ძალიან ეშინია, რომ ის ქვეყანა, რომელსაც აშენებდა მთელი თავისი ცხოვრება, ერთბაშად დაინგრევა ნაციონალისტების ზომაგადასული ენთუზიაზმით, ეს კი გამოიწვევს სამოქალაქო ომს და კრემლის რეაქციას „აზერბაიჯანულ სტილში“.

ამჟამად თბილისი ახლო აღმოსავლეთის ერთადერთი კოსმოპოლიტური ქალაქია, ისეთი, როგორიც თავის დროზე იყო ალექსანდრია, სტამბოლი, სალონიკი და ბაქო (იანიჩარების დარბევამდე), ქალაქები, სადაც ცხოვრება გამსჭვალულია სხვადასხვა ერის კულტურათა ურთიერთობით.

მაგრამ, როგორც გვიჩვენებს ამ ქალაქების გამოცდილება, ეს საუკუნოებით შექმნილი ურთიერთობა შეიძლება წაიშალოს ერთ ღამეში, იმ შემთხვევაში, თუ თავი აიშვა რასისტულმა ატავისტურმა გრძნობებმა“.

ფორუმიდან გამოსვლის შემდეგ, არაჯანსაღი აჟიოტაჟი შეიქმნა ერთიანობის აღდგენის მოტივით. მოდიოდა წერილები, რომ „ეროვნული მოძრაობის გათიშვა დამღუპველია“. „ეროვნულ ყრილობაში“ არ მონაწილეობს ეროვნული მოძრაობის პატრიარქი ზვიად გამსახურდია“. ითხოვდნენ „ცნობილი მოღვაწეების“ შუამავლობას ამ საქმეში. „ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ჩიხში მოექცაო“. საქმე კურიოზებამდე მიდიოდა:

რედაქციაში მოვიდნენ საქართველოს ეროვნული ფორუმის წარმომადგენლები. მათ მოიტანეს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრში გაერთიანებული პო-

ლიტიკური პარტიების ლიდერთა — გიორგი ჭანტურიას, ირაკლი წერეთლის, გურამ გოგბაიძის, თენგიზ შარმანაშვილის განცხადება, რომლებიც ტელედებატებში იწვევენ ზვიად გამსახურდიასა და „მრგვალი მაგიდის“ კიდევ სამ წარმომადგენელს, რათა ბოლო მოეღოს მითქმა-მოთქმას, ჭორებს, ცილისწამებებს და ქართველმა ერმა თვითონ განსაჯოს, ვინ მტყუანია, ვინ მართალი.

განცხადებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ დღეს, როცა ეროვნული მოძრაობის რადიკალური და ლიბერალური ფრთები გაერთიანდა და ქართველი ერი, სრულიად საქართველო ეროვნული კონგრესის არჩევნების კარიბჭესთან დგას, დროა ხალხმა გაარკვიოს, რა ხდება ეროვნულ მოძრაობაში და რა არის პოლიტიკურ ორგანიზაციათა შორის განხეთქილების მიზეზი.

ტელედებატებში მონაწილეობა, ეროვნული ფორუმის წარმომადგენელთა აზრით, უნდა შედგეს სამ ივნისამდე, რადგან შემდეგ ზოგიერთი მათგანი შესაძლოა თბილისში არ იმყოფებოდეს.

ამ მოწოდებებს არავითარი წარმატება არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონოდა. მორიგებას ყოველთვის სიკეთე არ მოსდევს.

სამშვიდობო მისიების პარალელურად, მწვავე აქციები ეწყობოდა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ.

ზაფხულში ფორუმიდან გასული პატრიოტები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

22 მაისს ფორუმმა და საკოორდინაციო ცენტრმა შეურიგებლობის განცხადება გამოაქვეყნა.

ეროვნულ ყრილობაზე მონაწილეობდა ოთხმოცი პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი გაერთიანების ექვსასზე მეტი დელეგატი. საწარმო-ორგანიზაციათა წარმომადგენლები. მეცნიერები, სტუდენტები, შემოქმედებითი კავშირების წევრები, აფხაზეთის, ოსეთის წარმოგზავნილები. ამერიკის და საფრანგეთის ქართველი ემიგრანტები.

ყრილობამ გაუგონარი ზარზეიმით, ოპტიმისტურ ტალღებზე ჩაიარა და ჰეგემონიის სრული დამაჯერებლობა შექმნა.

მაისის ბოლოს ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო

ცენტრი საზოგადოებას აუწყებდა: „ყრილობაზე მოხდა სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგარი ეროვნულ-პოლიტიკური პარტიების გაერთიანება. რამეთუ უზენაესი მიზანი ყველასთვის ერთია — საქართველოს სრული დამოუკიდებლობა... ირკვევა, რომ ბევრ რაიონში ეროვნული ძალები ჯერ კიდევ დაქსაქსული არიან. არც თუ იშვიათად, უპირისპირდებიან ერთმანეთს, რაც ძირითადად გამოწვეულია პიროვნული მოტივებით. დღეს, როცა საჭიროა ყველა ძალების მობილიზება, რათა ჩატარდეს კონგრესის არჩევნები, საკოორდინაციო ცენტრს ასეთი ვითარება შეუწყნარებლად მიაჩნია...“

„ეროვნულმა ყრილობამ“ 30 სექტემბრისთვის დანიშნა ეროვნული კონგრესის არჩევნები.

* * *

„ეროვნული ფურუმი“ და „მრგვალი მაგიდა“ გათიშვისთანავე ისე ანტაგონისტურად დაუპირისპირდა ერთმანეთს, რომ პირადი შეუთავსებლობის მომენტი არავითარ ეჭვს არ იწვევს. სხვა საბუთი რომ არ გვქონოდა, ამას პარალელური მიტინგები, დემონსტრაციები, პოლემიკა და ძალისმიერი მეთოდებიც ადასტურებს. მორიგების ცდა, კონსოლიდაციისკენ მოწოდება, ხვეწნა-მუდარა მხოლოდ ამძაფრებდა ურთიერთობას.

26 მაისის ზეიმი ფორუმმა საქართველოს ეროვნულ სტადიონზე გადაიხადა. „მრგვალ მაგიდაში“ გაერთიანებული პარტიები ლოკომოტივის სტადიონზე შეიკრიბნენ იმავე დღეს.

ასეთ ღონისძიებებს თან დაჰყვა გამაღიზიანებელი ტონი, ნიშნის მიგება, სიძულვილიც.

მაისის ბოლოს ჩატარდა ილია მართლის საზოგადოების პირველი ყრილობა, რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა. დაამტკიცეს საზოგადოების წესდება. თავმჯდომარემ დაახასიათა ეროვნულ მოძრაობაში შექმნილი მდგომარეობა. სერიოზული სიძნელეები, რომლებიც ბოლო დროს წარმოიშვა. „უნდა დღენიადაგ ვიფიქროთ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მომავალზე“.

გამგეობის წევრმა გურამ გოგბაიძემ მიმდინარე მოღვაწე-

ობის ძირითად ამოცანებად გამოაცხადა ეროვნულ ყრილობაში მონაწილეობა და კონგრესის არჩევნები. ნიშნად უმრავლესობასთან კავშირის გაწყვეტისა, მან თანამოაზრეებთან ერთად, დატოვა ყრილობის დარბაზი.

ყრილობამ აირჩია გამგეობა, სათათბირო. თავისი რიგებიდან გარიცხა გოგბაიძე საზოგადოების ფორუმის მომხრეთა ფრაქციის შექმნით განხეთქილების შეტანისთვის.

ყრილობის გადაწყვეტილებებმა ცხადყო, რომ „მრგვალი მაგიდა“ სერიოზულად ემზადებოდა მომავალი მრავალპარტიული არჩევნებისათვის: ავსებდა და აახლებდა თავის რიგებს; ეძებდა გზებსა და ღონისძიებებს ქართველი ხალხის ნდობის მოსაპოვებლად. ერთგულ ბირთვად ჰკრავდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლებს.

შეიმჩნეოდა მისწრაფება, თავი დაეღწიათ შემთხვევითი პირებისგან, სხვადასხვა გარემოებათა გამო რომ აჰკვროღნენ ეროვნული მოძრაობის აგორებულ ზვავებს. მასობრივობაც, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ხარისხი: ზნეობრიობა და დისციპლინა.

* * *

ფორუმიდან გასვლის უმთავრეს მიზეზად ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა მაფიასთან, კორუმპირებულ წრეებთან კავშირის გაწყვეტის აუცილებლობა. ეს არის საქართველოს ეროვნული მოძრაობის ყველაზე პრინციპული და რისკიანი ნაბიჯი. მანამდე იმის თქმაც ვერავის გაებედნა, რომ არსებობს „ქართული მაფია“, რომელიც დამღუპველ გავლენას ახდენს ერის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ზნეობრივ, სულიერ ცხოვრებაზე. უფსკრულში მიაქანებს საზოგადოებას. სცემს ეროვნული მოძრაობის ცხოველმყოფობას, საერთაშორისო ავტორიტეტს.

როგორ შეხვდება ამ ნაბიჯს საზოგადოება? რას იტყვიან კორუმპირებული წრეები? ხომ არ გადაჰყვება ამ რისკს ქართული ეროვნული მოძრაობა? თვით ზვიად გამსახურდია?!

„ქართულ მაფიას“ იმთავითვე ტაბუ ჰქონდა დადებული: მისი ხსენებაც სამშობლოს ღალატად ჩაითვლებოდა და არავის

შერჩებოდა. ამა ქვეყნისა ძლიერნი არავითარ შემთხვევაში არ დაინდობდნენ „მოღალატეს“.

— სულელი ყოფილა! — თქვა ბეჟან სურამელმა. — დამთავრდა მაგისი ბოგინი და პოლიტიკური პარპაში. საქართველოში რა კორუფცია და მაფია აღმოაჩინა?!

საქართველოს ჩრდილოეთანმა ეკონომიკამ ათას საშიშროებას დააღწია თავი. ყველა განსაცდელს გაუძლო და არა მარტო ქონებრივად შეეზარდა ხელისუფლებას, არამედ ძალაუფლებრივად, ოჯახურად, პოლიტიკურად. ყველა გავლენიანი პირი ამ წრეებიდან ინიშნებოდა. ყველა მოკვდავის ბედ-იღბალი მათ ხელში იყო. ბევრი მართალი კაცი დაუღუპავთ და უგზოუკვლოდ გაუქრიათ.

„მრგვალი მაგიდა“ ორთა ბრძოლაში იწვევდა „მრავალფეხას“. რა იყო ეს? განწირული ნაბიჯი თუ აწონილ-დაწონილი აუცილებლობა?

ნუთუ არ იცის, რომ ეს „სუკზე“ ათასგზის უფრო საშიშია?! რა ინტრიგებში არ გაგხვევენ! რას არ დაგაბრალებენ! რა ჭორს არ მოგიგონებენ! რა მახეს არ დაგიგებენ! ნუთუ ბადრი უჯარმელს წარმოდგენა არ აქვს, რა განსაცდელს უმზადებს თავისთავს!? ამათი სიტყვა ხომ ქვეყნიერებას სწვდება? ამათი უკადრებელი არაფერი არსებობს!?

განა ამ თავხედობას შეარჩენს სიყალბისა და გაუმაძღროობის სამყარო!? ნუთუ არ უფიქრდება ცოლშვილის პატრონი კაცი?

„პატიოსნებამ უნდა გადაგვარჩინოს! ისე არაფერი გამოვა, არაფერი შეიცვლება! ქართული პატიოსნება უნდა აღდგეს! მამაპაპური სამართალი! უმწიკვლოება და პირდაპირობა!“

* * *

გაზაფხული „ინტერფრონტის“ მუქარებში მიილია. ვერ მივმხვდარიყავით, ვინ, საიდან და როდის დაგვეცემოდა თავს. რას გვიპირებდნენ. დამკვრელ ძალად, ალბათ, არმიის ნაწილები გამოვიდოდნენ. მათთან ერთად, მეზობელ ხალხებს მოგვისევდნენ. მერე თბილისის მთელ არაქართულ მოსახლეობას. ეთნოკრიზისებიც წინანდებურად გიზგიზებდა. რა გვექნა, რით გადაგვერჩინა თავი?

პანიკა არ იგრძნობოდა. თითქოს შეთანხმებულიყვნენ: ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი გვირჩევნიაო, დავხვდეთ, დავიხოცნეთო.

ამბობდნენ: ცხრა მაისს ვაკის პარკში გვიპირებენ თავდასხმასო. „მოძრაობის კაცებს“ რა დაასვენებდათ. სანკვდრო-სასიცოცხლოდ ემზადებოდნენ. სიმართლე ითქვას, არც უცხოტომელებს მივუტოვებივართ. ჯგუფურ წერილებს ბეჭდავდნენ ჩვენს მხარდასაჭერად, ერთგულებას გვეფიცებოდნენ. ვერც იმას დავმალავთ, რომ ზოგიერთნი „რუსულენოვან მოსახლეობას“ შეკავშირებისკენ მოუწოდებდნენ: „სხვა რესპუბლიკებში რუსულენოვანი მოსახლეობა ერთიანდება „ინტერმოძრაობის“ სულისკვეთებით, თქვენ რას უყურებთო?! ზოგი ღალატობს წინაპრებსა და შვილებს, მეგობრულ მიმართვებს უგზავნის ქართველ მოღალატეებსო.

ქართველობა არ შეეპუა „ინტერფრონტის“ მუქარას. ვაკის პარკში სამოციათასკაციანი მიტინგი შეიკრიბა ავის მოსურნეთა დასახვედრად. გამოიტანეს მრისხანე ლოზუნგები: „ოკუპანტებო, გაეთრიეთ საქართველოდან!“ გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ხალხით გადაჭედილმა ტრიბუნამ ოვაცია გაუმართა ლიტვის პარლამენტის წევრს ეგილიუს კლუნბისს.

თემურ ქორიძემ მისასალმებელ სიტყვაში თქვა: ქართველ ხალხს გულით სწადია ლიტველი ხალხის თავისუფლება. მაგრამ სანამ ლიტვაში საოკუპაციო ჯარი დგას, მის თავისუფლებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ასევე საქართველოშიც. საქართველო უნდა ჩაერთოს აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებში.

გიორგი ჭანტურიამ ისაუბრა იმის შესახებ, რომ საქართველოში ინტერფრონტის შექმნის საშიშროებაა და მიტინგს გააცნო ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელი განცხადება, რომელსაც ისინი ავრცელებენ.

„საქართველოში მცხოვრები სხვა ერები არიან და მომავალშიც იქნებიან საქართველოს ისეთივე მოქალაქეები, როგორც ქართველები, თუკი ისინი მხარს დაუჭერენ ქართველი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის“.

„ქართველი, რომელიც იმსახურებს საოკუპაციო არმიაში, ჩაითვლება ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღალატედ“. ამ სიტყვებს მიტინგი ოვაციებით შეხვდა.

ესტონეთის წარმომადგენელმა სანდერსისმა ქართულად დაიწყო თავისი სიტყვა: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“

მიტინგს მიესალმნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, ჩეჩენ-ინგუშეთის, ბელორუსიის შვილები.

ავანტიურა ჩაიშალა.

მანიფესტაცია დასრულდა ლოცვითა და ზეიმით.

* * *

იმავე წლის მაისიდან ქართველობას ახალი სანერვიულო და სადარდებელი გამოუჩნდა, — სახალხო დეპუტატთა ყრილობა, რომლის სხდომათა ანგარიშებს თითქმის ყოველდღე ტელევიზიით გადმოსცემდნენ.

ვნებათაღელვის, შეურაცხყოფისა და დამცირების უახლესი ფორმა. ვისაც როდის მოესურვება, საშუალება აქვს, გაუფრთხილებლად თავს დაგესხას, ლაფში ამოგგანგლოს, მთელი ქვეყნის გასაგონად გლანძღოს და ჯვარს გაგაკრას.

ქართველები მაშინ იმ დღეში ვიყავით, რომ ჩვენი გინება და აბუჩად აგდება ყველას მადლად ეთვლებოდა. ყველასთან ყველაფერში დამნაშავედ ვითვლებოდით. ამას არავითარი საბუთი არ სჭირდებოდა. შარს რა გამოლევს! შეგიძლია, ყოველ ნაბიჯზე ცილი დასწამო და გაამწარო.

ქართველების საქმე ძიებაშია. ათობით კომისია იკვლევს. ასობით პროკურორი და მოწმე ყოფს ცხვირს. გამოგილანძღავს ჯალათი თხუთმეტი წლის წამებულ გოგონას. უხამსად მოიხსენიებს ანგელოსს და უნდა მოითმინო. სული კბილით გეჭიროს.

მარტო მთავარი სამხედრო პროკურორის კატუსევის სიტყვა კმარა ამის დასტურად. მომიტინგე მლოცველ გოგონებს ქვასროლია ხულიგნებს უწოდებს, მათ ხელთ ჩაუგდიათ სამხედრო ავტოინსპექციის ავტომობილი და ჯოხებით დაუმსხვრევიათ. ნატოს ჯარები მოუწვევიათ. მესამე მსოფლიო ომის გამოწვევა განუზრახავთ.

— წურც იმას დაივიწყებთ, რა შთაბეჭდილება მოახდინა ქართველებზე დეპუტატ სობჩაკის მოხსენებამ.

— ყველაზე მნიშვნელოვანი ფინალია. ქართულმა დელეგაციამ სხდომათა დარბაზი რომ დატოვა და მას სოლიდარობა გამოუცხადეს მოსკოვის, ლენინგრადის, ბალტიისპირეთის, ბელორუსიის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის დეპუტატებმა.

დარბაზი ერთი მესამედით დაცარიელდა. საქართველოს დელეგაციას შეუერთდნენ ცეკას მდივანი იაკოვლევი, საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, მამა პიტირიმი.

ეს მორალური გამარჯვება სასიცოცხლო აუცილებლობა იყო ჩვენი ერისთვის.

თბილისში, მოედანზე, მიკროფონების წინ ვეებერთელა ყუთი იდგა წარწერით: „ისტორიის სანაგვე ყუთი“, რომელშიც მასობრივად ყრიდნენ პარტიულ და კომკავშირულ ბილეთებს.

რამდენიმე საათის შემდეგ ეს ყუთი ცეცხლს მისცეს.

პროლეტარიატის ბელადის ძეგლს მილიციის რაზმები იცავდნენ.

3.

გაზაფხულმა კერპების მსხვრევაში, მიტინგებსა, პოლიტიკური თვითგამორკვევისთვის შეურიგებელ აქციებში ჩაიარა. 24 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე მომხდარი შეიარაღებული ინციდენტის შემდეგ, მშვიდობიანი მოწესრიგების იმედი ბევრს აღარ ჰქონდა. ორივე მხარე ენერგიულად იბრძოდა ჰეგემონიისთვის და ამ მხრივ მაშინდელი თბილისი 1793 წლის პარიზს არ ჩამოუვარდებოდა. როგორც ვთქვით, საზოგადოებამ ვერ გაიგო, რა მოხდა იმ დღეს. იყო თუ არა მსხვერპლი და რის იმედი უნდა გვქონოდა.

მეორე დღეს მთავრობის სახლთან კონსტიტუციურ-მონარქიული პარტიის მიტინგი შედგა.

კრებამ საქართველოს ტახტის კანონიერ მემკვიდრედ აღიარა გიორგი XIV და საქართველოში მოიწვია სტუმრად. შეიქმნა სრულიად საქართველოს მონარქისტული ლიგა.

სათავე დაედო ეროვნული კონგრესის საარჩევნო კომპა-

ნიას. გამოქვეყნდა ფორუმის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი. მიღებული იქნა რეზოლუცია, რომლითაც განისაზღვრა უზენაეს საბჭოსთან ურთიერთობის პრინციპი.

უნივერსიტეტი ეროვნული ფორუმის ბურჯად იქცა, ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძის საზოგადოება.

ოთხ მაისს წმ. ილია მართლის საზოგადოებამ დატოვა ფორუმი, რაც უკვე სრულ კონფრონტაციას ნიშნავდა.

საღამოს, კომკავშირის ცეკას შენობასთან, ჰელსინკის კავშირის თაოსნობით, განხორციელდა აქცია „ფორუმის" გასაუქმებლად. ამიერიდან ეროვნული მოძრაობის ორ ფრთას შორის ურთიერთობა უფრო დაძაბულად წარიმართა.

ერთერთ კომენტარში ამბობდნენ: „დღეს უკვე ხშირად ლაპარაკობენ ეროვნულ-გამათავისუფლებელ ძალებს შორის არსებულ სერიოზულ წინააღმდეგობებზე და არა იშვიათად ამის მიზეზად პიროვნულ შეუთავსებლობასა და ამბიციებს ასახელებენ... ამ მოსაზრებას ბევრი არ ეთანხმება. მათი აზრით, ძირითადი მიზეზები პოლიტიკურ მოსაზრებათა და მიზნის მიღწევის საშუალებათა განსხვავებაშია, რაც ბუნებრივი თანამდევი პროცესია ყველა საარჩევნო კომპანიისა და პოლიტიკური ბრძოლისა. მიზანი ერთია — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მისი მიღწევის ერთ-ერთი მთავარი პირობაც არავითარ ეჭვს არ იწვევს — ესაა იმ იურიდიული პირის არჩევა, რომელსაც ექნება ერის ნდობის მანდატი, იმოქმედოს მისი სახელით".

26 მაისს „გახლეჩილი შეხვდა" ეროვნული მოძრაობა. „ფორუმის" მომხრეებმა ეროვნულ სტადიონზე მოიყარეს თავი. „მრგვალი მაგიდისამ" — ვაკეში.

„გაყოფილი ზეიმის" მოულოდნელობა ის იყო, რომ „მრგვალ მაგიდას" სამ-ოთხჯერ მეტმა დაუჭირა მხარი, რამაც თავიდანვე გაამწვავა ანტაგონიზმი და ზოგს ნაჩქარევი დასკვნები მიაღებინა.

ერთი, იქნებ, ისიც იყო: „ვეტერანი დისიდენტები" „პენსიაზე" გავიდნენ, გზა ახალგაზრდებს დაუთმონო.

ავიწყდებოდათ, რომ პოლიტიკას, ყველაფერთან ერთად, დიდი სიბრძნე, ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. ბევრ ქვეყანასა და ეპოქაში, კანონით იკრძალებოდა ახალგაზრდა ასაკ-

ში პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა. ჩვენში მარქსისტებმა გააიოლეს და გააყმაწვილეს ეს სფერო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. აღარ აგონდებოდათ, რა მოგვიტანა ამ უმწიფარობამ. რა სიკეთე მოუტანეს ინგლისსა და დასავლეთ გერმანიას 90 წელს მიტანებულმა ჩერჩილმა და ადენაუერმა. რომელი ერთი უნდა დაასახელო.

თუმცა, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ სიჭაბუკესაც თავისი ადგილი და ღირსება აქვს.

ვიზუალური აქტივობით ფორუმი წინ უსწრებდა „მრგვალ მაგიდას". რისკიან ნაბიჯებს დგამდა, რათა პირველი მისულიყო ფინიშთან. არ იშურებდა დაპირებებს, ენერგიას და თაოსნობას.

საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრი და საქართველოს ეროვნული ფორუმი ულოცავს სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 72-ე წლისთავს და უსურვებს გამარჯვებას ამ დიდ საქმეში, რასაც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ჰქვია. გამოთქვამს იმედს, რომ დღევანდელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიიყვანს ქართველ ერს თავისუფლებამდე და საქართველოს სრულ და საბოლოო დამოუკიდებლობამდე.

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ, გრანდიოზული ღონისძიებები ჩაატარა 30 სექტემბერს დანიშნული კონგრესის არჩევნებში წარმატებისათვის.

დოკუმენტებში დადასტურებულია მტკიცე რწმენა და იმედი.

„მრგვალი მაგიდის" საქმიანობას უფრო მოკრძალებული ხასიათი ჰქონდა, მცირე აქციებად იყო დანაწილებული. ლენინის ძეგლის აღება, რომელიც ცხრა მაისს წამოიწყეს, აგვისტოს ბოლოს დასრულდა.

ამათ მთელი ყურადღება გაზულუქებულთა ამორალიზმის მხილებაზე გადაიტანეს. გაჭირვებულ, ფეხქვეშგათელილ, დამცირებულ ადამიანთათვის გამოიდეს თავი. გაუმაძღრობა, თვითნებობა, უკანონობა გაიხადეს გმობის საგნად. „ხალხის მეგობრებად" ევლინებოდნენ ქვეყანას, ეროვნულ და სოციალურ უსამართლობას თანაბრად კიცხავდნენ.

ივნისში ფორუმში შემავალმა პარტიებმა სამოცდაათი ათას კაცს მოაწერინეს ხელი, რომ უარს აცხადებდნენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეობაზე.

— თუ ძმა ხარ, გამაგებინე, რა მნიშვნელობა აქვს ამას?

— მნიშვნელობა როგორ არ აქვს, საპროტესტო აქციაა!

— მე თვითმიზნური მგონია.

— ჩემი რწმენით, ორ განსხვავებულ კონცეფციასთან გვაქვს საქმე.

— გეჩვენებათ. გაზვიადება და დაეჭვების არგუმენტირება ადამიანის ფსიქიკის ნიშანდობლივი თვისებაა.

— რუსთაველზე მომხდარი ინციდენტის მომიზეზება ზნეობრივ საბუთად არ გამოდგება. „მრგვალი მაგიდის" ერთ-ერთი პარტიის თავკაცმა გმირთა მოედანზე რამდენიმე კაცი იმსხვერპლა, მაგრამ ამისთვის თავი არ შეუწუხებიათ.

— ასეთი მითქმა-მოთქმით ხელს ვუწყობთ ანარქიას. არ არსებულა არცერთი გონივრული მოძრაობა, რომელსაც თავისი ხელმძღვანელები და ავტორიტეტები არ ჰყოლოდეს.

ზაფხულის დასაწყისში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის კრებაზე საკითხი დაისვა კონგრესის არჩევნების უფრო გვიანი დროისთვის გადატანის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თარიღი უცვლელად დატოვეს. ასევე უარყოფილი იქნა პარლამენტური ფრაქციის შექმნის წინადადება. შეურიგებელი და რადიკალური ოპოზიციის ავანგარდმა ეს წინადადება პარტიის ღირსების შეურაცხყოფად გამოაცხადა. თეიმურაზ სუმბათაშვილმა ამ აზრის მომხრეთა დაუყოვნებლივ პარტიიდან გარიცხვა მოითხოვა. გარიცხვიდან თავი შეიკავეს, 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებს კი ბოიკოტი გამოუცხადეს.

ამავე პერიოდში კონფლიქტის გაღრმავებაზე მეტყველებს „ახალგაზრდა ივერიელის" „რეპლიკა ჯაბა იოსელიანს".

„გავეცანით 20 ივნისის „ქართულ ფილმში" გამოქვეყნებულ თქვენს წერილსა და მინაწერს. სავსებით სწორი ბრძანდებით იმაში, რომ ჩვენ მართლაც უარი ვთქვით თქვენი რეპლიკის გამოქვეყნებაზე.

მსგავს კონტექსტში, ავადმოსაგონარი ხალხის გვერდით ეროვნული მოძრაობის ლიდერის ზვიად გამსახურდიას მოხ-

სენება ჩვენ მკრეხელობად მივიჩნიეთ; ჩავთვალეთ, რომ პუბ-ლიკაცია ეროვნულ ძალებს შორის არსებულ უთანხმოებას უფრო გაამწვავებდა. ჩვენი ამ პოზიციის შესახებ, ვფიქრობთ, საკმაო ტაქტით, მოვახსენეთ რედაქციაში მოსულ თქვენს თა-ნამშრომლებს.

არაერთგზის გვითქვამს და კიდევაც გავიმეორებთ, რომ დროა პოლემიკა პირადულიდან საზოგადო ჭირზედ გადავი-ტანოთ; ამას მოითხოვს საერთო ეროვნული ინტერესები. სწო-რედ ამ პოზიციებიდან გამომდინარე აღმოჩნდა რეპლიკა ჩვე-ნი და არა მარტო ჩვენი გაზეთისთვის მიუღებელი...“

პოლემიკას ცეცხლი ეკიდებოდა. ულმობელი და შეური-გებელი ხდებოდა. ხალხის თვალში ორივე მხარე ზარალდე-ბოდა — ერთი უფრო მეტად, მეორე — ცოტა უფრო ნაკლე-ბად.

4.

— ხედავ, რა ამბები დაიწყო?! — შეცბუნებით უთხრა მარტოლეკმა ზებედეს. — ამათ ისე ფიცხლად შეუტიეს ერთ-მანეთს, რომ იოლად არ გაშველდებიან.

— მიზეზი?!

— ამას ჩაკვირვება და აზრის გაყოლება უნდა.

— შენ გგონია, დღეს დაიწყო?

— არა, ცოტა ძველიც გამიგონია, მაგრამ ამ ჩაშლილი არ-ჩევნების შემდეგ, ძაან ჯიუტად ჩაავლეს ერთმანეთს ხელი.

— ყმაწვილკაცობა უფრო მოუსვენრობს. ერთი დაკვრით უნდა შემოაბრუნოს საქმე.

— ეე! მოწინააღმდეგეებს ისეთი არწივები მიუძღვებიან, რომ იმათი მორევა გაუჭირდებათ.

— შენ „საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციათა და წევრთა მიმართვა ქართველი ერისადმი და მსოფლიო საზო-გადოებრიობისადმი“ წაგიკითხავს?

— არ მახსოვს! ეგ რომელია?

— ჰელსინკის კავშირი, ილია მართლის საზოგადოება, მო-

ნარქისტული პარტია და მერაბ კოსტავას საზოგადოება აწერენ ხელს.

— რაო, რა გვინდაო?

— დემოგრაფიული ექსპანსია აღიკვეთოსო. „თურქი მესხების“ შემოსევა არ დავუშვათო. ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებას პროტესტს უცხადებენ. სამ მოთხოვნას უყენებენ. სრული ეროვნული დაუმორჩილებლობით ემუქრებიან.

— ჩემი ფიქრით, დღეს ამათ ერთმანეთთან შინაური საქმის გამორკვევა უფრო აინტერესებთ!

— არც ასე მარტივი ანგარიშია. ესენი ხალხის მისამხრობად იკლავენ თავს! ვინ ვის? შეიქნა თუ არა გაწევ-გამოწევა, ბადრი უჯარმელს „ახალგამომცხვარი დიქტატორობა“ წასძახეს. სპიკერობაც სასაცილოდ აიგდეს.

— უჯარმელის პასუხი მეც წავიკითხე. მართალია ის კაცი, რომ წერს: თქვენ თვითონ არ ამირჩიეთო? ამ ორ თვეში როგორ ვიქეცი დიქტატორადო?

— მენანება ჩვენებურ პოლიტიკაში გარეული ხალხი! საზოგადო და პირადული ძნელი გამოსარჩევია.

ზებედე აღელვებული ჩანდა: ცდილობდა, მიუკერძოებელი ყოფილიყო, მაგრამ ჭაბუკების გაწიწმატება და უპატივცემულობა უმადურობად მიაჩნდა.

— იცი რამ მიიპყრო ჩემი ყურადღება?! უახლოეს ხანში ერი თვითონ გაარჩევს მტყუანსა და მართალსო.

— რა, სასამართლოს მოწყობას უპირებენ, თუ კაცი ხარ!

— ა, შენც შენიშნე ეს ადგილი?

— ტერორისტობა და კორუმპირებულობა დაგვწამაო!

— უჯარმელის დაშინება შეუძლებელია. გაიხსენე, როგორ ამთავრებს თავის პასუხს! „რახან ესოდენ გაკადნიერდით, ჩვენ უახლოეს ხანში მოგვიწევს ერთად შეკრება. ამ შეკრებას დაესწრებიან დასავლეთის მოღვაწენი და ჟურნალისტები, რომელთა თანდასწრებით, სათანადო დოკუმენტებითა და მოწმეებით დაგიმტკიცებთ ყოველივე იმას, რასაც თქვენ უარყოფთ“.

— უჯარმელის ოპონენტები საოცრად მოუზომავი არიან სალანძღავ ეპითეტებში.

— აქვთ, ეტყობა, რაღაც საბაბი და მიზეზები.

— ეს ხეირს არ დააყრის მათ! ჩვენი ხალხი გულმოწყალებას, სითბოს და თანაგრძნობას ითხოვს ყველასგან. თვითდაჯერება და ყოყოჩობა დამღუპველია.

— გეთანხმები. ჭიდილი ულმობელი იქნება, გაიმარჯვებს სიკეთე და პატიოსნება. რაგინდ შეფერილიც არ უნდა იყოს, ბოლშევიკურ მეთოდებს ჩვენში მომავალი არ ექნება.

* * *

იქიდან მოკიდებული ხანძარი არ ჩამქრალა. ჯერ იყო რუსთაველზე საუკეთესო შენობების დასაკავებლად და ავტორიტეტების გადმოსაბირებლად ბრძოლა. დაეპატრონენ ლენინის მუზეუმს, კულტურის სამინისტროს, არტისტული საზოგადოების მშვენიერ შენობას.

ზოგი ეგზოტიკური მოღვაწე თავპატიჟს იდებდა, კვირაში რამდენჯერმე იცვლიდა პოლიტიკურ მიმართულებას და შესაბამისად — საქველმოქმედო დაწესებულებას.

აპრილიდან არჩევნების დამთავრებამდე, ყველაზე დიდ სიახლეს, სტრატეგიული და ტაქტიკური ინტუიციის მონაპოვარს წარმოადგენდა „მრგვალი მაგიდის“ შეხვედრები, რომლებიც ყოველდღე ქვეყნდებოდა და ათასობით ადამიანს იზიდავდა. ეს უაღრესად საქმიანი და მომხიბვლელი ჩანაწერები ხალხს გზას უკვლევდა ყოველდღიურობის რთულ ლაბირინთებში. მათ გატაცებული, ფანატიკოსი და ბეჯითი თაოსნების ნიჭი და მიზანსწრაფვა ამჩნევია.

მოსვენება არ იცოდნენ რა იყო. კომკავშირის ცეკას წინ აწყობდნენ მრგვალ მაგიდასთან გაერთიანებულ პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა საინფორმაციო მიტინგებს. უპასუხებდნენ ქართველ და უცხოელ ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს. ხვდებოდნენ სხვა პარტიათა თავკაცებს. აწყობდნენ დისპუტებს. ერთმანეთს უზიარებდნენ სხვა-

დასხვა ქვეყნის პოლიტიკური საარჩევნო ბრძოლის გამოცდილებებს. რა საერთაშორისო რეზონანსს გამოიწვევდა საქართველოში მრავალპარტიული, არასაბჭოური არჩევნების ჩატარება. ჯეროვან ყურადღებას უთმობდნენ მიმდინარე ცხოვრების მწვავე საკითხებს. განიხილავდნენ ბოგდანოვკის რაიონსა თუ სამაჩაბლოში კონფლიქტურ სიტუაციებს. ღამეები გადიოდა გადაუდებელი საქმეების განხილვაში.

საგანგებოდ იმსჯელეს ექიმ მაუგლი ჩხიკვაძის შიმშილობაზე, რომელმაც ეს აქცია იმიტომ გამოაცხადა, რომ საქართველოში მოწამლული პროდუქტები შემოიტანეს. რამდენიმე სხდომა მიეძღვნა მერაბ კოსტავას ფონდზე თავდასხმას. მოითხოვდნენ მთავრობისგან ხალხის სასარგებლო ღონისძიებების სასწრაფოდ განხორციელებას, უცხოელი ჟურნალისტების მოწვევას. დაბეჯითებით ითხოვდნენ გადამჭრელ ღონისძიებებს კორუფციის, ძალადობის წინააღმდეგ.

ამ უამრავი, გადაუდებელი საქმეების აღრიცხვა ჩვენი წიგნის მიზანს არ შეადგენს. ავტორის სურვილია, გაგრძნობინოთ ასეთი მრავალფეროვანი მოღვაწეობის როლი არჩევნების მომზადებაში.

„მრგვალმა მაგიდამ“ გულდასმით განიხილა საარჩევნო კანონ-პროექტები.

უყურადღებოდ არ რჩებოდა რუსულ პრესაში ქართველი ერის წინააღმდეგ არცერთი პროვოკაციული გამოხდომა.

* * *

„მრგვალი მაგიდის“ სხდომაზე ხმამაღალ ლაპარაკს ვერ გაიგონებდი. დარბაისლურად, დინჯად მსჯელობდნენ და სამოქმედო ღონისძიებებს სახავდნენ. საპარლამენტო გაკვეთილებს გადიოდნენ.

არც ეროვნული კონგრესის შტაბებში იყვნენ გულხელდაკ-

რეფილი. საარჩევნო წესდებასა და სიებს აზუსტებდნენ. თითქოს, შეჯიბრი ჰქონდათ, ვინ ვის დაასწრებდა.

არიან სხვებიც. დაბადებით დალხინებულნი. ქონება თავზე გადასდით. „ულწესო საქმეს“ არ ჩაიდენენ. მამა-პაპით „დიდკაცები“. იციან, სად რა თქვან და როგორ მოიქცნენ. პატრიოტობენ. ბრძნებად და გენიოსებად მიაჩნიათ თავი. არაფერი აკლიათ. არაფერს დაიკლებენ. მარადიული დეპუტატები. თავს არ იკლავენ — სჯერათ, გამოტოვებას ვერავინ გაუბედავს. ბრესკონფერენციებისა და ინტერვიუების ვეფხვები. სენსაციური პასუხის“ დიდოსტატები. სიმართლეს ვერ გამოსტყუებ — ვითომ, ყველას შერიგებისა და კონსოლიდაციისკენ მოუწოდებენ.

— თუ კაცი ხარ, გამაგებინე, თბილისელი არაფორმალები მართლა ასე თავისუფლად დასეირნობენ საზღვარგარეთ? — ჰკითხა მიხაკა მარტოლეკმა.

— არ იცოდი? ამ თვის დასაწყისში ჩვენი გმირები პარიზში მიიწვიეს ქართველმა ემიგრანტებმა.

— ვინ წასულა და რა გაუკეთებია, თუ იცი?

— როგორ არ ვიცი, ცოტა ხომ არ დაიწერა ამაზე? სტეპკო სვირინგია და თორნიკე ერისთავი იყვნენ გაგზავნილი, ენძელა ძიძიშვილიც და ჩარიტა ჩინაძეც.

— არჩევნებთან იქნება დაკავშირებული.

— პატარა საქმე არ გახლავს! — მსუბუქად ამოიოხრა ზებედემ. — ამ ზაფხულს ქალბატონი ლოლიტა ბრძანდებოდა ამერიკაში, სენატორ ჯესი ჰელმსსა და სახელგანთქმულ ქართველ დისიდენტს შეხვდა. პოლიტიკური მოღვაწეები ოკეანეებს უსაქმოდ არ გადასერავენ. რამდენიმე სენატორი, კონგრესმენი და მათი მეუღლეები გაუცვნია. შთაბეჭდილებები საკმაოდ ოპტიმისტურია. ფრიად გონივრულიც. პარიზიდან ბატონი სვირინგია პრაღას სტუმრებია, სადაც რამდენიმე სხვა ქართველ დისიდენტთან ერთად მონაწილეობა მიუღია ცნობილი

საერთაშორისო ორგანიზაციის — „დემოკრატია და დამოუკიდებლობა“ — კონფერენციაში. ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს უთქვამს, იმით კი არ ვამაყობ, პრეზიდენტი რომ გავხდი, არამედ „გულაგში“ გატარებული წლებითო.

— ჩემი აზრით, საქართველოს საშინაო საქმეები საერთაშორისო განხილვის საგნად არ უნდა გაეხადათ. ჯერ ერთი, არაკომპეტენტურობის გამო. ამ წრეებში დამკვიდრებული წარმოდგენების მიზეზით, საქართველო სტალინის სამშობლოა. ამის გამო რაღაც დანაშაული მიუძღვის. ეროვნული მოვლენების ინტერნაციონალიზაცია პირადი ანგარიშსწორების საშუალებას ქმნის. ახლა ისიც თქვი, ერთ-ორ თვეში, თუნდაც, ორ-სამ წელიწადში მსოფლიო პოლიტიკაში ცოტად თუ ბევრად გარკვევა წარმოსადგენია? დილეტანტიზმი კი არსად ისე საშიში არაა, როგორც პოლიტიკაში. მეშინია, პოლიტიკა პოლიტიკანობად არ იქცეს. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი და საბჭოთა ოციან-ოცდაათიანი წლების გახსენებაც მაშინებს, როცა მემარჯვენეები და მემარცხენეები რაღაც აბდაუბდა „პრინციპების“ საბაბით ერთმანეთს ჟლეტდნენ.

— მე იმასაც ვფიქრობ, ძალათ გართულებული პოლიტიკური „პარტიიზმი“ არღვევს პიროვნების ხასიათს, თრგუნავს ადამიანს. ყველას უფლება აქვს, გაიზიაროს ან არ გაიზიაროს ესა თუ ის კონცეფცია, მაგრამ ეს „რეზოლუციებით“ კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ სრული ნებაყოფლობით. უმიზეზოდ და უსაბუთოდ ადამიანის ლანძღვა დიდი ცოდვაა.

— ვაი ჩვენს დღეს! გამკითხველი არავინაა. ესაა დემოკრატიული ურთიერთობა!?

— იმაზე რას იტყვი, ეთნოკრიზისების მიზეზად რომ ქართველები გამოეუცხადებივართ?

— კიდევ ერთხელ, ვაი ჩვენს დღეს! ეს ხომ სახაროვის ანდერძიდან მოდის!

— რას ამბობ, მიხაკა! სახაროვი სად იყო, ამ ვერაგობას

საქართველოს წინააღმდეგ რომ იყენებდნენ! სახაროვმაც იმათგან შეითვისა. აბა ერთი ათასცხრაასთვრამეტის პრესა წაიკითხე, მრავალსაუკუნოვან მასალებს გაეცანი და გაიგებ, ვის არ ასვენებდა ქართველ ტომთა ერთობა, ვინ გვიმხედრებდა საქართველოს მოსახლე ერებს, ვინ გამოაცხადა საქართველო „მცირე იმპერიად". თუნდაც, ჩვენი ცნობილი ისტორიკოსის ზურაბ ავალიშვილის ნაწერები გასინჯე. ისიც გაიხსენე, რატომ შეაჩვენა ქართულმა ეკლესიამ „დიდი მოურავი!" ისტორიის დავიწყების უფლება არავის აქვს. როგორ შეიძლება იმათ დუდუკზე ვიბუქნაოთ, ვინც ჩვენს მიწა-წყალს იჩემებს. ქართველები ეთნოკრიზისების მიზეზი კი არ არიან, არამედ მსხვერპლნი. სამაჩაბლოში შარშან, ხომ ვიცით, რა ამბავიც იყო, ახლა გაფიცვებს გვიწყობენ. ჩვენ ფუჭად დასაკარგავი დრო არ გვაქვს. ეთნოკრიზისების ჩვენთვის გადმობრალება ბინძური უსამართლობაა, რომელიც იმ წრეებიდან მომდინარეობს, სტალინის დანაშაულობათა ჩვენთვის მიწერა რომ სურთ. როგორ არ გაგახსენდეს ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „აბნელებს, უხილავსა ხდის, ქვეყანას ხილულიანსა".

— ეს ბატონი ჭალაძე ვიღაა, „ქართული შოვინიზმის" აღზევება რომ ნერვებს უშლის?! ეჭვი არ ეპარება, რომ სტალინი ქართველი იყო და მისი დანაშაულობებისთვის ჩვენ გვაკისრებს სრულ პასუხისმგებლობას.. თუ ჩვენ უარი ვთქვით, თუნდაც ერთი „თურქი მესხის" ჩამოსახლებაზე, ეს ნიშნავს, რომ მხარს ვუჭერთ სტალინის პოლიტიკას!" — ხედავ, რა „მოაზროვნე პოლიტიკოსებთან", „ობიექტურ დისიდენტებთან", რა „ქართველ მამულიშვილებთან" გვაქვს საქმე! აი, სანამდე მიდის დოგმატიზმი! ვინ გვიკითხავს დემოკრატიის ლექციებს?

ყველა პრობლემის გადაწყვეტას, ყველა დანაშაულის ;ამოსწორებას ჩვენგან მოითხოვს.

— არ ვიცი, ეს როგორი ქართველია, რომელსაც ჩვენს

ეროვნულ ტრაგედიაზე არავითარი წარმოდგენა არ აქვს! მისი ბრძნული აზრით, აფხაზებთანაც ჩვენ ვყოფილვართ დამნაშავე.

— მაღალი საკაცობრიო ინტერესებისათვის საქართველოს განწირვა არ ახალია, ძველია.

— ზოგისთვის საქართველო აბსტრაქტული ცნებაა, ზოგისთვის კიდევ — ყოველწუთიერი მოქმედება, ზრუნვა, შრომა და რუდუნება, საქართველოს ყველა სატკივრის გულთან მიტანა. ასეთ კრიზისულ მომენტში ლაქლაქის დრო არაა.

— შენი აზრით, ვისი შთაგონებით და ინტერესებისთვის იღვწოდა პრაღის კონფერენცია!

მარტოლეკმა მხრები აიჩეჩა.

— საქართველოს მძიმე ბედიღბალი არაქართველებში წყდება!

ჩასულებს დიდი მხარდაჭერა აღუთქვეს. ამერიკის „დემოკრატიულმა ცენტრმა“ სპონსორული დახმარება იკისრა. საქართველოს კონგრესის არჩევნებზე მეთვალყურეების გამოგზავნას დაპირდნენ. აღუთქვეს, რომ შეერთებული შტატების კონგრესი ოფიციალურად სცნობდა საქართველოს ეროვნული კონგრესის უფლებამოსილებას. არანაკლები დაპირებები და რწმუნებები მიუღიათ პარიზში და მიუნხენში. გაზეთებში პარტიის სახელზე მიუნხენში გახსნილი სავალუტო ჩარიცხვების ანგარიშის ნომერიცაა მითითებული.

— ერიჰა!

* * *

უცხოეთის ვოიაჟებმა ვითარება უკიდურესად გაამძაფრა და პირადი ურთიერთობანი დაძაბა. ჩვენებურ პოლემიკაში ყველა ხერხი და საშუალება ნებადართულია. ყველა ერთმანეთზე ჭკვიანი და ღვაწლმოსილია. მთავარია, გაამწარო მოწინააღმდეგე და მისი თაყვანისმცემლები. არავინ არავისთან

ვალში არ რჩება. ვინც ყველაზე მეტად ანგრევს შემაერთებელ ხიდებს, ყველაზე მეტს გაჰყვირის ერთიანობასა და კონსოლიდაციაზე. არის ერთი უმოწყალო ლანძღვა-გინება, ეპითეტების ლაწა-ლუწი, „განსვენებულთა კეთილი სახელებით სპეკულაცია“. იმავე წერილებიდან ჩანს, რომ მოკამათენი, ახლა რომ ერთმანეთს არ ინდობენ, ერთ დროს ახლო მეგობრები ყოფილან და ერთმანეთის იმედი ჰქონიათ. ერთი სიტყვით, მტრის გულის გამხარებელი პოლემიკაა.

დღეს, როცა საჭიროა საქართველოს ეროვნული შემჭიდროება, ესენი გიმნაზისტური ხერხებით იხვეჭენ პოპულარობას. ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ვინეგრეტივითაა ათქვეფილი ინტრიგა, ამბიცია, პირადი სიმპათია-ანტიპათია, კარიერა, მლიქვნელობა, ძალმომრეობა, მაფიოზი. რა უნდა გამოვიდეს ამისთანა დომხალიდან? ეს ასახიჩრებს და აბრმავებს იმ ძალებს, რომლებიც საქართველოს წინსვლას სჭირდება. მოქმედებაა საჭირო, ზუსტი და თანმიმდევრული.

წარმოსადგენია პოლიტიკა სიბრძნის და რწმენის გარეშე? დასრულდა ერთი საფეხური. საჭიროა ძმური სიყვარულის გაღრმავება, ახალი განსაცდელისთვის მზადყოფნა. ამ დროს გაისმის შემზარავი გაფრთხილება: „დიქტატორი მოდის!“ არ დაიჯერებენ თუ რა! რაკი არსებობს „მცირე იმპერია“, იმპერატორი-დიქტატორიც იარსებებს. რაკი ქართველი კაცის სახელით მსოფლიოს დიქტატორმა შეაძრწუნა სამყარო, რატომ არ შეიძლება, ამ ხალხიდან სხვადასხვა რანგის დიქტატორებიც გამოვიდნენ! ავადმყოფური ამბიცია ასე უთხრის ძირს უბედურ სამშობლოს.

„მოხუცდა!“ „აზროვნება დაუქვეითდა!“ „განუწყვეტელმა ფსიქოლოგიურმა ტრავმებმა დასცა!“ „აღარ გამოგვადგება!“ უნდათ ღირსეული კაცი საკუთარი არარაობის შეგრძნებამ დაამხოს და მისი ადგილი უღირსმა დაიკავოს!

როგორ შეიძლება „დიქტატორობა“ დააბრალო ნატანჯ-

ნაწამებ, მთელი ცხოვრება დემოკრატიისთვის თავდადებულ კაცს, რომელსაც არავითარი ხელისუფლება არ გააჩნია?! როგორ ესმით დიქტატურა და დიქტატორი!? ვინ მიუშვებს დიქტატორობამდე? ეს ხომ ბოლშევიკური აზროვნებისა და ფსიქოლოგიის ნაყოფია!?

მოხუცება საიდან ჩანს? განა, „მრგვალი მაგიდის" შეხვედრათა ანგარიშებში ვერ ვგრძნობთ ულეველ ენერგიას, ძალასა და გამჭრიახობას!?

* * *

ვიოლას შავწაღვლიანობა მორეოდა იმ ზაფხულს, დარდი უჭამდა გულ-ღვიძლს და ამის მიზეზი ფსიქიატრიულში გადატანილი ტანჯვა-ვაება და დედის გაჭირვება კი არ იყო, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩამოვარდნილი განხეთქილება. ვერ გამოერკვია და გადაეწყვიტა, ვისთან დამდგარიყო, ვისკენ იყო სიმართლე, ვის გაჰყოლოდა. ხან „მრგვალი მაგიდის" მიტინგებს ესწრებოდა, ხან კონგრესის თაოსნებში ტრიალებდა, გული უკვდებოდა, რომ ეთნოკრიზისების გამჩაღებლები მოხერხებულად სარგებლობდნენ ამით და ძირს გვითხრიდნენ. ისედაც ნერვებაშლილს, ახლა დეპრესიაში აგდებდა მოპაექრეთა ურთიერთგაწირვა და ულმობლობა.

— წაიკითხეთ? — აღელვებული მივარდა ზებედესთან, როცა რუსულ გაზეთში დაბეჭდილი „მრგვალი მაგიდის" მეთაურის ვრცელ პასუხს გაეცნო: „წერილი ძველ კეთილისმყოფელს".

— ასეც ვიცოდი. — მშვიდად მიუგო ზებედემ. — მიმაჩნია, რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

წერილის ადრესატის — ამერიკაში მცხოვრები ქართველი დისიდენტის ურთიერთობა „მრგვალი მაგიდის" ლიდერთან უკანასკნელ დროს სულ უფრო უარესდებოდა.

სიმართლე რომ გითხრათ, ქართველი პატრიოტები სკეპ-

ტიკურად უყურებდნენ უცხოეთში გადახვეწილ, ჭალაძის მსგავს კოსმოპოლიტ დისიდენტებს, რომლებიც ეროვნულ გრძნობებს მოკლებულნი იყვნენ. ესეც არ იყოს, გერცენისა და ოგარიოვის დრო აღარაა და შიგნიდან უფრო კეთდება საქმე, ვიდრე გარედან.

— ჩემი რწმენით, მოსკოვის გასამართლებასთან დაკავშირებული ყველა ეჭვი გაქარწყლებულია.

— ვითომ?! — ამოიკვნესა ვიოლამ. — ზოგი ისევ უნდობლად იქნევს თავს.

— რა, კოსტავასაც აღარ ენდობიან? იმაზე კარგად ვის უნდა სცოდნოდა ეს საქმე! ერთად ისხდნენ და სასამართლო პროცესზეც ხვდებოდნენ ერთმანეთს. თითოეული ნაბიჯი შეთანხმებული ჰქონიათ. ყველა ბრალდება გაბათილებულია. მთავარ არგუმენტად მაინც ის რჩება, რა საქმიანობას ეწეოდა ტანჯული კაცი, ციხიდან გამოსვლის პირველივე დღიდან. „პასუხში“ მკაცრი ფაქტებით და რკინისებური ლოგიკითაა დასაბუთებული, რომ „ჰელსინკის კავშირს“ წუთითაც არ შეუწყვეტია მოღვაწეობა. „რეპრესიებისა და დევნის მიუხედავად, — წერს მერაბ კოსტავა, — ჰელსინკის კავშირი განუწყვეტლივ ეხმიანებოდა მოვლენებს“. მისივე სიტყვით: „ზვიად გამსახურდიას ქედი არ მოუხრია სასამართლოზე და სინანული არ გამოუთქვამს, რომ „ჰელსინკის კავშირი“ დააარსა“. მე არ ვიცი, როგორ უნდა მოუბრუნდეს ვინმეს ენა, რომ ეჭვი შეიტანოს ორი თავდადებული მეგობრის საერთო აღსარებაში. „გამსახურდია ყოველგვარი კომპრომისის წინააღმდეგი იყო, — დასძენს კოსტავა. — ჩვენ ერთმანეთთან წინასწარ შეთანხმებით ვმოქმედებდით. თითოეული დეტალი გათვალისწინებული გვქონდა“. წაიკითხეთ, ქალბატონო ვიოლა, ეს წმინდა აღსარება, ქართველთა ბრძოლისა და ძმური თავდადების მღელვარე მატიანე და იოლად გაარჩევთ მტყუანსა და მართალს. რაც შეგვეხება ჩვენ, იმ გასამართლების მომსწ-

რეებს, მაშინაც ვიცოდით და გვჯეროდა ყოველივე ეს. სიმართლე არც ისე ძნელი გასარჩევია სიყალბისგან. არაფერია აქ გამოტოვებული ან მიფუჩეჩებული. სიმართლე ითქვას, იქიდან მოკიდებული, სერიოზულმა ოპონენტებმა ამ ბრალდებაზე ხელი აიღეს და ჯიბრით ვინმე გაბოროტებული თუ ჩაიქირქილებს გულის მოსაოხებლად.

შუა ზაფხულიდან საქმიანი, პრინციპული პოლემიკა შეცვალა უწმაწურმა ლანძღვა-გინებამ, უსაგნო ჯიბრმა, რაღაც ფარული მიზეზების გამო სამაგიეროს გადახდის ჟინმა.

ამ ძიძგილაობასა და ისტერიკაში ფორუმის იდეური ლიდერები არ ერეოდნენ, შეიძლება, თავს იკავებდნენ. სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ თეორიულ პრობლემებსა და კონგრესის არჩევნების ორგანიზაციას.

უბირი ადამიანები შერიგებაზე ლაყბობდნენ. ზოგს მოუსვენრობა ხელს უშლიდა ყოველდღიურ მიდგომ-მოდგომაში, ზოგს — ლუკმა პურის შოვნაში. წარმოდგენა არ ჰქონდათ, რას ნიშნავდა და როგორ უნდა მომხდარიყო ეს „შერიგება“ და „კონსოლიდაცია“. ვის ვისთვის და რა უნდა დაეთმო. ბევრმა არ იცოდა, რომ ყველაფერი პატიოსან, სამართლიან არჩევანს უნდა გადაეწყვიტა. მას უნდა გაერკვია მტყუანი და მართალი.

ამტკიცებდნენ, რომ ეროვნულ მოძრაობაში გაჩნდა ორი პოლიტიკური კონცეფცია. ფორუმიდან გასვლა მოხდა არა ზნეობრივი მოტივებით, არამედ განსხვავებული პოზიციების გამო. მოძრაობა კრიზისმა მოიცვა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია სამართლიანად წერდა ამის შესახებ: „პარტიათა შორის წინააღმდეგობა ყოველთვისაა და ყველგან“. ის ყველა ძალას ფორუმში ეპატიჟება „კონგრესის“ ასარჩევად. „ჩვენთვის ობიექტური მესამე პირის, სრულიად საქართველოს აზრს ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს“.

„გამშველებელთა“ და მიმდევართა ლანძღვა-გინებას რომ კითხულობ, თავი შეგძულდება. „კვალი“ და „მოგზაურიც“ ანგელოზებად მოგეჩვენება, რომლებმაც ეს ბინძური შეუწყნარებლობა დანერგეს ჩვენს სამშობლოში. ერთ განებივრებულ ეგოცენტრისტს წამოსცდა: „ის რა ლიდერია, ჩვენს წრესთან არ მეგობრობსო!“

გაცხელებული თავები „პუბლიცისტურ-პოლემიკური“ ლანძღვა-გინებიდან ფიზიკურ ექსცესებზე გადავიდნენ.

ოცდაოთხ ივლისს კინო-სახლთან მოწინააღმდეგეები თავს დაესხნენ მიტინგზე „მრგვალი მაგიდის“ ლიდერს. საჭირო გახდა მილიციის ჩარევა. მეორე დღეს უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან შეიქნა გაწევ-გამოწევა. ირაკლი წერეთელმა მხარეებს მშვიდობიანი ყამთისკენ მოუწოდა. აქვე თემურ ეურეოლიანმა გამოაცხადა, რომ მონარქიულ-კონსერვატიული პარტია სტოვებს „მრგვალ მაგიდას“ და იწყებს დამოუკიდებელ პოლიტიკურ საქმიანობას.

საქართველოს სახალხო ფრონტის შენობის წინ გამართულმა „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ალიანსის მიტინგმა მკაცრად დაგმო „პრაღის კონფერენციის რეზოლუცია“, რომელსაც მხარს უჭერდნენ „საკორდინაციო საბჭოს“ პარტიები. მიტინგზე ხაზი გაესვა, რომ აღნიშნული კონფერენცია ეწინააღმდეგება ქართველთა ეროვნულ ინტერესებს. იმ მომენტში, როცა გამსახურდია გამოდიოდა, მოწინააღმდეგეებმა, ტრიბუნასთან შეხლა-შემოხლით ჩაშალეს მიტინგი. რამდენიმე დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს.

ზვიად გამსახურდიამ გადაჭრით მოსთხოვა საკოორდინაციო საბჭოს წარმოედგინა მის მიმართ წამოყენებული ბრალდებების დამადასტურებელი დოკუმენტები. პასუხად ტელედებატები მოითხოვეს. ამაზე „მრგვალი მაგიდის“ ლიდერებმა სტადიონზე მიტინგის გამართვა გადაწყვიტეს.

ხალხი ამას აღიქვამდა, როგორც მოგებულ ბრძოლებს. პა-

ტივს მიაგებდა პიროვნულ და პოლიტიკურ თავგანწირვას.

შემაშფოთებელი დრო იყო. რთული, ყოველმხრივ საშიშარი. ვერ გამოიცნობდი, საიდან მოგადგებოდა საფრთხე.

ზოგიერთ რეგიონში, რაკი ჩვენს ჯენტლმენობაში დარწმუნდნენ და ჩვენს შორის თავიანთი გულმხურვალე მომხრეები დაიგულეს, უფრო გათამამდნენ. გაზეთების ბოიკოტიც ისწავლეს.

„თურქი მესხები“ კვლავ დაიძრნენ „ისტორიულ სამშობლოში“ მასობრივი მსვლელობით“.

„ღმერთო, დაგვიფარე!“

სხვანი თავიანთ მომენტს უცდიან.

ყველა ადასტურებდა, რომ უკანასკნელ ხანს პოლიტიკური ვითარება ძალზე გამწვავდა.

* * *

— თუ „მრგვალი მაგიდა“ მაფიასა და კორუფციასთან ინტრიგას არ შეწყვეტს, თავის თავს დააბრალოს! — გამოაცხადა ერთ დღეს ბეჟან სურამელმა.

— ამის იმედი ნუ გექნებათ! — ფიცხლად მიუგო გამგეობის წევრმა.

— სად აღმოაჩინეთ საქართველოში მაფია და კორუფცია? ეს ქართული შურისა და სიხარბის მორიგი გამოგონებაა. ჩვენი მტრები გვივრცელებენ ხმას და ჩვენ დასტური დავუკრათ? ერთი-ორი კაპიკი სხვაზე მეტი თუ იშოვა, უსათუოდ უნდა დავახრჩოთ?!

— ერთ-ორ კაპიკზე არ გვაქვს ლაპარაკი, უნამუსო გზით შეძენილ და გადამალულ მილიონებზე მოგახსენებთ, ასე რომ სჭირდება ქართველს ხალხს.

— ფეხი არ მოვიტეხოთ! — ჩაიქირქილა სურამელმა.

— „მრგვალი მაგიდის“ პოზიცია მყარია, ანტიეროვნულ ბობოლებს თავზე ხელს არ გადავუსვამთ. ზნეობრივი ღირებულებები ყველაფერზე მაღლა დგას.

— არ გირჩევთ, მეგობრებო, ერთმანეთთან ყინყლს. გავუფრთხილდეთ მამა-პაპის ანდერძს!

— ყოველ მომენტს თავის საქმე და კაცები ჰყავს.

— თქვენ იცით, ჩაილუღლუღა სურამელის კომპანიონმა. — თუ დამიჯერებთ, არ იყო ახლა მაგის დრო!

— ვითომ არ იცოდეთ, როგორ გაატყავეს რაიკომის მდივნებმა საქართველო! ფულის და ძალაუფლების მოყვარე პატიოსანი ვერ იქნება. ვერც ის გამოდგება მამულიშვილად, ვინც ასობით ჰექტარი მიჰყიდა გადამთიელებს. დაგისახელოთ? ჩამოგითვალოთ? გრძელი სია გამოვა. ამიერიდან ეს „სოციალისტური საკუთრების ხელყოფა“ კი აღარაა, საქართველოს ეროვნული წაგლეჯა და გაღატაკებაა.

— თქვენ გინდათ, ქართველები მათხოვრებად ვიქცეთ?

— ვინ მოგახსენა! ჩვენ გაღორების წინააღმდეგი ვართ. გაღორება ბინძური საშუალებებით მიტაცებულმა სიმდიდრემ იცის. ამას, კომუნისტურ სამოთხეს გარდა, ვერსად შეხვდები.

5.

რესპუბლიკის მოედნიდან რომ გადმოვიდნენ და მარცხნივ, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინისკენ მოუხვიეს, ზაალ ნადირაძე შეჩერდა და რაღაც ნიშნისმოგებით მიაჩერდა ზებედეს.

— ამერიკაში თურმე ირონიულად უყურებენ ჩვენს ეროვნულ მოძრაობას.

— რაო, რას ამბობენ?

— დაჭამეს ერთმანეთიო. ვიღაც დიქტატორი გამოჩენილაო.

— ვინც უახლოეს წარსულს იცნობს, ბუნებრივად და საკარგებლოდ ჩათვლის ამას.

— რას, ერთმანეთს რომ ახრამუნებენ!?

— აბა, ის სჯობდა, ჩემო ზაალ, კომპარტიის შიშით რომ ხმას ვერ იღებდნენ!?

— ჰო, მაგრამ, არც ის ვარგა, აგერ, ამ ადგილზე რომ ავტომატებს ატკაცუნებენ! დაიდალა და დაიბნა ხალხი. დასხდნენ კაცურად და ილაპარაკონ, ქართველები არ ვართ!?

— არ უნდა იყოს ეს საქმე მთლად იოლი. შერიგებას საქმის გარკვევა უნდა. რაღას არ ცდილობენ შუაკაცები, მაგრამ, შენც არ მომიკვდე. ქართველი დედების ხვეწნა-მუდარა წაიკითხეთ? ილიასა და აკაკის ძეგლთან მიტინგზე შეეკვედრნენ, შერიგდითო. რომელიღაც სტუდენტს შიმშილობაც გამოუცხადებია: შეწყვიტეთ ერთმანეთის ლანძღვა, თორემ, პირში ლუკმას აღარ ჩავიდებო.

— ქართველი ხალხი არ გაჰყვება მათ, სანამ „ფორუმი“ და „მრგვალი მაგიდა“ გათიშულია. ზის ახლა საწყალი ბიჭი ქუჩაში შალწამოსხმული.

— წითელი ჯვრის საზოგადოებასაც უთხოვია, შერიგების ფიცი დადონ მერაბ კოსტავას საფლავზე. კომისიაც გამოუყვიათ, ცხრა აპრილს რომ ბიჭი დააპატიმრეს, იმის მეთაურობით, მაგრამ არაფერი გამოდის. „მრგვალი მაგიდა“ ჯიუტობსო, ამბობენ.

— „მრგვალი მაგიდა“ თურმე იმიტომ ამბობს უარს, უცხოეთში ჭორებს გვივრცელებენო.

— რითი ხსნი, რომ ფორუმის ლიდერებმა რამდენჯერმე მოუწოდეს ოპონენტებს ეროვნული მოძრაობის გამთლიანებისკენ, ისინი დუმილით უპასუხებენ.

— პოლიტიკას ასე იოლად გაუგებ?! პოლიტიკოსი შეიძლება ერთს ფიქრობდეს, მეორეს ლაპარაკობდეს.

— წერეთელმა ამ მიზნით კინო სახლის წინ საგანგებო მანიფესტაციაც მოაწყო კონკრეტული წინადადებით.

— გამოვიდა რამე?

— რა გამოვა, თუ მეორე მხარე არ გამოცხადდება.

— რუსთაველის საზოგადოებამაც ბევრჯერ მოითხოვა ზავი.

— ეტყობა, „მრგვალი მაგიდა“ პატარა მიზეზით არ გასულა „ფორუმიდან“. მე მახსოვს მისი მოწოდება, სხვებსაც მიეტოვებინათ იგი. რას იზამ, ყველას არ შეუძლია საკუთარი სიტყვის უკან წაღება.

* * *

გავარვარებული ზაფხული გადიოდა. არათუ მონაწილეებს, ჩვენისთანა შორიდან მაყურებლებსაც მოსვენება არ ჰქონდათ. ცხელ-ცხელი მემორანდუმები, განცხადებები, ექსცესები, პიკეტები, მიტინგები ერთმანეთს სცელიდა. ვინ ვის მოერეოდა, გადათელავდა, გასრესდა.

* * *

დაიწყო ეროვნული კონგრესის საარჩევნო კომპანია. ურთიერთშეუწყნარებლობის, მეტოქეობის, იქნებ, მძულვარების ვითარებაშიც.

ერთმანეთს მიჰყვა საგანგებო შეკრებები, ყრილობები, რეზოლუციები.

ირაკლი წერეთლის აზრით: „ეროვნული მოძრაობის შეფერხების მთავარი მიზეზი იყო ეროვნული ფორუმიდან რიგი პარტიების და ორგანიზაციების თვითნებური გასვლა“.

ქვეყნდება პრესცენტრის ინფორმაციები. იხილება საარჩევნო კომისიაში წარდგენილი სიები. იწყება მანიფესტაციების, საპროტესტო მიტინგების, მსვლელობების ახალი ტალღა. ნაცნობ-უცნობი გვარები. ლექციები საქართველოს ეროვნუ-

ლი კონგრესის ისტორიულ როლზე. თეორიული დებულებები. საარჩევნო პლატფორმები. დარბაზის გაფართოებული სხდომები.

ხმა დაირხა: არჩევნები 30 სექტემბრიდან უფრო მოგვიანებით გადააქვთო. მალე გადატანა გაუმართლებლად სცნეს.

„ეროვნული კონგრესის გზით — ეროვნული თანხმობისაკენ, ეროვნული თანხმობის გზით — თავისუფლებისაკენ!“

ზოგს ვერ გაურჩევია ბრძოლა ძალაუფლებისათვის პოლიტიკური პრინციპებისთვის ბრძოლისგან.

ზოგნი კონგრესში „საბჭოთა არჩევნების“ ალტერნატივას ხედავს. ზოგი თვითმიზნურს უწოდებს.

მოწინააღმდეგეთა ურთიერთობაში დაძაბულობა მატულობს.

ამტკიცებენ, რომ ეროვნული კონგრესის იდეას ემხრობა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ერთობ ძლიერი და ორგანიზებული ნაწილი.

ვნახოთ, ამბობენ ოპონენტები.

ერთ ხანს შეჩერდა გაზეთების: „თბილისის“ და „ახალგაზრდა ივერიელის“ ბეჭდვა, რადგან მათ უარი ეთქვათ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის წერილის გამოქვეყნებაზე, რაშიც ბრალდებებს უყენებდა „მრგვალი მაგიდის“ ლიდერს. აირია მონასტერი. დაურბევიათ „ქართული ფილმი“ პიკეტები დაეყენებინათ ხოშარაულის ქუჩაზე, რაც ხელს უშლის გაზეთების გამოსვლას.

სუნთქვა ჭირს ეროვნულ მოძრაობაში სექტანტობა იჭრება.

საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეორე საგანგებო კონფერენციამ საქმეს ვერ უშველა. ნოდარ წულეისკირი, აკაკი ბაქრაძე, გურამ პეტრიაშვილი, ნოდარ ნათაძე სტვენით გააცილეს. ფეხების ბრაგუნი. შეძახილები. მწარე რეპლიკები...

კონფერენცია იქცა იდეური სიჭრელის, ინტერესთა შეუთავსებლობის, ნაძალადეობის დემონსტრაციად.

„მრგვალი მაგიდა“ ე. წ. ეროვნულ ფორუმს მიიჩნევს დაშლილად და ყველა ჯანსაღ პატრიოტულ ძალას მოუწოდებს ერთად იღვაწონ სამშობლოს თავისუფლების აღდგენის წმინდათაწმინდა საქმისათვის. მხოლოდ ზნეობრივი გზით!“

მიუკერძოებელ მეთვალყურეს შეუძლებელია არ შეენიშნა, რომ ფორუმის ღონისძიებათა — მიტინგების, ყრილობების, კონფერენციების მონაწილეთა რიცხვი და ხარისხი მკვეთრად და სწრაფად ეცემოდა.

შესაბამისად ძლიერდებოდა შეტევები პირადად „მრგვალი მაგიდის“ მეთაურის წინააღმდეგ. უსიამოვნო შთაბეჭდილებას იწვევს ქართულ საქმეებში „უცხოთა“ ტლანქი ჩარევა. ისიც უტაქტობაა, რომ ერთმანეთს უპირისპირებენ ჯერ არ შობილ „კონგრესსა“ და უზენაეს საბჭოს. ეროვნული მოღვაწეები ერთმანეთს „საბჭოთა პროკურატურაში“ უჩივიან „ბოროტი ხულიგნობისთვის“. ეს ორივე მხარეს უტეხავს სახელს. ლამის ძმათა შორის ომი გამოცხადდეს. პიკეტირება ტერორისტულ ხასიათს იძენს.

რა მოსდევს კინკლაობას, ნათლად გამოჩნდა აფხაზეთის მაგალითზე. ისარგებლა რა ხელსაყრელი მომენტით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიამ აგვისტოს ბოლოს საქართველოდან გამოყოფის გადაწყვეტილება მიიღო, რომლის გაუქმებასაც თავპირის მტვრევა დასჭირდა.

მეფე თამარის ქუჩით შინ რომ ბრუნდებოდა, ერთმა გამწარებულმა ტაქსის მძღოლმა აღმაშფოთებელი შეხედულებები გამოთქვა დემოკრატიულ წყობილებაზე:

— ვისი იმედით ვაპირებთ დემოკრატიაზე გადასვლას?! მოსახლეობის ოცდაათი პროცენტი ჭკუანაკლულია. ოცდაათი პროცენტი გულგრილი. ოცი პროცენტი ლოთი და ნარკომანი. ვიღა დაგვრჩა?!

— სულ ეგრეც არ უწდა იყოს.

— შენ რა, შვილოსან, დღეს რო მთაწმიწდაზე მფრინავი თეფში დაჯდა, იმით ჩამოხვედი?!

6.

ზაფხული უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევისათვის გააფთრებულ, უკომპრომისო, თითქმის სისხლიან შეტაკებებში იწურებოდა. სესიას მრავალპარტიული არჩევნების კანონები და დღე უნდა დაეწესებინა.

ყველაზე გავრცელებული ლოზუნგი გახდა: „ვითხოვთ რიგგარეშე სესიას!“ უნივერსიტეტში ივნისის დასაწყისში უვადო შიმშილობა გამოაცხადეს. ერთდროულად ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნას ან ალტერნატიული სამსახურის შემოღებას მოითხოვდნენ. აქციებში არსებული უმაღლესი საბჭოს დეპუტატებიც მონაწილეობდნენ.

ხელისუფლება მეთოდურად აგვიანებდა. კვირიდან კვირამდე გადატანით დროს იგებდა, რათა ჩაეშალა ის. მოშიმშილეთა მოთხოვნებს უერთდებოდნენ „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაციები, რომლის წარმომადგენლები სტუდენტებთან ერთად შიმშილობდნენ. უნივერსიტეტს სხვა უმაღლესმა სასწავლებლებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ხმა გავრცელდა, მოსალოდნელია ამიერკავკასიის სარკინიგზო ტრანსპორტის გაფიცვაო.

ხელისუფლება იძულებული გახდა პირობა დაედო, რომ სესიას თხუთმეტი ივლისისთვის მოიწვევდა მაგრამ გადიოდა დღეები, პირობის შესრულებას საშველი არ ადგებოდა, მოშიმშილეთა ჯანმრთელობა უარესდებოდა.

იმავე საღამოს მთავრობის სახლთან, ხალხმრავალ მიტინგზე იგივე მოთხოვნები წამოაყენეს.

26 ივლისს დიმიტროვის ქარხანა გაიფიცა. ამ გაერთიანე-

ბის ერთი დღით გაჩერება მილიონის ზარალს იწვევს. მომიტინგეებმა განაცხადეს, რომ გაფიცვას მანამ გააგრძელებდნენ, სანამ ოფიციალურად არ გამოცხადდებოდა უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევა.

თარიღი გამოცხადდა. გაფიცულები სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ, მაგრამ ესეც სიცრუე გამოდგა; თვრამეტ ივლისს დანიშნული სესია არსად ჩანდა. ხელისუფლება არავითარ ახსნა-განმარტებას არ იძლეოდა.

მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა. მოვიდა ცეცხლი, დახვდა წყალი. სახალხო მოძრაობა უკან დახევას არ აპირებდა. ხალხმა დიდი ხანია ირწმუნა, რომ მას ძლიერი ხელი, მტკიცე ნებისყოფა და მახვილი აზრი წარმართავდა.

25 ივლისს მთავრობის სახლთან ზღვა მიტინგებმა შეაზანზარა თბილისი, რომელსაც კვლავ „მრგვალი მაგიდა" მეთაურობდა და მხარს უჭერდა „სახალხო ფრონტი" და ლიბერალური ბლოკი.

სიტყვით გამოვიდნენ ზვიად გამსახურდია, ნოდარ ნათაძე, თემურ ქორიძე...

ქალაქში შუქი გამოირთო. „გრუზენერგომ" მხარი დაუჭირა აქციას. ნერვები უკიდურესად დაიძაბა. ენებები მტერმოყვარეს შორის სულ უფრო შლიდა ზღვარს.

თითქოს იდუმალი ძალები მოქმედებდნენ. კინო სახლის წინ კინალამ ცხრა აპრილის ტრაგედია განმეორდა. ამჯერად ქართველებს შორის. კეტებით შეიარაღებული მანდილოსნები თავს დაესხნენ „მრგვალი მაგიდის" მომიტინგეებს. მიტინგმა ისევ ოვაცია გაუმართა ბადრი უჯარმელს.

გურამ პეტრიაშვილმა ხელი გაიშვირა ერთ-ერთი ლიდერისკენ და სიყვარულით, სინანულით მიმართა: „გამოდი, ძმაო, და თქვი, რომ შენ ბადრი უჯარმელის სიძულვილმა აგიბნია გზა. ჩვენ მოწმე ვართ შენი დამსახურებისა ათასცხრაას ოთხმოცდარვა წლის ნოემბერში, ცხრა აპრილის დღეებში. ახლა

გული გვიკვდება, რომ ზურგი შემოგვაქციე, სიბნელემ იმძლავრა, ძმამ ძმაზე ხელი აღმართა!“

იმავე საღამოს უნივერსიტეტის წინ მიტინგზე ლაგამაწყვეტით ლანძღეს ბადრი უჯარმელი.

— მეგობრებო! — შესძახა ფორუმის მონაწილემ. — ეს რა მოგვდის, რა გვემართება. ნუთუ ჩვენ სხვამ უნდა გვასწავლოს ზვიადის სიყვარული? განა, ჩვენ თვითონ ვერ უნდა გავაკეთოთ დასკვნა!? გავეშუროთ მთავრობის სასახლისკენ, სადაც ამ წუთს მოშიმშილეთა აქციაზე ზვიადი გამოდის სიტყვით.

იმ წუთს ერთბაშად იხუვლა ისედაც მცირე მიტინგმა, ზურგი აქცია პროორექტორს და სწრაფად დაიძრა მთავრობის სახლისკენ, სადაც ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიდნენ ზვიადი, თემურ ქორიძე, გურამ პეტრიაშვილი, სხვანი და სხვანი.

ამ დროს ირაკლი წერეთელიც გამოჩნდა და სიტყვა ითხოვა.

შეიქნა ერთი ჭოჭმანი და მხრების ჩეჩვა. თითქოს ჩვენიანი არ ყოფილიყოს.

ზვიადმა უმალ ხელი დასტაცა მიკროფონს და გამოაცხადა: „სიტყვას ითხოვს ირაკლი წერეთელი!“

ხალხის გულს ისე არაფერი ახარებს, როგორც თავისი სახელოვანი შვილების ერთად ყოფნა, ურთიერთსიყვარული, ძმობა, ერთობა, შერიგება, სიალალმართლე და ვაჟკაცური დამთმობობა.

მიტინგი ტაშით შეხვდა ეროვნული მოძრაობის რაინდს.

— ძმებო! ქართველებო! ვიცი, რომ ყოველ თქვენგანს გულს უკლავს ჩვენი განხეთქილება. არაფერი არ უნდა დავზოგოთ იმისთვის, რომ მალე მივაღწიოთ სრულ ერთსულოვნებას, გავხდეთ ისე მონოლითური, როგორც ცხრა აპრილის ღამით ვიყავით ამ ტრიბუნებთან.

საოცარი მიტინგი იყო, გულისამაჩუყებელი. მას ინგილო-

ებიც ესწრებოდნენ, ფერეიდნელი ქართველებიც, რიზესპოლის ლაზი ფეხბურთელებიც.

„არც ერთი ქართველი დღეს განზე არ უნდა დარჩეს!“ „ყველას ერთი სული, ერთი საოცნებო უნდა გვქონდეს!“ — გვეუბნება მათი სუფთა, მართალი თვალები.

* * *

„მიტინგი დროებით შეჩერდა, კი არ შეწყვეტილა!“ — განუცხადეს საღამოს გაზეთის კორესპონდენტს დიმიტროვის ქარხნის საგაფიცვო კომიტეტის წევრებმა.

ამავე მიზეზით გრძელდება სამტრედიელ რკინიგზელთა გაფიცვა.

„როდის მივიღებთ საარჩევნო კანონს?“ „როდის ჩატარდება სესია?“ განუწყვეტლივ ისმოდა მიტინგებზე, შეკრებებზე და ყველაფრით იგრძნობოდა, ეს ხალხი უკან რომ აღარ დაიხევდა.

ხელისუფლება, მისი პროპაგანდა, კანიდან ძვრებოდა, რათა შიმშილი, გაჭირვება, სიძვირე, სნეულება სამტრედიის აქციისთვის გადაებრალებინა, მაგრამ ასპარეზს სულ სხვა ადამიანები დაპატრონებოდნენ; სხვა ძალის, სხვა ხასიათის, სხვა გუნება-განწყობილების, უშიშარნი, ძმური ერთობით შეკრულნი და გაუტეხელნი.

აღარ შველის იმის ჩიჩინი, რომ სამტრედიის აქცია იწვევს დესტაბილიზაციას, ართულებს და ძაბავს ვითარებას ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტებში, სადაც ხორბლითა და სხვა სასწრაფო საქონლით დატვირთული უცხოური გემები დგას, რომლებსაც დღეღამეში ათიათასობით დოლარს უხდიან ჯარიმად.

ვინ ვის! რომელს უფრო გაუძლებს ნერვები! რა ცოდვას

არ სწამებენ გაფიცულებს, ის კი ავიწყდებათ, ვისი მიზეზითაა.

„გამოსავალი ყველამ ერთად უნდა ვეძიოთ!“

ჩამორჩენილ მგზავრთა რიცხვი ათასობით იზრდება. ძვირად უჯდება სახელმწიფოს მათი გემებით, თვითმფრინავებითა და ავტობუსებით გადაყვანა.

ეროვნულ მოძრაობას უკანდასახევი გზა არა აქვს. სასწრაფოდ უნდა გამოქვეყნდეს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის პროექტი, უნდა მოესწროს სესიაზე განხილვა. ვადები კრიტიკულ სიტუაციას ქმნის. თუ შვიდ აგვისტომდე არ დამტკიცდა, არჩევნები ჩაშლილია, რაც ახალ უბედურებას მოუტანს საქართველოს.

პირველ აგვისტოს მაგისტრალზე მწვანე შუქი აინთო. ხალხის ნება უძლეველია. ჩაირთო სადისპეტჩერო პულტი. შეთანხმება მიღწეულია. უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესია ჩვიდმეტ აგვისტოს გაიხსნება.

რამდენი დრო დასჭირდება სტაბილიზაციას?! ხელისუფლება ყველა გასაჭირს ბლოკადით ხსნიდა. ყველაფერს, რაც საქართველოს აკლდა, „არაფორმალებს“ აბრალებდა. მათთვის სახელის გასატეხად, გამოგონილ სტატისტიკას აქვეყნებდა.

* * *

ჩვიდმეტ აგვისტოს, დილის ათ საათზე, უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში დაუვიწყარი სესია გაიხსნა. ის უეჭველად შევა ჩვენი ხალხის ისტორიაში. მას მრავალპარტიული არჩევნების კანონპროექტი უნდა დაემტკიცებინა, კავშირის ისტორიაში პირველად. უნდა ეპოვა გზა ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისაკენ. არ შემდრკალიყო. არავისთვის არაფერი დაეთმო. შანსი ხელიდან არ გაეშვა არც ხათრით, არც შიშით.

შეცბუნებულნი ელოდნენ განხილვას. ათეული წლობით შესისხლხორცებოდნენ თავიანთ ადგილებს. მათ წინაშე არასოდეს ამ სახით არ დამდგარა დეპუტატის მანდატის დაკარგვის საშიშროება. წმენკლატურით ეკუთვნოდათ, ან, არ ეკუთვნოდათ. ეს საქმე ცეკას განყოფილებებში წყდებოდა და არა საარჩევნო ყუთებთან. საარჩევნო კანონს მნიშვნელობა არ ჰქონდა. ისხდნენ სავსე ქისებით, წითელი მილიონერები. ვინ გაუბედავდათ!

რაღაც უსიამოვნო დაწოლას გრძნობდნენ გაბღენძილნი და ნებიერნი.

დღეს გაუგონარი უწესრიგობაა: სასახლე ხალხის ალყაშია მოქცეული, დრო იყო, ასეთ დღეებში აქ ადამიანს გავლა არ შეეძლო. თავმჯდომარემ წინასწარ გააფრთხილა, ცნობისმოყვარეები იქაურობას არ გაჰკარებოდნენ: ამათ კი, ბობოქარი მიტინგი გაუმართავთ.

გივი გუმბარიძე გაოცებას გამოთქვამს: „მიუხედავად იმისა, რომ გუშინ, სესიის დაწყების წინ, მთავრობის სასახლესთან მიმდინარე მიტინგის მონაწილეებს მოვუწოდეთ გამოეჩინათ სიმშვიდე და თავშეკავება, რათა შექმნილიყო მუშაობის ნორმალური პირობები, ვითარება სესიის გარშემო კვლავ დაძაბულია, გუშინდელი დღის სხდომების შემდეგ ზოგიერთ დეპუტატს ქუჩაში, მოგვიანებით კი, სასტუმროებშიც, ტელეფონებით ემუქრებოდნენ, შეურაცხყოფდნენ იმათ, ვისი პოზიციაც არ ემთხვევა ოპონენტთა შეხედულებებს. დაძაბულობა, სამწუხაროდ, დღესაც არ კლებულობს. ამიტომ, კვლავ მოვუწოდებთ მომიტინგეებს წესრიგისათვის, რათა მოგვცენ ნაყოფიერი მუშაობის შესაძლებლობა“.

მაგრამ ეს ხომ ხალხია. დემოსი! მთელი თბილისი. დღეს ასჯერ მეტი, ვიდრე გუშინ. ტელეგადაცემას უსმენენ, დაუფარავად გამოხატავენ თავიანთ მოწონებას თუ აღშფოთებას. მათი გუგუნი დარბაზს აზანზარებს. ძველი ხერხებით მათთან

ვერაფერს გააწყობთ. აფთიაქის სასწორზე უნდა აიწონოს. თითოეული მუხლი. ყოველი შესწორება.

ახალი პარლამენტი უანგარო, პატიოსანი ადამიანებისგან უნდა შედგეს. თითოეული მოქალაქის ინტერესები დაიცვას. გულში ერის ღალატი არ გაივლოს.

ნამუსიან კონსესუსს უნდა მიაღწიონ.

აი, დეპუტატი, რომელიც დღეში ათ საათს პირველი მდივნის მოსაცდელში ატარებდა! ვინ შებედავდა! ვინ შეეკამათებოდა! დღეს საეგებიოდ გახდომია საქმე. ეს კიდევ დიდკაცთან ძალათ დამძახლებული, გენიოსად აღიარებული.

შეხლა-შემოხლა მოჰყვა დეპუტატთა რაოდენობის განსაზღვრას. ერთ-ერთი პროექტი სამასს სთავაზობდა, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა, რადგან დეპუტატად დასახელების მეტ შანსს იძლეოდა.

ბადრი უჯარმელმა პროტესტი გამოაცხადა. წინადადებას იძლეოდა, ორას ერთით დაკმაყოფილებულიყვნენ.

დარბაზი დაიძაბა, აიქოჩრა, დაუნდობლად დაეტაკნენ ერთმანეთს. მოჰყავდათ ზუსტი ციფრები, რომელ ქვეყანას რამდენი დეპუტატი ჰყავს და რომ საქართველო არავისზე ნაკლები არაა.

— ჩვენ მუშა პარლამენტი გვჭირდება! — წარბშეუხრელად გამოაცხადა უჯარმელმა.

— ორასი კი არა, ჩვენ ათასობით მუშა დეპუტატი შეიძლება ავირჩიოთ! — მიაძახეს.

— ჩვენი დეპუტატი საპარლამენტო საქმეებით უნდა იყოს დაკავებული, სხვაგან არ უნდა მსახურობდეს.

— ესაა პატრიოტობა!? ქართველ კაცს შეუძლია ასი საქმე გააკეთოს ერთად.

— საქართველოს უფლება არ აქვს, ამდენი ფული გადაყაროს უაზროდ.

— ეს კაცს რა ამდენი ფული უნდა! დავავალოთ ფინანსთა მინისტრს, გამონახოს საამისო თანხა.

ბადრი უჯარმელს რამდენჯერმე მოუხდა გამოსვლა. არაფერს არ თმობდა. ბობოქრობდა. გარეთ, მომიტინგეები არცერთ მის სიტყვას არ ტოვებდნენ მხარდაჭერის გარეშე.

— ნუ გადავყვებით წვრილმანებს! — დარბაისლურად წარმოთქვა, „დიდმა მეცნიერმა და მწერალმა" ბეჟან სურამელმა. — სასაცილოდ ნუ გავიხდით საქმეს! ნუ ვათქმევინებთ, დეპუტატთა რაოდენობაზე კინკლაობენო. ქართველებს შეეძლიათ მსოფლიო პარლამენტები დააკომპლექტონ უმაღლესი ხარისხის დეპუტატებით!

— კორუფციონერებით!

უცებ შეკრთნენ, ვერ გაეგოთ, მოეყურათ თუ მართლა გაიგონეს ეს საშინელი სიტყვა.

— დიახ, დღეს ჩვენში ძალიან გაძნელდება ორასი ღირსეული პარლამენტარის არჩევა, — ჯიუტად დაასრულა უჯარმელმა დაწყებული აზრი.

მწარე ჭეშმარიტება ყოვლის დამთრგუნველი ძალაა და ხმა ვეღარ ამოიღეს.

დიდი აღებ-მიცემობის შემდეგ, მორიგება მიღწეული იქნა: ორასორმოცდაათი დეპუტატი, ასოცდახუთი მაჟორიტარულით, ასოცდახუთი პროპორციული სისტემით.

ორად ორი ეპიზოდი მინდა შეგახსენოთ: რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის და სახალხო ფრონტის მეთაურის გამოსვლები.

ამ საზოგადოებების თაყვანისმცემელი არ გეგონოთ. მათ ვერა და ვერ იპოვეს თავიანთი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში.

უღიმღამოდ ლევენ წუთისოფელს. მაგრამ, არც იმის [illegible]რყოფა შეიძლება, რომ რამდენიმეჯერ თანამემამულეებს [illegible]ლი აუძგერეს და სარგებლობაც მოუტანეს. ამათ შორის [illegible]

ჩება აკაკი ბაქრაძის სიტყვა აგვისტოს სესიაზე, სადაც ლაპარაკობს საქართველოზე, როგორც მატარებელს ჩამორჩენილ მგზავრზე, რომელმაც კისრისტეხით უნდა ირბინოს, რათა უკანასკნელ ვაგონს მაინც შეახტეს.

ბადრი უჯარმელს იმ დღესაც ბევრმა ატკინა გული, მაგრამ რაკი საქართველოსთვის აუცილებელი საქმე გაკეთდა, ამ გვემასაც უზენაესი სიხარული მოჰქონდა.

* * *

პატრიოტების გონიერი და თავგანწირული მოქმედების წყალობით, ქართველმა ერმა მთავრობას საკმაოდ დემოკრატიული არჩევნების კანონი გამოგლიჯა ხელიდან, რომელიც სულ უფრო გააუმჯობესა და დახვეწა არჩევნების პროცესში. მიღებული იქნა კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ, ჩატარდა მათი რეგისტრირება. შედგა უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა. განხორციელდა აზრი პარტიებისა და საზოგადოებების ბლოკებად დაყოფის შესახებ.

ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად იქცა პარტიათა შორის მძაფრი ბრძოლა „საარჩევნო კანონის“ დარღვევათა აღსაკვეთად, სიყალბეთა მხილება, არჩევნების უკანონო დაფინანსების წყაროთა გამოკვლევა და მხილება. — ეს იყო მძაფრი, უკომპრომისო პირისპირ დგომა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა პრესა და ტელეხედვა.

7

ხვალ შემოდგომის პირველი თვე იწყება. ზოგი რას ლაპარაკობს, ზოგი — რას. ერის ერთი მითქმა-მოთქმა, მუქარა და წინასწარმეტყველება. ღმერთმა ყოველი კეთილად აღგვისრულოს.

ბოლო დროს ბევრს მსჯელობენ ქართულ ეროვნულ ხასიათზე. ხშირად კურიოზი და ბედის დაცინვა ის არის, რომ გისაც ეროვნული ხასიათის ტიპიურ ნიშნებს მიაწერენ, გენეზით ქართველები არ არიან.

ქართველებს რომ ისეთი დამღუპველი თვისებები გვახასიათებს, როგორიცაა: „უჩემოდ ვინ იმღერეთა“, და მისთანები, ეს არავისთვის საიდუმლო არაა.

ღირსეული კაცის პატივისცემა, განა „ბელადომაწიაა?!“.

ხშირად კონსოლიდაციისკენ მოწოდებაც ეგოიზმითაა შთაგონებული.

სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ: 17 აგვისტოს სესია დიდგორის ომის ტოლფასად გამოაცხადესო.

პრესაში თუ მის გარეთ ავბედითი ბრძოლა გაჩაღდა კონგრესისა და უზენაესი საბჭოს მომხრეებს შორის.

კორესპონდენტის შეკითხვაზე: „რას ფიქრობთ, მოსახლეობის რამდენი პროცენტი მიიღებს მონაწილეობას კონგრესის არჩევაში?“, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი წერეთელმა მიუგო: „მიჭირს პასუხის გაცემა. ეროვნული კონგრესის იდეის წინააღმდეგ მიმართულმა აქციებმა თავისი ნაყოფი გამოიღო. თუმცა, ამ ბოლო დროს კონგრესი ახალ მომხრეებს იძენს მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში. მით უფრო, რომ კონგრესი ხელს არ უშლის უზენაესი საბჭოს არჩევნებს“.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეთაური გიორგი ჭანტურია, ადარებდა რა ერთმანეთს, დაასკვნიდა: „პარლამენტური გზა უმოკლესია, უკეთეს შემთხვევაში კონფედერაციისკენ, უარეს შემთხვევაში კი ფედერაციისკენ. ქართველ ხალხს არ სურს მონობის ერთი ფორმა მეორეთი შეცვალოს. მას სრული დამოუკიდებლობა უნდა“.

ბოლო არ უჩანს თეორიულ, პოლემიკურ, მამხილებელ წერილებს, რომლებიც უფრო და უფრო ძაბავენ ურთიერ-

თობებს. ამკვიდრებენ ეშვის, უნდობლობის, გაუტანლობის ატმოსფეროს. სასტიკ ბრალდებებს უყენებენ ერთმანეთს. ვინც ოციანი წლების პარტიულ ოპოზიციებთან ბრძოლის ისტორიას იცნობს, დიდი მსგავსებას დაინახავს მათ შორის.

სექტემბრის პირველ რიცხვებში გაეროს თავმჯდომარის — პერეს დე კუელიარის სახელზე მიმართვა იგზავნება, რომელსაც ხელს აწერენ ეროვნული კონგრესის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მერაბ ალექსიძე, ძირითად პარტიათა მეთაურები — ჭანტურია, წერეთელი, ბერიშვილი, სხდომის თავმჯდომარე კობახიძე. ერთდროულად მიმართვა ეგზავნება შეერთებული შტატების კონგრესის ორივე პალატას და ევროპარლამენტს.

„ეროვნული კონგრესი იქნება ის ორგანო, რომელიც საერთაშორისო დონეზე წარმოადგენს ქართველი ერის ნებას“.

ავტორები ითხოვენ ექსპერტების მოვლინებას.

ეწყობა საპირისპირო „კუნთების დემონსტრირება“. აქცია უნივერსიტეტის ბაღში. მიტინგი ფილარმონიის დიდ დარბაზში.

ხალხი შეწუხებულია კონფლიქტური სიტუაციებით. „როგორ ჩაივლის არჩევნები? რას მოგვიტანს ის?“

დაიწყო ეროვნული კონგრესის მომხრეთა მსვლელობა უნივერსიტეტის ეზოდან თავისუფლების მოედანზე. კონგრესის მხარდამჭერთა მსვლელობა არც იმდენად შთამბეჭდავი გამოდგა. ინფორმაციებში საყვედურია „დესტრუქციულ ძალებზე, რომლებიც იწვევენ დესტაბილიზაციას“.

მიტინგზე ტელევიზიის შენობასთან, სადაც პიკეტირება მიმდინარეობს, მოითხოვენ ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიების შტაბბინებზე თავდასხმის გამოძიებას და „ტელევიზიით მხილებას“.

დილით სამუშაოზე მოსულ საქინფორმის თანამშრომლებს, ისევე როგორც რუსთაველის პროსპექტზე მყოფ ქალაქელებს, არ შეიძლება ყურადღება არ მიეპყროთ სააგენტოს პირდაპირ მდებარე № 29 შენობასთან შეკრებილი ხალხისათვის. ახლა იქ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინაა. უყურადღებოდ ვერ დარჩებოდა ვერც პირველი სართულის ფანჯრების ჩამტვრეული მინები და გარუჯული ჩარჩოები.

— ყოველივე ეს ჯერჯერობით უცნობ პირთა ნახელავია,— თქვა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრმა, — ბოროტმოქმედებმა დილაადრიან მინები ჩაამსხვრიეს და შენობაში შეაღწიეს. მათ სროლა ატეხეს და ცეცხლგამჩენი ბოთლები დაუშინეს ოთახებს, მოაწყვეს რბევა.

— დაახლოებით დილის ოთხ საათზე, — თქვა მთაწმინდის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსმა, — შენობაში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით შეიჭრნენ უცნობები და ცეცხლი გააჩინეს. დაიწვა ერთი ოთახი, ხანძრის შემდგომი გავრცელების თავიდან აცილება მოხერხდა. შემთხვევის ადგილას აღმოჩენილია ავტომატური იარაღის ჰილზები. რაღაც ამდაგვარი მოხდა იმავე ღამეს რუსთაველის პროსპექტზე მდებარე სხვა შენობაში, სადაც წინათ კომკავშირის საქალაქო კომიტეტი იყო, ახლა კი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობაა. მილიციის მუშაკებმა აქაც აღმოაჩინეს ხანძრის კვალი და საბრძოლო იარაღის ჰილზები. მომხდარ ამბავს იძიებენ საგამომძიებო ორგანოები.

არც სხვა ადგილებზეა სიმშვიდე. როგორც „თეთრი გიორგის კავშირის“ მიმართვა იუწყება, ამ კავშირის სახელით ბოლო სამი თვის განმავლობაში დედაქალაქსა და მის შემოგარენში მოქმედებენ პროვოკატორთა ჯგუფები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სა-

ხელით სხვადასხვა დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელობას უწყობენ შანტაჟს ფულის გამოძალვის მიზნით.

შფოთიანი დღეებია. ნერვებს აყოლილი ადამიანები რაღაც არ სჩადიან: ორ დღეში სამი მკვლელობა, რვა სხეულის დაზიანება, ექვსი ყაჩაღობა, თერთმეტი ძარცვა, ოცდაერთი პირადი ქონების ქურდობა. ბავშვმა თანასკოლელი სასიკვდილოდ დაჭრა. ნიღბიანი მძარცველები ბინაში შეუცვივდნენ პენსიონერ ქალს...

უბედურება ის არის, რომ სხვა ცხოვრება ვეღარ წარმოგვიდგენია. სხვა წესი და სამართალი. გათანგული ვართ წარსულით. სხვა ცხოვრებას ველოდით. ისევ დევნა, ძალმომრეობა. ინტრიგა და კირკიმალი. ვინ ვის გადაახტება და დაახრჩობს. ანარქია ხელს აძლევს საქმოსანს, უღირსს ჩალიჩას.

ფილისტერი ქისას ტენის და „საბჭოთა პარლამენტარიზმზე" მეტყველებს.

რესტავრაციის მომლოდინენი ფიცს სდებენ: „ერთმანეთს მხარი უნდა დავუჭიროთ. მტყუანი რომ ვიყოთ, მაინც. მაშინ უფრო უნდა დავუჭიროთ მხარი ერთმანეთს!".

ზ. ბედეს ვერ აუხსნია, რატომაა ბეჟან სურამელი კონგრესის მხარეზე? რატომ არ ეშინია მათი? რატომ მოსწონს პოლიტიკური ქაოსი? რატომ არ აღელვებს პლურალიზმი?!

* * *

კონგრესის არჩევნებამდე ათი დღე რჩება.

არჩევნების წინ ფილარმონიაში ჩატარებულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეორე საგანგებო კონფერენციამ, რომელზეც სახელოვანი ადამიანები მიიწვიეს. ერთიანობის აღდგენას ვერ მიაღწია. პირიქით, კონფერენციამ

გაამწვავა პირისპირ დგომა. რეზოლუცია შეიცავს მოწოდებას, ჩამოყალიბდეს შემთანხმებელი კომისია დაზავების მისაღწევად, მოსახლეობას მოუწოდებს ეროვნული კონგრესის არჩევნებში მონაწილეობისაკენ. ეტყობა, კონფერენციის მიზანიც ეს იყო,

„ორხელისუფლებიანობის საშიშროებასთან“ დაკავშირებით, აზრი გამოითქვა, რომ „კონგრესის მიერ საჯარისო ფორმირებების მსგავსი წარმონაქმნის გამოყენება ეწინააღმდეგება პოლიტიკური ხელისუფლების — უზენაესი საბჭოს სუვერენულობას“.

ამ ვითარებაში კონგრესის პარტიებსა და სახტელერადიოს სისტემას შორის მძაფრი კონფრონტაცია წარმოიშვა, რასაც ჟურნალისტების გაფიცვა მოჰყვა.

გამაერთიანებელი კონფერენციის თავმჯდომარეს ბ-ნ აკაკი ბაქრაძეს დაბნეულობა და მერყეობა, „კონგრესის მოწინააღმდეგეთა წისქვილზე წყლის დასხმა“ დაბრალდა.

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე „ქართველი ერისადმი მიმართვა“ დაიბეჭდა:

საყოველთაო, დემოკრატიული, მრავალპარტიული, ბირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის შედეგად არჩეულია საქართველოს ეროვნული კონგრესი, აღჭურვილია რა საქართველოს მოსახლეობის ნდობის მანდატით, წარმოადგენს ქართველი ერის უზენაესი ნებისა და მისწრაფებების გამომხატველ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელ, წარმომადგენლობის პრინციპზე დაფუძნებულ ორგანოს. ჩვენი ერისა და ქვეყნისათვის ამ კრიტიკულ პერიოდში მივმართავთ ქართველ ერს საერთო ძალისხმევისაკენ იმ დიდი საქმის გამარჯვებით დასაგვირგვინებლად, რომელსაც დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო ჰქვია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მოწოდებუ-

ლია საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების დაცვით, მშვიდობიანი ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით შეიყვანოს ქართველი ერი, საქართველოს მთელი მოსახლეობა თავისუფალ საქართველოში. მხოლოდ სრული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის ვითარებაში იქნება შესაძლებელი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ზნეობრივი აღორძინება, თითოეული პიროვნებისა და მოქალაქის სრული თვითრეალიზაცია. საქართველოს ეროვნულ კონგრესს მიაჩნია, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე საჭიროა შემდეგი უმთავრესი ნაბიჯების გადადგმა.

1. საქართველოს ტერიტორიიდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების სრული და უპირობო გაყვანა.

2. 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ საბჭოთა რუსეთის აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად შექმნილი სახელმწიფო, საზოგადოებრივი, საკანონმდებლო და სამართლებრივი სტრუქტურის სრული დემონტაჟი.

3. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე დამოუკიდებლობის აღდგენა და ერის ნებაზე დაყრდნობით საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის განსაზღვრა.

ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად უნდა იქცეს საყოველთაო სახალხო მოძრაობად, რომელშიც საქართველოს მთელი მოსახლეობა გამოამჟღავნებს ერთსულოვნებასა და უდრეკობას, დაუპირისპირდება არსებულ არაკანონიერ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებს. საქართველოს დღევანდელი რეალური მდგომარეობა უნდა აისახოს მისი სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრაში საერთაშორისო სამართლის დონეზე: საქართველო არის აგრესიის შედეგად დაპყრობილი და ანექსირებული ქვე-

ყანა, რომელშიც არსებული რეჟიმი მთლიანად დაფუძნებულია საოკუპაციო ჯარის ძალაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტანციების წინაშე დაუყოვნებლივ უნდა დაისვას საქართველოს დეოკუპაციისა და ოკუპაციის შედეგების ლიკვიდაციის, დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი. ამავე დროს სრულიად საქართველოს მასშტაბით უნდა შეიქმნას იმპერიული ცენტრის მიმართ ოპოზიციური სტრუქტურები, რათა უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობისა და ტოტალური მშვიდობიანი წინააღმდეგობის განხორციელება საქართველოს ტერიტორიაზე დეოკუპაციისა და დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით.

რეალური პოლიტიკური ვითარება მოვლენათა სწრაფი განვითარება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ქართველი ერის დიდი სახელმწიფოებრივი, კულტურული და ზნეობრივი ტრადიციები გვავალდებულებს მაქსიმალურად დავაჩქაროთ განთავისუფლების პროცესი, მაგრამ გავიმსჭვალოთ პასუხისმგებლობის იმ უდიდესი გრძნობითაც, რომელიც გვაკისრია შთამომავლობის წინაშე.

ჩვენი მომავალია — თავისუფალი, ერთიანი, დემოკრატიული საქართველო!

გაერთიანდეთ ჩვენს წმინდა ბრძოლაში!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

თითქოს, ყველაფერი ითქვა და დაიწერა. ახლა სიტყვა საქართველოს ეკუთვნის.

— ზებეჯე!

— შალვა!

— გამოუხვიე, თუ არ გეზარება.

— რაშია საქმე, რაზე შეწუხებულხარ?

— სუ! — აიფარა პირზე ხელი. — გვიბრუნდება, მგონი, ჩვენი დრო.

— რა დრო?!

— რა დაგემართა, შე კაცო! სტალინის დრო გვიბრუნდება. კეთილი, ბედნიერი დრო. „სტალინის" პარტია შევქმენით. ჩვენიანები ჩავუყენეთ სათავეში. გენერალი. გმირი და თავიანი ვაჟკაცი.

— რა უნდა გააკეთოს ამ ჩვენმა პარტიამ?

— არჩევნები. რომაა, არ იცი! სტალინზე მეტ ხმას ვის მისცემენ! დავიბრუნებთ მთავრობას და აღვადგენთ ბელადს.

— ჩემი იმედი ნუ გექნებათ! ციხეების, შიშის და შიმშილის აღდგენა გინდათ?

— გადირიე, კაცო? სად ნახე სტალინის დროს ციხეები, შიში და შიმშილი?

— მეხუმრები? ჩემს ცხოვრებაში კუჭი არ ამივსია და გული საგულეს არ მქონია.

— სად ცხოვრობდი, შე საცოდავო! ჩვენს ქვეყანას საჭმელ-სასმელი აკლდა?! ჩაცმა-დახურვა გინდოდა, უფასო საგზურები, გართობა თუ პრემიები!

— ისე დაგიმშვენდა ცხვირი! შაქარი ჩვენთვის არ იყო და კარაქი. რიგებში დგომით მუხლები გვქონდა დასიებული.

— ცდები, ზებედე, ძალიან ცდები. ამას ასწავლი ვეტერანი კაცი ახალგაზრდობას?!

— მე სიმართლეს ვასწავლი, მაგრამ თქვენ სანამ უნდა

ატყუოთ ქვეყანა!? არ გრცხვენიათ? როდის დაგსიზმრებიათ ეს სტალინური სამოთხე?

— ქართველი არ ხარ, ბიჭო?

— მე კი ვარ ქართველი, მაგრამ თქვენს კერპზე რა მოგახსენოთ.

— არ ადგიხარ სწორ გზას.

— ღმერთმა ნუ მატაროს საქართველოს დამაქცევარი გზით. ოთხი ეგზეკუცია გადავიტანეთ ჩვენს პატარა სოფელში. გაგვეძლიტეს, გაგვძარცვეს. სტალინმა წაართვა ჩვენს ხალხს ყველაზე დიდი სიხარული — დამოუკიდებლობა და თავისუფლება. მაგან გაგვყიდა და დაგვაქუცმაცა.

— შენ არ იცი, რომ სტალინს მთელი მსოფლიო მეოცე საუკუნის მითს უწოდებს?! ნოე ჟორდანიაც აღიარებს: „უძალლო რუსეთში ქართული კატა აყეფდაო“. ჩერჩილმა კი, მსოფლიოს უდიდესი ტირანი უწოდა. ეს პატარა ამბავია?!

— თქვენ თავს სჭრით ქართველობას! — ამოიგმინა ზებედემ. — თქვენი სულელური მოგონებებით, ყალბი წერილებით, ქართველი კაცის დაცვის ცრუპათოსით, უკბილო არგუმენტებით ძალათ გამოაღვიძეთ სტალინი, აბრიყვებთ და საშარცხვინო გზაზე ერეკებით ჩვენს ხალხს, თავზე დაჰფოფინებთ ბელადის სახლკარს. სტალინური ქართული პატრიოტობა ჩვენი ხალხის აბუჩად აგდებაა. მისი წამების გზის დაცინვაა. თქვენ არაფერი გწამთ წმინდა. სრულებით არაფერი.

ათასცხრაას ორმოცდათექვსმეტში ეროვნული მიმართულება თავს აფარებდა სტალინიზმს. ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ, სტალინიზმი აფარებს თავს ეროვნულ მიმართულებას. იმ სტალინიზმს კიდევ რა უშავდა, სადღაც გულწრფელი იყო. დღეს?! სიცრუის მეტი აღარაფერი დარჩენილა!

/ არავისთვის ისე აქტუალური არაა ეს საკითხი, როგორც საქართველოსთვის.

სექტემბერში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ოცდაათამდე პარტია გაატარა რეგისტრაციაში. თერთმეტს უარი ეთქვა. გადაწყდა ბლოკებად დაყოფის აუცილებლობა.

უზენაესმა სასამართლომ ექვსი გაუქმებული პარტიის სარჩელი დააკმაყოფილა. მათ შორის „სტალინის“.

მძაფრი პროტესტები მოჰყვა სასამართლოს გადაწყვეტილებას. „სტალინის“ წინააღმდეგ შიმშილობა გამოცხადდა. უნივერსიტეტში რამდენიმეჯერ გამოცხადებულ „სტალინის“ გამო პოლემიკაზე ამ საზოგადოების წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ. კრებამ მიიღო რეზოლუცია საზოგადოება „სტალინის“ როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციის წინააღმდეგ. თუ ეს მოთხოვნა არ შესრულდება, უნივერსიტეტი საყოველთაო გაფიცვას იწყებს. იმუქრებოდნენ სხვა ანტიკომუნისტური აქციებით. გასაიცხ წერილებს უგზავნიდნენ აქტიურ სტალინელებს. გმობდნენ სტალინიზმის ბოროტმოქმედებებს. სამარცხვინოდ თვლიდნენ საქართველოში ასეთი საზოგადოების მოთმენას.

აღშფოთებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. რამდენიმე სხვა პარტიასთან ერთად, მას კომუნისტების მიერ ინსპირირებულ პარტიად აცხადებენ.

დეპუტატობის კანდიდატთა სიამ კიდევ უფრო დასცა ამ პარტიის პრესტიჟი. მასში ერთი გვარის ათამდე პირი იხსენიებოდა. ტელევიზიით გაუთავებლად კითხულობდნენ პანეგირიკებს სტალინის დროის მოხსენებებიდან და პარტიული დოკუმენტებიდან.

— ნუ ნერვიულობ, ზებედე! ბერიკაცები თავიანთ ახალგაზრდობას იგონებენ.

— კი, დაგიჯერებ! აბა ერთი მიუშვი, თუ რესტავრაციას არ შეუდგნენ.

— დაწყნარდი, ბიჭო, არ გრცხვენია! გაიხსენე ის ბედნიერი დრო, სოსოს სახელს რომ ვფიცულობდით. ა შენ, სამკერდე ნიშანი. არ ინანებ, იცოდე!

— მომაშორე! — უყვირა ზებედემ და სამკერდე ნიშანს ხელი წაჰკრა.

9.

ორგანიზატორთა რწმენით, საგანგებო კონფერენცია იყო ეროვნული კონგრესის იდეის სრული და საბოლოო გამარჯვება, რომლის იურიდიულ-პოლიტიკურ დადასტურებას 30 სექტემბრის არჩევნებზე ელოდნენ.

გათენდა ოცდაათი სექტემბრის ჩვეულებრივი დილა. დღეს ეროვნული კონგრესის არჩევნებია. განსაკუთრებულს ვერაფერს ვგრძნობთ. რამდენიმე დღის წინ ჩვენს სადარბაზოშიც ჩამოატარეს შეტყობინება, რომელშიც მითითებულია, სად უნდა მივიდეთ ხმის მისაცემად.

არჩევნების პირველი დღის ბოლოს, ძალიან ბევრ ოჯახში ხელუხლებლად იდო საარჩევნო უბნებში გამოცხადების ბარათები.

იძულებული გახდნენ არჩევნები პირველ ოქტომბერსაც განეგრძოთ. ვადის გაგრძელება გამოწვეული იყო „მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით".

მოგვყავს ცნობა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ინტერვიუდან: „წარმოიქმნა იმ ბიულეტენების გადმეორებით დაბეჭდვასთან დაკავშირებული სიძნელეები, რომლებიც საკორდინაციო ცენტრში... 19 სექტემბერს თავდასხმების შედეგად განადგურდა... მთელი რიგი დაწესებულებების ხელმძღვანელებმა არ შეასრულეს დაპირებანი".

არჩევნები გაგრძელდა და დამთავრდა ორი კვირის შემდეგ. თოთხმეტ ოქტომბერს.

1. საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალოს.

2. არჩეულ იქნეს საქართველოს ეროვნული კონგრესი საარჩევნო ბლოკების მიერ მიღებული დადებითი ხმების შესაბამისად.

3. ჩატარდეს საქართველოს ეროვნული კონგრესის პირველი სხდომა 1990 წლის 26 ოქტომბერს.

საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრთა სია უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ულოცავს მთელ საქართველოს ერს თავისუფლების ძნელ გზაზე დიდი გამარჯვების მოპოვებას — საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევას.

არჩევნებს უცხოელი მეთვალყურეები არ დასწრებიან.

კრიტიკული ანალიზისგან თავი შევიკავოთ. ის, რაც მოხდა და როგორც მოხდა, ჩვენი ისტორიის ღირსშესანიშნავი ფაქტია. გაჩნდა კონგრესი, ახალი პოლიტიკური ძალა.

მოახლოვდა უზენაესი საბჭოს არჩევნებიც. მათ ორიოდე კვირა აშორებდა ერთმანეთისგან.

„განსხვავება რიცხოვნობაში ალბათ ხელს არ შეუშლის კონგრესის ერთგვარ საზოგადოებრივ აღიარებას“, — ქარაგმული სიფრთხილით წერდნენ სექტემბრის ბოლოს. თითქმის ყველა მიმომხილველი მოსალოდნელად თვლიდა ამ ორ ინსტიტუტს შორის დაპირისპირებას.

გიორგი ჭანტურია თითქმის ულტიმატუმის ფორმით აყალიბებდა თავის მოსაზრებებს:

„საქართველოს ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს არჩევნების წარმატებით ჩატარების შემდგომ ძალიან ბევრს აწუხებს ამ ორი ორგანოს ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნულ

კონგრესს ამ საკითხზე ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია, გამოკვეთილია კონგრესის პოზიცია საბჭოთა სტრუქტურასთან მიმართებით: ეროვნული კონგრესი უზენაეს საბჭოს თვითმიზნურად არ დაუპირისპირდება, დაპირისპირება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. უზენაესი საბჭო დააპირებს ახალ „სამოკავშირეო" ხელშეკრულებაზე ხელისმოწერას;

2. მოახდენს „დამოუკიდებლობის" დეკლარირებას. (დეკლარირებას ის მიზანიც შეიძლება გააჩნდეს, რომ კრემლის საპასუხი ნაბიჯებით იქნას შემდეგ საკუთარი წარუმატებლობა გამართლებული);

3. განახორციელებს ტერორს, რეპრესიებს, დაუპირისპირდება ეროვნულ კონგრესს, მთელ ეროვნულ მოძრაობას;

4. არ იბრძოლებს დეოკუპაციისათვის;

5. განახორციელებს ანტიდემოკრატიულ კურსს, დაუპირისპირდება საქართველოს, ქართველი ერის ინტერესებს.

იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი საბჭო, მიუხედავად მისი ოფიციალური სტატუსისა (სწორედ, რის გამოცაა შეუძლებელი ამ საბჭოთა ორგანოს პარლამენტად აღქმა ოკუპაციის პირობებში), შეძლებს ქართველი ერის ინტერესების დაცვას, დემოკრატიული პოლიტიკის გატარებასა და კონგრესთან თანამშრომლობას, ღრმად ვარ დარწმუნებული, საქართველოს ეროვნული კონგრესი ადგილობრივი თვითმმართველობის ამ ორგანოსთან დაამყარებს საქმიან ურთიერთობას და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარება კიდეც უზენაეს საბჭოს ქართველი ერის ინტერესებიდან გამომდინარე".

— ეს განცხადება თავისთავად დაპირისპირების სიგნალია, — დაფიქრებით წარმოთქვა მარტოლეკმა. — შენ როგორ გგონია, მოხერხდება ამათი მშვიდობიანი თანამშრომლობა?

— ამის პროგნოზირება მისტიკად მესახება. ვის დაებადა ეს იდეა პირველად: ქვეყანაში, რომელსაც დამოუკიდებლობა არ გააჩნია, არსებობდეს თავისი არსით ორი, ერთმანეთის დაპირისპირებული ხელისუფლების ორგანო. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სიკეთეს არ მოგვიტანს.

— თუ სწორად გავიგე, კონგრესი მაკონტროლებელი, უფრო მაღალი ინსტანცია იქნება. ჯერ მარტო ამის გარკვევას დასჭირდება რამდენიმე შეტაკება.

— ამის მიზან-დანიშნულებას ვერ გამოარკვევ, თუ მიზეზებში არ ჩაიხედე.

— დიდი განსხვავებაა ამ ორ მიმართულებას შორის?

— არაა დიდი განსხვავება. დისიდენტობამ 60-იან, 70-იან წლებში მიაღწია თავის აპოგეას. 80-იანი წლებიდან, როცა გორბაჩოვის „პერესტროიკა" დაიწყო, ჰუმანიტარული მოთხოვნები, სახაროვი და თანამოაზრენი რომ აყენებდნენ, ახალი ხელისუფლების მიერ მშვიდობიანი რეფორმებით წყდებოდა. სახაროვი და მეგობრები „სახალხო ყრილობის" შემადგენლობაში აირჩიეს, ტრიბუნა მისცეს. „საბჭოთა დისიდენტობამ" რღვევა განიცადა. ზოგად ჰუმანიტარულის ნაცვლად, მან მკვეთრად ეროვნული ხასიათი მიიღო. თვით სახაროვი განახლებული მოძრაობის ლიდერად იქცა. ეროვნულ რესპუბლიკებში დისიდენტებს საკუთარი ბრძოლის ველი გაუფართოვდათ. საზღვარგარეთის დისიდენტურ ცენტრებს, ძირითადად, ებრაელები, სომხები, მათ წრესთან შეზრდილი ქართველი კოსმოპოლიტები ასაზრდოვებდნენ, რომელთათვის ქართული პრობლემები მტკივნეულად არ განიცდებოდა. სახაროვი გულახდილად წერს ქართველი დისიდენტების მიმართ თავის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე. ამას, ბუნებრივია, 80-იანი წლებიდან პატრიოტი ქართველი დისიდენტების განკერძოება უნდა გამოეწვია. მათ კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანებისთვის უნდა მიეხედათ, რა თქმა უნდა, საერთაშორისო დისი-

დენტურ მოძრაობასთან სოლიდარობისა და ურთიერთობის ტრადიციათა შენარჩუნებით.

— ქართული მოძრაობის გათიშვას ამასთან რაიმე კავშირი აქვს?

— რა თქმა უნდა. ეს არის საერთო ფონი — ეროვნულ ნიადაგზე საერთაშორისო დისიდენტობის დაშლა. საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა ჩვენი ეროვნული მოძრაობის ერთიანი მიზანია. ფორუმში დარჩენილ პარტიებს „დისიდენტური მაქსიმალიზმი", „დისიდენტური დოგმატიზმი" ახასიათებს. დრო კი, როგორც გითხარი, შეიცვალა. ისინი გრძელ, მძიმე გზას ირჩევენ — მეტი დანაკარგებით, მსხვერპლით, ზოგჯერ უსაგნო რისკით. „მრგვალ მაგიდაში" გაერთიანებული პარტიები უფრო ნაკლები დანაკარგებით, მოქნილი საშუალებებით, წელში გაწყვეტილი ხალხისთვის მეტი შეღავათებით ცდილობენ იმავე მიზნის მიღწევას. აქ ისეთი არაფერია, რომ ერთმანეთი დაკლან და დაახრჩონ. ურთიერთობათა გამძაფრება ხელოვნურია, პირადული სიმპათია-ანტიპათიებით განპირობებული. საერთო ენის გამონახვა აუცილებელი და შესაძლებელია. პიროვნული ვნებები უნდა დაცხრეს, პოლიტიკანობის და მარქსისტული პარტიებიდან ატაცებული ფრაქციულობის მიდრეკილებები დაძლეულ იქნას, საქმეს მეტი სინათლე და გარკვეულობა მიეცეს. დარწმუნებული ვარ, საქმე დღეს თუ ხვალ აქეთკენ წავა და ეს აიძულებს ყველას საერთო ენა გამონახონ. ყველა არჩევნები ამის პრაქტიკულ გამოცდას წარმოადგენს. ვინც ხელოვნურობას, გაურკვევლობას, ნაძალადევ გასულელებებს თავს ვერ დააღწევს, ვერასოდეს ხალხის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებენ, ვერ გაიმარჯვებენ. მაშასადამე, იძულებული გახდებიან ხალხს ანგარიში გაუწიონ.

— ჩემი აზრით, იმის ერთი მიზეზი, რომ კონგრესმა ჯეროვანი პოპულარობა ვერ მოიპოვა, სოციალური მოთხოვნილების იგნორირება, ანუ შეუფასებლობაა. მე თითქმის არ

შემხვედრია მათ პროგრამებში გაჭირვებიდან ხალხის გამოხსნის გზების ძიება, კორუფციის აღკვეთაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. აშკარად თავს არიდებენ, ხალხი კი, წელში წყდება. პოლიტიკური თვითმკვლელობის გზა ტრაგედიაა და არა დანაშაული. შუბლით მიწოლას გამარჯვება არ მოაქვს. დღეს ძნელი გამოსარკვევია, ადგილი ჰქონდა თუ არა საარჩევნო უბნებზე თავდასხმებს, ბიულეტენების გატაცებას, განადგურებას.

მიხაკა მარტოლეკმა პაპიროსი ამოიღო, თავი მოუსრისა და მოუკიდა.

— კონგრესის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ საგულისხმო დასკვნა და რჩევა მისცა მათ, როცა თქვა: „კონგრესის არჩევნებმა სრულად ასახა ჩვენი საზოგადოების რეალური მდგომარეობა. იმედი მაქვს, საქართველოს ეროვნული კონგრესი და უზენაესი საბჭო თავს დააღწევენ აკვიატებულ დაპირისპირებას“.

კონგრესის მესვეურებს არ უნდა ეშინოდეთ იმ ჭეშმარიტებისთვის თვალში ჩახედვა, რომ ხალხის ნაწილმა ბოლომდე ვერ გაიგო მათი მიზანი და ამოცანები.

10.

უზენაესი საბჭოს არჩევნებში მრავალ პარტიასა და ბლოკს შორის გაჩაღდა დაუნდობელი ბრძოლა, მაგრამ ისტორიამ ინება სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთმანეთის პირისპირ დამდგარიყო სიძულვილით აღსავსე ორი ძალა — კომუნისტური პარტია და ილია მართლის ქართული პატრიოტიზმი. უთანასწორო ჯაჯგურში დაშინებულ და გატანჯულ ხალხს უიმედოდ ეჩვენებოდა ეს ორთაბრძოლა.

ქვეყნის ბატონ-პატრონს ეჭვი არ ეპარებოდა გამარჯვებაში. სხვა რომ არაფერი, არჩევნების ბედიღბალი მას ჰქონ-

და მინდობილი. ადამიანთა ფსიქოლოგიით თუ ვიმსჯელებთ, უმრავლესობა ყოველდღიური ინტერესებითა და განწყობილებებით ხელმძღვანელობს. თვით არჩევნების პროცესშიც კი, კომპარტიას ქვეყნის მმართველობაზე ხელი არ აუღია. უკანასკნელ წუთამდე საჭე ხელიდან არ გაუშვია, არ გადამდგარა, რაც მას ორ-სამმაგ მატერიალურ და პოლიტიკურ „ფორას“ ანიჭებდა. უკიდურეს შემთხვევაში, შეეძლო იმ მეთოდებით ემოქმედა, რომლითაც აქამდე ინარჩუნებდა ბატონობას.

მაგრამ ეს არ მოხდა. სრულ უპირატესობაში დარწმუნებულმა, ამჯობინა, დემოკრატიზმისადმი ერთგულებით აღედგინა დაკარგული ავტორიტეტი. საერთაშორისო მასშტაბით თავი მოეწონებინა განახლებისა და გადახალისების მონაპოვრებით. რისკიან ცდუნებას აჰყვა. იმ დროს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც არ იყო გადაწყვეტილი იდეოლოგიური ორთა ბრძოლის ბედიღბალი და საქართველო კარგი მაგალითი იქნებოდა.

კომპარტია ეროვნული განვითარების ფართო კონცეფციით წარსდგა ამომრჩეველთა წინაშე რას ინატრებ, სულო და გულო? დემოკრატია გინდათ? იხილეთ! დამოუკიდებლობა გსურთ? მოგვირთმევია! ეკონომიკურ აღორძინებასა და აყვავებაზე ოცნებობთ? ჩვენზე უკეთესს ვერ ინატრებთ!

— შენ შებილწული პარტიის გადარჩენას აპირებ?

— ხომ გაგიგონია, სამარის კარამდე მისდიეო.

— კი, ბატონო, მაგრამ სამარეში ნუ ჩაჰყვები!

— ის კომპარტია აღარაა, შენ რომ გახსოვს. ცალკე აპირებენ გამოყოფას.

— ისე არ აუდგათ გვერდები! კომპარტია კომპარტიაა. თუ კომუნიზმის აშენებას აღარ აპირებთ, სხვა სახელი მაინც დაირქვით.

— კომპარტია რეალური ძალაა. ლიგაჩოვისთანა კაცებს ხომ არ უნდა ჩავუგდოთ ხელში!

— მაგისთანა საკენკი წიწილებს დაუყარეთ!

— გორბაჩოვის სიტყვა არ დაგავიწყდეს. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ცოცხლობს და იცოცხლებს, კვლავაც შემატებს თავის ისტორიულ წვლილს ჩვენი ქვეყნის პროგრესს, მსოფლიო ცივილიზაციის პროგრესს“.

ისეთი მიზანსწრაფული, მეცნიერულად არგუმენტირებული მოღვაწეობა, რომელიც „მრგვალი მაგიდის“ პარტიებმა იმ წლის გაზაფხულიდან გააჩაღეს, საქართველოს პოლიტიკური მოძრაობის ისტორიამ არ იცის. გასაოცარი შთაგონება, რწმენა და სიმტკიცე დაჰყვა ამ ბრძოლას. ასობით დიდ თუ პატარა საკითხს იხილავდნენ, გადაწყვეტილებები გამოჰქონდათ და ახორციელებდნენ. რომელ ერთს დაასახელებ — ყველა ერთმანეთზე სასიცოცხლო და გონივრული. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, კერძოდ, ადიღე-ჩერქეზებთან ურთიერთობა გავიხსენოთ. საგანგებო კონფერენციაში მონაწილეობაზე უარის თქმა. უსასტიკესი პოლემიკა და უკომპრომისო შეტაკებანი. პრინციპებში უკანდაუხევლობა და გაუტეხლობა. საბრძოლო მზადყოფნა. მემორანდუმები. დროული, შეუპოვარი და ზუსტი. საკონსტიტუციო სხდომები.

რეაგირების გარეშე არ რჩება საშინაო თუ საერთაშორისო ცხოვრების არცერთი დიდი თუ პატარა საქმე. გუშინდელი, სადღეისო, სამომავლო.

— მეორე მაგალითი არ მეგულება, რომ ადამიანს ასე დაუზოგავად ლანძღავდნენ და ემუქრებოდნენ. — თქვა მარტოლეკმა.

— „მრგვალი მაგიდის“ სკიპერზე ამბობ?

— რა თქმა უნდა, ბადრი უჯარმელზე.

— ნუ გეშინია, ბავშვობიდან მიჩვეულია.

— ძნელია, გუშინდელი მეგობარი რომ გაგიმეტებს!

— უჯარმელს გამეტება ვერ გააკვირვებს! მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა ყოვლგნით განაწირსა.

— ამდენი ქომაგი გინახავს, რაც უჯარმელს ჰყავს? თავგამოდებული და ღირსეული?

— სჯერათ, რომ ის ჩვენი მოძრაობის გუშინდელი, დღევანდელი და ხვალინდელი დღეა.

— ცილისწამებებს მან ფაქტები და ახსნა-განმარტებები ღაუპირისპირა.

— კმარა! მეტისმეტი არ გამოგვივიდეს.

— აი, ნახე, თუ უსამართლო დევნამ სარგებლობა არ მოუტანოს!

— ახლავე არ ეტყობა, რომ ხალხი ჭირისუფლად ეფარება?!

— ასე კრიჭაში ჩადგომა იქნება? რა ხანია, სათავეში დგას, თუ მოქმედების თავისუფლება არ მიეცი, რა საქმეს გაუძღვება! ვალდებული ვართ, ვენდოთ! არც ეროვნული ფესვების იგნორირება შეიძლება.

— პრაღის კონფერენციის მონაწილეებისადმი ქართველი პატრიოტების წერილი წაიკითხე?

— მტკიცე, პატიოსანი სიტყვაა. ყველამ თავის ეზოს მიხედოს. ეთნოკონფლიქტები საიდანაც მოდის, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით.

— მე არ მეგულება ქართველი მოღვაწე, რომლის მიმართ ისეთი ინტერესი გამოეჩინოს უცხოეთს, როგორც „მრგვალი მაგიდის“ მეთაურია. ერთდროულად ამდენი ქება და ძაგება.

* * *

ოც აგვისტოს დილის ათ საათზე ზებედე, მეუღლესთან ერთად, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ეგრეთწოდებული „საგარეო საქმეთა სამინისტროს“ შენობასთან მივიდა, სადაც ფერეიდნელ ქართველთა მხარდასაჭერად მიტინგი უნდა გამართულიყო.

სირცხვილიცაა თქმა, რომ უყურადღებოდ გვყავდა დარჩენილი თითოეული ჩვენგანისათვის ბავშვობიდან საყვარელი და სანატრელი ფერეიდანელი თანამემამულენი. ფერეიდანში დარჩენილ ახლობლებთან მიმოწერის, ტელეფონით ლაპარაკის, დედ-მამის, და-ძმების მონახულებაც არ შეეძლოთ. ერთ ჯგუფს შიმშილობა გამოეცხადებინა, რომელსაც მხარს უჭერდა „ჰელსინკის კავშირი“.

მიტინგი დაწყებული იყო, როცა რომელიღაც ღონისძიებიდან ბადრი უჯარმელმა მოირბინა. ამან უსაზღვრო სიხარული გამოიწვია.

საარჩევნო ბლოკის ლიდერმა მღელვარე, გულმტკივნეული სიტყვა წარმოთქვა. მომიტინგეებს დახმარება აღუთქვა, საათს დახედა და აჩქარებით გაეშურა მორიგ აქციაზე.

„ორვალი მაგიდის“ წინააღმდეგ კომუნისტური პარტიისა და ეროვნული კონგრესის ბრძოლის ღონისძიებები არსებითად გაერთიანდა.

საარჩევნო ბატალიები იმთავითვე გააფთრებულ ხასიათს იღებდა. ყოველ წუთს ყოველგვარი დარღვევა მოსალოდნელი იყო. ძხარეები არავითარ დათმობაზე არ მიდიოდნენ. „მრგვალი მაგიდის“ სახელით გიორგი ხოშტარიამ ტელევიზიით გაკეთებულ განცხადებაში თქვა, რომ მათი პროტესტის საფუძველზე რესპუბლიკის პროკურორმა პროტესტი წარუდგინა უზენაეს სასამართლოს, რათა გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება მთელ რიგ პოლიტიკურ ორგანიზაციათა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის შესახებ. თუ ეს

ნარ მოხდება, მაშინ „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაციები მწვავე აქციებს მიმართავენ.

გახშირდა დარბევები, დაშინება, პიკეტირება.

„მრგვალი მაგიდა“ ახერხებდა „ცხელ წერტილებში“ ვითარების დარეგულირებას.

„მრგვალი მაგიდის“ მოწინააღმდეგეთა ჟურნალ-გაზეთების ხელში აღება აღარ შეიძლებოდა. იგი პოლიტიკური სიძულვილის მსოფლიო რეკორდებს ამყარებდა, რაც მუდამ ამაზრზენ შთაბეჭდილებას ახდენს.

* * *

— ნახე, თუ კორუფციისა და მაფიისთვის ომის გამოცხადებამ კისერი არ მოტეხოს! აჩქარდა. ჯერ ხელისუფლება უნდა აეღო, ამას მერეც მოესწრებოდა. — ღელავდა მარტოლეკი. ხელისუფლების აღებამდე უნდა დაეცადნა. დაიმშა, გაღატაკდა ხალხი. ქონებამ საქმოსნების ხელში მოიყარა თავი. პირადი გამდიდრების მეტი რომ არაფერი სწამთ რაკი გაუგეს, აღარ აპატიებენ, აღარ გაუშვებენ.

— შენ მართლა ყოვლისშემძლე გგონია ისინი?

— ასეა!

— ხალხის ძალა არ გწამს?

— არა! რა შეუძლია გაძვალტყავებულ, დამონებულ, გათითოკაცებულ ხალხს! კორუფცია და მაფია მონოლითური ძალაა, ერთ მუშტად შეკრული. ხელისუფლებისთვის არაფერს დაზოგავს.

— გადაჭარბებული წარმოდგენა გქონია მათზე, ის კი აღარ გახსოვს, რა შეუძლია გაჭირვებულ, საღათას ძილიდან გამოსულ ადამიანებს.

— მეშინია, ზებედე! მუქთახორები ყველაფერს იკადრებენ.

— დამშვიდდი! ბადრი უჯარმელი გაუზომავად ნაბიჯს არ გადადგამს. „უნდა გვეყოს გაბედულება. — ამბობდა ზვიად გამსახურდია. — და, რაც მთავარია, ზნეობრივი სიმტკიცე, რათა გავემიჯნოთ მაფიოზურ ბნელ ძალებს, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გვექნება უფლება, ვიწოდებოდეთ „ეროვნულად“.

— შენს პირს შაქარი! ამათი კაპიტალი ხომ ნაქურდალზეა ამოშენებული. კარგია ყველაფერი, რაც პატიოსანი გზით კეთდება და საზიზღარია, რასაც უნამუსობის სუნი ასდის. ტანში მზარავს, როცა წარმოვიდგენ, რომ საქართველოს სახელით უცხოეთში საქმიანი ურთიერთობების დასამყარებლად მატყუარა, ყალბი ადამიანები ივლიან.

* * *

საარჩევნო კომპანიის სენსაციას წარმოადგენდა თითქმის ფინიშზე გაჩენილი ახალი ორგანიზაცია, რომელმაც თავისთავს პოლიტიკური პარტიისთვის მოუხერხებელი სახელი უწოდა: „საქართველოს ეროვნული თანხმობის კავშირი“.

აგვისტოს ბოლოს, თავის დამფუძნებელ ყრილობაზე მან კიდევ დააზუსტა თავისი ვინაობა: „საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი“.

მას დათვური სამსახური გაუწია იქვე გამოქვეყნებულმა დამფუძნებელთა სიამ.

ხალხმა, დახედა თუ არა სიას, მაშინვე ის დასკვნა გამოიტანა, რომ კომპარტია კიდევ ერთი ახალი სახით მოევლინა ქვეყნიერებას.

„შრგვალი მაგიდა“ საგანგებო მემორანდუმით შეხვდა ახალ პარტიას. ჯადოსნურ ხელის შეხებას ჰგავდა ეს მემორანდუმი. თუმცა, ნიშნის მოგება რაღა საჭიროა! გამოცვივდნენ

პრესაში ჩვენი სასიქადულო მეცნიერები და მოღვაწეები. თითქმის ერთ დღეს დატოვეს კომუნისტური პარტია, რითაც უფრო დაიმძიმეს საარჩევნო მდგომარეობა. მათი პრეტენზიები განმტკიცებული არ იყო არც საქმეებით, არც მორალით. ახლა როგორ გადაერჩინათ თავიანთი ფეოდალური ფუფუნება!?

* * *

იმის გამო, რომ რუსმა „დუხობორებმა" ნებაყოფლობით გადაწყვიტეს მამაპაპათა სამშობლოში დაბრუნება, მერაბ კოსტავას საზოგადოება იძენდა მათ სახლებს სტიქიით დაზარალებული აჭარლების ჩამოსასახლებლად. ამან ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია და ახალი ეთნოკრიზისის კერა შექმნა, „მრგვალ მაგიდას" კიდევ ერთი საზრუნავი გაუჩინა. სიტუაციის გართულება მოჰყვა „მემორანდუმის მოსკოვისა და საქართველოს ხელისუფლებისადმი", რომელშიც სხვა მუხლებთან ერთად, წამოყენებული იყო მოთხოვნები „შეწყდეს არაქართველთა დემოგრაფიული ექსპანსია საქართველოში, მიწების მიტაცება; ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონებში შეწყვიტონ ქართული მოსახლეობის დისკრიმინაცია".

საითაც გაიხედავ, საგანგაშო მდგომარეობაა. ყველგან ფხიზელი თვალი და უშიშარი გულია საჭირო.

ახლოვდება არჩევნები; დაძაბულობა იზრდება, ახალ-ახალ პრობლემებს აყენებს. აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ, თითქოს დრო გვიხელთაო, საქართველოდან გამოყოფის გადაწყვეტილება მიიღო. სამაჩაბლოს ქართველობა მოთმინებას ჰკარგავს „სამხრეთ ოსეთის სუვერენტიტეტის დეკლარაციის" გამო. სოჭა-ადლერში „თურქი მესხები" ტრიალებენ. საჩქარო, ბრძნული, გაბედული ღონისძიებები გვჭირდება.

ქვეყანამ საიმედო, გონიერი პატრონი უნდა აირჩიოს.

მოატანა თექვსმეტი სექტემბრის კვირადღემ, როცა, საღამოს ექვსი საათისთვის, ეროვნულ სტადიონზე „მრგვალი მაგიდის“ ბლოკში შემავალი პარტიებისა და ორგანიზაციების სახალხო მიტინგი უნდა შემდგარიყო.

მიტინგი სტადიონზე!

სექტემბრის მზე დილიდანვე მოსალბუნე და საამოა.

ზებედე და ქალბატონი ბუეუეა რამდენიმე დღეა მოუთმენლად ემზადებოდნენ ამ საღამოსთვის. ხუთ საათზე საზეიმოდ გამოეწყვნენ და ფეხით გაუყვნენ გარეუბნის ქუჩებს.

ეზო-ბაღებიდან შემოდგომის სურნელი იფრქვევა. ცა სილურჯეში გადამდნარა.

დასავლეთ ტრიბუნებზე გროვდებიან წყნარი, სუფთად ჩაცმული ადამიანები. მანდილოსნები და ვაჟკაცები. გოგობიჭები, მოხუცები, ბავშვები. უმრავლესობა ოჯახებით მოსულა.

დუმან. ან, მშვიდად ჩურჩულებენ. ელიან, მაგრამ არაეითარი ნერვიულობა არ შეიმჩნევა. მღელვარებას იდუმალად გრძნობ.

წინა დღეს საკავშირო პოლიტბიუროს წევრი, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გივი გუმბარიძე პარტიისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებს შეხვდა, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობენ. თავისთავში მტკიცედ დარწმუნებულმა მოუწოდა ყველას, გამოიჩინონ თავშეკავება, არჩევნები ჩაატარონ მშვიდ, კონსტრუქციულ, დემოკრატიულ ვითარებაში. გააცნო ხალხს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამა.

თითქმის იმავდროულად გამოქვეყნდა „მრგვალი მაგიდის“

მორიგი მემორანდუმი, რომელშიც მხილებული იყო საარ-ჩევნო დებულების უხეში დარღვევები და მაქინაციე-ბი.

დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ტრიბუნები ხალხით გაიჭედა. ამბობენ, ოცდაათიათასიდან ორმოციათა-სამდე იქნებათ. სტადიონზე წესრიგი და სიწყნარე სუფევს. ცნობისმოყვარე, ინტერესით დაძაბული თვინიერი სახეები. ზებედეს წინ თალხებში ჩაძირული ბებია ზის, რომელსაც მუხლებზე შესკუპებია თეთრკაბიანი, სამიოდე წლის შვილი-შვილი, რაღაც სანატრელ მოლოდინით დაამებული. ინტე-ლიგენტურად ჩაცმულ ახალგაზრდა ქალს გულთან წიგნი ჩა-უხუტებია.

სათამაშო მოედნის დასავლეთ მხარეზე ბლომა ხალხი ფუსფუსებს. შუაში მაგიდები და სკამები დგას. ცოტა მო-შორებით — ტელევიზიის ავტომობილი — გადამცემი აპარა-ტურით.

ზუსტად ექვსი საათისთვის მოედანზე შემოვიდა „მრგვა-ლი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის მეთაუ-რი.

ხალხი წამოიშალა. გაისმა ერთსულოვანი ტაშისცემა. მამა-კაცებმა მომუშტული ხელები აღმართეს. ზებედეს გვერდით სამოცს გადაცილებული კაცი დგას, ჭაღარა, ფუმფულა წვე-რით, ქათქათა, შავკანტებიანი სვანური ქუდით. მხნედ, იმედ-მოცემული. მის გვერდზე — ოცდაათიოდე წლის კუშტად გა-რინდებული, შავხალათიანი რაინდი. საღამოს ნიავი ნე-ლა აფრიალებს სამფეროვან, შინდისფერ ქართულ დრო-შებს.

ზებედეს ყურადღება მედროშე ქალიშვილების შთაგონე-ბულმა, თავდადებისთვის მზადმყოფმა გამომეტყველებამ მი-იპყრო.

რა საყვარლად მისჩერებიან ეროვნულ ალმებს.

ირგვლივ ლოზუნგებია:

„არცერთი კომუნისტი უზენაეს საბჭოში!“

„შეჩერდეს სსრკ-ის კანონები, რომლებიც ლახავენ საქართველოს ინტერესებს!“

„ვამხილოთ კომპარტიის წინასაარჩევნო ოინები!“

ბადრი უჯარმელმა ცეკას შენობის პიკეტირებიდან მოირბინა სტადიონზე. იქ ილია მართლის საზოგადოების ბორჯომის, ახალციხისა და ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებს გაეშალათ კარავი. უვადო შიმშილობა გამოეცხადებინათ, სანამ უსაფუძვლოდ დაპატიმრებულ დავით გელაშვილსა და ზაზა გაბედავას არ გაათავისუფლებდნენ. პირველს ადიგენის მილიციის განყოფილებაზე თავდასხმას აბრალებდნენ. ძიებაში „მრგვალი მაგიდის“ იურისტებიც მონაწილეობდნენ.

— ძვირფასო მეგობრებო! ქართლოსიანნო! — მიკროფონი აიღო მეთაურმა. — როგორც ჩვენი მემორანდუმიდან მოგეხსენებათ, ხელისუფლება უხამს საშუალებებს იყენებს არჩევნების ჩასაშლელად. წინასაარჩევნო ბრძოლაში ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციების ჩაბმა, როგორც არის „სტალინი“ ან „საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი“ უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის უხეში დარღვევაა. სტალინის სახელი ცივილიზებულ სამყაროში დიდი ხანია დიქტატის, თვითნებობისა და დემოკრატიის ჩახშობის განსახიერებად გადაიქცა, ხოლო ეროვნული თანხმობის კავშირში წარმოდგენილია „წითელი ინტელიგენცია“. ის კომპარტიის თავისებური ნაირსახეობაა... თუ ამ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, უფრო რადიკალურ ღონისძიებებს მივიღებთ.

მიტინგს გააცნეს „მრგვალი მაგიდის“ საარჩევნო პროგრამის ძირითადი დებულებანი. წაიკითხეს იმ პირთა სია, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს კენჭი იყარონ ბლოკთან ერ-

თად. მათ შორისაა მუხრან მაჭავარიანი... აღფრთოვანდა სტა-
დიონი. ბევრს წამწამები დაენამა. დიდხანს არ დამცხრალა
ტაში. ბლოკის სახელით იყრიან კენჭს ნოდარ წულეისკირი,
თემურ ქორიძე, გურამ პეტრიაშვილი... უხარია ხალხს პა-
ტიოსანი სახელების გაგონება, მარტო იმიტომ არა, რომ ეს
გამარჯვების საწინდარია, ყოველი ნათელი სახე ადამიანის
სულს ასპეტაკებს.

ხალხი სიხარულით შეხვდა სახალხო ფრონტის მეთაურს,
როგორც სტუმარს, ისიც მათთანაა.ᲘᲐ მის სისუსტეებსაც იც-
ნობდნენ და მიმტევებლურად აღიქვამდნენ ამას.

სტადიონზე მიტინგი არაფრით არ ჰგავდა ჩვეულებრივ
მიტინგებს. არც შემადგენლობით, არც რაოდენობით, არც
განწყობილებით. რესპუბლიკის მოწინავე საზოგადოებრიო-
ბის მონაწილეობით განიხილებოდა დიდი თუ მცირე საქმე-
ები, როგორც სათემო ყრილობაზე. მეთაურები მსჯელობდ-
ნენ ხალხთან ერთად. ისმენდნენ უბრალო თანამემამულეთა
შენიშვნებს. მათი მონაწილეობით იღებდნენ გადაწყვეტილე-
ბებს. ზებედე პირველად ესწრებოდა ამგვარ თავყრილობას,
ინტიმურს, გულითადს, ქართულ დემოკრატიის ტრადიციებზე
დამყარებულს.

ბადრი უჯარმელი მშვიდად უპასუხებდა ყველა შეკითხვას,
ინტერესს იჩენდა თითოეული მონაწილის ბედისადმი. ისინი
მთელი არსებით ენდობოდნენ მას.

მომხბვლელი, გულისამაჩუყებელი ატმოსფერო მყარდე-
ბოდა. ტრიბუნებთან, მწვანე მოლზე, ორატორების თვალწინ,
მინდორზე ორი-სამი წლის გოგონები და ბიჭუნები თამაშობდ-
ნენ. მათთან თეთრი ლეკვი დახტის. არავინ არავის ხელს
არ უშლის. არცკი ამჩნევენ ერთმანეთს. უჯარმელი კე-
თილი ღიმილით მიმოდიოდა, ყველასადმი ყურადღებას იჩენ-
და, ყველაფერში მონაწილეობდა. მტერს შეიძლება ყოვე-
ლივე ეს სხვაგვარადაც მოსჩვენებოდა.

თაეის ადგილზე მუსიკაც გაისმოდა: „დიდება“, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა“ — კიაზოს არია („დაისიდან“). როცა მერაბ კოსტავას პატივსაცემად წამოიშალნენ, „შავლეგო“ დააგუგუნეს. ასეთ სანახაობას წინასწარი სცენარით ვერ შექმნი. ეს შემოქმედებაა! თანაც, უმაღლესი და განუმეორებელი.

ზებედეს გვერდით მოხუცი, რომელსაც, ეტყობა, მძიმე წამება გადაეტანა, დაამებით ქვითინებდა: „სწორია! სიმართლეა! შენ გაიხარე!“

ბევრი გულმოკლული ჩანდა იქ. მწარე სინამდვილით მოწამლული და გადათელილი.

ბადრი უჯარმელს მოლურჯო კოსტუმი ეცვა. უჰალსტუხოდ. ვერცხლისფერი თმა უბზინავდა. დამშვიდებულიც აბოროქრებულ ზღვას ჰგავდა.

ზებედე სხვა მიტინგებსაც გადაჰყრია, სადაც ძველი და ახალი ერთმანეთში აზელილიყო. გვერდიგვერდ ჩამდგარიყვნენ გუშინდელი ჩინოსნები, პაგონებაყრილი დამსმენები, მექრთამეები, კორუმპირებულნი, ყოფილი მდივნები და ჯალათები. მათი შვილები, სიძეები, რძლები, შვილიშვილები, მთელი ნაგრამი. ვინეგრეტი. დომხალი. ვინ რას წამოიყვირებდა, ვინ რას.

სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ მოითხოვა, კონგრესის არჩევნები უზენაესი საბჭოს არჩევნების შემდეგ დაენიშნათ, რათა კონფრონტაცია თავიდან აეცილებინათ.

კოსტავას ფონდის ანგარიშით გამოვიდა ვაჟა ადამია. ღელავდა. რამდენჯერმე მოუხდა შესვენება. ანგარიში მთელმა სტადიონმა ერთხმად დაამტკიცა. მერაბ კოსტავას ფონდის თავმჯდომარედ ერთხმად დაამტკიცეს ვაჟა ადამია.

ზებედეს, უცებ, უჯარმელის დატანჯული მეუღლე და ვაჟები მოელანდა. საოცრად შეწუხებულნი და დაშინებულნი.

ღმერთო, შენ უშველე, შენ შეიწყალე მამულისთვის წა-

მებულნი და დევნილნი. მე მიჭირს მათი ყურება! ასე მგონია, ცოტ-ცოტა დანაშაული ყველას მიგვიძღვის.

ვის უნდა ვენდოთ? ვინც ყოველ ნაბიჯზე გვყიდის, თუ ვინც ჩვენთვის ყოველ ნაბიჯზე თავს სწირავს და ამისთვის არავითარ საზღაურს და დაფნის გვირგვინებს არ ითხოვს?!

ხალხით გარემოცულ ტრიბუნაზე ზებედემ ვიოლა დაინახა. აქამდე არ შეუმჩნევია, რომ ისიც სტადიონზე იყო. თმაგაშლილი, შარავანდმოსილი. ყელმოღერებული.

გაუაზრებლად, რამდენიმე რიგით გადაინაცვლა, რათა უფრო გარკვევით გაეგო მისი ლაპარაკი:

— მე ავადმყოფად გამომაცხადეს, მომკლეს და ცხრა აპრილს გავცოცხლდი, რადგან უსათუოდ უნდა ვყოფილიყავი თქვენთან. სამუდამო წამება მქონდა მოსჯილი. არაადამიანურად მგვემეს და დამამცირეს. ვერ გამოვარკვიე, რისთვის გადამცეს რვაფეხებს. რამდენიმე ჭრილობა მომაყენეს დანით. მიტინგზე გამოვედი კრიტიკით. სხვა დანაშაული არ მიმიძღვის. ჩვენში ყველაფერი ნათესაობით, ქრთამით და პროტექციითაა. ამას წინ რომ საბაგირო ვაგონი მოწყდა და იმდენი ქართველობა დაიღუპა, თავისით მოხდა? მაგრამ მკვდრის საქმე ვის აინტერესებს?! მე უარს ვაცხადებდი სტაციონალურ მკურნალობაზე. ძალას მატანდნენ, უნდა გამოვიკვლიოთო. თქვენ გატყუებენ, ვითომ ცნობილი დისიდენტი ვყოფილიყავი. უბრალო სიმართლისთვის ვიბრძოდი. ღმერთი ყველაფერს ხედავს. იყავით დევნილთა და წამებულთა ქომაგად. შეურიგებელი იყავით მათ მიმართ, ვინც ხელყოფს ხალხის მორალს, კანონს, ელემენტარულ თავისუფლებას...

ზებედე სამარისებურმა დუმილმა გამოაფხიზლა. თვალები მოიფშვნიტა. ვიოლა იქ აღარ იყო. თითქოს მოელანდაო.

მოედნის ცენტრში ოცოდე კაცი შემოვიდა. დაღლილ-და-

ქანცულნი. ისინი ახალციხიდან ჩამოსულიყვნენ. დაბრკოლებას გადაჰყროდნენ და დაჰგვიანებოდათ.

მიტინგის შემდეგ მთავრობის სახლთან გაეშურნენ, სადაც წმინდა ილია მართლის საზოგადოების აქცია გრძელდებოდა ახალციხელთა მხარდასაჭერად.

სტადიონზე მიტინგში მონაწილეობდნენ ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და ლატვიის წარმომადგენლები.

ამ აქციებთან დაკავშირებით შემაშფოთებელი ცნობები გამოქვეყნდა:

16 სექტემბერს საქართველოს ეროვნულ სტადიონზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. გვიან ღამით მომიტინგეთა ნაწილმა გადაინაცვლა მთავრობის სახლთან და აქ განაგრძო აქცია. აქედან კი გაემართა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის შენობებისაკენ. მიტინგის მონაწილეთა ერთი ჯგუფი შეიჭრა უშიშროების კომიტეტის შენობაში და დაარბია მისი გარკვეული ნაწილი.

აქციის მონაწილეთა ძირითადი მოთხოვნა იყო ადიგენის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაზე მომხდარი თავდასხმის მონაწილეობაში ეჭვმიტანილი დავით გელაშვილის განთავისუფლება.

ამ რთულ სიტუაციაში, რომელსაც გაუთვალისწინებელ უმძიმეს შედეგებამდე შეიძლებოდა მიეყვანა მთელი რესპუბლიკა, მილიციის მუშაკებმა დიდი თავშეკავება, ტაქტი და სიმტკიცე გამოიჩინეს.

იმისათვის, რომ თავიდან აცილებულიყო მდგომარეობის შემდგომი გართულება, მოსალოდნელი შეტაკება და სისხლისღვრა, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველომ დავით გელაშვილს შეუცვალა აღმკვეთი ღონისძიება.

ადიგენის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაზე თავდასხმის საქმის გამოძიება გრძელდება. მიმდინარეობს მუშაობა თავდასხმაში მონაწილე პირთა დასადგენად.

, შინაგან საქმეთა სამინისტრო სთხოვს აქციის მონაწილეებსა და ქალაქის მოსახლეობას, შეინარჩუნონ სიმშვიდე და წინდახედულობა, რათა არ მოხდეს მოვლენების შემდგომი გართულებები, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს გამოუსწორებელ კრიზისულ მდგომარეობამდე. მით უმეტეს, როცა რესპუბლიკაში წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
პრესცენტრი.

უფრო მკაცრი იყო უშიშროების კომიტეტის კაფრთხილება:

ფართო საზოგადოებრიობამ იცის, რომ 16 სექტემბერს გვიან ღამით წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და პელსინკის კავშირის წევრთა გარკვეულმა ჯგუფმა დაარბია სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობა და დღემდე გრძელდება მისი პიკეტირება.

მართალია, ამ ფაქტთან დაკავშირებით უკვე ნაწილობრივ, თუმცა არც ისე ობიექტურად, ინფორმირებულია რესპუბლიკის მოსახლეობა, მაგრამ საკითხის სრული სიცხადისა და ფართო საზოგადოებისათვის რეალური მდგომარეობის ეს-ეთ გაცნობის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია გავაკეთოთ შემდეგი განცხადება.

ჩვენი ღრმა რწმენით, აღნიშნული ფორმით აქცია მართო უშიშროების კომიტეტის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია როდი იყო. იგი ნებსით თუ უნებლიეთ მიზნად ისახავს რესპუბლიკაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის შემდგომ გამწვავებასა და დესტაბილიზაციას, ისედაც დაძაბული ცხოვრების კიდევ უფრო გართულებას, რაც დარბევის ორგანიზატორთა წინდაუხედაობაზე მეტყველებს. ამ ადამიანებისათვის უშიშროების კომიტეტი და მის მიმართ ამჟამად წაყენებული ყოველგვარ კონკრეტულ საფუძველს მოკლებული

ბრალდებები მხოლოდ საბაბია. სინამდვილეში, ყოველივე ეს ვითარების დაძაბვას, საზოგადოებაში უმართავი, ქაოსური პროცესების გაღრმავებას იწვევს, რასაც ზოგი თავისი ამბიციური მიზნების მისაღწევად იყენებს. 24 საათზე ჩვენს შენობაში შემოიჭრა დაახლოებით 200-კაციანი ჯგუფი, რომლის გარკვეული ნაწილი შეიარაღებული იყო ლითონის ხელკეტებითა და ძალაყინებით.

შემოჭრილთა წარმომადგენლები, რომლებსაც ნ. რატიშვილი ხელმძღვანელობდა, შეხვდნენ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს. შეხვედრის დროს მათ მიეცათ განმარტებები წამოყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

დარბევის შედეგად მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა კომიტეტის შენობამ. დაიკარგა „მაკაროვის“ — სისტემის 5 პისტოლეტი საბრძოლო ვაზნებითურთ, სისხლის სამართლის საგამოძიებო საქმეზე ნივთმტკიცებათა სახით დართული საიუველირო ნაკეთობანი, რადიო და სპეციალური აპარატურა; კომიტეტის თანამშრომელთა მიერ ბავშვთა ფონდში გადასარიცხად შეგროვილი 4763 მანეთი; თანამშრომელთა პირადი ნივთები, დოკუმენტები და ფული.

ამ რთულ სიტუაციაში უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა, რომელთაც ამგვარ შემთხვევაში სრული უფლება ჰქონდათ მიემართათ კანონით გათვალისწინებული უკიდურესი ზომებისათვის, გაითვალისწინეს რა აქციის პროვოკაციული ხასიათი, გამოიჩინეს თავშეკავება და სიმტკიცე, რამაც ძირითადად განაპირობა კრიზისული სიტუაციის შემდგომი ესკალაციის შეჩერება და თავიდან იქნა აცილებული სისხლისღვრა, მოვლენების შესაძლო ტრაგიკული განვითარება. ორი დღის შემდეგ ასეთივე აქცია გამეორდა ჭიათურაში. იქაც დაარბიეს უშიშროების კომიტეტის საქალაქო განყოფილების შენობა. როგორც ჩანს, ეს მოვლენები შორსგამიზნული სცენარით ხორციელდება და მისი ორგანიზატორები აქედან გა-

მომდინარე შედეგებს არ ითვალისწინებენ. თუ ასე გაგრძელდა, მთელი ჩვენი ერი შეიძლება მძიმე განსაცდელის, გაუთვალისწინებული ტრაგიკული მოვლენების პირისპირ აღმოჩნდეს“ და ა. შ.

თბილისი, მთელი საქართველო შეძრა ა. წ. 19 სექტემბერს განთიადისას რუსთაველის პროსპექტზე ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის შტაბ-ბინის დაუნდობელმა და სასტიკმა დარბევამ. რა დავარქვათ ამ საშინელებას? ტერორიზმი, ვანდალიზმი, პროვოკაცია თუ საერთოდ კაცთმოძულეობა? ამ კითხვებს პასუხი თავად ქართველმა ერმა უნდა გასცეს, მანვე უნდა გააცნობიეროს, ვის ედება ყოველივე მომხდარში ბრალი. თანამემამულენო, დავუკვირდეთ, განა შეუძლია გარეშე მტერს მოგვაყენოს ასეთი ვნება, რასაც შეუძლია აშლილობა, განუკითხაობა და ურთიერთდაუნდობლობა გამოიწვიოს. ეს დღევანდელ ვითარებაში საქართველოს ღალატს უდრის. ნუთუ ცეცხლით და მახვილით, ურთიერთდარბევითა და მტრობით ვაპირებთ დემოკრატიული და თავისუფალი საქართველოს შენებას?

შექმნილ ურთულეს ვითარებაში ქართველ ერს და საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხს მართებთ თავშეკავებულობა, ჩვეული გონიერება, რათა შეძლონ წინ აღუდგნენ მათ, რომელნიც ცდილობენ ურთიერთმტრობა ეროვნულ ტრაგედიაში გადაზარდონ.

ვიყოთ ერთად, რათა გადავარჩინოთ საქართველო!

ამ მოვლენებს შეეძლო საფრთხეში ჩაეგდო პირველი მრავალპარტიული არჩევნები.

ვიღაცას ცოდვები არ ასვენებდა.

ისინი, ვისაც თავის სიცოცხლეში ერთი კაპიკი არ გაუმეტებია და ერთი საათი არ დაუთმია საქართველოსთვის, ახლა სასწაულებს ითხოვდნენ ბადრი უჯარმელისგან, რომელმაც ყველაფერი მამულს შესწირა. საზარელი შურისგება მზადდებოდა.

ბევრი რამ ნათელია, მაგრამ ვინ დაგიჯერებს! ბოლომდე უნდა მიჰყვე, გწამდეს უფლისა და მიჰყვე კეთილის გზას.

— შენ აქ რა გინდა? შენ ხომ ძველი კომუნისტი ხარ?

— ჩემი ადგილი იქაა, სადაც ხალხისა და სამშობლოს ინტერესებს იცავენ. სადაც ზნეობას, პოლიტიკურ პრინციპებს ოქროზე არ ჰყიდიან.

— კეთილი! შენი საქმე შენ იცი! — მუქარასავით წარმოთქვა ძველმა მეგობარმა.

ზებედე და ქალბატონი ბუეუეა იმ ღამით რამდენიმე ადგილას მივიდნენ პიკეტების დასათვალიერებლად — უზენაეს სასამართლოში და ცეკას ეზოში.

შინ ნაკლებდამშვიდებული ფიქრებით დაბრუნდნენ.

თითქოს, გული უგრძნობდათ. ბინა გატეხილი დახვდათ. ტელეფონის ხაზი გადაჭრილი. ოთახები გაჩხრეკილი და დარბეული.

გადაწყვიტა, იარაღის ნებართვა ეთხოვა.

12.

„მრგვალი მაგიდის“ ეკონომიკურმა პროგრამამ ხალხი დაიმედა. შესაძლებელი იქნებოდა კრიზისის თავიდან აცილება.

ოქტომბერი ტელედებატებში მიილია.

მადლობა ღმერთს, ადამიანთა სოციალური მდგომარეობის მიხედვით შესწავლა და დახასიათება მოდაში აღარაა, თორემ საგულისხმო სურათი წარმოგვიდგებოდა... თითქოს, სურვილის გარდა, სხვა არაფერი იყოს საჭირო. ჯერ, ძველი მუნდირების გახდაც ვერ მოუსწრიათ. ერთი შეხედვითაც ჩანს, ვინ რითი სუნთქავს, რა ბაგაჟი მოაქვს და რას მოელის. თვითონ თავიანთ თავს ვერ ხედავენ, თავიანთი ხმა არ ესმით, მაგრამ ხალხი ხომ ყველაფერს ხედავს და წინასწარმეტყველებაც შეიძლება. რამდენ უმეცარს, უღირსს, უკულტუროს განუზრახავს ქართულ პოლიტიკაში შემოჯირითება. დავიწყ-

ნიათ, რომ პოლიტიკა ადამიანის სულიერი მოღვაწეობის გვირგვინია და ტელევიზორის ეკრანთან კი არ იწყება, არამედ თითოეულის ბავშვობიდან მოდის.

გააქტივება დაეტყო ეროვნულ კონგრესსაც. უზენაეს საბჭოს არჩევნების წინადღეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, შამა ვახტანგის ლოცვა-კურთხევით მუშაობას შეუდგა პირველი სხდომა. იმავე საღამოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წინ ხალხით სავსე გამზირზე უცნობმა პირებმა მკლავში დაჭრეს გია ჭანტურია. ხალხი სულით ხორცამდე შეძრა ამ საძაგელმა ამბავმა. ისევე, როგორც წინა დღით ქუჩაში გამოკრულმა პრობლამაციებმა, რომლებშიც უკიდურესად იყო გალანძღული ტელედებატებში გამარჯვებული „მრგვალი მაგიდის" — თავისუფალი საქართველოს" ლიდერი.

აზრზე ვერ მოხვიდოდი, რა რისთვის ხდებოდა.

არჩევნების წინასაღამოსაც ტელევიზიით აუწერელი ლანძღვა-გინება გაისმა „მრგვალი მაგიდის" ლიდერის წინააღმდეგ, თუმცა, ამას მკაცრად კრძალავს ყველა ცივილიზებული ქვეყნის საარჩევნო კანონი.

რა განწყობილებაზე იქნები, როცა ნანატრი არჩევნების წინ ყოველ ნაბიჯზე გესმის: „საქართველო სამოქალაქო ომის წინაშე დგასო"!

ოქტომბრის დასაწყისში, მაჩაბლის ქუჩაზე, გაურკვეველ და ძნელად დასადგენ გარემოებაში ორი ქართველი ახალგაზრდა, ეროვნული მოძრაობის მებრძოლი მოკლეს. თეთრი გიორგის კავშირის თავმჯდომარე და ამავე ორგანიზაციის ერთი-ერთი სულისჩამდგმელი. მათი ბედი გაიზიარა დავით ტომარაძემ.

საქმე იქამდე მივიდა, ჩვენმა კონგრესმენებმა წინადადება წამოაყენეს, პოლიტიკურ დაჯგუფებებსა და პარტიებს შორის თავდაუსხმელობის პაქტი დაიდოსო.

ღმერთო, შენ დაგვიფარე! რა სახელი ვუწოდოთ შექმნილ სიტუაციას?

იმ მომენტისთვის, რაკი მეთაურები არ აპირებდნენ დასკვნის გამოტანას, საბოლოო სიტყვა ხალხს, ამომრჩევლებს უნდა ეთქვა.

* * *

ზებედეს მთელი ღამე არ უძინია. ჩასთვლემდა თუ არა, ახალი ეჭვი გამოაღვიძებდა.

„უკანასკნელ მომენტში, რაღაც შარს მოსდებენ. ჩაშლიან! მაგათ ხელში არა ვართ? რასაც უნდა, იმას იზამენ!“

დილით ადრე ადგა. პირველი, რაც მეუღლეს უთხრა, ეს იყო:

— თხუთმეტ — ოცს მაინც გაიყვანდნენ.

— ვის? — გაუკვირდა ქალს.

— თხუთმეტიოდე დეპუტატს.

— თხუთმეტი. იკმარებს?

— ჯერხნობით! ეროვნულ ფრაქციას შექმნიან, ტყუილს არავის შეარჩენენ. საწყალ ხალხს გამოესარჩლებიან.

ათ საათზე გავიდნენ შინიდან. საფოსტო ყუთიდან ახალი გაზეთები ამოიღეს. „თავისუფალი საქართველოს“ პირველი ნომერი, რომელიც ზვიად გამსახურდიას მოწინავეთი ისსნებოდა. ზებედეს გულს სიხარული მოეფინა.

ამომრჩევლები მშვიდად მიდიან თავიანთი უბნებისკენ.

ეტყობა, ჯერჯერობით სიწყნარეა.

სარჩევნო ბლოკი № 12: „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“.

კედლებზე საოცარი სურათი: ღვთაებრივი გოგონა ქართული დროშით. რა განწყობილებაა! რა დროის შეგრძნება! თვალს ვერ მოსწყვეტ!.

— კაბინაში ერთად შევიდეთ, — აფრთხილებს მეუღლე. —

— არ მენდობი?

— ჰო! დაბნეული ხარ, მეშინია არ შეგეშალოს.

იდეალური წესიერებაა. ადამიანები თითქოს გამოცვლილან. შეთქმულან. გულთა შორის იდუმალ კავშირს გრძნობენ.

შეცბუნებული ბრუნდებიან შინ და გულის ჩქროლით ელიან შედეგს.

„გილოცავ, საქართველოვ! ნაღვერდალში შენახულო ცეცხლო! სასწაულით გადარჩენილო! ერთსულოვანო! გაუხლეჩელო!“

„მადლი შენ, უფალო, რომ ამ დღეს მოგვასწარ!“

ამაზე უკეთესს რას ინატრებ!

* * *

არჩევნებს ორმოცზე მეტი უცხო ჟურნალისტი ესწრებოდა. პატიოსნად, ღვთისა და კაცის წინაშე დიდი პასუხისგებით შეასრულეს თავიანთი ვალი.

„მოხიბლული ვარ პოლიტიკური სიტუაციით!“ — განაცხადა ამერიკელმა რიიზ ერლიჩმა.

„50 წუთი ვესაუბრე ბატონ ზვიად გამსახურდიას. — თქვა „ამერიკის ხმის“ წარმომადგენელმა. — არ იფიქროთ, თითქოს, ვაკრიტიკებდეთ, ან მხარს ვუჭერდეთ რომელიმე ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციას. ჩვენ უბრალოდ, ყველასთან უნდა დავამყაროთ კონტაქტი, რათა საქართველოში შექმნილი სიტუაციის მთელი სპექტრი ავსახოთ“.

ფრანგი ჟურნალისტი სერჟ რაფი ივნისში წინასწარმეტყველებდა:

„ერთ კვირა დღეს ვაზით დამშვენებულ ძველებურ ქვის სახლში, საიღანაც თბილისის მშვენიერი ხედი იშლება, დაფიქრებულმა ზვიად გამსახურდიამ ასე დაასრულა ჩვენი დიალოგი: „საქართველოს დამოუკიდებლობა ახლა უკვე გარ-

დაუვალია. ერთია, ჩვენ კიდევ არ ვიცით, რის გაღებას მოითხოვს ჩვენგან მოსკოვი. კვლავ სისხლი თუ ეკონომიკური ბლოკადის საშიშროება? ჩვენი ქვეყანა მდიდარია, ეკონომიკური ავტონომიისათვის ლიტვაზე და სხვა ბალტიის ქვეყნებზე მეტი შესაძლებლობები გვაქვს. აქ არის ნავთობი, ელექტროენერგია, ნაყოფიერი მიწა, ზღვა, მთები. ჩვენ ბალტიისპირელთა გზას არ გავყვებით. უარს ვამბობთ კომუნისტებთან თამაშზე. სამოცდაათი წლის მანძილზე კომუნისტებს ტერორში ჰყავთ ხალხი. ახლა მათ ხარაკირი უნდა გაიკეთონ. ბოლოს და ბოლოს, ეს ღირსების საკითხია“.

გამსახურდია ნელი მოძრაობით გაადევნებს თითს ევროპის რუკას — შავი ზღვა, სტამბული, ათენი, რომი, — და ამბობს: „მერწმუნეთ, მალე გვექნება პირდაპირი ხაზი თბილისი — პარიზი, მოსკოვში ფრენა აღარ დაგვჭირდება. ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ჩვენ ხმელთაშუაზღვისპირეთის ნაწილი ვართ. რუკაზე დახედვაც კმარა, რათა ამაში დარწმუნდეთ. ვოცნებობ იმ დროზე, როცა ხორცის შემოწმება აღარ დაგვჭირდება, როდესაც რუსთაველის გამზირზე ბევრი კაფე იქნება და შესაძლებელი გახდება, მშვიდად იჯდე იქ და ცის ლაჯვარდს უცქირო...“

* * *

პირველ ტურში „მრგვალმა მაგიდამ“ 114 ადგილი მიიღო, კომპარტიამ — 61.

11 ნოემბერს მეორე ტურია. 14 ნოემბერს პირველ სესიას გამართავენ.

გაუნელებელ მღელვარებით ველოდით არჩევნების დასასრულს.

„მრგვალი მაგიდის“ შეხვედრები გრძელდებოდა.

მსჯელობდნენ პარლამენტში განსახილველ საკითხებზე. დასახეს ღონისძიებები მეორე ტურში დამატებითი მანდატების მოსაპოვებლად. მნიშვნელოვანი კანონპროექტების დასამტკიცებლად აუცილებელი იქნებოდა ხმების გადამწყვეტი უპირატესობა.

მეორე ტურში „მრგვალმა მაგიდამ“ ყურადღება ვადაიტანა თავის შტაბბინაში შეკრებილ დეპუტატთა მშვენიერ ფო-ტოსურათებზე. ხელმძღვანელთა ახალი, ნებისყოფიანი, სულიერი, შთაგონებული სახეები. საიმედო, საქმიანი, საქვეყნო ღვაწლისთვის მოწოდებული ადამიანები. მათთან შეხმატკბილებული მეთაური.

უკეთესს ვერ მოიფიქრებდი.

მეორე ტურმა ღირსეულად დააგვირგვინა „მრგვალი მაგიდის“ ტრიუმფალური სვლა. როგორც პროფესორმა ალექსიძემ თქვა: „ზვიად გამსახურდიამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მის პარტიას. — ჩვენ, კომუნისტები, ვაღიარებთ, რომ ბატონი ზვიად გამსახურდია ყველაზე პოპულარული პიროვნებაა საქართველოში. ქართველების უმეტესი ნაწილი ანტიკომუნისტურია“.

„მრგვალი მაგიდის“ წარმატება ისტორიულად კანონზომიერია. კომუნიზმი ისტორიული ანაქრონიზმია“. — თქვა თემურ ქორიძემ.

არჩევნებმა დაამხო უსახური, უღიმღამო, უენერგიო პარტიები და პიროვნებები. არ კმარა სახელდახელო პოლიტიკური ფაციფუცი. „საარჩევნო კამპანია“ ადამიანის ფეხისადგმიდან იწყება და არა არჩევნების დროს. მთელი სიცოცხლე ისე უნდა იცხოვრო, რომ ხალხის ნდობა და სიყვარული დაიმსა-

ხურო. არჩევნებმა უკუაგდო ყოველივე მოჩვენებითი, ყალბი, გაპრანჭული, ანგარებითი. არჩევნების მთავარი შედეგია დამარცხებულთა ზნეობრივი დაგმობა და გამარჯვებულთა მორალური ზეიმი.

* * *

მთელმა მსოფლიომ სცნო, რომ საბჭოთა კავშირში პირველი მრავალპარტიული არჩევნები ეროვნული მოძრაობის შთამბეჭდავი გამარჯვებით დასრულდა.

პარლამენტის სესიამ ისტორიული გადაწყვეტილებები მიიღო.

მთავრობის სასახლეზე ქართული დროშის აღმართვა ამაღელვებელ ეროვნულ ზეიმად იქცა. ათასობით ადამიანი ცრემლით, ლოცვით, ზეცისკენ ხელაპყრობილი გამოხატავდა სიხარულს.

ღვთის ნებითაა ყველაფერი. ეს უნდა ვიცოდეთ და ღვთის გასახარად ვიცხოვროთ.

მოლოცვებს სათვალავი არ აქვს.

საამაყო მოლოცვებს.

შეგახსენებთ რამდენიმე სტრიქონს გიორგი ბატონიშვილის დეპეშიდან:

„ბატონო პრეზიდენტო, ვსარგებლობ შემთხვევით, რათა გულითადად მოგესალმოთ და გადმოგცეთ ჩემი გულწრფელი სურვილები უდიდესი წარმატებისა იმ ისტორიული მისიის აღსრულებაში, რომელიც თქვენ დაგეკისრათ“.

სამეფო გვარის ხსენება ყველაზე მეტად განგვაცდევინებს იმ დროს, როცა თავისუფლება დავკარგეთ.

ალბათ, თვითონაც იციან ეს, რომ მოსკოვის საინფორმაციო სააგენტომ რეაგირება არ დააყოვნა: „როგორც ესპანეთიდან გვატყობინებენ, საქართველოს ეგრეთწოდებულმა ეროვნულმა მოძრაობამ თბილისში მოიწვია საქართველოს ტახ-

ტის მემკვიდრე პრინცი გიორგი ბაგრატიონი, რომელიც ესპანეთის მოქალაქეა და ახლა თვრამეტი წლისაა“.

გული გავისალკლდევოთ: პატარა ერსაც შეუძლია თავისთავის დაცვა.

ღმერთმა გადღეგრძელოს, გაუტეხელო ქაცო! მამაზეციერმა შენ გარგუნა ჩვენი ისტორიის უმძიმეს ეპოქაში.წინ გაუძღვე ამქვეყნად ყველაზე ძნელად სამართავ ქვეყანასა და ერს.

სიძულვილის სამყარო დაემხობა ბოლოს და ბოლოს, ადამიანები გაიმსჭვალებიან ერთმანეთის სიყვარულით. რწმენითა და ნუგეშით გაჰყვებიან სამომავლო გზას.

1990 წ. 28 ოქტომბერი

КАЛАНДАДЗЕ АЛЕКСАНДР ПАВЛОВИЧ

ВЫБОР

Роман

(На грузинском языке)
(Издательство «Мерани»
пр. Руставели, 42
Тбилиси
1991

მხატვარი ჯ. ზენაიშვილი
მხატვრული რედაქტორი სპ. ცინცაძე
ტექნიკური რედაქტორი ო. ჯაპანაძე
კორექტორი ნ. ხომერიკი
გამომშვები ი. სალუქვაძე

ს. ბ. 6162

ჩაბარდა წარმოებას 25.01.91. ხელმოწერილია საბეჭდად 29.03.91. ფორმატი 84×108 1/32. ქაღალდი საბეჭდი № 1. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 16,46. პირობითი საღებავგატარება 16,8. ტირაჟი 10.000 შეკვ. 99.

ფასი 10 მან.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის გამზ. 42. თბილისი
1991

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტი თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, გრ. რობაქიძის გამზ № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного департамента по печати Республики Грузия, пр. Гр. Робакидзе № 7.